

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქ. ლომთათიძე — შინაურ ცხოველთა ზოგადი სახელისათვის ქართული ენის დიალექტებში	3
ა. არაბული — ცხოველთა ასაკისა და სქესის ასახვა მესაქონლეობის ლექსიკაში	8
ე. გაზდელიანი — მესაქონლეობის ზოგი საერთო ტერმინის შესახებ ქართულ დიალექტებსა და სვანურში	23
კ. კაკიტაძე — ლეჩხუმური ლექსიკიდან	28
მ. კობაიძე — საქონლის საკუთარი სახელების წარმოება მთიულურ დიალექტში	31
მ. კუხალაშვილი — ცა~ -ც ნაწილაკი ქართულში	34
რ. ლანდია — ერთი ფონეტიკური მოვლენისათვის გლოლურში	42
ე. ნიკოლაიშვილი — მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში	49
მთარაპულ სიტყვათა ლექსიკონი (შემდგენელი გ. რეხვიაშვილი)	55
ნ. სურმავა — პირთა მრავლობითობის აღნიშვნის საკითხისათვის აკარულში	80
თ. უთურგაიძე — ნასესხები სიტყვები დიალექტურ ლექსიკაში	95
დ. ჩხუბიანიშვილი — ნაწილაკების ზოგი ფუნქციისათვის დიალექტურ ტექსტში	101
აღ. კინკარაული — ქართულ-ვაინახური ლექსიკური შეხვედრები	111
ბ. ჯორბენაძე — დიალექტების ურთიერთგამიჯვნის საკითხისათვის (წინასწარი მოხსენება)	118
პლასტუნკელ ქართველთა მერ ო. მიქიაშვილმა)	122
Диалектологический	169

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
არნ. ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

დიალექტოლოგიური კრებული



თბილისი
„მეცნიერება“
1989

81.2 IP
დ 433

„დიალექტოლოგიური კრებულის“ წინამდებარე ტომი ძირითადად ეძღვნება დარგობრივ ლექსიკას. მასში წარმოდგენილია ცალკეული დიალექტური ლექსიკისა და შეტყვევების ნიმუშები; განხილულია ქართველურ ენაზე საზიარო ლექსიკა და ნასესხები სიტყვები; მოცემულია ქართული ენის ზოგი დიალექტური მოვლენის ენობრივი ანალიზი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბ ე ლ შ ე ნ ი ლ ი (მდივანი),
ქ. ლ მ შ თ ა თ ი ძ ე, ა რ. მ ა რ ტ ი რ ო ს ო
ე ი, თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე (პ. მ გ. რედაქტორი),
რ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე, გ. ც ო ც ა ნ ი ძ ე,
ა ღ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი.

რევენზენტები: ე. ბ ა ბ უ ნ ა შ ე ნ ი ლ ი,
რ. ღ ა მ ბ ა შ ი ძ ე

4602000000
99-88
M 607(06)-88

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1988

ISBN 5-520-00099-9

v ქ. ლ მ თ ა თ ი ძ ე

შინაურ ცხოველთა ზოგადი სახელისათვის
ქართული ენის დიალექტებში

შინაურ ცხოველთა ზოგად სახელად სხვადასხვა ლექსიკური ერთეულია გამოყენებული ქართულში. ძველ ქართულში, მაგალითად, გვხვდება ოთხეხი, პირუტყვი, საეხოვარი, ხვასტაგი და სხვ.¹ მათი უმეტესობა დღესაც იმავე მნიშვნელობით იხმარება. ს ა ქ მ ნ ე ლ ი კი ძველ ქართულში დღევანდელი - ცხოველის - გაკებით თითქოს არაა:

უკეთუ იწებოს აღმწებებაა საღოცველისაა სახლისაა, ს ა ქ მ ნ ე ლ ი - ც ა განუჩინინ მას - დიდ. სუ. კ. 137,6.

მდიდრად მიეცა ყოველივე უბუებით აგარაკნი თავისუფლებით და ს ა ქ მ ნ ე ლ ი მრავალფერი - სერაპ-ზარზმ. 173,16.

მას განმარტავენ, როგორც ქ მ ნ ე ბ ა ს, შ ე ნ ა ძ ე ნ ს².

არც ვეფხისტყაოსანში აქვს ს ა ქ მ ნ ე ლ ს შინაური ცხოველის მნიშვნელობა:

„მაქვს საქონელი ურიცხვი, ვერვისგან ანაწონები“ და სხვ.

თვით საბა ორბელიანს ს ა ქ მ ნ ე ლ ი ძველი ქართულის გაგებით აქვს მოცემული, როცა ამ სიტყვას განმარტავს „საქონელი უსულ ხვასტაგი“-ო, ე.ი. სულიერი ცხოველი მასში არ შედის. ხვასტაგი კი, რომელიც ძველ ქართულში ნიშნავს „ქონებას, საქონელს, პირუტყვს, განძს, ფულს“, საბას განმარტებული აქვს ასე: „საქონელი და საყოფილი“⁴.

ენიდან ს ა ყ მ ლ ე ლ ი საბას ლექსიკონში ცალკე აღარ შეუტანია, არ განუმარტავს, ნათელი აღარ არის, ზუსტად რა მნიშვნელობას გულისხმობდა იგი ამ სიტყვაში.

ნიკო ჩუბინაშვილის ლექსიკონში საქონელი ასეა განმარტებული: „მონაგარი ნივთი, ანუ თეთრი, საფასე (ვეფხისტ. 793 და შემდგომი), ИМУЩЕСТВО, ДОСТАТОК II სავაჭრო, ნივთი განსაფარდგელნი, ТОВАР II შინაური ხვასტაგი (ოთხეხ.), СКОТ, ЖИВУТИНА“. ხვასტაგზე კი უწერია: „მოსაშენებელი პირუტყვი, შინაური საქონელი, საეხოვარი, СКОТ, СКОТОВОДСТВО“.

1 ი. ქ. ე. რ. ქ. ა. ძ. ე, ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკა ქართულში, თბ., 1974.

2 ი. ა. ბ. უ. ლ. ა. ძ. ე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

3 იქვე.

4 ს. უ. ლ. ხ. ა. ნ.-ს. ა. ბ. ა. ო. რ. ბ. ე. ლ. ი. ა. ნ. ი, სიტყვის კონა, თბ., 1928.

დავით ჩუბინაშვილის „ქართულ-რუსულ ლექსიკონში“ შეტანილია სიტყვები ს ა ქ ო ნ ე ბ ე ლ ი, ს ა ქ ო ნ ე ლ ი, ს ა ქ ო ნ ი და განმარტებულია: „ს ა ქ ო ნ ე ბ ე ლ ი - საქონელი, ИМУЩЕСТВО, საყდრისა ЦЕРКОВНОЕ ИМУЩЕСТВО, აღბ. 179“; ს ა ქ ო ნ ე ლ ი - მონაგარი ნივთი ან თეთრი, სა- ფასე; საევაჟრო; შინაური ხევისტავი; ИМУЩЕСТВО, ИМЕНИЕ, ТОВАР; РОГАТЫЙ СКОТ, ЖИВОТИНА;... საქონლის მოშენება СКОТОВОДСТВО; ს ა ქ ო ნ ე ლ ი - ნი, გაკეთებული, მდიდარი; ЗАЖИТОЧНЫЙ"... ს ა ქ ო ნ ი - ხელ და ხელ საქონელი სახმარი ნივთი ან ფული... ქილ. 29“.

ხევისტავთან დაკავშირებით აქ ციოხებულია: „მოსაშენებელი პირუტყვი, შინაური საქონელი, საცხოვარი; ფული, საცხოვრებელი ან საუნჯე, ქილ. 318; ძველს დროში ფულის მაგივრად აფასებდენ ხევისტავსა, ამისთვის ხევისტავს აქვს ორი მნიშვნელობა საქონლისა და ფულისა როგორც ლათინურად...“

მაშასადამე აღნიშნულ ლექსიკონებში ს ა ქ ო ნ ე ლ ი უკვე გვხვდება თანამედროვე მნიშვნელობით, შინაური ცხოველის აღსანიშნავადაც.

იმისი გარკვევა, თუ რა დროიდან შეიძინა მან ეს მნიშვნელობა ქართულ- ისტორიული ლექსიკოგრაფიის ამოცანაა და საგანგებო ძიებას მოითხოვს. დღეს კი ქართულ დიალექტებში საზოგადოდ შინაური პირუტყვისათვის გავრ- ცელებულია საქონელი (ან მთის დიალექტებში - ფშაურში, ხევსურულში, თუ- შურში - საქონელი). იგი მეტწილად მსხვილფეხა შინაურ პირუტყვს გულისხ- მობს, ზოგჯერ უფრო ფართოდ - საერთოდ შინაურ ცხოველებს⁵.

იმისი ამ მნიშვნელობით გამოყენების დიალექტური არეალი მეტად ვრცელია. ქართულში: „ს ა ქ ო ნ ე ლ აქ კუკუხოები აქეთ-იქით“⁶

თუშური: „... გაღვევით ჯარაგას, დავატუსაღეთ ხალხიც, ს ა ქ ო ნ ე- ლ ი ც: ცხვარჩ, ცხენი-დ' ძროხანჩ დაყ სოფელში დავაგროვეთ“⁷.

კახური: „საღამოთი გაირეკავენ ისევ ს ა ქ ო ნ ე ლ ს საძოვარზე“⁸, ხევსურული: „შშავლებს გამაულაღავ ს ა ქ ო ნ ჩ მიიხოთ, ქისტეთით“⁹.

მთხური: „თუ ვისმე ცხორი გაუწყდის ან ს ა ქ ო ნ ე ლ ი დაველებს“¹⁰.

მთიულური: „... ეხლა სამი ცხენი გამოგზავნა... გაიგეს, დანიშნეს და გაუგზავნეს თავისი ს ა ქ ო ნ ე ლ ი ისავ“¹¹.

გუდამაყრული: „... მეორე კვირასაც დაუკლა ძროხა... აიღე, გადაუგდე ორი შაურიო. ამტვენა ს ა ქ ო ნ ე ლ ს რისთვის ლუპავო“¹².

5 აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ მას სხვა მნიშვნელობაც აქვს. ამის შესახებ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. 6, თბ., 1960.

6 ქართული დიალექტის ლექსიკონი (მასალები). შემდგენლებია: თ. ბ. ე რ ო- ზ ა შ ვ ი ლ ი, მ. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი, ლ. ნ ო ზ ა ძ ე, თბ., 1981.

7 თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე, თუშური კილო, თბ., 1960, გვ. 90.

8 ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა რ ა- დ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 184.

9 იქვე, გვ. 12.

10 იქვე, გვ. 40.

11 იქვე, გვ. 68.

12 იქვე, გვ. 92.

ფშური: „ჩვენ ს ა ქ ო ნ ი ს ა გ ა ნ იყენიან ე მთა-მთისყენი გადათელილი“¹³.

თიანური: „შუადღისას გამოუშვიო ხოლმე ს ა ქ ო ნ ე ლ ი და საღამო-ხანზე შავაბიო“¹⁴.

ინგილოური: „მამამთილ ოთხ-ხუთ ს ა ქ ო ნ ე ლ ს დაკლავდა“¹⁵.

ჯავახური: „ს ა ქ ო ნ ე ლ ი ერთი თვე მე შევიწახე“... „მარტო ცოცხალი ს ა ქ ო ნ ე ლ ი წავიყვანო“¹⁶.

მესხური: „ერთხელ, დილით, ბრალს თათრები დასჯემიან და ს ა ქ ო ნ ე ლ ი გაურეკიათ“¹⁷.

აჭარული: „რომელ ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს ხორციც არ იჭმის, იმ ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს ხალი ქვეშ ჩაწვება“¹⁸.

გურიული: „რა მოხერხებით ახერხეფს აი კაცი ასეთ გადარეულ ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს და ცხენის მოშინაურებასო?“¹⁹.

იმერული: „საკონდის მომსპობი ჭირია... ხუზარა უცეფ სპოფს ს ა ქ ო ნ ე ლ ს“²⁰.

ღეჩხუმიური: „ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს გულისთვის (||გულიზა) თხლათ არ ცრეხავთ“²¹.

ჩაჭული: „შეიტანდენ გოფრით საჭმელს და მიცემდენყე ამ დაბმულ ს ა ქ ო ნ ე ლ ს“²².

ძველი ქართულის სიტყვახმარებისგან განსხვავებით ს ა ქ ო ნ ე ლ ი ს შინაური ცხოველის ჯაგებით ასე ფართო არსებობა ყველა ქართულ დიალექტში სიტყვის სემანტიკის გავრცელების დროისა და სივრცის მაშტაბების თვალსაზრისით ძალზე საყურადღებოა.

ს ა ქ ო ნ ე ლ ი, როგორც ცნობილია, ა ქ ე ს ზმნისაგან ნაწარმოები მიმღობაა. ეს ა ქ ე ს ზმნისაგან მომდინარე სახელი შესიტყვებაში „ჰ ყ ა ვ ს ზმნის ფუძეს იგუებს: „ს ა ქ ო ნ ე ლ ი ჰ ყ ა ვ ს“. ასეთი

13 ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ე ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა - რ ა ძ ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 132.

14 იქვე, გვ. 154.

15 იქვე, გვ. 235.

16 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984, გვ. 138, 150.

17 დიალექტოლოგია, I, გვ. 373.

18 იქვე, გვ. 399.

19 იქვე, გვ. 430.

20 იქვე, გვ. 441.

21 იქვე, გვ. 491 შენიშ.

22 იქვე, გვ. 532.

შეუსაბამობა მიორეული მოვლენა და შედეგია ც მ ც ხ ა ღ ი ს ა და
ა რ ა ც მ ც ხ ა ღ ი ს ლაპირისპირების გაჩენისა²³.

შემდეგი საფეხურია ცალკეულ დიალექტში წარმოქმნილი საყოლი (ს ა ხ ო -
ღ რ ო ე ბ ე ღ ო) საქონლის“ გაგზობით, რაც უკვე გამოიწვია „ცოცხლად“
და „არაცოცხლად“ დაულის თანმიმდევრულად გატარებისას მ ყ ა ვ ს ზმნას-
თან შეწყობის ტენდენციამ.

ამ მნიშვნელობით საყოლი გვხვდება გ უ რ უ ლ დიალექტში²⁴, ა ჭ ა -
რ უ ლ შ ი²⁵. მითითებულია ს ა ხ ო ლ ი შინაური ცხოველის ზოგად სახე-
ლად ქსნის ხეობის მეტყველებამაშინაც²⁶.

საყოლი გვხვდება მთიულურშიაც, მაგრამ მთიულურის ს ა ხ ო ლ ი შ ო -
დომით აქვს გაერთიანებული ლ. კაიშაურის ნაშრომზე მითითებით აღ. ლო-
ნტს²⁷ გურულისა და აჭარულის საყოლიდან. ლ. კაიშაურს საყოლი არა საქონ-
ლის სინონიმად, არამედ საქონლის მსახლვერლად აქვს მთიულურში ნაჩვენე-
ბი და ლექსიკონშიც „საყოლი საქონელი“ შეაქვს ერთეულად, რომელსაც „სა-
ნაშენე საქონლად“ განმარტავს²⁸. ასევე საყოლი საქონელი ქიზიყურში აქვს
მითითებული სტეფანე მენთეშაშვილი²⁹ და მის განმარტებად ისიც იძლევა:
„ფური საქონელი მოსამენებლად“³⁰.

23 თუ რაიმე გავლენასთან არა გვაქვს საქმე, საგულისხმოა ისეთი შე-
მთხვევები ამ მხრივ, როცა აღნიშნულ სიტყვას (ქ მ ნ ა, ა ქ ვ ს) მ ი ა -
ქ ვ ს ფოძე შეეწყობა. გ. ც მ ც ა ნ ი ძ ე, მაგალითად, ფშაურისთვის
წერს: წაღება იოქმის ცხერის ან მსხვილფეხა საქონლის გარტეკვაზე, მოტა-
ცებაზე. „დადიოფენ, ლაშქრავდენ. მ ი მ ქ მ ნ დ ა ცხერები“. იხ. მისი,
ფშაური დიალექტი. თბ., 1978, გვ. 239.

24 „შინაური ფრინველ-ცხოველი, რაც შეიძლება იყოლოს ოჯახში“; გ. შა-
რაშიძე, გურული ლექსიკონი. კრბ., ქართველურ ენათა ლექსიკა, I, თბ.,
1938.

25 „საყოლი შინაური ცხოველი (ძრხა, ხარი...), ფრინველი (ქათამი,
ინდაური...)“. შ. ნ ი შ ა რ ა ძ ე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლე-
ქსიკა, ბათუმი, 1971, გვ. 314.

26 ვ. ს მ მ ხ ი შ ვ ი ღ ი, „მესაქონლეობის ლექსიკა ქსნის ხეობის
დიალექტური მასალის მიხედვით“. VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სა-
მეცნიერო სესია მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედ-
გენის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკი-
თხებისადმი. მუშაობის გეგმა და მოხსენებნათა თეზისები, თბ., 1986, გვ.
42.

27 იხ. მისი, ქართულ კილო-ექვთათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

28 იხ. მისი, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბ., 1967, გვ. 229.

29 ს ტ ე ფ ა ნ ე მ ე ნ თ ე შ ა შ ვ ი ღ ი, ქიზიყური ლექსიკონი,
თბ., 1943. საყოლს სხვა მნიშვნელობებიც აქვს ქართულსა და მის დიალექ-
ტებში (მაგ. იგი დ. ჩუბინაშვილს „თანმხლებლის“; „მემკვიდრის“ სინონიმად
მოჰყავს. იმერულში საყოლი გათხოვილი ქალისთვის მშობლების ოჯახია და
სხვ.).

საყოლს ეს მნიშვნელობა თუშურშიც აქვს. პ. ხუბუტიას მოჰყავს: „საყოლ ზროხაა სანაშენო ძროხა, იტქმის სხვა სანაშენო საქონელზედაც“³⁰.

გ. ცოცანიძეს თავის თუშურ ლექსიკონში შეტანილი აქვს: საყოლ შესანახი, სანაშენოდ გამოსადეგი პირუტყვი - ფური ან ცხვარი. „საყოლად მინდოჯ, მაგარ, აბა, გადავარდა-დ რაყსად უშველ“³¹.

ს ა ქ ო ლ ი ს (ფართო) გაგებით იმერულში დაფასტურებულია ს ა ყ ო - ლ ე ბ ე ლ ი, ს ა ყ ო ლ ი ე ბ ე ლ ი (შარ.საქონი,საქონელი,საქონებელი): „ს ა ყ ო ლ ე ბ ე ლ ს ვერ ყოლიოფს, საძოვრები არ არი საქმარისი“, „სა-ყოლიებელს უვლის. ბატაც ყამს, ინდოურიც, ცხვარიც, ძროხაც“³², „ს ა ყ ო - ლ ი ე ბ ე ლ ი ს ყოლა შეიძლება, რა წყესი მყამდეს“... .

ყ ო ლ ა ზმნასთან შინაურ ცხოველთა ზოგადი სახელწოდების დაკავშირე-ბას, ჩანს თანდათან მტეი გასაქანი ეძლევა.

30 პ. ხუბუტი ი ა, თუშური კილო, თბ., 1969.
31 გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი (ხელნაწერი).
32 ქეძევან ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიმერული ლექსიკონი, თბ., 1974.

V ა. ა რ ა ბ უ ლ ი

ცხოველთა ასაკისა და სქესის ასახვა მესაქონლეობის ლექსიკაში

მესაქონლეობის ტერმინთა სემანტიკური დიფერენციაციის, მათი მოტივირების საკითხი მრავალმხრივ არის საინტერესო და მნიშვნელოვანი.

ისევე, როგორც, საერთოდ, ლექსიკის ცალკეულ თემატურ ჯგუფებში, მესაქონლეობის ლექსიკა პარადიგმატულ მიმართებათა თვალსაზრისით მეტად რთულია და მრავალმხრივი. არადალსახოვან სურათს ქმნის ლექსიკური ჯგუფების სადიფერენციაციო სემანტიკური ნიშნები, რომელთაგან ზოგი ძირითადია და სხვა სემანტიკურ ნიშნებთან შეხების წერტილების მქონე თუ გადაშვებით, ზოგი კი პერიფერიული და გარკვეულად იზოლირებული.

ქართული ენის მასალის მიხედვით ცხოველთა სახელებში ხშირად არის ასახული მათი ფიზიკური ნიშნები (ფერი, აგებულება, თვალების ფერი, რქების მოყვანილობა, ყურების, კულის და სხვათა ფორმა და მისთ.), მათი ქცევა და ხასიათი...

მაგრამ ძირითადი ნიშანი, რაც მესაქონლეობის ლექსიკაში სემანტიკური დიფერენციაციის საფუძველს ქმნის, არის ცხოველთა ასაკობრივი და სქესობრივი მონაცემები¹. ჩვენ სწორედ ამ ორ ძირითად ნიშანზე დაყრდნობით წარმოვადგენთ ცალკეულ სახეობათა ლექსიკურ-სემანტიკური ჯგუფების კლასიფიკაციის სურათს². კლასიფიკაციის მიზანია ძირითადად წარმოაღვიწიოს აღნიშნული ნიშნებით ცხოველთა სახელების განაწილების პრინციპი³.

1 აქ, ცხადია, სახელთა მოტივაციის საფუძველი არ იგულისხმება; აღნიშნული ნიშნები ძალზე იშვიათად ჩანს სახელების მოტივი.

2 ამგვარი კლასიფიკაცია შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე ნიშნის გამოყენებით. მაგალითად, ერთი - ასაკის - ნიშნით არის აღწერილი ცხენის ნაშიერის სახელები რუსული ენის ზიადექტებში *მ. მ. მ. რ. ა. ხ. მ. გ. ს. კ. ა. ი. ა. ს. მიერ: О.Н.М о р а х о в с к а я. Способы наименования жеребят в начальные периоды жизни. - Русские народные говоры. Лингвистические исследования. М., 1983, გვ. 121-132.* რაც უფრო მეტია საკლასიფიკაციო ნიშანი, მით უფრო მომცველია კლასიფიკაცია, მაგრამ ხშირად მით უფრო ცვილებით კლასიფიკაციის მიზანს. ქართულისათვის ოპტიმალურად მიგვაჩნია ძირითადი საკლასიფიკაციო აღწერა ორი - სქესისა და ასაკის - ნიშნით.

3 ბუნებრივია, კლასიფიკაცია ყველა ენობრივი დონის ყველა მონაცემს ვერ მოიცავს და მთელ ენობრივ მასალას ვერ ამოწურავს. ამიტომაც მას ამ ეტაპზე სისრულის პრეტენზია ვერ ექნება.

ამპარად შეიმჩნევა, რომ ასაკისა და სქესის მიხედვით მესაქონლეობის ლექსიკის სემანტიკური დიფერენციაცია შინაურ ცხოველებთან ადამიანის პრაქტიკულ დამოკიდებულებას ასახავს: მასში გამოხატულებას ჰპოვებს, ერთი მხრივ, საქონლის ს ა მ ე უ რ ნ ე ო ფუნქცია, მეორე მხრივ კი - მისი ს ა წ ა რ მ ო ო - ს ა ნ ა მ ე ნ ო დანიშნულება. რაც უფრო დიდია პირუტყვის სამეურნეო დანიშნულების ტრადიცია და მისი გამოყენების ფარგლები, მით უფრო მრავალფეროვანია ამ სახეობის სქესობრივ და ასაკობრივ თავისებურებათა ამსახველი ლექსიკა. მაგრამ თვით ეს უკანასკნელი მომენტები ჩვენ მიერ საკლასიფიკაციოდ აღებული ნიშანთა რიგში ვერ შემოვა, ისინი სხვა სახის კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენენ⁴.

აღნიშნული ნიშნებით სემანტიკური დიფერენციაციის მხრივ ერთ-ერთი გა-მორჩეულია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ლექსიკა, ამიტომაც პირველად მას წარმოვადგენთ.

ზ რ ო ხ ა

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სქესობრივი და ასაკობრივი ნიშნებით მესაქონლეობის ლექსიკის სემანტიკური დაყოფა, როგორც სახეობრივი სახე-ლების ბუდეებში, ასევე ცალკეულ ლექსიკურ ერთეულებთანაც, პირველად ასახულია სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში (შემდეგ კი დავით და ნიკო ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც). სულხან-საბას მიხედვით:

ზროხა - ზოგადი სახელი არს ყოველთა ზროხათა, ხოლო მამალსა ზროხასა ეწოდების კარი და დედალსა - ფური; ხოლო შეიღთა მათთა - კბო; ნასუქარსა კბოსა - ზვარაკი, რომელ არს უოქარაკი, საქარესა წლამდის - ბოჩოლა, და საფურესა - მოყედი; წელიწადზე მეტსა საქარესა - მოზვერი და საფურესა - დიაკეული; ორი წლის 'ქარსა- ბოიკი; საკლავად მსუქანსა - უსხი; საკიდარს კარსა - ახავერი; გამოუყვერავსა კარსა - კურო და მისსა უმცროსსა - კურაკი; შეწირულსა - ზეარა.

დ. ჩუბინაშვილს დამატებით აღნიშნული აქვს, რომ „ორი წლის ხარს ბოიკი, ფურს-წიქარა ჰქვია, ხოლო კუროს სინონიმებად ბულა და პრასი ჩანს.

ზროხა ზოგად სახელად ძველ ქართულშივე დასტურდება. ი. აბულაძის „ძველი ქართული ენის ლექსიკონის“ მიხედვით: ზროხა, ძროხა - საქონელი, ნახირი, ხარი, დეკეული, ხბო, ძროხა: „ფრდიდეს ზ რ ო ხ ა ს ა და ცხოვარსა და ტრეფსა“. ძე ი. 2, 14. „მოისხა აბრაჰამ ცხოვარი და ზ რ ო ხ ა“ 0, დაბ. 21, 27... „ბრძანა ცემამა ძარღვთა ძ რ ო ხ ი ს ა თ ა მ ა კმელითა“ სი - II, 263'v. „განზარდოს კაცმან დიაკეული ზ რ ო ხ ა თ ა მ ა“ I, ეს. 7, 21.

4 ლექსიკური ჯგუფების რამდენიმე ასეთი, ურთიერთთან შეხების წერტილების მქონე, კლასიფიკაცია არის შესაძლებელი. ისინი ერთმანეთს შეავსებენ, მაგრამ მათი ერთ „საკოორდინაციო სისტემაში“ მოქცევა უმეტესად არ მოხერხდება.

როგორც ცნობილია, ქართული ენის დიალექტების ნაწილში, აგრეთვე სალიტერატურო ქართულში, ძროხა სიტყვის მნიშვნელობა დაეიწროვდა და ფურ-ის ადგილი დაიკავა.

ხზო, ქეგლ-ის მიხედვით, ერთ წლამდე ასაკის ძროხის ნაშვირის სახელია. ამ ასაკის ცხოველთა სახელებში სქესი არ აისახება, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში სათანადო მსახლერელით ხდება სქესის გამოხატვა: სახარე ხზო, საფურე ხზო. ამავე ვითარების გამოხატველია ძველი ქართლის "ქარი კბოა" (0, ლევიტ. I, 3). ძველ ქართულში ხზოს სინონიმად მართუე-ც დასტურდება ამ უკანასკნელის ფართო მნიშვნელობის გამო (ნაშობი, შვილი, ბარტყი, "ყრმა", "კბო"): „განჯარდენ მ დ რ თ უ ე ნ ი მათნი თხნიერ შიშისა“ II, - „ქ ბ მ ნ ი“ - P₆. იობ. 39, 3.

ხზობის პერიოდი ხშირად კიდევ არის დაყოფილი. კერძოდ, ძუძუმწოვარი ხზოს აღმნიშვნელად რამდენიმე სახელი დასტურდება: კუჭილი - ხზო, სანამ ძუძუს სწოცს (ა.შან.), მალკვარი (კახ., საბა) - ჩვილი საქონელი, რომელიც სწოცს დედის ძუძუს. მზორაი (მთ.) - ძუძუს მალკვარი ხზო (ა.შან.). ამავე მნიშვნელობით ჩანს ზორა (მთ., გულ., მოხ.) - 1) ხზო, სანამ ძუძუს აბია; 2) ხატისთვის შეწირული ხარი (ნ. ზ ც ა რ ა) (ლეონ.). ზორა, ზვარა, ზვარაკი ლექსიკურ ერთეულთა მნიშვნელობებში ხშირად ჩანს მამალი საქონლის გაგება; ნ. ჩუბინაშვილთან ზვარაკი - კურო, მოზვერი (ფსალ. 49, 9 და 50, 19). ძველ ქართულში იგი ჩანს „კბო“, „ქარი კბო“, „ქარი“ სიტყვების მონაცვლეად: „დაკლან ზ უ ა რ ა კ ი წინაშე უფლისა“ G - „დაკლან კბოა“ 0, ლევიტ. I, 4; „არა ჰკნან ზ უ ა რ ა კ ი თ ა და ვირითა ერთად“ M. II, შუ. 22, 10. „ზ უ ა რ ა კ ი ი უბიწოა მოიბას იგი“ G, - „კ ა რ ი კ ბ მ ა უბიწოა მოიბას“ 0, ლევიტ. I, 3... „ზ უ ა რ ა კ ი წილიწიელი“ G, რიცხ. 8, 8...

ზამთარგამოვლილი ხზო ერთ წლამდე არის ბოჩოლა (გულ., მთ., მოხ), ბოჩიკი (რჭ., ბერ.), ლოჩი (გურ.), ქართლში მას გამოზამთრულსაც ეძახიან (ლეონ.). იმავე გაგების ჩანს საბასთან ბარაკეული - „ნახევარ წლის ზროხა“ (ეს სიტყვა საბას ხელნაწერში გადაუხაზავს). ჩუბინაშვილები ბოჩოლას „გამოზამთრულ ხზოდ“ განმარტავენ; საბა კი „გამოზამთრებულ ზროხად“, ზროხა სიტყვის ბუდეში კი ბოჩოლას სქესის გაგებაც აქვს - „საკარტ-სა წლამდის ბოჩოლა“.

შემდეგი ასაკობრივი პერიოდი ერთიდან სამ წლამდე. ამ ასაკის დედალი პირუტყვისათვის ყველაზე უფრო გავრცელებული სახელია დეკეული - „ძროხის შვილი - საფურე ხზო ერთიდან სამ წლამდე, სქესობრივ სიმწიფემდე (სინონ. იმერ. გურ. უშობელი)“ (ქეგლ). ეს სიტყვა სხვადასხვა ვარიანტით გვხვდება: დეკეული / ვარ. დეიკეული - ფს. / (ძვ.), დეკეული (ქართლ., კახ., ხევს., ფშ.), დეკეულა (თუშ.), დეკემელ (ინგ.ჯან.), დეკნა (გურ.). ამ სიტყვის სინონიმებია უშობელი (ქართლ., იმერ., გურ.), უშობარი (ფშ.), ნებიერი (ხ.-იმერ.), მუკედი (დ. და ნ. ჩუბ.). „წლის ფრო“, ხამი (ერწო), ტანა (ქიზ.) „ერთი წლის ხზო“ (ლეონ.), ხდეკია (იმ.) „მეორე წლის ხზო“ (ლეონ., ქეგლ).

უკანასკნელ შემთხვევაში ჩანს ამ ასაკობრივი პერიოდის გამიჯვნის ცდაც, იგივე ფაქტი აღნიშნულია მთიულურ-გუდამაყრულის მიმართაც; გუდამაყრულსა და მთიულურში წლის ხბოს უკვე კვებულა, ორი წლისას - წიქარა (ღონ.); აქვე გაიხსენოთ, რომ, ჩუბინაშვილების თანახმად, „ორი წლის... ფურს წიქარა უკვეა“.

დეკულის სქესობრივი სიმწიფის პერიოდი სამი წლის ასაკზე მოდის, მაგრამ შეიძლება დეკული ადრეც (ორი წლისაც) დამაკდეს, ასეთ შემთხვევაში მას კბორია (ხევს. არხოტის თემი), იკბორია (ბუდე ხევს., შატლი. აღ.ჭინჭი.), კბოილა (ფშ.), კმორუყად მოგებული (თშშ.) უკვეა, იხმარება უმართისიც (ხევს.ჯუღა, მთიულეთი).

საერთოდ, ნაადრევად ზრდადამთავრებულ და მომწიფებულ საქონელს ადრეულ (ფშ., მოხ.), ადრული (მთ.), მალეული (ხევს.), ნაადრევი (იშ.) უკვეა (ღონ.). ზრდადამთავრებული კი რამდენიმე სინონიმური ერთეულით გამოიხატება: კაპოტი (ძვ., კახ., იშ), დასრულებული (მთ.), დამდგარი (ხევს.), მოთავებული (ღჩხ.), სამაკინელი (გურ.) (ღონ.).

ზოგან პირველი ხბოს მოგების შემდეგ დეკულ ფურს ეძახიან.

სქესობრივად მომწიფებული, სანაშენე და მეწველი საქონლის სახელად ფური და ძროხა იხმარება. ფური - „ზროხა დედალი“ (საბა); „უძლიერესა მოართვა ერბო ფ უ რ ი ს ა“ (მსაჯ. 5, 25). ძროხა - I. შინაური მეწველი მსხვილფეხა რქიანი საქონელი, - ფ უ რ ი (საპირისპ. ხ ა რ ი) (ქეგლ)

მამალი ხბო ერთი წლის შემდეგ (სამ წლამდე) მოზვერია - „ახალგაზრდა ხარი ერთ წელზე მეტი ხნისა“ (ქეგლ), „ახალგაზრდა ხარი“ (დ. ჩუბინ.); „საკარე კბო დიდი“ (საბა). მოზვერის სინონიმებად იხმარება: მაცალო, მოცალო (მთ.), კვებული (ერწო), ჭოჭყი (ხევს.), ჭეჭყა (ფშ., თშშ.), მაზვერი, მოზვერია (ხევს., ფშ., თშშ.) (ღონ.). ორი წლის მოზვერის სახელად ბოიკიც დასტურდება („ორი წლის ხარი“, საბა, ჩუბ.). ბოიკი თუთმში მოზვერის სინონიმია, ხოლო რაჭულში ეს სახელი ორიდან სამ წლამდე ასაკის მამალ ჯიხვს ეწოდება⁵.

მოზვერი სამი წლის ასაკში იკოდება და მას კარ-მოზვერს (ხევს., ფშ., თშშ.) ეძახიან.


შეიძლება მოზვერი არ დაკოდონ, მოსაშენებლად ან გასასუქებლად გაუშვან. ასეთი პირუტყვის სახელად რამდენიმე ერთეული დასტურდება: ბულა - კურო, დაუკოდავი მოზვერი მოსაშენებლად შენახული (ნ. ჩუბ.); პრასი - კურო, ბულა, დაუკოდავი ხარი (დ. ჩუბ.); კურო (5, 17. ესაია) - კარი გამოუყურავი (საბა). კურაკი - მცირე კურო; ნ. კ უ რ ა ტ ი. კურატი - კურაკი (საბა); კურაკი, კურატი - კურო, ხარი დაუკოდავი (დ. ჩუბ.).

დაკოდლი უმბული მოზვერი უკვე მეჩვეე-კარია (ხევს.), ეს ძირითადად მეოთხე წელში ხდება, შემდეგ ხდება „დაკარება“, კარად გახდომა, დაახლოებით ექვსი წლისა ხარი მანძილა ხდება.

5 მ. მ. ა. კ. ა. ლ. ა. თ. ი. ა., მესაქონლეობა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1985, გვ. 20.

ისტორიულად ამ ასაკობრივი პერიოდისათვის ძირითადად კარი, ხარი სა-
ხელი იხმარება. დასტურდება აზავერიც საკიდარ, მებარგულ ხარის სახელად:
აზავერი - კარი საკიდარი (საბა); „მოართუმიდეს მათ აქლემებითა და ჯო-
 რებითა და კარებითა და აზავრებითა საზრდელსა“ (I ნეშტ. 12,40)
 შდრ. „აზავრები ეაზავრე“ („ვეფხ.“).

ასაკობრივი და სქესობრივი ნიშნებით წარმოსახული სურათის უკეთ გამო-
 კვეთა შეიძლება სქემატურად⁶:



6 წარმოდგენილი ორი სქემიდან შემდეგ მეორეს მივყავთ უპირატესობას.

ასაკი		6 თვ.	1წ.	2წ.	3წ.	4წ.	6წ.
დედალი	კონკრ.			/კვი- ბული/	/წიქა- რა/	იკბორია, უშვარისი	ფური, ძროხა
	ზოგადი			დეკლუი, უშვბე- ლი, მოყედი	კაპოტი, სამაკინელი		
ნიტრალური	კონკრ.	მაწოვარი, ბოჩოლა, კუჭოი	ბოჩიკი				
	ზოგადი	ხ ბ ლ					
მამალი	კონკრ.			ბოიკი	კარ-მოზვერი მეჩევევ-კარი	კარი	მან- ძილა
	ზოგადი		მოზვერი, მოყალა ჭოჭყი...			კ ა რ ი	

შენიშვნა 1. „ზოგადი“ გრაფა ასახავს რომელიმე გამოკვეთილი ასაკობრივი პერიოდის მომცველ ძირითად (ზოგად) სახელს ან სახელებს, ხოლო „კონკრეტული“ მასთან მიმართებით უფრო მეტი ასაკობრივი პერიოდის ამსახველ და არაძირითად (ან არაგამოკვეთილ) სახელებს წარმოაჩენს. ამგვარი მიმართება წყვეტილი ხაზით გამოიხატება.

შენიშვნა 2. ბუნებრივად დაისმის საკითხი: ხომ არ აბუნდოვნებს სურათს სხვადასხვა დონის ენობრივ მონაცემთა გაუმიჯნაობა? ჯერ ერთი, მესაქონლეობის ლექსიკის სპეციფიკურობის გამო ამგვარი გამოიწვევა ხშირად შეუძლებელიც კი ხდება; მეორეც, კონკრეტული სადიფერენციაციო ნიშნებით მესაქონლეობის ლექსიკის სემანტიკური აღწერისას ჩვენს ძირითად მიზანს შეადგენს ენობრივად შესაძლებელი საზღვრებისა და მიჯნების გამოკვეთა და არა დარგობრივი ლექსიკის აღწერა ენის რომელიმე ერთი ქვესისტემის ფარგლებში. ცხადია, ეს არ გამოორიხება ამ ხერხით სახეობის ლოკალური აღწერის შესაძლებლობასაც.

კ ა მ ე რ ი

კამბეჩი, კამეჩი: კამბეში (კამბეში და გამეში) - გამეჩი. ამასაც მამალსა კარი და დედალსა ფური და შვილსა მამსა ლლ ეწოდების და გამო-

ზამთრულსა ზაქი და წელიწადზე მეტს შიშაგი (საბა)...; „მამალს ეწოდება ხარკამერი, დედალს - ფურკამერი, შვილსა მათსა ზაქი“ (ნ.ჩუბ.).

როგორც ცნობილია, ზაქი არის „კამერის ნაშიერი დაბადებიდან სამ წლამდე (უღელში შებამამდე ან პირველ მოგებაამდე) (ქეგლ), მაგრამ საბასთან და ჩუბინაშვილებთან მას სქესის გაგებაც უჩანს: ზაქი - კამბერის მოხვეერი (საბა), კამბერის ხბო, მოხვეერი (დ. და ნ. ჩუბ.).

ზაქი (ქართლ., კახ.), ლულ (ქართლ., ზ.-იმ., გურ.), კოიტი, კოტი (იმ.ბერ.) - კამერის შვილი. ქვემოიმერეთში პატარა ზაქს უკვიან კოიტი, შემდეგ კი - ზაქი (ლეონ).

ერამუკი (ინგ.) - უშობელი ფურკამერი (ჯან.) (ლეონ).

		ასაკი	6 თვ.	1წ.	3წ.
ს ქ ე რ ი	დედალი	ზოგადი კონკრეტ.		ერამუკი (ინგ.)	ფურკამერი
	ნეიტრალური	ზოგადი კონკრეტ.	კოიტი (ქვ.იმ.) ლულ (საბა)	ზაქი (ქვ.იმ.)	შიშაგი (საბა)
	მამალი	კონკრ. ზოგადი	ზაქი, ლულ		ხარკამერი

ც ხ ვ ა რ ი

ცხვარი, ცხოვარი (ძვ.ქ.) გამაერთიანებელი, ზოგადი სახელია წერილზე-ხა რქიან ცხოველთა გვარისა. ამ ცხოველის სახელების პირველი კლასიფიკაცია ეკლავ საბასთან (შემდეგ კი დავით და ნიკო ჩუბინაშვილებთან) არის წარმოდგენილი ცხვარ, ცხოვარ ბუდეში:

ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვერძი და დედალსა - ნერძი; ხოლო შვილთა მათთა - კრავი; დიდსა კრავსა და უბიწოსა - ტარტი; ჩჩვილსა კრავსა -

ბატკანი. წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა - ბუწი; წელიწადს უკან - ში-
შაგი, ორის წლისასა - აზმანი; გამოყვეროლსა - ჭედილი; კეთილ ურუხიან-
სა - სადგამი; დამნებავსა - ერკემალი...

ჩუბინაშვილებთან ზოგიერთი სახელის განმარტება განსხვავებულია:

დ. ჩუბ. : „...შვილთა მათთა კრავი; მოზღლსა ტარიკი, წლამდის ბუწი
და თხლი; წლის მეტისა აზმანი, შიშაგი; კაი ურუხისასა სადგამი; საკლ-
ვად დანიშნულსა შიშლიკი; მნერბელსა ერკემალი; დაკოდილსა ჭედილა...“

ნ. ჩუბინაშვილი შიშაგთან დასძენს, „არამედ შიშაგი ნიადაგ ნიშნავს
მამალსა“-ო.

ცხვრის ნაშიერის პირველი ასაკობრივი პერიოდი შეადგენს ექვს თვეს.
ამ ასაკობრივი პერიოდის ძირითადი გამომხატველია ბატკანი და კრავი.
ქველ: ბატკანი - ცხვრის ნაშიერი ექვს თვემდე (პირველ გაპარსვამდე). სი-
ნონ. კ რ ა ვ ი. კრავი - ცხვრის ნაშიერი ექვს თვემდე (პირველ გაპარს-
ვამდე) - ბ ა ტ კ ა ნ ი. თუშვა, საბასა და ჩუბინაშვილების მიხედვით,
ამ ერთეულებს შორისაც ჩანს სემანტიკური გარჩევის ცდა. საბასთვის ბატ-
კანი „ჩივილი კ რ ა ვ ი ა“, ხოლო დ. და ნ. ჩუბინაშვილებთან კრავია
„ჩვილი ბ ა ტ კ ა ნ ი“. საბასეული მინიშნება შესაძლოა უფრო ახლო არის
ძველი ქართულის ვითარებასთან, სადაც კრავის ასაკობრივი საზღვრები ნახე-
ვარი წლით არა ჩანს შემოსაზღვრული: „მოიყვანეთ... კ რ ა ვ ი წელიწად-
ული“ G, ლევიტ. 9,3.

ძველ ქართულში კრავის სინონიმად ჩანს ტარიკი - „კ რ ა ვ ი წლისა
უბიწო“; „ტ ა რ ი კ ი წელიწადული უბიწოა შეწირონ ყოვლად-დასაწყველად“
0, ეზეკ. 46, 13; „მოიბ... ტ ა რ ი კ ი წელიწადული“ 0, ლევიტ. 9, 3
(შდრ. G : კ რ ა ვ ი). შემდგომ ტარიკმა შესაწირავის მნიშვნელობა მიიღო,
რაც ასახულია ქველ-ში: ტარიკი - ძვ. I. უბიწო ბატკანი ერთ წლამდე. 2.
გადატ. რაც მსხვერპლად უნდა შეწირონ.

მომდევნო ასაკობრივი პერიოდის საზღვრებია ნახევარ წლიდან წლამდე.
სქესობრივი დაყოფა ჯერ არა გვაქვს. აქ სინონიმებად გვევლინებიან თხლი
და ბუწი. ქველ-ის მიხედვით: თხლი - ცხვარი ექვსი თვის ასაკიდან ერთ
წლამდე (პირველი გაპარსვიდან მეორე გაპარსვამდე), - ბ უ წ ი (საბა).
მამალი თხლი. - დედალი თხლი. ახლად ნაფოლებ ბატკანს ორივე სქესისა
შემოდგომამზე მითმ დებრუნებისას „თხლს“ ეძახიან („შინამრეწვ.“). ასე-
ვეა ამ კახურ, ფშაურ, თუშურ და სხვა დიალექტებში. „ბუწი - წლის კრავი
და მცირედ ნაკლები“ (საბა). - ცხვარი ნახევარი წლიდან წლამდე, პირველი
გაპარსვიდან მეორე გაპარსვამდე, სინონ. (თ ხ ლ ი).

ერთი წლის ასაკიდან სახელებში სქესობრივი დაპირისპირებაც არის ასა-
ხული. აქ პირველ რიგში აღსანიშნავია ორი ზოგადი სახელი: მდედრობითი
სქესისათვის - ნერბი „დედალი ცხვარი“ (საბა, დ. ჩუბ.), მამრობითისათვის -
ვერძი „მამალი ცხვარი, ერკემალი“ (საბა, დ. ჩუბ.). ეს დაპირისპირება
ძველ ქართულშივე მკვეთრად არის გამოხატული, ოღონდ ნ ე რ ბ ი ს ნაცვ-
ლად ნეხვი დასტურდება: „შესწირვიდეს... გინა თუ ვ ე რ ძ ს ა, გინა თუ
ნ ე ზ უ ს ა“ (ლევიტ. 3, 1). ძველ ქართულში ჩანს ამ ტერმინთა ასაკობრივი

დაუკონკრეტებლობაც; შდრ.: „შეწიროს ც ე რ ძ ი უბიწოა ცხოვარაგან“ (ლევიტ. 5, 15¹¹); „ც ე რ ძ ი ერთი სმნიერი“ (ოქრო-გურიტ. 226, 25); „ცხოვარი სრული, ც ე რ ძ ი წელიწადული“ (გამოსლ. 12, 5)...

უფრო კონკრეტული მნიშვნელობით ვერძი სინონიმია ერკემალი, ყოჩი ერთეულებისა, რომლებიც აღნიშნავენ დაუყოღაც მამალ ცხვარს, სანაშენედ დატოვებულ მამალ ცხვარს. მათს ურთიერთჩანაცვლებადობას დიალექტებიც წარმოაჩენენ; ყოჩი (ქართლ., კახ., ფშ., ხევს.), ვერძი (ხევს.), ერკემალი (საბა), ერკამალი (მოხ.) - სანაშენედ დატოვებული მამალი ცხვარი (ღონ.).

დაკოდვის შემდეგ „მამალი ცხვრის“ სახელად ჭედილა დასტურდება: ჭედილი - გამოყვერილი ცხოვარი (საბა); ჭედილა - დაკოდლი მამალი ცხვარი. ორ მცესვარე თუშს ოახიოდე ჭედილა და ხუთიოდე ოახლი წინ გამოეგდოთ (ილია) (ქველ).

„დედალი ცხვარი ერთიდან ორ წლამდე“ (ქველ) არის შიშაგვი, შიშაქი. დასტურდება სხვა დიალექტური ვარიანტებიც - შაქი, შიშაგანა⁹. დ. ჩუბინაშვილის მიხედვით შიშაგის სინონიმად აზმანი ჩანს („ერთი წლის ცხვარი“), თუმცა საბასთან აზმანი მომდევნო ასაკობრივ პერიოდს მოიცავს: ცხოვარ ბუდეში აღნიშნულია: „წელიწადს უკან - შიშაგვი, ორის წლისას - აზმანი“, ხოლო აზმან -თან „ორი წლის ცხოვარი“.

მომდევნო ასაკობრივ პერიოდში (პირველი მოგების შემდეგ) დედალ ცხვარს კონკრეტული სახელი აღარ უჩანს. გამოიყენება ნერბი, დედა ცხვარი¹⁰, ანდა სანაშენე-საწარმოო თავისებურებების (ღირსებების) ამსახველი სახელები: სადგამი, სანაშენე, ქარაბიჭა და სხვა.

7 შესაძლებელია ამ უკანასკნელთა გამოყენებაც ზოგადი მნიშვნელობით - „მამალი ცხვარი“; ლექსიკონებში სწორედ ამ სამი ერთეულის (ვერძი, ერკემალი, ყოჩი) სინონიმურობა არის მინიშნებული. შდრ. ქველ: ვერძი - მამალი ცხვარი, ყოჩი. ერკემალი - მამალი ცხვარი. - მწერბავი, ვერძი, ყოჩი - დაუყოღაცი მამალი ცხვარი, ვერძი, ერკემალი.

8 ჭედილი (თუნდაც სახელის ეტიმოლოგიური მნიშვნელობის გამო) უფრო ზოგადი გაგების შემცველი ყოფილა, აღნიშნავდა საერთოდ დაკოდულ პირუტყვს. შდრ. „დაკოდლი ხვასტაგი“ (დ. და ნ. ჩუბ.).

9 ჩუბინაშვილებთან შიშაგვი „მამალი ცხვრის“ მნიშვნელობის მატარებელია („არამედ შ ი შ ა გ ი ნიადაგ ნიშნავს მამალსა“ - ნ. ჩუბ.), რასაც ენობრივი მონაცემები ძირითადად არ ადასტურებს.

10 ზოგადი სახელის - „ცხვარი“ -, აგრეთვე ზოგადი მდეურობითი სახელის - „ნერბი“ - დავიწროება „დედა ცხვარი ს“ მნიშვნელობამდე ბუნებრივია, ვინაიდან ეს უკანასკნელი ძირითადი და განმსაზღვრელია სამეურნეო-საწარმოო თვალსაზრისით.

ს კ ი ს ი	ასაკი		6 თვ.	1წ.	2წ.	3წ.
	დედალი	ზოგადი კონქრ.			შიშაქი	ნერბი
					ნ ე რ ბ ი	
	ნეიტრალური	კონქრ.	ბატკანი, კრავი	თხლი, ბუწი		
					3 წ.	
	მამალი	ზოგადი კონქრ.			ყოჩი, ვერძი, ერკემალი	ველია
				ვ ე რ ძ ი		

ა ბ ა

თხა ზოგადი სახელია წვრილფეხა რქოსან ცხოველთა ერთი გვარისა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით: „თხათა მამალსა ვაცი ეწოდების და დედალსა - ნეზვი და შვილთა მათთა - თიკანი; ჩრეილსა თიკანსა - ბატკი; და წლამდის თიკანსა - წალი... გამოუყვებრავსა - ბოტი და საბოტე წალსა - ვაციკი, ციეთნი ქოშსა უწოდენ...“. ანალოგიური კლასიფიკაცია მეორდება დ. ჩუბინაშვილის (აგრეთვე ნ. ჩუბინაშვილის) ლექსიკონში: „თხა - ცნობილი შინაური ხეასტაგი, რომლისა მამალსა ეწოდების ვაცი და დედალსა ნეზვი; დაუკოდავსა ბოტი და საბოტეს - ვაციკი და ქოში; შვილსა მათსა ბატკი, მოზდილსა თიკანი, ციკანი; წლისას წალი...“

თხა ზოგადი სახელია ძველ ქართულშიც: „თუთ შეიმოსა ტყავი თხისა და ცანდალი“ (იბტ. 118,24); „მოიბთ ვაცი ერთი თხათაგან“ (ლევიტ. 9,3,11). თხის სქესთა სახელებად ნეზვი და ვაცი დასტურდება (საბა, ნ. და დ. ჩუბ., ქეგლ). ამასთანავე, ნეზვი სხვა ცხოველთა (ცხვარი, ლორი) სქესის ზოგად სახელებთან საზიაროა, ხოლო ვაცი მამალი თხის აღმნიშვნელად ერთადერთია. ვაცი შეიძლება კონკრეტულ ასაკობრივ სახელადაც შეგვხვდეს.

სქესის ნიშნით სახელთა განაწილებამდე თხის მცირეთასაკოვან ნაშეირთა

ორი ასაკობრივი პერიოდი ჩანს გამოყოფილი, ოღონდ ეს პერიოდები მკვეთრი საზღვრით არ არის გამოიწვეული (შდრ. ბატკინის სახელები); თიკანი, ციკანი ერთ წლამდე თხის ნაშიერის ზოგადი სახელია (ქეგლ). შდრ. ძვ. ქ. I. „მოიბას შესაწირავად მისა თ ი კ ა ნ ი თხათაგან“ (ღვიცტ. 4, 23, 0). მის სინონიმებად დიალექტებში ვლინდება ჩებოლო (კახ.), წიკოა (ინგ.) და სხვა. მცირეასაკოვანი თიკნის სახელიად დასტურდება ბატკი/ბატკი - „ჩრვილი თიკანი“ (საბა, დ. და ნ. ჩუბ., ქეგლ), როგორც აღინიშნა, ასაკობრივი საზღვრის მიუხედავად.

წლისაზე მეტი ასაკის მამალი თხის სახელში უკვე ასახულია სქესობრივი დიფერენციაცია: ცაცოკი - „სამამლე თიკანი“ (საბა), ცაცუნა (ფშ., გულა-მაყ., მთიულ.) - „მამალი თხა წლისაზე მეტი“ (ღონ.); ქოშიკი - „ცაციკი, წლის ბოტი“ (დ. და ნ. ჩუბ.). ამგვრად მნიშვნელობით ვლინდება ქოშიც - „ცაციკი წლის ბოტი“ (საბა).

ერთ წელზე მეტი ხნის დედალი თიკნის სახელია წალი - „თხა, რომელსაც უძრ ჟიკანი არ მოუგია“ (ქეგლ), „ორი წლის დედალი თხა“ (ფშ., ქიზ., მთ.) (ღონ.). მის სინონიმად დასტურდება ჩებიჩი (ქეგლ). საგულისხმოა ძველი ქართლისა და საბასა და ჩუბინაშვილების ლექსიკონების მონაცემთა შეუთანხმებლობა ენის თანამედროვე მონაცემებთან. საბას მიხედვით წალი და ჩებიჩი „წლამდის თიკანია“, ხოლო ჩუბინაშვილების მიხედვით - „წლის თიკანი“, სქესი მათთან განუსაზღვრელია. ძველი ქართლის ერთი კონტექსტის მიხედვით წალი ცაცის, „მამალი თხის“ (აბულ) სინონიმია. შდრ.: „მოჰვეუაროს... წ ა ლ ი თხათაგან ცოდვისათჳს“ G. - „შეწიროს... ვ ა ც ი“ (0, ღვიცტ. 5, 6)!

ცავი - „მამალი თხა“ (საბა, ჩუბ., ქეგლ.); „დაუკოდავი თხა, რომელსაც თხების ფარაში უშვებენ, როგორც მომშენებელს“ (ღონ.). მისი სინონიმია ბოტი (აგრეთვე ვ ა ც ე მ ბ ტ ი) - „თხის ერკემალი“ (საბა, ჩუბ.); „მამალი დაუკოდავი თხა, სანაშენე და ფარის წინამძღოლი (სინონ. ვ ა ც ი, ე ლ ქ ა ჯ ი, გულამაყ. ხევს. ქ ე რ ი) (ქეგლ). ზოგჯერ ამათ სინონიმად ქოშიც დასტურდება („ბოტს სომხურად და ქართულად ქ მ შ ი ც ეწოდება“ - საბა). ელქაჯი (საბა, ჩუბ.), ქერი (ფშ., გულ., ხევს.) ბოტის სინონიმებია როგორც ფარის წინამძღოლის, წინ მავალის, გზის გამკველვისა. იგივე მნიშვნელობა, ბუნებრივია, ეაცსაც უდასტურდება.

ცაცის და მის სინონიმურ ტერმინთა ქვედა ასაკობრივი საზღვარი ორი წელია, ზედა საზღვარი გამოხატული არ არის (შდრ. „ვ ა ც ი სმნიერი“ - ოქროზგურიც. 226, 25).

ორი წლის ზემოთ დედალი თხის ცალკე სახელი აღარ მოგვეპოვება, იხმარება ზოგადი სახელი თხა II.

II დედალი თხის სახელთა ნაკლები დიფერენციაცია ეგება იმას უნდა მიანიშნებდეს, რომ თხის სამეურნეო (მეწველი) დანიშნულება ისტორიულად ნაკლებ მნიშვნელოვანი ჩანს მის დანარჩენ ფიზიკურ მონაცემებთან შედარებით.

ასაკი		?	17.	27.
ს კ ე ს ი	დედალი		წალი, ჩუბიჩი	თხა, ნეზვი (საბა)
	წიგადი კონკრ.			
	წიგადი კონკრ.	ბატკი		
ს კ ე ს ი	წიგადი კონკრ.	თიკანი, ციკანი		
	წიგადი კონკრ.		ცაიკი, ცაიუნა, ქოში(კი)	ბოტი ----- ცაი, ძარი...

ლო რ ი

ლორი - „წყვილჩიქიანი, მოკლეფეხიანი და დინგიანი ძუძუმწოვარი ცხობლი“ (ქავლ). „ლორსა შამალსა ეწოდების ეშვი და დედალსა - ქუბი, შვილთა შათთა - თელი და გოჭი; დედსა გოჭსა - ბურჯაკი; გამოუყვერავსა - უახი და კერატი; სასუქად წყვედულსა - ქოსმენი“ (საბა); ჩუბინაშვილებთან დამატებით ქ უ ბ ი ს სინონიმად ნეზვია მიითიებული, ხოლო ტახი ე შ ვ ი ს სინონიმი და არა კ ე რ ა ტ ი ს ა .

სახელებში სქესის ასახვამდე სამი ძირითადი სახელი დასტურდება: გოჭი, თელი და ბურჯაკი. გოჭი სამ-თხ თვემდე ასაკის ლორის ნაშიერია (ქავლ). „გიორგობისთვის გოჭიო- გაზაფხულზე ლორიო“ (ანდაზა). თელი ძუძუმწოვარსა გოჭია, ხოლო ბურჯაკი - „დევი გოჭი“ (საბა, ჩუბ.); ლორის შვილი სამი თვიდან წლამდე (ქავლ).

გურია-იმერეთში ბ უ რ ვ ა კ ი ს სინონიმად ნაზარდა დასტურდება (ს.შ.ღ.ბერ.), ზოგჯერ აქ სქესობრივი ნიშანიც შემოდის - „დედალი ბურჯაკი“ (ღონ.).

ერთი წლის ასაკს ზემოთ დედალი ლორის სახელად დასტურდება ნეზვი და ქ:უბი. ნეზვი, როგორც უკვე აღვნიშნა, დედალ პირუტყვთა (თხა, ცხვარი,

ლორი) ზოგადი სახელია, ხოლო ქუბი არსებითად არქაიზმია¹².

შესაბამისი ასაკის მამალი ლორის ძირითადი სახელია ტახი, მისი არქაული სინონიმია ეშვი. დაუკოდავი ტახის სახელად კერატი დასტურდება, ე.ი. კერატი უფრო ვიწრო მნიშვნელობისაა, ვიდრე ტახი¹³.

		ასაკი	?	3 მე.	1 წ.			
ს ქ ი ბ ი	დედალი	კონკრ.	-	-	ნაზარდა (გურ.)	ნეზვი (//ქუბი)		
		ზოგად.			ნაზარდა			
	ნეიტრალური	კონკრ.			თელი	ბურეაკი, ნაზარდა		
		ზოგად.			გოჭი			
	მამალი	კონკრ.						კერატი
		ზოგად.						ტახი (//ეშვი)

ც ხ ე ნ ი

საზბას მიხედვით, „მამალსა ცხენსა ეწოდების ახტა და დედალსა - ქრდალი და ჭაკი; შვილთა მათთა კაცვი, რომელსაც მსოფლიონი კვიცად უწოდენ ხოლო კაცვსა ახტასა ურა და ქრდალსა ფაშატი ეწოდების. სარემაცესა კურატსა - აჟილა, გამოყვიერულსა - ტაიჭი... ასაკმცირესა - გერგე...“. ჩუბინაშვილებთან დამატებით ურას სინონიმად ქურანი ჩანს, ხოლო ტ ა ი - ჭ ი ს სინონიმად - იაბო.

✓ ცხენის ნაშვირის ძირითადი სახელი სამი წლის ასაკამდე - გახედნამდე

12 თანამედროვე ქართულში ამ ცნების გამოხატვა ფაქტობრივ აღწერილობითაა: დედა ლორი.

13 ამ მხრივ გამონაკლისია საზბას განმარტება, სადაც ტახი და კერატი სინონიმებია, რაც უთუოდ მათი მხოლოდ ერთი - სქესობრივი - ნიშნით გაეროების შედეგია.

არის კვიცი (//კიცივი), მის სინონიმებად დიალექტებში დასტურდება: ქუ-
რანი (ქიზ.), რემა (ერწო), კურა (ინგ.) (ლონ.), ძველ ლექსიკოგრაფი-
ბიან „ასაკმირე ცხენის“ სახელად დასტურდება აგრეთვე გერგე (საბა,
ჩუბ.), ოლნდ ზუსტი ასაკობრივი მიჯნა განსაზღვრული არ ჩანს.

საბასა და ჩუბინაშვილების მიხედვით სქესობრივი დაყოფა კვიციობის
ასაკშივე ვლინდება (მამალი კვიცი - ურა, ქურანი, დედალი - ფაშატი),
რაც შემდგომი ენობრივი მონაცემებით აღარ ჩანს რეალურ: ურა ძირითადად
მსაზღვრელია (კვიცის, ცხენის), ხოლო ფაშატი ჭ ა კ ი ც ხ ე ნ ი ს
სინონიმა. მხოლოდ ქურანი დასტურდება ქიზიყურში კ ვ ი ც ი ს სინო-
ნიმად (ს.მენთ.); იგივე უნდა იყოს კურა (ინგ.).

ასევე აღარ ჩანს მოქმედი ახტა მამალი ცხენის ზოგად სახელად. ამ
ჯაგებით დიალექტებში ხვალი დასტურდება, მაგრამ ვინაიდან ის სხვადასხ-
ვა გვარის ცხოველთა მამლის ზოგადი სახელია, უმეტესად სქესის მსაზღვ-
რელ ატრიბუტივად ვლინდება. შდრ.: „რატამს შვიან ხ უ ა დ ი კ ი ც უ“
(ჩუბ. XII.6).

გაწოთნის ასაკს მიღწეულ ცხენს, თუ ის დროზე არ გაიხედნა, ეწოდება
:უხედნი (ქარლ., კახ.), ხამი (თ.), ურა (გურ., იმ.), გამოუჯაგავი
(ლონ.). ძვ. რემა, რემაკი (საბა)

გასახედნი ცხენი უნდა დაიკოვოს. თუ ის დასაკოვადი დარჩა, მას აჯილ-
და, ულაყი (ქარლ., კახ.) ჰქვია. ულაყს უფრო ზოგადი გაგებაც უჩანს -
„მამალი ცხენი“ (ქიგლ.).

დაკოვლი ცხენი რამდენიმე სინონიმური ტერმინით წარმოსდგება: ტაიჭი,
იაბო, ლაფშა, ახტა (იხ. ლონ.).

დედალი ცხენის აღსანიშნავადაც რამდენიმე სინონიმი დასტურდება: ხდა-
ლი (ხრდალი), ჭაკი, ფაშატი (სქემა იხ. გვ. 22)¹⁴.

შეიძლება ზოგიერთი დასკვნის გაკეთება:

1. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც უკვე აღინიშნა, ენობრივი მასალა
კვლევის ამ ეტაპზე ამომწურავი არ არის, წარმოდგენილი ტიპის სქემას ის
უპირატესობა აქვს, რომ ის საშუალებას იძლევა ნაკლულ და „საევიშო“ უჯრე-
ბზე გავამახვილოთ ყურადღება, ენობრივი მასალა ეცდებოთ კონკრეტული ნი-
შნებით.

2. სხვადასხვა გვარის ცხოველთა სქემაზე გამოსახული დიფერენციაცია
გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის შესაბამისი ლექსიკის განვითარებისა და
ამ განვითარების სპეციფიკური ნიშნების შესახებ. მაგალითად, ცხერის
გვარში პირველი ასაკობრივი დაყოფა - ერთ წლამდე - სამეურნეო თვალსაზ-
რის ემთხვევა: ექვსი თვის ასაკში ბატკანი, კრავი პირველად იბარსება
(სწორედ პირველად ნაბარს ბატკანი ჰქვია კრაველი), ერთი წლის ასაკში -
მეორედ. საგულისხმოა, რომ ისტორიულად ამგვარი დაყოფა გამოკვეთილი არა

14 აქვე შდრ. ძალზე მარტივი დიფერენცირება ვირ- გვარის სახელებისა:
აქ ფაქტობრივ მხოლოდ ორი ზოგადი სახელი დასტურდება: ცირი (სახეღარი,
კარაული) და გეირეასაკოვანათვის - ჩორორი, მუტრუკი.

ს ქ ე ს ი	ასაკი		?	3 წ.
	დედალი	ზოგად-კონკრ.		
		კონკრ.		
	ნეიტრალური	კონკრ.	გერგე (საბა)	
		ზოგად.		
	მამალი	კონკრ.		
ზოგად.		ხ ვ ა დ ი		

ჩანს, რაც ცხერის სამეურნეო დანიშნულების თანდათანობით ზრდას უნდა მოასწავებდეს. ერთი წლის შემდეგ სქესობრივი დიფერენციაცია იწყება, თუმცა ცალკეულ სქესთა შიგნით ასაკობრივი დანაწევრება შედარებით ნაკლებ არის გამოხატული, ვიდრე ეს მსხვილდება საქონელთან გვაქვს. საერთოდ, მიუხედავად ტერმინთა სიმრავლისა, მრეცხვარეობის კულტურა ასაკობრივი და სქესობრივი დიფერენციაციის თვალსაზრისით მსხვილდება საქონელთან შედარებით უფრო განუვითარებლად გამოიყურება, რასაც შესაძლოა ორი მიზეზი განაპირობებდეს: ან მრეცხვარეობის კულტურის ნაკლებ ტრადიციულობა, ანდა სამეურნეო დანიშნულების შედარებით ცალსახოვნება, ერთგვაროვნება. შესაძლებელია ეს ორი მომენტი ერთმანეთთანაც იყოს გადაჯაჭვული.

3. ქართულში სქესთა დაპირისპირება არსებითად ლექსიკურია (მეტრე, ეს მომენტი ზოგჯერ მოქმედების სახელებშიც კი არის ასახული). ამ მხრივ თავისებურ სურათს გვიჩვენებენ უასაკო (მოუმწიფებელ) ცხოველთა (ხბო, ბატკანი, კვიცი) და ზოგადი (ცხვარი, თხა, ცხენი) სახელები. მათში სქესის გამოსატყა ხდება მხოლოდ სათანადო მსაზღვრელების დართვის გზით (სახარე ხბო, დედალი ბატკანი, გიაკი ცხენი...). უასაკო ცხოველთა სახელებში სქესის აღსახაობა ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორია, ხოლო მათთან სქესის მსაზღვრელთა დამკვიდრება სწორედ სამეურნეო-პრაქტიკული თვალსაზრისის პოლომდე გატარების ცდას წარმოადგენს.

მესაქონლეობის ზოგი საერთო ტერმინის
შესახებ ქართულ დიალექტებსა და სვანურში

მესაქონლეობა სვანეთში ოდითგანვე იყო და დღემდე რჩება ერთ-ერთ ძირითად სამეურნეო საქმიანობად. განსაკუთრებით განვითარებულია მსხვილფეხა პირუტყვის და თხის მოშენება. შედარებით ნაკლებად მისდევენ მეცხვარეობას.

მესაქონლეობის აღნიშნული დარგების განვითარების კვალად განსხვავებული მომცველობისაა შესაბამისი ლექსიკაც; ეს ნათლად წარმოაჩინა მესაქონლეობის კითხვარზე მუშაობამ. ამ მუშაობამ ისიც გვიჩვენა, რომ აუცილებელია დარგობრივი ლექსიკის დროული ფიქსირება, რადგან მესაქონლეობის ტერმინოლოგიიდან ბევრი რამ ახალგაზრდებისათვის სრულიად უცნობია.

სვანური ენის მესაქონლეობის ლექსიკაში გამოიყოფა საერთო ქართველური წარმომავლობის, საკუთრივ სვანური, ზანური და ქართული დიალექტებიდან, განსაკუთრებით დასავლური კილოებიდან, ნასესხები ტერმინები. სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია ისეთი ტერმინები, რომლებიც პარალელს შთის კავკასიურ ენებთან პოულობენ.

გვიანტერესებს სვანური მესაქონლეობის ლექსიკაში ქართულ დიალექტებთან საერთო მასალა.

ქართულთან საერთო ზოგ ტერმინს სვანურისათვის დამახასიათებელი ცვლილება განუვადია, სვან. შველ. შდრ. ქართ. „სველი“¹; სვან; ლნტ. წაქ II წრპქ, სველიდან ნადუღის, ხაჭოს (სვან. ნა-ღებ-ის) ამოღების შემდეგ დარჩენილი სიტხე, შდრ. წ ა ქ - ი (ჯურ-იმერ.) სველი, შრატო...² სვან, ბზ. ქლიჩ (შდრ. ჩ ლ ი ქ - ი) სვანურში მოხდა ბგერათგადასმა. ზემოსვანური ფორლიკ, ქვემოსვანური ფორლიკ - „ფლოქვი, ჩლიქი“. კომპოზიტია და მომდინარეობს ქართული ფ ლ ო ქ ე ვ + ჩ ლ ი ქ ი - დან. ფლოქ-ფუძიდან კომპოზიტში მხოლოდ ფ-შემოგერჩა, რაც სვანური კომპოზიტების წარმოებისათვის ნიშანდობლივია³.

1 ს. შ დ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის საკითხები, თბ., 1949, გვ. 130.

2 აღ. ლ ლ ო ნ ტ ი, ქართულ კილო-ექმათა სიტყვის კონა, თბ., 1984.

3 შდრ. ლნტ. ტიტპკ<ქართ. ტიტველი ადგილი; ლშხ. თწრიგზელ<ქართ. მთავარანგელოზი; ქს. ნათალყვ<ქართ. ნა-თვალ+ყბევი. ავი თვალითა და ავი ყბით (სიტყვით) ვნებული საქონელი; აჯამიანი.

ქვემოსვანურში გავრცელებული ტერმინია ლშხ. მარტუხანა⁴ ლნტ. მარტუსა, შდრ. ლეჩხ. მ ა რ ტ უ ლ ი „მოს. მ ა რ ტ უ ლ ე - ა „ცალღელა ხარი, ცალი ხარი“⁴. მარტუხან-ს ნაცვლად ზემოსვანურში საკუთრივ სვანური ბზ., ლამეშხვა; ბქ., ლამეშხ-ი, ეშხუ „ეროი“ ძირიდან ნაწარმოები ტერმინი იხ-მარება, სიტყვასიტყვით „საერო“, „ერთისთვის განკუთვნილი“. ბქ. ლამეშხ-ხიშ უღვა „ეროი, ცალი ხარის უღელი“.

ქვემოსვანურში არამეწველი, მსხვილფეხა პირტყვის (ხბო, დეკაული, მოზვერი, ხარი...) საზოგადო სახელია ლნტ. ო-ხაბ|| უ-ხაბ; ჩოლურ. უ-ხაბ; ლშხ. უ-ხაფ || უ-ხაფო || უ-ხაბ - „საქონელი რომელიც ნამატს არ იძლევა და არ იწველება. ლნტ. უხაბ მყაყ - „უშემოსავლო, უნამატო, უხბოო საქონელი მყაყს“. ეს ტერმინი დადასტურებულია ლეჩხუმურში იმავე მნიშვნელობით: უ ხ ა ბ ი || უ ხ ა ფ ი || უ ხ ა ბ ი⁵. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ტერმინი ქართული დიალექტებიდან მხოლოდ ლეჩხუმურში დასტურდება (ლოკალური დიალექტური ფორმა) და გვაქვს მთელ ქვემოსვანურში, შეიძლება ვიუქოროთ ამ სიტყვის სვანურიდან ნასესხობაზე. გარდა ამისა, სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია, რომ „სვანური ბზ. ხაბნა ლშხ. ღაბ-ნა „მოზვერი“ ფორმები, ქართ. კ ბ ო (ძვ. ქართ. კ ბ ო ვ ა რ) ეტიმოლოგიური შესატყვისებია“⁶. უ-ხაბ-ო სიტყვის სემანტიკაც მხარს უჭერს სვან. -ხაბ- (უ-ხაბ-ო) და ქართ. კბო-ს შესატყვისად მიჩნევას. სვან. ღაბ-ნა, ხაბ-ნა-ს „მოზვერი“ დღევანდელი მნიშვნელობა შეიძლება მეორეული იყოს.

სვან. ბზ. ლნტ. ქარბაქ, ლნტ. ქარბაქ, ლშხ. ქარბაქ - „საქონლის დროებითი სადგომი, ბაკი (ქვის ან ხის ღობით შემოკავებული)“⁷.

სამეცნიერო ლიტერატურაში სვანური ქარბაქ შედარებულია „მეგრ. ქ ა რ - ბ ა კ ა - ჯ ა ლ ბ ყ ა ლ კ ო ყ“ ქართ. ქ ა რ ბ ა კ ი - „ნაყოფის ბაკი“ (საბა). ნ. ჩუბინაშვილის განმარტებით- ქ ა რ ბ ა კ ი „ნაყოფიან ვნული ბაკი“⁸. ქართულიდან შეთვისებული ქარბაკი ფორმიდან მივიღებ სვანური უმლა-უტიანი ფორმები ქარბაქ, ქარბაქ. ამ კომპოზიტის პირველ ნაწილად გამოიყოს: ქართ. ქარა-, მეგრ. ქა - (რ გადასმულია კომპოზიტის მეორე ფუძეში - ბარკა), სვანური ქარ -, რომლებიც უკავშირდებიან ქართულ დიალექტ-

4 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახელებული ნაშრომი.

5 კ. კ ა კ ი ტ ა ძ ე, 1985 წლის ლეჩხუმში მივლინების ანგარიში, მისივე განმარტებით უ ხ ა ბ ი || უ ხ ა ფ ი || უ ხ ა ბ ი აღნიშნავს ისეთ საქონელს, რომელიც ხბოს არ აჩენს და -ხაბ - ძირი დაუკავშირად ძვ. ქართ. კ ბ - ო-ს.

6 თ. გ ა მ მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 115.

7 „სვანური ლექსიკონის“ მასალა (დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში).

8 ი. ქ ე რ ქ ა ძ ე, ცხოველთა აღმნიშვნელი ლექსიკა ძველ ქართულში, თბ., 1974, გვ. 114.

ბში ცნობილ ამბავე მნიშვნელობის „ქ ა რ ა (გურ. იმერ.) ეზოსთან შეღობილი ადგილი, ლამით საქონლის დასამწყვდევაჲ და ქ ა ლ ტ ა (გურ. იმერ.) ბაკი, ქარა“⁹;

შდრ. „ქარაⁱ (ქართ.) დოღის ხის ნაწილი, დოღის რკალი (შ.ძიძ., ნ.კეცხ, პ. ზუბ.);

ქარა² (გურ.) წვეტიანი ჩხირი ქაჭვივით (გ.შარაშ.);

ქარა³ (ოკრიბ.) ზღმარტლის, ბაძგრის... ეკალი (მ.ალავიძე);

ქარა⁴ (აჭარ.) კეცის კიდე, ამოწეული გვერდები“¹⁰.

„ბ ა კ ი - მოზღუდვილი (საბა), ბაკი მრგვლად მოკლებული ლბე ან ფიცრული ხვასტავთ დასაყენებელი ნ.ჩუბ.“¹¹.

ბაკ ფუძე სვანურში არ დასტურდება. მართალია, არც ქართთ, ქ ა ლ ტ ა სახელური ფორმები ჩანს სვანურში, მაგრამ ამ ფუძიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები ჩვეულებრივ იხმარება.

ლი-ქვრა-ე - „შელობა“, „ლოვა“, ა-ქვრთ-ე - „ლობს“. ლ-ქვრთ-ე - „შელობილი“ და სხვა.

ზოგი ტერმინი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ქართულიდან საერთო ფუძე თავისი კონკრეტული მნიშვნელობით სვანურში არ დასტურდება.

„სვანურში სიტყვა ყველის შესაბამისი სუბსტანტივი თითქო არ ჩანს.

„ყველის“ სახელია „თაშ“, მაგრამ შესაძლოა მას დავუკავშიროთ ბალსზემოური ლი-ყელი- „ყველის ამოყვანა“; ეს ფორმა მასდარად წარმოგვიდგება, საიდანაც ზმნური ფორმები იწარმოება“¹².

მბღ სვანურში გვაქვს ზს. ლშხ. ლი-ყელ-ე, ლტ.ლი-ყელ-ე. ამ ძირიდან ნაწარმოებ ყველა ფორმაში გრძელხმოვნიან დიალექტებში ფუძისეული ხმოვანი გრძელია. ენ-ყელ-ე „ყველი ამოყვანა, ამოყველა“; ი-ყელ-ი - „იჭრება, ყველდება“; ნა-ყელ - „ამონაყველი“ და სხვა. როგორც ცნობილია მ. შანიძემ ძე. ქართული ყვე - ფუძისაგან ნაწარმოებ სუბსტანტივად მიიჩნია ყ ა ვ - ე ლ-ი> ყ ვ ე ლ-ი, ე.ი. აჭრილი, შედეგებული, რძიდან მიღებული რამ, - შეყველებული“.

სვანურში, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქართ. ყველ სუბსტანტივიდან ნაწარმოები ზმნური ფორმები გვაქვს. მაგრამ როგორც ჩანს, სვანურში უშუალოდ *ყ ა ვ - ძირიდან მომდინარე ზმნური ფორმები დამკვიდრდა. *ლი-ყავ-ელ-ე> ლი-ყელ-ე და სხვა დანარჩენ (ნა-ყელ „ამონაყველი“, ლ-ყელ-ე - „აჭრილი“, „შედეგებული“, „ამყველებული(იტყვიან აჭრილ რძეზეც)“. ლ-ყელ-ე ლჰა - „შედეგებული, აჭრილი რძე“) ფორმებშიც ფუძისეული ხმოვნის სიგრძე ამ ვარაუდს უჭერს მხარს. ამ ფუძეებში ხმოვნის სიგრძე დაკარგული ად კომპლექ-

9 ალ. დ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი.

10 იქვე.

11 ი. ქ ე რ ქ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

12 მ. მ ა ნ ი ძ ე, ძველი ქართული ენის ლექსიკიდან, საქ. სსრ მეც.

აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის მოამბე, II, თბ., 1960, გვ. 63.

13 იქვე, გვ. 62.

სის კომპენსაციას. შდრ. ყ ა გ - ა რ - ი > ყწრ, მ თ ა გ ა რ ა ნ გ ო -
ღ ო ზ ი > აწრგზქღ¹⁴.

ქართული „ნაღებები - სიმსუქნე, რომელსაც რძე მოიგდებს ხოლმე აფუღები-
სას“ (ქგლ). ეს ტერმინი სვანური ენის ლაშხურსა და ბალსხემოურ დიალექ-
ტებში გამოყენებულია ნაფუღის, ხაჭოს ალსანშიწავად. სვან. ნაღებ ოხ-
ვასყ - „ხაჭო, ნაფული გავაკეთე“. ხოლო ლნტ. ხარხბუ - „ხაჭო, ნაფული“
მიღებული ჩანს ხვარხვად, ხვარხვაც სიტყვიდან შდრ. „ხ ვ ა რ ხ ვ ა ლ ი“
(იმერ., გურ.) ნელი ფული (წყლისა), ჩუხჩუხი¹⁴. სწრედ ს ვ ე ლ ი ს
ზომიერი, ნელი და ხანგრძლივი ფულით კეთდება ხარხაცი. შდრ. ქარა.
ნ ა - ლ ე უ ლ - ი და მიგრ. ნ ა ო უ ნ ე ო უ¹⁵ „ნაფული, ხაჭო“, მიგრ.
ფ უ ნ ა ო ო „აფული“, შდრ. სვან. ლი-ფუ-ო „აფული“.

მოწველას სვანურში ბზ., ლშხ. ღწ-შვი, ბქ. ღიშვი, ლნტ. ღიშვი ჰქვია.
მაგრამ, საერთოდ რძის პროდუქტებს რძე, ყველი, ხაჭო... და სხვათა, ზო-
გადად, სვანურში ლშხ. წველორა, ჩოლურ. წველრა, ლნტ. წველორა იწოდება.
შდრ. „წ ვ ე ლ - ი უ ლ - ი კუახ. რაჭ. რძის ნაწარმი“ (ქგლ). ზემოსვან-
ურ დიალექტებში წველ-ორა-ს ნაცვლად გვაქვს ოხდრის II ოხდრის, რაც ქარ-
თულ საურწყოს უდრის. „ს ა უ რ წ ყ ო - რძე, ერბო, ყველი და მისთანა-
ნი“ (საბა). ქვემოსვანური წველ-ორა რაჭულიდან ნასესხებია, -ორა სუ-
ფიქსია (შდრ. სვან. ხილ-ორა, „ხილული“, ღელვ-ორა „ხორცული“, ბალახ-
ორა „ბალახული“).

სვანური -ორა სუფიქსი ქართული -ულ სუფიქსის ბადალია. შდრ. თ ე თ რ -
ე უ ლ ი (ქართლ.) -რძე, მაწონი და მისთანანი¹⁶. ხ ო რ ც - ე უ ლ ი
ხორცისაგან დაზზადებული, ხორცის შემცველი (საჭმელი ან სხვა რამ) (ქგლ).
ბ ა ლ ა ხ - ი უ ლ ი კრებ. ბალახები (ქგლ).

ზოგი ქართულიდან ნასესხები სიტყვა დამკვიდრებულა სვანურში მესაქონ-
ლეობის ტერმინად. ქართული დ ა მ ც ე ხ რ ა ლ - ი ს ერთ-ერთი მნიშვნელო-
ბაა დაკლებული სიმსივნე... (ქგლ). სწორედ ეს მნიშვნელობა აქვს სვანურ-
ში ღაცხ (ღა-ღაცხ-ე) კუმბშ-„დაკლებული, გამხდარი საქონელი, შდრ. დამცხ-
რალი მთვარე, დაბატარავებული, დაღული მთვარე (ქგლ).

სვან ღაცმულ, ღაცმულ - „სუსტი, გამხდარი“; ღაცმულ კუმბშ (ბზ.) „გამ-
ხდარი საქონელი“¹⁷; შდრ. ქარა. დ ა ც ე მ უ ლ ი „4 გადატ. დაწული,
დაკლებული, შემცირებული. 5. გადატ. დაქვეითებული, დაბერჩავებული, და-

14 ს. ჟ ლ ე ნ ტ ი, სვანური ენის ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949, გვ. 76.

15 ო. მ ი ქ ი ა შ ვ ი ლ ი, დაკვირებანი მეგრულის დარგობრივ ლექ-
სიკაზზე. თეზისები. VIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სე-
სია მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრინცი-
პებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი, გვ. 34.

16 ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბ., 1981.

17 „სვანური ლექსიკონის“ მასალა.

ჩაგრული“ (ქველ.) ამ მნიშვნელობით იხმარება სვანურში ჰაპმელ < ქართ. დ ა ც ე მ უ ლ ი -საგან.

ქართული დიალექტების მესაქონლეობის ზოგი ტერმინი თითქმის უცვლელად, იმავე მნიშვნელობით დამკვიდრებულა სვანურში. ასე მაგ., „ჰან - ცუდად დაკოდლი ხარი, ჰანი შდრ. „ჰ ა ნ - ი (ქიზიყ., იმერ., ქართ., თუშ.) - ცვედანი, ცუდად დაკოდლი მოხვეერი; თუშ. დაკოდლი ცხვარი“¹⁸.

სვან პაჰნიკ - ორივე მხარეს წვერწათლილი, მოხრილი თხილის წნეღისაგან გაკეთებული ღაგამი, რომელსაც ხბოს უკეთებენ, რომ რძე არ მოწოვოს. შდრ. „პაჰნიკ-ი (ღერხ.) I. საყოჭური საწვივე 2. ხის ღაგამი, რომელსაც ხბოს უკეთებენ, რომ ძროხა არ მოწოვოს“¹⁹. სვანურში პაჰნიკ ფუძიდან ზმნური ფორმებიც იწარმოება: ღი-პაჰნიკ-ი პაჰნიკის დაღება, გადატ. პირშეკრული, უშემელი; კრიჰაშეკრული. ბზ. პაჰნიკ ესიდ - „ღაგამი დაიდევო, გადატ. გა-ჩუმდი, ენა გააჩერე“.

სვან. ბოჩიკ - „უვარგისი, უჯიშო, გამხდარი საქონელი“²⁰. შდრ. „ბოჩიკ-ი (რაჭ. ო ქიზიყ.) ზამთარგამოვლილი, ხბო, ბოჩოლა. ზ. „აჭარულში დაბალი ტანის; უჯიშო პირუტყვი“; გადატ. „უჯა ტანის ადამიანი“²¹.

სვან. ბეხ - „I. ზრდადასრულებული სანაშენო დეჟალი ცხვარი; 2; დაბერებული, გამხდარი ცხენი“²²; შდრ. ბეხ-ი (ქართ., ფაშურ, მთიულ.) „ბეხრე-ცი, ძალიან გადაბერებული საქონელი“. შდრ., ბეხრეცი - „ბეხერი და გამხდარი, სიბერისაგან ღონეგამოღეული პირუტყვი“ (ქველ.).

სვან. ღუშ. ჯანდაჯ, ღნტ.ჯანდაჯ - ნახევარჭასადლორებული საქონელი, ჯანდაჯებული საქონელი; შდრ. „ჯანდაჯ-ი(ქართ., კახ.;ქიზიყ., მღზ., თუშ., მთიულ.) მეტად გამხდარი, ჯანგამოღეული, დავრდნილი ცხოველი“²³.

ბზ., ღუშ. ყვეარ ბქ., ღნტ. ყვეარ უღელში შებმული ხარები, რომლის რაოდენობა შეიძლება ორი ან მეტი იყოს ღნტ. ეჯ მეგამ ღე-ყვეარ-იდ ამესყან - „ის ხე ყვეარის შესაბმელი (საყვეაროჯ) გამიხდა“; შდრ. ქართ. „ყვეარ-ი - ორი წყვილი ხარი“ (ქველ); რაჭული-ორი ან მეტი უღელი ხარი.

სვან. სამნელ - „სამუნეელი, საურველი“²⁴; შდრ. (გურ.) სამუნელ-ი - ცხენის, ხარის, ძროხის კანის საწმენდი, სავარცხლის მსგავსი ხეღსაწყობ“²⁵ სვანურ სამნელ გურ. ს ა მ უ ნ ე ლ - თან ავღენს სიახლოეს.

8

18 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი.

19 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი.

20 სვანური ლექსიკონის მასალა.

21 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი.

22 სვანური ლექსიკონის მასალა

23 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი.

24 სვანური ლექსიკონის მასალა.

25 ალ. ლ ლ ო ნ ტ ი, დასახ. ნაშრომი.

ღერხუმური ლექსიკიდან

უხაბო (უხაფო) უხაპო - ამ სამი ვარიანტი ადინიშნება ღერხუმურში მსხვილფენა პირუტყვის ჯაგი, რომელშიც ძროხა არ ურევია. უხაბოსვე ეძახიან ისეთ საქონელს, რომელსაც შობა არ შეუძლია. ეს სიტყვა ასე დაიშლება უ-ო, უარყოფის მაწარმოებელი კონფიქსი, ხაბ-ძირი. ხ ა ბ - ძირიანი სიტყვა დასტურდება სვანურში: ხაბნა||ლაბნა - „მოზვერი, სახარე“. სპეციალურ ლიტერატურაში ნათქვამია, რომ „...სვანურში ბზ. ხაბნა ლაშხ. ლაბნა ფორმები...ქართ. კბო (ძვ.ქართ. კბოვარ) ფორმის ეტიმოლოგიურ შესატყვისება“¹. იქვე მითითებულია, რომ „სვანური ხაბნა ნასესხები უნდა იყოს მეგრულში ქაბულა „подросший теленок“ ფორმის სახით (იხ. И.Кипшадзе, Грамм.машгр.яз., გვ. 341). ხ - ქ სუბსტიტუციისათვის ნასესხებ სიტყვებში შდრ. ქართ. ხორბალ-ი; მეგრ. ქობალ-ი, ჭან. ქოვალ-ი „პური“². ქართული ხბოს პირველი ბგერა ძვ. ქართულში კ -თი იყო წარმოდგენილი. სვანურადოა, რომ სვანურშიც კ-იანი ფორმა უნდა გვექონოდა. ე.ი. სვანურისთვის უნდა აღვადგინოთ კაბნა ფორმა. სპეციალურ ლიტერატურაში ადინიშნულია, ქართულ კ-ს სვანურში ლ - შეფარდება და საილუსტრაციოდ მოყვანილია „ქართ. კბო, ძვ.ქართ. კბოვარ-; სვან(ლშხ) ლაბ-ნ-ა, ზ.სვ.ხაბ-ნ-ა “მოზვერი“³. სწორედ კ-იანი ფორმა აქვთ აღგვინილი ხბოსათვის სვანურში თ. გამყრელიძესა და მაჭავარიანს - კბ-ან“⁴.

სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ ხ ა ბ ნ ა || ლ ა ბ ნ ა სიტყვაში „ი ნ ლ ა უ ტ შ ი წ ა რ მ ლ გ ე ნ ი ლ ი ხ მოვანი...ანაპტიქსური წარმოშობის ჩანს: კბ-ან→კ⁰ბ-ან→კაბ-ან|| ლაბ-ან|| ხაბ-ან...-ა

სუფიქსის დართვით და წინამავალი ხმოვნის ამოღებით (შდრ. ქართ. იფ-ან-ი ლშხ. იფნაჲ) მივიღეთ ისტორიულად დამოწმებული ხაბნა, ლაბნა ფორმები“⁵.

-
- 1 თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, სონანტოა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, თბ., 1965, გვ. 115.
- 2 იქვე, სქოლიო¹.
- 3 თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ.ნაშრ. გვ. 98.
- 4 თ. გ ა მ ყ რ ე ლ ი ძ ე, გ. მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დასახ.ნაშრ. გვ. 115.
- 5 იქვე.

იმავე ნაშრომში გაანალიზებულია სიტყვები - ქარა. ძმა. ჭან. სვან. ჯუმ-
ილ; ქარა. თხა. მეგრ. - ჭან. დხა; ქარა. დღე: მეგრ. - ჭან დღა ჯა სხე.
და გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ ქართულ და მეგრულ-ჭანურ შეფარებებში
შემავალ სიტყვებში „საერთო-ქართველურ დონეზე წარმოგვიჩინი უნდა ყოფი-
ლიყო ერთადერთი ბოლოკიდური ხმოვანი“⁶.

ასეთივე ტიპის მარტივად მიჩნეული ინლატიკური ხმოვანი სიტყვებში -
მეგრ. ჭან. ტობა; სვან. ტომბ; *გბ→გბ→გუბ - ლგბ- „ხარშვა“ (ქარა.
გბობა), კბ-ილ-ი→ებ - ირ-ი→კბ-ირი და როგორც უკვე იყო აღნიშნული,
სვანურ ხ ა ბ ნ ა ლ ა ბ ნ ა -ში. აღნიშნულია აგრეთვე, რომ თანხმოვან-
გამყარად განვითარებულ ხმოვანს არ გააჩნია ფონემატური ღირებულება და
მხოლოდ „გარკვეულ დიალექტურ წრეში (მათ შორის იმ არეალში, საიდანაც ზა-
ნური და სვანური გამოვიდნენ) მოხდა აღნიშნული ვოკალური ელემენტის ფონე-
მატიზაცია“⁷.

არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომლის მიხედვითაც „ქართულშიაც სვანურის
მსგავსად დღეს გარემოტექველი ხმოვანი ოვესლაც ინლატიკური უნდა ყოფილიყო“⁸.
„ქართველურ ენათა შედარებით ირკვევა, რომ ქართულში წარმოგვიჩინი მთელი
რიგი ფუძეები, რომელთაც აქვთ ბოლოკიდური -ა, -ე, -ო, -უ, ნარდუქცია-
ლია და ამის გამოა თავში შეჯგუფებული თანხმოვნები: ძმა ← ძამ-ან= ჭან.
მრ. ჯუმალ (ეფი), ტბა ← ტბ-ან= ტბაახმელა -მეგრ. - ჭან. ტობა; თხა ← ღაკ-
-ან - მეგრ. თხ-ალ (-ეფი) -სვან. დაკ-ჯღ; დღე ← ღალ-ენ -მეგრ. ჳ-ღლ-ალ
(-ეფი) -სვან. ღა-ღელ; კბო ← *კაბ-ორ (მრ. ხბორ-ები) -სვან. ხაბნ-ა,
ლაბნ-ა ← ღაბ-ენ-ა და ასე: ცხრა ← *ცხარა, ხმა ← *ხამ-ა, თმა ← *თამ-ა და
სხე.“⁹

გ. თაფურია ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამოსავალი უნდა იყოს ხაბ სვა-
ნურშიც და ქართულშიც. -ორ სუფიქსის დართვამ რედუქცია გამოიწვია ხბ და
კომპლექსური ხბ→კბ. მაშასადამე, მეორეულია კ. იგი შედგება ორი ფონეტი-
კური პროცესის - რედუქციისა და კომპლექსურობის -ერთვამიერი მოქმედები-
სა“¹⁰. გ. თაფურიას შესადაარებლად მოყვანილი აქვს სხვა კომპლექსები
(კდ, კს, კშ). რაც შეეხება კ-ს მეორეულობას კაბ→კბ კომპლექსში, მისთ-
ვის პარალელების მოძებნა შეუძლებელია, რადგან ქართულში კბო-ს გარდა
არა გვაქვს კბ-კომპლექსიანი სიტყვა. ჩვენთვის უფრო სარწმუნოა ის აზრი,
რომ ამოსავალში კ უნდა ყოფილიყო. ვფიქრობთ, სავარაუდოა ზანურშიც ხაბ-
ძიროს შესატყვისი ხ ბ ბ - ფორმის არსებობა. ასეთი ძირიან ფორმა დადას-
ტურებულია აჭარულში ხ ბ ბ ო - ხ ბ ო.

ლენინგრადში ჩაწერილი ლექსემა ადასტურებს მოსაზრებას იმის შესახებ,
რომ ხბოსათვის ამოსავალი უნდა იყოს ხმოვნიანი ძირი - ხ ა ბ . უ ხ ა ბ ო

6 იქვე, გვ. 113.

7 იქვე, გვ. 115.

8 გ. თაფურია, თხზ., ტ. III, თბ., 1979, გვ. 19.

9 იქვე, გვ. 154.

10 გ. თაფურია, თხზ. ტ. III, თბ., 1979, გვ. 266.

სწორედ უხბოოს ნიშნავს. ამავე მნიშვნელობითაა დადასტურებული ეს სიტყვა სვანურში^{II}. სავარაუდოა, რომ „უხაბო“ ლეჩხუმურში სწორედ ქვემოსვანურიდან იცოს შემოსული.

II ე. გ ა ზ დ ე ლ ი ა ნ ი, ქართულ დიალექტებთან ურთიერთობის კვადი სვანურში: რესპუბლიკური სამეცნიერო სესია მიძღვნილი ქართული ენის დიალექტოლოგიური ატლასის შედგენის პრინციპებისა და დიალექტოლოგიისა და ენის ისტორიის ზოგადი საკითხებისადმი (ქ. სოხუმი, 1986 წ. 25-26-27 სექტემბერი) თბ., 1986.

მ. კობახიძე

საქონლის საკუთარი სახელების წარმოება მთიულურ დიალექტში

საქონელს საკუთარი სახელი ერქმევა თვისების (ფერის, ზნის...), დანიშნულების (ხატისათვის შესაწირად განკუთვნილის) ან სადაურობის მიხედვით: თვისების მიხედვით: პირნათველა, ხატულა, ოლადა, ლებილა, სურათა, კომშა... (ფერი, გარეგნული ნიშნები), ქურდალა, ბელადა... (ზნე); დანიშნულების მიხედვით: ანგულაზა, ლეთიშობელა, ლომისა; სადაურობის მიხედვით: ყიზლარა, ალვანა...

სახელების შექმნის დროს ერთმანეთისგან გაირჩევა მამრო და მდედრი. სახეობის აღმნიშვნელ ზოგად სახელსაც შექმნილი აქვს კონკრეტული მნიშვნელობა. მთიულურში, ისევე, როგორც სხვა დიალექტებში და სალიტერატურო ენაში, სახეობის ზოგადი სახელი ქვეულია მდედრის სახელად; ერთმანეთს უპირისპირდება ძროხა და ხარი, ქათამი და მამალი (ქათამი ძველი მნიშვნელობით დაცულია კომპოზიტში ქათამყიული). მამრის სახელად ქვეულა სქესის აღმნიშვნელი ზოგადი სახელი.

შეინიშნება, რომ ზოგჯერ სხვადასხვა მნიშვნელობით უპირისპირდება ერთმანეთს ადამიანი და კაცი: „ადამიანები ესრე დასხედით და კაცები — ესრე“. ამ შემთხვევაში ზოგადი მნიშვნელობის მქონე სიტყვა კაცი ქვეულა მამრის სახელად, მეორე ზოგადი სახელი ადამიანი კი — მდედრის აღმნიშვნელად.

ხარის და ფერის სახელები შეიძლება იწარმოებოდეს ერთი და იმავე ფუძისაგან. გარჩევა ხდება წარმოების მიხედვით: ხარის სახელები იწარმოება -ა სუფიქსით, ფერისა — -ია სუფიქსით. ხარს პქვია წაბლ-ა, ნიკორ-ა, ირმ-ა... ფერს: წაბლ-ია, ნიკერ-ია, ირმ-ია... ხარის სახელებში დადასტურებული -ა სუფიქსი მსგავსებას, რაიმე ნიშნის ან თვისების მქონებლობას უნდა გამოხატავდეს. ფერის სახელები წარმოადგენს -ა სუფიქსიანი სახელების კინოზობით ფორმას: ნიკორ-ა → ნიკერ-ია...

ამგვარი დაპირისპირება შეიმჩნევა -ა და -ია სუფიქსიანი სახელებს შორის. ზოგი სხვა სუფიქსით ნაწარმოები ან რთული სახელი შეიძლება ხარისაც ერქვას და ფერსაც: ფერდალა, პირნათველა, შუბლნიკორა...

ხარის სახელები ძირითადად -ა სუფიქსით იწარმოება მამრსაც, თუ მას ფერის აღმნიშვნელი მოპირისპირე -ია სუფიქსიანი წყვილი არ გააჩნია: ლომია, ვეფხაა, შეინდაა, აბჯარაა, წიქარაა, მუქარაი, გიჟაა... თუ რომელიმე ფუძისგან ნაწარმოები სახელი ფერის სახელად არ გვხვდება, ხარის

სახელეუბნად შეიძლება ერთმანეთის პარალელურად გამოიყენებოდეს ამ ფუძისა-
გან -ა და -ია სუფიქსებით ნაწარმოები ფორმები: თოღ-ა- ა — თოღ-ია-ა,
ღთის-ა-ა — ღთის-ია-ა...

მხოლოდ ფურისთვის განკუთვნილი სახელებია:

-ა სუფიქსიანი: მრველაა, გვირგვინაა, ბეჭედაა, ცისკარაა, კუნწლაა,
ბიბინაა, მარწყვაა, სურათაა, ნაღებაა, წიწმატაა, ზარმაცაა, ყირგიზაა,
კოლხობაა...:

-ია სუფიქსიანი: შესკვლიაა, მთორიაა, ვაშლიაა, შავლიაა, გრუზიაა...

-ია სუფიქსი არ დასტურდება შესულდგმულებული, ე.ი. ხატისთვის შეთქ-
მული ფორმების სახელებში: ანგელოზაა, ლეთიშობელაა, ყველაწმინდაა, ხახ-
მატაა... ასევე, რაიმე დაბეჭდვისაგან დაცვის მიზნით შეტყვეულ სახელებ-
ში: ყოილაა, ქურთულაა, ჭუჭუნაა...

ანგელოზას არქმევენ სახლის ანგელოზისთვის შეთქმულ ფურს, ხახმატას —
ხახმატის ჯვრისთვის შეთქმულს და ა.შ. „სულდგმულს არც გაჰყვიდნან, არც
დაჰკლავენ, რო დაბეჭდება, სახშია ჰკლავენ, იმის გაყვიდა არ შეიძლება,
უნდა დაკლას სახში და სანთელი აანთოს, ხალხს დაალოცვინოს ოჯახი...
ჭუჭუნასაც ეძახიან, ასულდგმულებენ მაგას, ძროხებს რო არ აუჩნდეს, ქურ-
თულასაც ეძახიან, ძროხას ასულდგმულებენ, ხარს არა. მაგასაც უტუსავენ
ყურს, სანთელსაც აანთებენ...“

შესულდგმულებასთან დაკავშირებული რიტუალები აღწერილია ს. მაკალათიან
გამოკვლევაში „მთიულეთი“, ამავე საკითხის შესახებ ცნობები მოცემულია
ლ. კაიშაურის წიგნში „მთიულურის დარგობლივი ლექსიკა“ (1967).

აღსანიშნავია, რომ ამგვარი წმინდა სახელის დარქმევი გარკვეული წი-
სების შესრულების გარეშე დანაშაულად იძვლება: „ზოგი ტყუილად ეძახის,
არა ჰყავთ შასულდგმულებული და მერე ხატი მიზეზს აძლევს“.

ამ რიგის სახელების წარმოება მხოლოდ -ა სუფიქსით, შესაძლოა, გამო-
ხატავდეს ხატისთვის შეთქმული ფურისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულე-
ბას. მის სახელს კინონობითობის ფორმა არ გააჩნია.

-ა და -ია სუფიქსების გარდა საქონლის საკუთარი სახელები იწარმოება
შემდეგი სუფიქსებით:

-აღა: ტურღ-აღა, ქურღ-აღა, ფერღ-აღა...

-ელა: ჯორ-ელა (ჯვრის მსგავსზოლებიანი), ფერღ-ელა...

-ანა: ტრედ-ანა, ფერღ-ანა, კიტრ-ანა...

-არა: წიგნ-არა...

ყველა ეს სუფიქსი საზოგადო სახელებშიც დასტურდება.

საქონლის საკუთარ სახელებში შეინიშნება აქ ხმოვანთმონაცვლეობა:
მურამა - მურემა, წაბლია - წებლია, შაქარა - შექარა, გერამა - ვერე-
მა... მსგავსი ხმოვანთმონაცვლეობა დამახასიათებელია საზოგადო სახელებ-
ბისათვისაც: კრამიტი — კრემიტი, გარხალი — ვერხალი და ა.შ.

აღამიანს და საქონელს ერთი და იგივე სახელები იშვიათად ჰქვიათ. ამ-
გვარი დამთხვევა მხოლოდ მაშინ შეიმჩნევა, როცა სახელით გამოხატულია
რაიმე ნიშანთვისება, მაგრამ ამ შემთხვევაშიც გამოძებნილია ამ სახელებ-

ბის განმასხვავებელი ნიშანი: ნაძელა ქალის სახელია, ნაძველა-ფურის, ვეფხია - კაცის, ვეფხა - ხარის.

ფურის სახელი შეიძლება ემხვეოდეს ადამიანის მეტსახელს: კიტრანა, ნამცეცა, ნაცარა... ხარის სახელი - ცხენის სახელს: თვირფილა, ნისლა...

მ. კ უ ხ ა ლ ა შ ე ი ლ ი

=ცა~ც ნაწილაკი ქართულში

{=ცა} , როგორც ცნობილია, სალიტერატურო ენასა და დიალექტებში აწარმოებს მიმართებით ნაცვალსახელოა ფორმებს და სახელებთან გამოდის გამაძლიერებელ ნაწილაკად¹.

{=ცა} ყურადღებას იპყრობს თავისი პოზიციებით, რომლებიც იცვლება ენის განვითარებასთან ერთად: ძველ ქართულში მოსდევდა როგორც ხმოვნით, ისე თანხმოვნით დაბოლოებულ ფორმებს. ახალ ქართულში კი {=ცა} მხოლოდ ხმოვნით დაბოლოებულ ფორმებს ახლავს².

ძველ ქართულში {=ცა} წარმოდგენილი იყო /:ცა/-ს სახით, საშუალ და ახალ ქართულში კი /:ცა/-სა და /:ც/-სა სახით. /:ც/ ვარიანტი ჩნდება ჯერ მიმართებით ნაცვალსახელებთან და ზმნიზებლებთან, შემდეგ თანდათან არსებით სახელებთანაც. ამის პარალელურად სამწეფროსო ქართულსა და მრავალ დიალექტში ზმნასთან {=ცა} შეცვალა კიდევ ნაწილაკმა: დ ა წ ე რ ა ც ა ' ' დ ა წ ე რ ა კ ი დ ე ც ' ' {=ცა} ყოველთვის ზმნასთან არის დაკავშირებული ფენქციურად. ძველსა და საშუალ ქართულში {=ცა} -ს მიმართება ზმნასთან ერთნაირია: ზმნის ნებისმიერ ფორმასთან დაკავშირებული ძველი ქართლის {=ცა} მხოლოდ /:ცა/-ს სახით იყო წარმოდგენილი, ზმნის ფორმა ანგარიშს არ უწევს /:ცა/ და /:ც/ ვარიანტებს საშუალ ქართულშიც, ე.ი. /:ცა/ და /:ც/ თავისუფლად მონაცვლეობენ. ეს ძველი ვითარების გაგრძელებაა.

ახალ ქართულში კი /:ცა/ და /:ც/ ვარიანტები იხმარება ზმნის ფორმასთან გარკვეული მიმართებით; კერძოდ: ზმნისწინიანი, გვარისა და ქცევინიწინიანი ფორმების წინ /:ც/ ვარიანტია ბუნებრივი, ხოლო თანხმოვნით დაწყებული ფორმების წინ /:=ცა/ არის ბუნებრივი³.

1 ა. შ ა ნ ი ძ ე , ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები, თბ., 1973, გვ. 611.
2 იქვე, გვ. გვ. 72, 609.
3 შდრ. ემფატიკური =ა: ა რ ნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, ქართული ენის ზოგადი დახასიათება, ქეგლი I, 1950; თ. ზ უ რ ა ბ ი შ ე ი ლ ი, ემფატიკური ა ახალ ქართულში, მსუ სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, № 7, 1955; თ. ბ ე რ ო ზ ა შ ე ი ლ ი, ნიკო ლომოურის ენის სინტაქსური თავისებურებანი, „მაცნე“, № 6, 1965; თ. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტ. ქართულში, ქართ. სიტყ. კულტ. საქმისები, წ. I, თბ., 1972.

ქვემოთ წარმოვადგენთ ვითარებას ისტორიულად:

I. ძველი ქართული

არამედ და აწცა უწყვი, ვითარმედ: რაჲცა იგი სთხოო ღმერთსა, მოგყენ
შენ ღმერთმან (ი. II;22)⁴; უკუეთუ დაუტოოთ იგი ესრეთ, ყოველთა პრწმე
ნეს მისი, და მოვიდენ პრწმნი და მიგვლენ ჩუენ ადგილიცა ჩუენი და ნათე-
სავიცა (ი. II;48); და ვითარცა შეჰკრებოდა მას ერი იგი, იწყო სიტყუად
მათა: ... (ლ. II;29); ... ჰრქუეს მას: რადენი გუესმა საქმე კადარნა-
უშს, ქმენ აქაცა, მამულსა შენსა (ლ. 4,23); ... ეგრევე თქუენცა პყვიო
მათა მიმართ, რამეთუ ესრეთ არს შჯული და წინაწარმეტყუენი (მ.7;12);
ამენ გეტყვ თქუენ: სადაცა იქადაგოს სახარებაა ესე ყოველსა სოფელსა,
ითქუმოდის, რომელცა - ესე ყო მაგან საკსენებელად მაგისა (მ. 26,13);
... და პურნი იგი შესაწირავისანი შეჭამნა და სცა მისთანათაჲ, ... (მრ.
2,21).

II. საშუალი ქართული

ა) = ც ა

მაგალითები „ვისრამიანიდან“⁵

... აგრეცა იქმნას ნება და წადილი თქვენი (ქბ, გვ. 243,16-18);
თუცა სახელი მათი დიდია ქვეყანათა ზედა, ჩემიცა სახელი დარჩეს ამისთა
მიზეზითა ქვეყანასა (ქბ, გვ. 244, 29-30); ვინცა ქვე სხდომასა ღრს
იყვენეს, ქვე დასაჲეს, და სხვანი რომელნი იყვენეს - ზე ადგენეს თავისა ხე-
ლის მქონებელნი (ქბ, გვ. 245, 29-31); რაცა მის სუშისა და სიხარულისა
მეჯლიშში თვალი, მარგალიტი და საჭურჭლე იყო, ყველა გასცა (ქბ, გვ.
246, 29-31); ერთი მისებრი არცა მხატვართაგან დაისახოდა (ქბ, გვ.
248-249,35); შე ამის მეტად ველარ გავსდებ მისსა ნებთარობისა და
ვ ე რ ც ა სით მოვართომ, რასაცა მოხოვს (ქბ, გვ. 250,15); თუცა პა-
მონი სიტყვანი ეწერნეს, შაჰრო ეგრეცა, ვითა მოკართული ვირი ტალახსა
შიგან, აგრე სირცხვილისა და შეჭირვებისაგან თავისა გზაგაუღებელი დარ-
ჩა (ქბ, გვ. 253, 24-27).

= ც ა - ს მაგალითები „ამირანდარეჯანიანიდან“⁶

ოღეს დახედნეს ქვეყანასა, ერა-სადა-რა ცნეს და ვერცა ნახეს ქალაქი

4 მაგალითები აქაც და ქვემოთაც მოგვყავს ოთხთავის მიხედვით:
ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ოთხთავის ორი ბოლო რედაქცია, თბ., 1945.

5 ქბ - ქართული პროზა, II წიგნი, 1982.

6 ქბ - ქართული პროზა, II წიგნი, 1982.

და ვერცა სოფელი, ვერცა იგი ნადირი (ქპ, გვ. 8; II-12); არცა შექმნა პურობა და არცა გავიდა ნადირობასა (ქპ, გვ. 9. 3-4); ...-საეარსამისძეო, გა-მხიარულდა გული ჩემი ხილვითა შენითა და ამისთვის შენცა მხიარულ იყავ... (ქპ, გვ. 15; 2-3); თუმცა არა გეზრძანა, მე უომრად არცა ივარე გაუშვებდი (ქპ, გვ. 29; 18-19); მე და იგი თეთრი ვიბრძოდით, ჰკრა და იკრცა მოკლა (ქპ, გვ. 43; 26-27); შემოუტივეს ცეშაპთა და ჩვენცა მათ შეუტივეთ (ქპ, გვ. 43; 25); და იცით თქვენცა, რომელ არა არიან ჭაბუკნი არაბთაებრნი პირსა ყოვლისა ქვეყანისასა (ქპ, გვ. 49; 17-18-19).

= ც ა-ს მაგალითები „ვეფხისტყაოსნიდან“⁷

რაცა ეის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უზნობდეს... II, I; ... ეგ^ა ნახეს შენი მნახავი ვერცა ყმა, ვერცა ბერია (289, 3); ... და ვინცა გებრძვის, ხრმალი ჩემი მბრძოლთა თქვენთა დააცეთების“ (1035, 4); ხამს განალამცა საქმენლად, რაცა თქვენ გულსა გლმობია... (38, 3); თუ არ უყვარს, რად არა სძულს? რად აყივენებს, რაცა სძულსა?! (30, 3); ... და არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს (II, 4).

ც ა -ს მაგალითები „რუსულანიანიდან“⁸

დაძვევის წელი მრავალი ამ ცხოვრებითა, რომელ არა შესჭირდებოდა და ა რ ც ა ეგონებოდა ღვინისა და სიუხვის მეტი (ქპ, გვ. 6, II-12); და მოიწია ასაკსა საზომისასა, განბრწყინდა ვითარცა მზე და განშვენდა ვითარცა ათხუმეტისა ღლისა მთოვარე (ქპ, გვ. 6, 30-32); ე ს ე ც ა მუცლით დარჩომოდა დედასა, კეთილად მცენიერსა და ქრისტიანობით აღზრდილსა, სათნოებითა შემკულსა (ქპ, გვ. 7, 28-29); ... ნურა გინდა რა სიბრძნის და ხელმწიფის შეილობისა, ნუთუ ღმერთმან დაგიცვას, შ ე ნ ც ა მოგვეს თამი სიკეთისა და ტახტი მამაპაპათა შენთაო (ქპ, გვ. 8, 10-12); ... რომელ აღარა დაშომილიყო მათის ურწმუნოებისაგან საპატრონო ა რ ც ა მცირე და ა რ ც ა დიდი ამა მანუჩარისა კვალად (ქპ, გვ. 7, 26-27); ... მამგრამ, რ ა ც ა ძმათა ჩემთა უნახავს, შენთა დიდებულთაგან განიკითხე, ჟანა ისინი რომე ამბავთა იტყვიან, არ დაიჯერების კაცთა ნახვათაგან (ქპ, გვ. 5, 17-20); მოეწონა დიდად, მათისა რიგისა და მეფობისა მიბაძვაცა განიზრახა გულსა შინა და ბრძანა... (ქპ, გვ. 5, 23-25); ნუთუ შემიტყონ და ჭირნახული წამიხდეს და ს ა ხ ღ ი ც ა ჩემი ასწყდესო (ქპ, გვ. 8, I-2); ... - ხელმწიფეთ, თუმცა შევენებისა და სიკისკანისა მაგისა ქ ც ე ვ ა ც ა და ჭ კ უ ა ც ა შესაფერი ჰქონოდა, ... (ქპ, გვ. 25-26).

7 მ. რ უ ს თ ა მ ი ლ ი, „ვეფხისტყაოსანი“, 1951.

8 ქპ, ქართული პროზა, 4 წიგნი, 1983.

ბ) უც ზმნისწინის წინ „ვისრამიანში“

ვერც მოაზად რა გაიხარნეს ჩემგან და არცა მე ოდეს ეპოო მისგან კარგი სახელი (ქპ, გვ. 282; 8); რამინის საუბრისაგან სიამოვნე არა მოისმინა და არც მისითა ნახვითა სიხარული რა მ ი ი ჰ ხ ე დ ა (ქპ, გვ. 439, 15-16); რასა ვინ იტყვის, ვინც ესე ჩვენი წიგნი წ ა ი კ ი თ ხ ო ს და ამისგან ჩვენი საქმე ცნას? (ქპ, გვ. 461; 19-20-21); ვინც მისგან სიყვარულსა მ ო ე ლ ი ს, ასრე, ვითა ბრმისა გუშაგობასა (ქპ, გვ. 544, 20-21).

=ც ზმნისწინის წინ „ამირანდარეჯანიანში“

როგორადაც გ ა მ ო ვ ი დ ა აზარმანიკ შეკაზმული და ეკიდნეს რკინანი სატიკივართა ადგილთა თავისასა და ცხენისადაცა (ქპ, გვ. 31, 18-19); ... - რადგან აზომ საწყალი და მუფობისა მაყვივნებელი იყავ, ნეტამც არც შენ დ ა რ ჩ ო მ ი ლ ი ყ ა ვ ო (ქპ, გვ. 42, 34-35); ... - ჩემი წითელიც შენდავე მ ო მ ი ხ ს ე ნ ე ბ ი ა ო (ქპ, გვ. 43; 24) და ვითაც მ ი ვ ს წ ე დ ი თ, ვხოცდიო (ქპ, გვ. 71, 5-6); თუ გამემარჯოს, ხომ კეთილი, და თუ მომკლას, სიკვდილსა მაშინც ვერსად წ ა უ ვ ა ლ ო (ქპ, გვ. 139, 3-4).

=ც ზმნისწინის წინ „ვეფხისტყაოსანში“

„... და მას ყმასა ხრმალი არა ეჰკრა, ა რ ც მისი დავისობინო“ (229, 4); „... უმისჯამისოდ ვინც გახსნას, არის მეფეთა მკვლელო“ (1368, 4).

=ც ზმნისწინის წინ „რუსულანიანში“

მათაც დიდი პატივი დ ა ს დ ვ ე ს - და არა ასრე, რომე მისსა ხელმწიფეთა შვილობასა შეეფერებოდა -... (ქპ, გვ. 9, 7-8); ... არცა დევზოგაც შეილთა ჩემთა შენთვისაო, რომე, ს ა დ ა ც დაგეჭიროს, ... (ქპ, გვ. 10, 11-12); შენ შენი საფერი ეძებეო და ვ ე რ ც არავინ დ ა გ ი - ჭ ი რ ს ო (ქპ, გვ. 10, 26-27); ... რა წამს ჩვენი ბრძანება მოგივიდეს, ნ უ რ ც დღეს მ ო ი ს ვ ე ნ ე ბ და ნურც დამეს, ფიცხლავ ჩვენსა წინაშე მოდი... (ქპ, გვ. 13, 11-12).

=ც გვხვდება როგორც ქვევის პრეფიქსების წინ, ასევე გვარის პრეფიქსების წინაც; მაგალითად:

ვისი, ვითაც უჭკრეტლა რამინს, ეგრევე სიყვარული მოუმატებოდა (ქპ, გვ. 314, 4-5); ... -მე თვით თავითა ჩემითა მივალ და ლაშქარი ჩემიყველა, და თქვენც სამთავე გ ი ნ დ ა თ წამოსვლა (ქპ, გვ. 56, 11-12); ვისის სული ვ ი ს ა ც ე ც ე მ ო დ ა, მკვდარსა გააცოცხლებდა და

წყლულსა გაამთვლებდა (ქპ, გვ. 319, 5-6); შევიდა მნახავი და მოახსენა მეფესა მოთვე სახითა, ვითაც ენახა (ქპ, გვ. 7, 23-24); ... ნუმც უის-გან ე ს მ ი ს ა მზავი შის დევისაო (ქპ, გვ. 236, 22); ... - მაგა საშ-თა ნაქმარი, ერთგან რ ა ც ე ქ ნ ა ს, მიხარო (ქპ, გვ. 15, 33).

„გვიფხისტყაოსანში“ დასტურდება =ც-ს გამოყენების 46 მაგალითი; ზ-ლო =ცა-სი -808 - ; „ვისრამიანში“ - ც - IO-ჯერ გვხვდება, „ამირანდა-რეჯანიანში“ - 25-ჯერ.

III. ახალი ქართული ენა (ღიაღებების მიხედვით)

როდესაც =ცა ნაწილაკიანი სიტყვა ზმნის მომდევნოდ გვაქვს, საშუაღი ქართლის მსგავსი ვითარებაა: (რომელიც თავის მხრივ ძველი ქართლის გაგ-რძელებას წარმოადგენს) შესაძლებელია როგორც =ცა, ისე = ც ვარიანტი.

მაგალითები:

ფედ-მამას ერთობ გეუხარა, რომ ცხვრებნი ნახეს და ბიჭიკა (რაჭ., შ.ძ. ქღმ., გვ. 131, 7-8); პირათ გამსილი თვარეა, ლამეც ანათებს და დღეცა (იმერ. ქ. ძოწ, ზქ¹⁰, გვ. 415, 17); მოვიდენ, აუტყდენყე და წაიყვანესყე თავისი აკაენებითა და თავისი ბაღებით ქაღებოცა და კ ა ც ე ბ ი ც (რაჭ. ი.გ; ვ.თ. ი.ქ; ქღ, I¹¹, გვ. 524, 31); ... ძალიან კარგათ მოუარეთ ქალსაცა და ლეკვებსაცაო (რაჭ. ქღ, I, 511, 34-36); - სამი ძარი შეიტანა იმან-ცა? (იმერ. ქ. ძოწ, გვ. 436, 37); წარწერაღები იყო ქართული იმანუდაცა; შარა ვერაგინ გებულობდა (იმერ. ქ. ძოწ, გვ. 327, 12-13); მიწას თუ და-თესავდი, ფულს გადაგვახდევინებდა იმაშიდაცა (იმერ. ქ. ძოწ., გვ. 339, 15) ამ პოზიციიში პაუზას მნიშვნელობა არა აქვს:

რო გამოვიდოდით და რამდენი სავაჟო იყო სულტანიშვილისა, დროშას გ ა- ვ ა კ ე თ ე ბ დ ი თ და ზ ა რ ს ა ც ა ალფომასა (რაჭ., შ.ძ; ქღ¹², გვ. 255; 161, 34-36); მოვიდა ერთხელ ს ი კ ვ დ ი ლ ი ც ა ამასთან, უხარა, ჩემთან ქთამი არ გადის, ახლა შენ უნდა წაგიყვანო; დეემშვიდობე ყველასაო (იმერ. ქ. ძოწ., გვ. 389, 23-24).

ცა გვხვდება ზმნების წინ, რომელთა ფუძე თანხმოვნით იწყება, მაგალი-თად:

მაზღიშვილი არი ჩემი სწავლულოფს, დედა ყამს და მამაი ძ მ ა ც ა ყამს იმ გოგოსა (ქ. ძოწ., გვ. 332, 14-15); ხემწიფემ გაიგნო ესა ... -

9 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ღიაღებტოლოგიის მასალები, თბ., 1974.

10 ქ. ძ ო წ ე ნ ი ძ ე, ზემოიშერული კილოკავი, თბ., 1973.

11 ი. გ ი გ ი ნ ე ი შ ვ ი ლ ი, ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ი. ქ ა ვ თ ა-რ ა ძ ე, ქართული ღიაღებტოლოგია, I, თბ., 1961.

12 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული ღიაღებტების ქრესტომათია ლექსიკო-ნიორთ, თბ., 1956.

შვილიცა მყავს, რძალიცა მყავსო, ვერჯერდას ვერ ვიცნობო, ... (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 196, 19-20); ... არუ ქვე ჩაიყვანა; ა რ ც ა პური ჭიმა (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 150, 27); ... - ვინცა გთხოვს - ყე, მიეციო! ... (რაჭ., ქდმ, გვ. 182, 5); - ერო ძმას ხელზე ოქრო ბეჭედი ქონდა და ერო სოფლად ისიცა ლორჯა (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 174, 22-23); ჩემმა ცოლმა ლეკვები შობა თუ რ ა ც ა შ ო ბ ა, მაინც ჩემი შვილიაო... (რაჭ., ქდმ, I, გვ. 511, 33); ... ვერუ ვინცა ჭკითხავსო (შ.ძ., რაჭ., ქდმ, გვ. 184, 23.).

ნაბდებს აკეთებდენ, ჩამოქონდა ოსებს და, ვ ი ს ა ც ა ქ ო ნ დ ა შეძლება, ქვე იყიდიდენ, ... (რაჭ., ქდ I, გვ. 514, 21-24); ადგა და შევიდა სახლის თავში და უყურა მათრახი ს ა დ ა ც ა დ ე ვ ს ... (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 118, 19); - ვერცა რას შენ დამაკლებ და ვერც ვ ი ნ ც ა ჭკითხავსო (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 184, 23); შევიტანდი იქ, ხაბაჩუგური რაცა გექონდა (რაჭ., ქდ I, გვ. 532, 8); ... რაცა გექონდა, სულ წაგვარა-ვაო... (რაჭ., ქდ I, გვ. 533, 19); იქაცა ბებერი უდის (იმერ., ქდ I, გვ. 442, 27); სხვა ჭ უ რ ჭ ი ღ ლ ი ც ა გ ე ა ქ, აბა! (იმერ., ქ. ძოწ., გვ. 405, 29).

=ცა გვხვდება იმ ზმნადა წინაც, რომლებიც იწყება ძირეული ხმოვნით¹³, მაგ. ვ ი ნ ც ა უ ც ხ ო ბ ს ..., რაცა ულოვდება, რაცა ელვარებს...

მაშასადამე, =ცაღა =ც ნაწილაკის განაწილებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს ზმნის ფუძისეული ხმოვანი ძირეულია, თუ გრამატიკული კატეგორიის მაწარმოებელია.

როგორც მაგალითები გვიჩვენებს, გრამატიკული კატეგორიის ფუნქციისაგან დაყლილი ხმოვნები ძირეულ ხმოვანთა მსგავს ვითარებას ქმნიან; მაგალითად!

- მოემზადნენ ეს სოფელი, ს ა ც ა ა რ ი მოაწია ი ო რ მა ძმამ, გეე-გება-ყე ის თავის ფეხით რაოდენიმე მანძილზე (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 174, 9-11);

- ქვეცა ვარ აღატარისაო (რაჭ., შ.ძ. ქდმ, გვ. 194, 11-12.).

ამ გულმდევარმა იცის, რომ ხეთისავარა ცოლოთისა ც ა იქნება (რაჭ. შ.ძ., ქდ, გვ. 248, 9-10).

... ს ა ც ა გინდა აწი, წაგვიყვანეო (იმერ., ქდ I, გვ. 452, 36.).

- ც ვარიანტი გვხვდება იმ შემთხვევაში, როდესაც მას მოსდევს ისეთი ფორმა, რომელიც თვით შეიცავს სადემარკაციო ელემენტს დასაწყისში, კერძოდ, ზმნისწინოს, გვარისა და ქვევის პრეფიქსების წინ¹⁴.

=ც ზმნისწინიანი ფორმების წინ

დაუწვეის თოკები ქაჯებმა, მარე მინც აასწრო (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ.

13 ა. უ თ უ რ გ ა ი ძ ი, გავრცობის ა-ს დისტრიბუციის შეცვლა სუბსტანტიურ მსაზღვრელთან და მისი სინტაქსური შედეგები ქართულ ენაში, „მაცნე“, № 2, 1985, გვ. 112.

14 ა. ზურაბიშვილი, მავრცობი ა თანამედროვე სალიტ. ქართულში... გვ. 52.

134, 25-26); აწ დევმა უხარა: - მ ი ც გ ა მ ი კ ი ე თ ე ი ს რ ე ო | (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 135, 32-33); ... იმ ხეს ვინც მოსჭრის, იმაში წყალი ამოვამ (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 143, 4-5); დაანთე ცეცხლი და შეე მოვალ იმ დროსამ (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 129, 3); - დაავლო ხელი ქვანს და წ ვ ე რ ი ც მ ო ა რ ო ნ ი ა და ე რ ა ნ ე ლ ა შ ი ლ ა დ ა დ ა კ რ ა (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 129, 12-13); ხალიჩაე წაართვა, ქუდიცა და რკინის კეტიცა... (რაჭ., შ.ძ. ქდმ, გვ. 131, 20-21); ... უნდა ითხოვოს ბედისთვის ქალი და ვ ა თ ა ს თ ე ი ს ა ც გ ა ს წ ი ე ს ... (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 133, 13-14); უხარეს: - ერთი კატაო მ ა ი ნ ც მ ო გ ვ ე ი ო ო (რაჭ., შ.ძ. ქდმ, გვ. 151, 41-42); ხ ე ლ მ წ ი ჭ ე ს ა ც მ ო უ ნ ლ ა გუნებაში და აი კაცი შეიხმო: ... (გურ. პ.ჯ., გდ, გვ. 38, 29); ... აი ჩემი ქალიშვილი ცოლად შეირთე და ხელმწიფობასაც მოქვემო (გურ. პ.ჯ., გდ, გვ. 14, 6); ... - შენ ჩემ სიცოცხლეში ახერი დაგვიჯერებია, მარა ქთხოვ; სიკტილის შემდეგ ერთი მაინც შეშისრულ (გურ. პ.ჯ., გდ, გვ. 43, 20); გარეული ლრებიც მოკლა, ირმებიცა (იმერ., ქდ. I, გვ. 442, 16.); ნინაც წა-სულა და ოღდაცა (იმერ. ქ. ძოწ., ზკ, გვ. 451, 4).

==ც ქევის პრეფიქსების წინ

ესაა ე ა დ ა ც უ თ ა ვ დ ე ბ ა და შევილიც ცოცხლდება (რაჭ., შ.ძ., ქდ, გვ. 245, 16-17.); არც ახლა უგლო ყური (რაჭ. შ.ძ. ქდ, გვ. 243, 16); ჩაადგა მიკურდღემ კურდღელი და რ ო დ ე ს ა ც ი ლ ე ბ ს ა მ ქ ვ ა ბ ს ა, ამოძყო მდევმა თავი (რაჭ., შ.ძ., ქდ, გვ. 246, 2-3.); - ი ს ი ც ი მ კ აღ მ ა ხ ე მ ს ი ჭ ი რ ა ვ ს და ზოგს ყიდის (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 184, 41-42.); წავიდა ი კაცი და ი კაცმაც იყიდა ცხვარი (რაჭ. შ.ძ., ქდმ, გვ. 183, 32.); მარლაც ისწავლა სამ დღეში ჭილოფის ქსოვა (იმერ., ქდ I, გვ. 476, 20); ... რ ა ვ ა ც ა მ ა ს მ არ თ ა ლ ს ა მ ბ ო ბ, ისე მარლად ეგე-ხილა ავაღები შენო! (იმერ., ქდ I, გვ. 473, 26).

==ც გვარის პრეფიქსების წინ

ქაღები რ ო მკიან, რაოდენიმე მუჭ პურს ერთთ დებენ, რ ა ს ა ს ა ც ნ ა ბ ი - ჯ ი ე წ ო დ ე ბ ა (ღერხ., ქდ I, გვ. 490, 34.); ხარი ტყავზეც ვერ ეტევიან (რაჭ., ქდ I, გვ. 526, I.); ... რ ა ც ა რ უნდა კაი ტყული ო თ ქ ე მ ე ნ საქმროფს, მესამეზე უნდა ეთქვენ ვეზირფს... (იმერ., ქდ I, გვ. 474, 18); დიდხანს იტდა დედუფალი შეშინებული, არც იძროდა შიშისაგან... (გურ., ქდ I, გვ. 432, 20); დედაბერი მ ა ი ნ ც შვილივით ო ქ ე ე ო დ ა; ზდიდა და ძუძუს აწოვებდა (გურ., ქდ I, გვ. 431, 22).

ძირეული ხმოვნით დაწყებული ფორმების ჯგუფში ერთიანდება ის ზმენები,

15 პ. ჯ ა ჯ ა ნ ი ძ ე, გურული დიალექტი, I, თბ., 1977.

რომელთა პრეფიქსებს აგრეთვე თითქმის დაკარგული აქვთ გრამატიკული კატეგორიის გამოხატვის უნარი; მათ წინ ბუნებრივია =ცა ვარიანტი, მაგალითად:

თახმოვ წელმა ძიელ წელში მამლუნა,

ორ ფეხთანა მ დ ს ა მ ე ც ა მარგუნა (იმერ. ქ.ძოწ., ზკ, გვ. 448-449, 39-1); ვერცა რას შენ დ ა მ ა კ ლ ე ბ ... (კახ., შ.ძ., ქდმ, გვ. 184; 23.); ... და ამათ უახრეს: - ჩ ვ ე ნ ც ა მავისი გ ვ ე შ ი ნ ო - დ ა ო (რაჭ., შ.ძ., ქდ, გვ. 246, 6.); მოვიდეს და დაახვრენდა და ამათ უახრეს: - ჩ ვ ე ნ ც ა მავისი გ ვ ე შ ი ნ ო დ ა ო (რაჭ., შ.ძ., ქდმ; გვ. 124, 37-38).

ფაქტიურად ესენი უგვარო და უქტეო ზმენებია. დარჩა გარკვეული რაოდენობის მაგალითები, სადაც ზემოთ წარმოადგენილი წესი არ მარტოდება. კერძოდ, ზმენისწინისა და ქტევის ხმოვნების წინ მოსალოდნელი ც-ს ნაცვლად გვაქვს =ცა. ჩვენი მასალის მიხედვით ეს მაგალითები შემდეგია:

ს ა ც ა შენ გ ი ო მ ე ბ ი ა, მეე უნდა ეიომ იქამ (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 173, 2-3.); ... მივიდა და შეხედა ხალხსა და ყ ვ ე ლ ა ც ა შავად შეკაზმული გ ა მ ო დ ი ა ნ (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 200, 13-14.); შ ე ნ ც ა, არიქო, ჩქარა წ ა დ ი, აქ არ შემოგისწრონაო (რაჭ. ქდ I, გვ. 535, 29.); ელის, ელის როსტომი, მარე არა შევიდა, ე ი ნ ც ა გ ა - მ ო გ ზ ა ვ ნ ა (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 112, 32-33.); - არა, რ ო გ ო - რ ა ც ა თქვენ არ მ ო გ ი კ რ ე ფ ი ა თ ო, მისგან უფრო ამ ჩემი შვილისთვის მე ყელი არ გამომიჭირაო (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 225, 38-39-40); ბ ო ყ ა ყ ი ც ა და ე ნიქტები რ ა ი წ. ყ ო, - და გაუღვა გზას (რაჭ., შ.ძ., ქდმ, გვ. 183, 19-20).

თითქმის ყველა მაგალითი მთარაჭულიდანაა (გლოლა, ლებურ-ჭიორული...). უნდა ვივარაუდოთ, რომ საქმე გვაქვს საშუალ ქართულიდან შემონახულ არქაიზმთან.

რ. ლ ა ნ დ ი ა

ერთი ფანტიკური მოვლენისათვის გლოლურში

გლოლური მეტყველება შესამჩნევად განსხვავდება ზემო რაჭის დანარკე-
ნი სოფლების მეტყველებისაგან: „გლოლური მეტყველება განსხვავდება მდი-
ანად რაჭული კილოსაგან მთელი რიგი არსებითი ნიშნებით“¹. ეს განსხვავე-
ბა აღნიშნა ვ. თოფურიამაც: „გლოლური თვალსაჩინოდ ემიჯნება ლებურ-ჭიო-
რულს და საერთოდ ზემორაჭულს“². ამ მეტყველების ერთ-ერთ თავისებურებად
ავტორი გამოყოფს შემდეგს: „სახელის ბოლოკიდური -ა-ს ასიმილაცია მრავ-
ლობითის -ებ-თან უნობია (ვატაები, ქალაები, ბიძაები, ჩიტაები). პრევე-
რბის ასიმილაციაც ენებითს ე- პრეფიქსთან ჩვენს ჩანაწერებში არა გვაქ-
ვს და მთხრობელთაგან არ გვსმენია: გაემზადენით, დაეწაა, დაესხნეს...“³

ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალაში გვხვდება ოცამდე შემთხვევა, როდესაც
წინამავალი ა იმსგავსებს მომდევნო ე-ს.

1. პრევერბისეული ა იმსგავსებს მომდევნო ე-ს (ენ. პრეფიქსი) დაასხნეს -
დაესხნეს: „მერე იქიდან ის ოსები დაასხნეს თავს ამ ჩვეს ქალღეს“.
დაადვენეს - დაუდვენეს „დაადვენეს ეს ჩვენებური ხალხი“.

გაამიშველება - გაემიშველება: „გინდა თუ არა გ ა ა შ ი შ ე ლ ე ბ ი :
დაარქვა - დაერქვა: „გლოლა რატო დაარქვა, შვილო, და მომკვდარ-

(მ)იყო ვიღაცა და გლოვდა იმ კაცსა და
დაარქვა გლოლა“.

გაამზადებოდეს - გაემზადებოდეს: „მერე წამოვიდოდეს, შვილო, საქორწი-
ლოთ გაამზადებოდეს“.

დაახურონ - დაეხურონ: „როგორ უვლიდეს, შვილო, და იმას უნდა აბრეშუ-
მის ის დაახურონ ზევიდან“.

დაატყობოდა - დაეტყობოდა: „ყვავილმა იყოდა... დაატყობოდა ასე ყვავი-
ლები სახეზედა“.

ჩაამდულრა - ჩემდულრა: „მთელი ხელი ჩაამდულრა“.

აალო - აელო: „აალო მერე ეს გულაგა“.

დააბნია - დაებნია: „აალო მერე ეს გულაგა და დააბნია ნასკებზე“.

1 შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ქართული დიალექტოლოგიური ძიებანი, 1975.

2 ვ. თ თ ფ რ ი ა, ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები, II,
გვ. 240.

3 ვ. თ თ ფ რ ი ა, იქვე, გვ. 241.

აატანა — აეტანა „აატანა მეორე დილას“.

დააწყო — დაეწყო: „აატანა მეორე დილას და დააწყო ის გულაცემები“.
გააჰყუჰყიანებოინ გაეჰყუჰყიანებოინ: „ის რაც იყო ჳირნახული, რა
არ გააჰყუჰყიანებოინ“

დააწერა — დაეწერა: „ქალი რა შეიძლო; ვაჟი დააწერა“.

დააეცემოდეს — დაეცემოდეს: „ჩვენები დააეცემოდეს ანესა, სტაიებდეს
ქაღვსა“.

დააბლაუჯნეს — დაებლაუჯნეს: „დააბლაუჯნეს, მარა ბაეური ვერ უქნეს“.

II. ფუძისეული და იმსგავსებს მრავლობითის ებ ნიშნის ე-ს, რალცააბი რალცაები „შინდიდან კამფოტი და ეგრე რალცები“.

III. წინამავალი სიტყვის ბოლოდური და იმსგავსებს მომდევნო სიტყვის თავიკდურ ე-ს, როცა მათ შორის არ არის პაუზა.

„მომიკვდა ას გოჯუნა“; „ძალიან ბოდიში და ართი ლეციით დააწყო ის
გულაცემები“.

სხვა სახის ასიმილაცია ჩვენს მასალაში არ შეგვხვებოდა.

მასალის მოპოვების შემდეგ ჩავატარებ ჩვენთვის საინტერესო ფორ-
მების აღმომეტრული ანალიზი. ჩვენი ინსტიტუტის ექსპერიმენტული ფო-
ნეტიკის ლაბორატორიაში აღნიშნული ფორმები გადაეწერებ ფიჩზე. ეს
მასალა მოისმინა ოცდაცამეტმა კაცმა: თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტის ახალი ქართული ენის კათედრის, ფონეტიკისა და ტოპონიმიკის ლა-
ბორატორიის თანამშრომლებმა, ფილოლოგიის ფაკულტეტის I და II კურსის
სტუდენტებმა. შედეგი ასეთია (თითოელ ფორმაზე ცალ-ცალკე): I) დაას-
ხნეს - 15 კაცმა ჩაწერა 22, 14 - არაფერი, 4 - სხვა სიტყვა; 2) დაა-
დვენეს - 27 - აა, 6 - -, 3) გააშიშვლებია - 27 - აა, 6 - ---; 4) დაა-
რქვა - 26 - აა, 1 - ა, 1 - ---; 5) გაამზადებოდეს - 31 - აა, 2 - აე;
6) დაახურონ - 22 - აა, 2 - ა, 3 - ა, 2 - ა3, 3 - ; 7) დაატყობოდა
- 19 - აა, 1 - ა, 11 - აე, 1 - ---; 8) ჩამდღვრა - 25 - აა, 1 - ა,
1 - ა, 6 - ---; 9) ააღო - 28 - აა, 3 - ა, 1 - აი, 1 - ---; 10) დააბ-
ნია - 31 - აა, 2 - ა; 11) აატანა - 30 - აა, 1 - ა, 1 - აი, 1 - ---;
12) დააწყო - 28 - აა, 1 - ა, 4 - ---; 13) გააჰყუჰყიანებოინ - 32 - აა,
1 - ---; 14) დააწერა - 6 - აა, 1 - ა, 26 - ---; 15) დააეცემოდა - 24 - აა,
1 - ა, 2 - აე, 6 - ---; 16) დააბლაუჯნეს - 13 - აა, 1 - ა, 2 - აე,
17 - ---.

რალცააბი ფორმა ექვსმა კაცმა დაწერა. რალცაები (4) და რალცაე-
ბი (2), დანარჩენებს ჩაწერილი აქვს რალც... ეტყობა ჩანაწერის ხარისხი
არ იყო კარგი და ამან შეუშალა აღქმაში ხელი.

მესამე შემთხვევის პირველი მაგალითი - მომიკვდა ას გოჯუნა - ვერა-
ვინ იერ აღქვა. მეორე ფორმა - ძალიან ბოდიში და ართი ლეციით... - 12
კაცმა ჩაწერა აა, დანარჩენებმა არაფერი.

როგორც მასალიდან ჩანს, აე კომპლექსი უმეტეს შემთხვევაში აღქმული
იყო როგორც აა, ან ა, ჩვენის აზრით, გოლოურ მეტყველებაში ადგილი აქვს
ხმოვანთა პროგრესულ ასიმილაციას.

ვაქვეყნებთ ტექსტებს, საიდანაც არის ამოღებული სააუდიომეტროო მასალა.

გლოვლების ცხოვრებიდან

ოსები ვადმოვიდეს და ჩვენი ქალები იყვნენ წასული მთაში სამკალაბო, ასე იგი სამუშაოთ. შოდა, მერე იქიდან ის ოსები დაასხნეს თავს ამ ჩვეს ქალეფს და აკაცენბით, ბავშებითა და წაიყვანეს, დაიტაცნეს. წაიყვანეს და აგერ როცა იყო მოვიდა ხალხი, ასე იგი, ჩვენი ხალხი, კაცები, იკითხეს ქალები სად არიან და ველარა ნახნეს. დაადვენეს ამ ოსეფს. თელი სოფელი წავიდა და დაადვენეს. და აგერ რა გადაარონინეს პერვეალი ამ ქალებსა და ბავშეფს, მიხყავან, დაადვენეს ეს ჩვენებური ხალხი. მოიყვანეს. ჯერა მოვიდა, მაგრა კარგი კაცი იყო ის, ფრინავივით დადიოდა ის ერთი კაცი, სულტანიშვილი შალიკი. ოსებმა თქვეს დავისვენოთ, შენ არ მომიკედო ჩვენო სულტანიშვილი შალიკი არ მოგვეწონო. და ამასობაშიდა და მიეწია ეს კაცი და დახოცა სუყველა. აი ეს კაცები, ვინც ქალები დიტაცნა და აერთი დასტოვა მოამბეთ, წადი და თქვეს სოფელში ჩაიტანე ამბავი. დააწიშელნა ა(მ)კედარი კაცები და აშკიდა მათი ტანსაცმელი, წააღებია. შოდა, ჩასულა, რა თქმა უნდა, და უთქვამს ეს ყველაფერი. ასეა მდგომარეობა და ვინლა რას იტყობა. იქიდან აღარავინ ედმოსულა. და იგრე ეს ქალები გამაბრუნა, წამოიყვანა იმ ერთმა კაცმა. აი ეს შესძლო და ძლიან ყმაყოფილი დარჩა ჩვენი სოფელი.

მერე კილა, ჩემი მამა იყო წასული მთავადამა და ეცაბებია, ყველაფერი ბევრი მოქონდა თურქე და დახვედეს იმასაჲ და ამა, გინდა თუ არა გააშისვებია. რაც რამე უქონდა სუყველაფერი წაერთმია. ვადმოვიდა ეს კაცი ცარიელი, მამა იყო ჩემი. შოდა, ვიყავით ერთ ამბავში.

... გოლა რატო დაარქვა (< დაერქვა), შვილო, და მომკვდარ(ე)იყო ვილაცა და გლოვა ასე იგი, გლოვა იმ კედარსა და დაარქვა (< დაერქვა) გოლა. აი, გოლა და გლოვა ხო ეს ერთი გამოდის და ასე დაარქვა (< დაერქვა). ეკლესიეფს კიდე, ეს წმინდა გიორგი, ლეიშობელი, მუხის ჯვარი, შემომქმედი, ესინი არის აქ, ამ ჩვე სოფელში, შხელი, მაგალითათ, სალოცავია, ბუბა სალოცავია, ბუბის მოსალოცავი სალოცავია და ასე, შვილო, ყველაფერი ასეა.

... ქორწილი ასე იყო, ერთი სიტყვით, რომ შეისწავლიდეს, შვილო, ქალსა, სათხოვრად წავიჯოდეს, ნახევდეს ქალსა. მოეწონებოდა, არ მოეწონებოდა, ნახევდეს. მერე თუ მოეწონებოდა, დანიშნავდეს, შვილო, ამ ქალსა, წავიდოჯეს, რა თქმა უნდა, მაშუალს ვეძახოვით მაშინ, საქმეს გააკეთებდეს და დაუტოვებდეს ნიშანსა ამ ქალსა. მერე წამოვიდოდეს, შვილო, საქორწილო გაამზადებოდეს (< გაემზადებოდეს) და ქორწილი მიხყავდა ე დედოფალი და მიდოდეს.

... ბატონების დროს როგორ უვლიდეს, შვილო, და იმას უნდა აბრეშუმის

ის დაახლონ (< დაეხლონ) ზევიდან, კარგი სუფთად მოვლა, არც ცოლქმ/რ/ე-
ბი უნდა დაწოლილიყვნენ ერთად, შვილო, არ შეიძლება და ასე სუფთად უვ-
ლიდეს. სიმღერით, იაენანას დაუძახებდეს, იაენანა, ცარღონანა, იაენანი-
ნაო, ასე უმღეროდეს, შვილო. და ასეთი (რ)წმუნება იყო მაშინ და ძალიან...
ყვავილმა იყო და, და...დაატყობოდა (< დაეტყობოდა) ასე ყვავილები სახე-
ზედა და ვეძახოდით ჭლიკინაო იმას, ძველამ. ჟოდა, უვლიდეს ძალიანა სახ-
ადმოსახხელ შვილედესა, რა კარგად ჩატარებულყო. მეორედ კიდევ, შვილო, წი-
თლას ვეძახოდით. ძველად წითელა რა შეეყრებოდა, პირდაპირ თვალებიდან
გამოიყრდა და ბევრსა დაუტო(ვ)ებდა იმას, თეფრსა თვალზედა და ასეთი ის
იყო ბატონები ძრიელი. არა, ასე ჩატარდებოდა მერე, უვლიდეს კარგად, სუ-
ფთად, გარდა აბრეშუმისა ვერას წააკარებდეს, რომ სუფთა ყოფილიყო.

... როგორ უნდა შეულოყო, შვილო, და იმ საქონელს რომ თვალი ეცემა,
შევალოციებთ მლოცავსა მარლით, რომ ის თვალნაყენი უნდა ჩამქრალიყო, რა
ექმა უნდა და ყოფილიყო წესიერება. ჟოდა, შეულოცევა მლოცავი, აი, შე-
ნი ავი თვალით მხედავსა, შენი ავით შემომხედედეს, იმას მიეცეს სიმწარე,
ის...არ აცოცხლონ იმან, რა უნდოდა შენთან, რას მოქრებოდა ავი თვალით.
ცინე შენ ავი თვალით შემოქხედა, იმას ყველაფერი მოუკვდა.

...ბავშს შეულოცედეს ნახშირითა, ეჭირა დანა და პუტკნიდეს იმ ნახ-
შირს. შენი ავი თვალით შემომხედედეს, შვილო, დაუდგეს თვალები, იარონ
შავად, იარონ ბნელად, დასწყიონ ღმერთმა ეშმაკი. შეუბერებდა სულსა იმას,
ი ნახშირსა, დასწყიონ ეშმაკი, შვილო, შენი ავით შემომხედევალი, იარონ
სულ შავად და ბნელად, შვილო, ვინ შემოქხედა ავის თვალითა. ჟოდა, ეგრე
ჩაუქრებოდა მერე ეს.

...არის, მავალითა, იმას ვეძახით, ა იქა, გენაცვალე ის არის, ქოქ-
ვაბი, ქოქვაბი არის. იმას რომ გაურდება სიყვითლე, იმაზე მიდიან, ლოყუ-
ლობენ, სინამდვილეში რა გაუშვამს იმ წუთში. ძალიან კარგია. გამოიძინე-
ბენ ერთსა. აი, რომ შეულოცვენ. წამოვა ისე რომე იმ კვირეში აღარაფერი
სიყვითლე, ისეთი კარგია. ქოქვაფს ვეძახით. აი, ჩვენი ვეძა რომაა, მვა-
ციწყალი, იმის თავზედაა, იქითკენ, წყალგაღმი.

აი, მავალითა, ჩვენებური კაცი, ეხლა მკვდარია. აალო (< აელო) იმ
ქოქვაფს, ნასკი თურმე ეჩარგოდა და გულაფყა ყოფილიყო იქ, გულაფყები, იქ
დასტოვებენ ზურდა ფლიო, გულაფყა, რაც მოხვდება. ყველაფერს ტოვებენ.
აალო (< აელო) მერე ეს გულაფყა და დააბნია (< დაებნია) ნასკებზე და იმ
წუთშიდა მოღანდებოდა, რა აიღე შენ იქიდანო, დააბრუნე თუ არა ისეთ საქ-
მეს მოგიქმედო, რომ ერთი წუთი აღარ გააცოცხლო. აატანა (< აეტანა) მეო-
რე დილას და დაწყო (< დაეწყო) ის გულაფყები. ა ბატონო, ნუ შემომწყრე-
ბით და ძალიან ბოდიში და ართი (< და ერთი) ლოცვით დააწყო (< დაეწყო) ის
გულაფყები და წამოსულიყო. ეს სინამდვილეა, ასე იყო.

... ჩვენს მხარეში არა და ჭიორანს კი არიან კულურები. შეჯღებიან ჭიო-
რას ცოცხზე თურმე, არიან მავთეები. ისე მე...ეხლაც და ვეძახით იმათ კუ-
დურედესა. აი, კატებათ გადიტყვიან ისინი, კატებათ გადიტყვიან და შე-
მოჯღებიან ხან ცოცხზე, ხან იგრე და შედიან სახურავშიდა და დასჯლავიან.

კი, მე სინამდვილე ვიცი ესე. დასჯილიან იქიდან და ის კუდურები და ერთ კიდე აი ჩვეს სოფელში იყო, გადაიქცეოდა კატამ და გაბეგვდეს იმას. გაბეგვდეს, ასე იგი, იმ კატას, ვითომ კატაა. მეორე დღეს მოვიდოდეს და ეს ქალი უკვე იყო ლოგინათ დადილებული, დამთავებული, დასისხლული იყო, რომ აი იქიდან გაიგნებდეს, ა გავიგნით, ეს არის. ასე, შეიღო.

ს მ ა ბ ე რ ი შ ე ი ლ ი

...როცა ციხეს აშენებდეს, მაშინ ამ აშენებელი დროს მოვიდა, მაგალითად, ვინც აი იმას აშენებობდა, ციხესა, გადმოვარდა კაცი და მოკვდა ციხიდან ცოცხალი. მოვიდა და უხარა, რომო რატო ხართ გაჩერებულიო, რატო არა მუშაობთო და კაცი გადმოგვივარდა და მგლოვიანება ვართო. მგლოვიანრე თუ ხართ, მაშინ ამ სოფელ დაერქვას გლოლო. ე ამანვე მგლოვიანრე იყვნეს. მერე იყო ბერი, ქალის თხოვის უფლება არა ჰქონდა. მოვიდა მერე დავით ამაშენებელი და უხარა რომო, გადახედა და გლოლას ცხოვრება შეიძლებაო, აერი კარქიო, წყალი კარქიო, და შეიძლება აქ ცხოვრებაო და შენ უნდა დარჩეო, ბერს უხარა, აქაო. ბერმა უხარა რომო, თუ დამრთავ ქალი(ს) თხოვის უფლებასაო დავჩები აქაო. თუ არა და ისე არ დავჩებიო.

თხოვეო ქალი, შეირთე ქალი და აქ იცხოვრეო. იმას მერე მისცა კიდე ბიჭი მოსამსახურეო, მისცა ბიჭი მოსამსახურეო და ამ ბერმა შეირთო ქალი, რა თქმა გინდა, ქალი რომ შეირთო ვაჟი დააწერა (< დაეწერა), რა თქმა გინდა. ეს რომ დაცოლშვილდა და ე ბერი, ე ბერიშვილები მოდიან ამაზედა. მერე იმასაც იმ, რომელი მოსამსახურე ბიჭი ჰყავდა, ბიჭი, იმასაც უთხრა ქალი და მომრავლდენ ეს ბიჭაშვილებიც, ეს ბერიშვილებიც და მოდიან.

...ჩვენები დააცემოდეს (< დაეცემოდეს) თავსა სტაცებდეს ქალებსა, ოსები დაგვეხმოდენ, გეტაცებდეს ქალებსა. ერთმანეთში იყო ეს მოტაცობა და აცკაცობა იყო და ერთი გიორგაშვილი თედორა იყო მერე და იმან მოიტაცა ოსის ქალი. შეურიგდა მერე თავი სახლობას ეს ეს ქალიც, ეს სიძეცა და, რა თქმა გინდა, ბოლიშ მოვითხოვ, დაორსულდა ა ქალი. დაიპატიოეს ამ ძმებმა, თავი სახლობამა და დააწერა (< დაეწერა) ვაჟიშვილი. შემოუფაღეს მერე, რომეო გადმოდიო თეოდორა და ქალიც წაიყვანე, ვაჟი: შეგეძინაო. წავიდა და პერველი(ს) ძირში ერთი... შეხვალ მაგად დიდი ის არის, ვაკე და იმაზე დიდი ქვა არი. რომ ასულა ეს თედორა იქა და დახედობიან ოსები, ცხრა კაცი. ამას უთქვამს, რომეო რა კაი მწვადი მოგვივიდა აგერაო ჩვენაო ეს ქარველიო. ამან უხარა, რომეო ღმერთი მომეცენ თვედბიო, მე გამიშვიო იქაო და ხვალ ჩამოვივი, თქვენ არ წაგვდებო, ისეც თქვენთან მოვალ. გაუშვაო, სა წავივიაო. ავიდა ცოლქრობაზე, ჩავიდა ე კაცი, მოწყენილია. ცოლის ძმები ეუნებიან, თეოდორა, რაღაცა მოწყენილი ხარო შენო. არაო, მე მოწყენილი არა ვარო. არ ეუბნება, ამათ არ უტყდის თუ ესეთი ამბავი მეღისო. მეორე დღეს აფგა, ე ქალი გამოიშვადა, ე ბავში გამოიშვადა, მივიდა და უხარეს ცოლის ძმებმა, რათი უნდა გაგი-საჩუქროთ ახლა შენ. მე არაფერი არ მინდაო, ჩემი სიმაჟრი ხმალი მათხო-

ეთო ხოლოთ. თქვენ რა, გათხოვეთ, კეთო, კი არა სულ გარქვეფთო. ჩვენ თუ შევიღები ვართო, შენუ შეიღი ხარო მამიჩვენისაო. ადგა, წამოვიდა და მოჰყვებიან ე ორი ცოლის ძმა ახლა ამას, ამ თეფორასს. ჩვენ ვეტყვიო აი, დედოფლის... მეფის წყალია. აქ რა მოვიდა, უხხრა, რომეო დაბრუნდიო, დაბრუნდი არ მინდიხართო თქვენო, თქვენ არ მინდიხართო, დაბრუნდიო. დააბრუნა, წამოიყვანა. რომ ბემოვიდა პერევალებე, ცოლს უხხრა, რომო 'გარქრდი შენ აქანაო, აქანა გარქრდიო და თუ დაგიქნო ხელი წამოდიო, თუ არა გაბრუნდი, წადი უკანო. ამ ქალმა თქვა, რომ ეს კეთო რას მიპირებ(ს), თუ მოსატყუებლათ გადმოვიდა, რაზე გადმოვიდა, თუ არა და რატო მტოვეფს აქაო. დარჩა ა ქალი და ეს ოსები ხედებიან ახლა ი ქვასთან, ეს ცხრანი. ჩამოვიდა, დილას, ახალი გათენება და ცხრანო ადექითო, ადექითო, მოემზადენითო გმირულათო, ერთი მე წავალ სამარეს, ცხრანი თქვენ გაემზადენითო. მოუსვა ამ რვასა და დასჭრა თავები ამ თეფორამა. მეცხრეს უხხრა; შენ ქვე გარქრდიო. დაუქნია მერე ცოლსაც ხელი, წამოდი ახლაო. წამოვიდა, ცოლმა დახედა, ეს არ ეწენსიერა. ეს ოსებია, ეს ქალიც ოსია. ეს ოსები დახუცილია, ერთი გადარჩა ხოლოთ, არ მოკლა. აჰკიდა თუ რამე ჰქონდა ამ ოსების, თავისი ამან აიძღვანა, წამოვიდა ეს თეფორამა მერე, ეს ოსი და აქ ნაცხოვრებიყვენეს, წმინდა გიორგი რაა, იქ ჩვენი სოფელი. მერე ზაბო-რი თურმე ქონდა შემოვლებული და ყარაული ჰყავდა. ავკაცობა იყო და... უჰ, თეფორაო, ეს რა ამბავია, რა მოგყავს ე კაციო. ჯერ დაჯუქიო. დავჯუ-დებოო და მოგიყვები ჩვეს ამბავსაო. უხხრა მერე, ასე იყო საქმე, მე უნდა მოვიკლაო. რვასა თავები დავჭერ და მეცხრე აგერ მომყავსო. მოიყვანეს, შევიდა, შტოლი გაუმართეს. ეს ოსი შიშით ველარა სჭამს, ვერა სვამს, ეშინია მომკვლენ აუცილებლივ. ადგა მერე და ზოგი ამბოფს თვა-ლები დავახართო, გაუშვამ, ზოგი ამბოფს ყური მოვსჭრათ გაუშვამ, ზოგი ამბოფს ყური... არც ყურს მოვსჭრი, არც თავს მოვსჭრიო, გადავიდეფს და ერთმა ქართველმა ეს გააკეთაო, ეს ამბავი გადაიტანოს და მეორეთ აღარ გაბედვენ და აღარ დაქნედებიანო. საქმე იყო ამნარიათ.

ნ ი კ ო ბ ე რ ი შ ე ვ ი ლ ი

აღმოსავლეთის ხემწიფემ შემოუღვალა დასავლეთის ხემწიფესა. აქაო ჩემა ცხენე(ბ)მა დაიხვრიხვინეს და მად შენი ცხენები დამაკდესო და კვი-ცაებნი ჩემნიაო, გაიგონე. შეყარა მთელი სახემწიფო და ცერა კაცმა... არადა ქალი ჰყავს ვარსკვლავიეთა, გიშრისავითა, მოვალ და წავიყვან ი ქალსო. ქალზე ედავება, კაი ქალი ყავს ამ ხემწიფეს. შეყარა მთელი სა-ხემწიფო. გაგიგონია, ცერა კაცი არ გამოვიდაო რომ დაეხმარონ. მერე, ბო-დიში, გაიარეს აგერა და დადიან, ცინცა ნახოთ მოიყვანეთო, ხემწიფემ უხხრა. გაიარეს აგერა და პატარა ბიჭი, ბოდიში ქვეცა იმას შეება და ქვე-ცა სჭამს. პური ხელში უჭირავს და თან... რას შერებებიო შენ, მერე გაი-არეს და რას შერებოო, რა ამბავიაო, ქვეც იმას შერები, ქვეც... მამა-ბენი სად არისო და ჩხუბს სთესავსო, დედაშენი სად არიო და ცრემლს ავა-

ღვესო. რაიას ე ჩხუბიო და რაიას და გზაზედა გვაქე ყანასო, ცერცვი დასთე-
სასო. რო მომწიფდებასო, ვინე გაივლე-გამაივლის, შესჭამსო და ჩხუბი მოუასო,
ეს არისო ის. ე ცრემლი გავალეება რაიასო. რაიასო და, დაგვიფარა ღმერთმასო,
მეზობელს შვილი მოუყვდასო, წავიდა იმასა ტირისო და ჩვენც რო ვინმე მოგ-
ვიკვდება, მოვა და გვიტორებენსო. ესაა ცრემლის გავალეება. აჰ, ამა და ამ
სახემწიფოში უნდა წაგყვე შენსო და... რასაც გიტყვიო თუ შემისრულეთო,
წაგყვებიო. რაც გინდა, გვითხარი, უმალ შეგისრულეთო, ხოლოა წაგყვევიო.
წაიყვანეს ახლა იმ ხემწიფესთან ამ ამბის დასასხნელათ, რო კვიცაებნი
რო ჩემნიაო. იქ ცხენებმა დაიხვრიხვინეს, აქ რანაირათ არის მისი. კა-
რქი, წაიყვანეს ახლა და მიაწიენ და რომ მოვიდეს ი სახემწიფოში, რამ-
დენმა ძალ(ღ)მა დაგყვონ, ესროლეთ და მოკალითო, ი ბიჭუნა ეუნებათ. ჰო-
და, რამდენი ძალღია ესერიან. მიზდევენ ახლა ეს ძალების პატრონები, ესუ
იგი, ვინ არიან, კაცო, ე ძალები კაც გვიჩრევიან ჩვენ. წამოდი და ხემ-
წიფე გაგვასამართლევსო. მივიდეს ახლა და რატო დაუხოცენითო ძალებიო.
პატივემულო ხემწიფეო, თრიალეთში ცხვრის ჯოგი მყავდათ. დამესია მგ-
ლის ხროო, ეს ცხვარი სულ შემიჭამასო და აქ ესენი იყეფბოდესო და ხმა
გამეცესო. ბოდიში, მე მამაძაღლო, თრიალეთში ცხვარი გყავდათ, აქ ესენი
რა მალე მოგეშურებოდენსო. პატივემულო ხემწიფეო, ექ შენმა ცხენებმა და-
იხვრიხვინესო და იქ ჩვენი ცხენები რაფერ დაამაქენსო. ეჰ, თავისუფალი,
ხარო, წადით, წადითო. წამოვიდეს და ი ქალი ქვე შერჩა ი ხემწიფეს. ვერ
წაართვა. ასეა ისტორია.

დ ი მ ი ტ რ ი ბ ა კ უ რ ა ძ ი

ე. ნ ი კ ო ლ ა ი შ ვ ი ლ ი

მესაქონლეობასთან დაკავშირებული ლექსიკა გურულში

მესაქონლეობა გურიაში მეურნეობის ტრადიციული, მნიშვნელოვანი დარგია, თუმცა ბოლო დროს ის საგრძნობლად შევიწროვდა ახალი დარგების (მეჩაიეობის, მეციტრუსეობის) განვითარების გამო. ნაკლებად არის გავრცელებული კამეჩისა და ცხვრის მოვლა-პატრონობის დროს სახმარო სიტყვები, ირბო-კარაქის დამზადებასთან დაკავშირებული ტერმინები, შედარებით მცირეა ცხოველთა სხეულის ნაწილების, მათი ფერის, დავაადებების ამსახველი ლექსიკა. მიუხედავად ასეთი შეზღუდვისა, მასალა მაინც უხვია. შეკრებილია იგი მახარაძის რაიონში სამეცნიერო მივლინების დროს. შეკრებისას გამოყენებული იქნა კიბხეარი, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტშია შემუშავებული და გამიზნულია ქართული დიალექტოლოგიური ატლასის შესადგენად.

წინამდებარე სტატიის მიზანშეწონილია აღნიშნული მასალის მხოლოდ ერთი ნაწილი, რომელიც გურული კილოს დღემდე არსებულ ლექსიკონებში არ არის ასახული ან ფიქსირებულია განსხვავებული ფორმითა თუ მნიშვნელობით.

დეკელს, რომელმაც პირველად შობა ხბო, ახალპირი ჰქვია, ხოლო, რომელსაც უერ ხბო არ ჰყოლია, - დეკნა, უშობელი, უშობინარი. „უერემ თუ ხფოი არ ხავს ძროხას, იმიზა ითქმება უშობინარი. დეკნა ე'ალარაა ი, ახალი ძროხაა, უერემ რომ არ უქნია ხფოი“ (ნიაბაური). „ამფერ ძროხიზა უშობელსაც იტყვიენ და დეკნასაც“ (სილაური). „სიქნამფი ხფოს იზამდეს ძროხა, უშობელია“ (ჯუმათი). ამ ტერმინებიდან დეკნა და უშობელი ცნობილია, უშობინარი კი დღემდე გამოყენებულ დიალექტურ ლექსიკონებში არ დასტურდება. არ დასტურდება არც ახალპირი ჩვენ მიერ ფიქსირებული მნიშვნელობით.

ლით ვარკვევით სათესლედ პურს, ქერს. წავაქნევდი ცხრილს წინ,რამე-
ლიც ფსხვილი და სალი მარცვალი იყო, წინ წაგორდებოდა. იმას სათესლედ
შევიანახებდი. მერე ტრიერი მოიტანეს კოლექტივში და იმითი ვარკვევ-
ით. დავარკვევდი ბევრს. დაურკვეველ თესლს არ დავთესდი და კარგოდ
მოგვდიოდა. თინე არ არკვევს, იმას რავარი მოუცა, რა ციცი?“

ა რ მ ა ნ-ი (კნინ. არმანა, არმანები) - ერთგვარი კარადა. „ჩვენ
გვქონდა არმანი, ძირს „შკაფი“ იყო, ზეიდან ვარცლი ედგა. არმანს
ზოგს ქვე ქონდა გასაღები კარებები, ზოგს გამოჭრილი ქონდა შუაში
და იქიდან ჩავაწყობდი იქით-აქით ჭურჭელს, რამეს“ (საუბრ.).

ა რ მ უ ლ ი || ი ა რ მ უ ლ ი - დიდი სიციხე, სიციხის ბული. „ოჰ, რა
იარმულია! დავიწვიო. არმული ადის დედამიწას“. „არმულია, არმული,
სული ეხუდება ადამიანს“.

ა რ ო დ ი ს - არასოდეს. „აროდის მიმუშავნია ფიზიკურათ, მარა, ახლა
რომ დამჭირდა, ქვე ვმუშაობ ცო-ცოტას“. „აროდის არ იწუნებდა თავს
სწავლით გია, ხარმაცი იყო“.

ა რ ო მ ე ლ-ი (არომლის) - არე ერთი. „არომელი შვილი არა ყავს ცუდი,
ყველაკანი კარგები არიან“.

ა რ ტ ა კ უ რ ტ ა (არტაკურტასი) - იგივეა, რაც „არამგამა“.
„არამგამა და არტაკურტა ერთია. რომ არა ენაღვლება რა ადამიანს და
ისე მუშაობს, ისაა არამგამა და არტაკურტა“.

ა რ ტ ა ო ზ-ი (არტაოზის, მრ. არტაოზები) - ამაყი, შეუპოვარი, ავი
აფამიანი.

„არტაოზს ეტყვი, ვინც ყველას ერევა, არავის რას დაუფობს, ავია და შეუპოვარი“. „დიდი არტაოზები იყვნენ თეკლე და მარტა, იმთვე რაგინ აჯობებდა სიამეში, შეუპოვრები იყვნენ და უხბორულები, მარტა კი მშრომელები კი იყვნენ, რაც გინდა ბქვი!“.

ა რ უ კ მ ა რ უ კ-ი (არტემარტუკის; კნინ. არტემარტუკა; არტემარტუკები, არტემარტუკები) - არამტკიცე ხასიათის ადამიანი, ცოტას რომ ურევს „არტემარტუკი დედა ყავდა იმ ბოშუკას, ხან მოგეწონებოდა, კი ლაპარაკი იყოდა, ხან აუკრავდა და არ მოგიხბატებდა, მოგარტყამდა იმითანინე რამეს, იტყოდა, ხომ არ გასუნელდაო. შვილიც იმას დამგვანებია, იმითანინე არტემარტუკია“.

ა რ ყ ა ნ-ი (არყნის, არყნები; კნინ. არყანა, არყანეები) - კამერის, ხარის ან ცხენის ზურგის ტყავისაგან გამოჭრილი მოქნილი ღვედი, ორსამი ოთხის სიბრტყისა, რომელსაც თოკის მაგვირად ხმარობენ ზამთარში თივის შესაკრავად და დასაცურებლად, დატვირთულ ურემზე გადასაჭირებლად და სხვ.

„არყანი რომ არ გახმეს, ქონს წავეცხებო და ისე შევიწახავო“.

ა რ შ ი ე ი - არში, ფუჭი, ამაო. „არშიცია ზოგიოვინ სიკეთე, გლახა შინ არ დაგისწავლის“.

ა ს ა დ ა რ ე ბ-ს, ი ს ა დ ა რ ე ბ-ს (გასადარა, გაასადარა, გაუსადარებია; გასადარება, გასადარებული) - I. სასტიკად უარყოფს რამე ფაქტს. „რომ ვინმე ჭორს იტყვის და გაახუნებს (გაავეცელებს - გ.რ.), მერე გადათქვამს, შანთი რომ დააჭირო, არ გატყდება, - სადა, რასა, როდისაო, - რომ იძახის, იმაზე ვიტყვი, ასადარებსათქვა, გაასადარათქვა. ზოგმა შინ ძალიან იყის გასადარება“.

2. შეიხბადებს, სხვის უბედურებას დიდი გულსტიკილით გაიზიარებს, ძლიერ იწუხებს.

„რომ გაიგნეს, ჩენი სახლიშვილი მამცვდარაო, გაისადარეს დედაჩემმა და ბებიაჩემმა, იტყეს მუხლებზე ხელი, იტრეს. არ ვარგია სხვისი სიკეთლის ისე გასადარება. ძალიან გასადარებელი რამე არაა ლაშაი“.

ა ს ა დ ე ვ რ ე ბ-ს (დაასადევრა, დაისადევრა, დაუსადევრებია; დასადევრება, დასადევრებული) - მხედარი მეორე ცხენს (ცარიელს) თავისი ცხენის უკან გამოაბამს და ისე წაიყვანს.

„ერთხელ ქორწილში ვიყავი მე და ჩემი ძმა. იმას ცხენი დაეღალა. უწერაში სხვა ცხენი იშოვა, თავისი დაასადევრა და ისე წამოიყვანა“.

ა ს ა ზ მ უ რ ე ბ-ს (მოსაზმურა, მოუსაზმურებია; მოსაზმურება, მოსაზმურებული) - მკერავი ქსოვილს ზომავს და განსაზღვრავს გამოვა თუ არა, რის შეკერვაც აქვს განსაზღვრული, ანდა გაცემთილ აჯიღზე დასაკერებელ ნაჭერს აზომებს, გასწვდება თუ არა.

„კარგი მკერავი უკარგა ასაზმურებს შესაკერავს, მერე ქვე დაჭრის და შეკერავს. ამიტომ თუა ნათქვამი: „ასჯელ გაზომე და ერთხელ გაჭერიო“.

„საკერავსაც (ნაჭერ - გ.რ.) მოსაზმურება უნდა. ბებიარემი ათს-
ნარიად ატრიალებდა, კარგა ასაზმურებდა და მერე დააკერებდა“. „მო-
საზმურებელი უნდა დაალამზო და უკეთ დაეკერება“.

ა ს ა კ ე რ ა ვ ე ბ -ს (დაასაკერავა დაუსაკერავებია; დასაკერავება,
დასაკერავებული) - გაცვეთილ-დახეულ ტანსაცმელს მრავალ საკერავს
(ნაჭერს) აკერებს.

„უშაღ ქვე სადა გექონდა სულ ახალ-ახალი, ახლა რომა აყვე. ტანი-
სამოსს ვასაკერავებდიო და ისე ვიცემდიო. ზოგმა მაინც ძალიან იცოდა
დასაკერავება. იმიოთან დასაკერავებული კაბა ეცვა ზოგიერთს; იტყოდი,
რათი ასაკერავებს აისე, რა ნერვები უძლებსა-თქვა“.

ა ს ა ლ უ ქ ე ბ -ს (ასალუქა, უსალუქებია; გაასალუქა, გაუსალუქებია;
გასალუქება, გასალუქებული) - ძლიერ ეფერება, ასათუებს, ანებიერ-
რებს.

„ნუ ასალუქებ და ასათუებ მანგრე შვილებს, ქალო, ბევრი მოფერა-
ვება გააფუჭებსყ, მერე აღარას გაგიგონებენ, შრომასაც მიაჩვიეყ“.

ა ს ა რ გ ვ ა ლ ე ბ -ს (ასარგვალა, უსარგვალებია; მოასარგვალა, მოუ-
სარგვალებია; მოსარგვალა, მოსარგვალებული II მოსარგვალა, მოსარ-
გვალებული) - ფეხით თუ სხვა რამით თელავს, ანაფურებს ნათესს, ბა-
ლახს (იკივია, რაც „აბალასინებს“).

„დადიან ბოტანში ბაღები და ასარგვალებენ მწვანის“. „იარეს,
იარეს და ასარგვალეს ყანა გაზაფხულზე და მოსარგვალებულ ადგილზე
რალასი პური მოვიდოდა“.

„რავა შეიძლება ყანაში მარხილით ტრიალი და ნათესის მოსარგვალა?“
გადატ. ძლიერ წყველის, წყველით სპობს, წყველით ატდებს. „წყველის-
ყე მეზობლებს ი მწევარა ქალუკა, ასარგვალბსყ“.

ა ს ა ს წ ო ვ ე ბ -ს (მოსასწოვა, მოუსასწოვებია; მოსასწოვება, მოსა-
სწოვებული) - რისამე სავსებით უქონლობას გაიძახის; რაიმე სავსებით
შეუძლებლად მიაჩნია. „ასასწოვებს, ფული არა მაქვსო და, მაღაზიაში
რომ რამე მოვა, იმაზე უშაღ არავინ იყიდის“. „მოსასწოვა, სადა მაქ
ფულიო, ერთი კაპიკიც არა მაქო, გადასახადი რათი გადავიხადოო და გუ-
შინ მაღაზიაში რა არ იყიდა“.

„რავა ყველაფრის მოსასწოვება იყი, შე ქალო, ამის დაწერა რა გა-
ჭირვებაა, ცის არ შეუძლია, რომ სულ იმას გაიძახი, არ შემიძლიაო?“

ა ს ა ს წ ო რ ე ბ -ს (დაასასწორა, დაუსასწორებია; დასასწორება, - და-
სასწორებული) - თავს დაასასწორებს - თავს დადებს, თავს ასასწორებს
- თავს დებს ვინმეს გულისთვის.

„თავს ასასწორებს შვილების გულითვინ დედა და შვილებმა რომ არ
დაუსწავლონ და არ დაუფასონ იმდენი შრომა, ცოფვა' აქ იქნება?“ „თავ-
დასასწორებულია დედამიშვილების გულისთვის თინა, თან გადაქვა დებს
და ძმებს და ასწავლავყ, აყმევდაყ და ახურებდაყ“.

ა ს ა ფ უ რ ც ე ბ ს (დაასაფურცლა, დაუსაფურცლებია; დასაფურცლება,

დასაფურცლებული) - წვერწითელი სარის ბოლოში გაყრილ უხზვე (რიკი) საფურცლებს (ჩვეულებრივ, არყის ხის წვრილ-წვრილ ტოტებს) ამბავებს, ტოტებზე პლომად აყრის თევას და ტკეპნის, შემდეგ ტოტებს აკლავას, თევას შიგ აქტევს, ტოტების წვერებს 'სარზე ახვევს, რის შემდეგაც მასზე თივის დადგმა უნდა დაიწყოს.

„მოუხვეტიამ თევა, ახლა ვანო ასაფურცლებს სარს და მერე თევას დაჯგამს“.

„ა ს ა წ ი ე-დ ა ს ა წ ი ე ა“ - წისქვილის ერთ-ერთი ნაწილი, ჩვეულებრივ, გახვრტილ ტახტზე რიკგაყრილი ღერძი, რომელიც ქვეშ ფაცხაზეა დამაგრებული. მას ხან აწვევენ, ხან დაწვევენ ფქვისა და ბრუნვის შესაბამისად. თუ ჩქარა ბრუნავს წისქვილი და მსხვილად ფქვავს, 'დაბლა დაწვევენ. თუ ნელა ბრუნავს, მაღლა აწვევენ (როგორც ამბობენ, „ფეხს აუღამენ“).

ა ს ი რ ს ე ა ღ ე ბ-ს (მოასირსვალა, მოუსირსვალეზია; მოსირსვალეზა, მოსირსვალეზული) - იგივეა, რაც „ასარგვალეზს“ (გადატ. მნიშვნელობა) „ასირსვალეზსა და ასარგვალეზს საწყალ ქალს დედამთილი, წყვილით სპობს

ა ს კ უ ლ ე ე ა (აისკულეზა, ასკულვილა; აუსკულავს, აუსკულა, აუსკულავს მისთვის; აისკულავს, აისკულა, აუსკულავს - თავისი; ასკულვილი) - თვალის დაბრმავება; თვალის ახვევა.

„რომ ვისმე ვინმე მოუკვდებოდა, ქალები შავი თვეშლით აიხვევდნენ პირს ისე, რომ თვალეზსაც აისკულავდნენ, თვალეზიც აღარ უჩანდაყ“.

„რავა აგისკულავს, ბოშო, ე თვალეზი, რატომ ჩამოგიფარებია ე თმა თვალეზზე? რათი დადიხარ ანგრე თვალეზასკულვილი?“

„ნუ ჭამ პილპილიან საჭმელს, თვალეზი გტკივა. ის გინდა, რომ, აგისკულავს თვალეზი?“

ა ს ო -

1. სხეული, მთელი ტანი. „მთელი ასო ეფხანება ბიჭუნას, მთელ ტანზე წითლათაა დაყრილი“.

2. სხეულის ნაწილი. ხარი რომ დაკლეს, ასო-ასო აიღეს.

ა ს ო - ტ ა ნ ი - იგივეა, რაც ასო.

„გამოგიმთელდა, შვილო, ასო-ტანი, მე შენ გული გამიმთელე მა კაი სიტყვით!“

ა ს ხ ა ღ ე ა შ ე ე ბ-ს (ასხალეაშლა, უსხალეაშლებია; გაასხალეაშლა, გაუსხალეაშლებია; გასხალეაშლებია, გასხალეაშლებული) - ხელგაშლით ხარჯავს რამეს, უხვად აძლევს, ბევრ-ბევრს ურიგებს სხვებს რამეს.

ა ს უ ლ მ ო კ ღ ე ე ბ-ს (ასულმოკლა, უსულმოკლებია) - 1. სული ეხუთება და ახველებს (გაციეების შედეგად). 2. ასთმა აწუხებს, ასთმითაა დავადებული (სულმოკლობა - ასთმა).

ა ს ხ ი ე დ ე ბ - ა (მიასხივდა, მისხივებია; ჩაასხივდა, ჩასხივებია; მისხივება, მისხივებული) მაგრად ეწებება ერთ საგანი მეორეს. ზოგი ცემენტრი ისე ასხივდება ქვევრს, რომ ვერაფრით ველარ მოაყლის კაცი. „ჩაფი ან ლქი რომ გატყდებოდა პატარა ადგილზე, ბეზიაჩემი ახელდა

კვერცხსა და რძეში კირსა და თეორ ფქვილს, დააგოხებდა გატეხილ ადგილზე და მინასხივებოდა ისე მაგრა, რომ ვერაფერი მოაქლიდა. ქონდა ისე მისხივებული“.

„სხლის წვენი დაწვეთა საროკაზე ბიჭს და ისე ჩაასხივდა, ვერაფრით ვერ ამოვიღე“.

ა ტ ა მ-ი (ატმის) - ასტამი, - სწორპირიანი, ოთხკუთხედის ფორმის ბარისებური იარაღი, ჩვეულებრივ, დაგრეხილი რკინის ტარით, რომელსაც ცხობის დროს კეცზე ლადრის დასაყრელად იყენებდნენ.

ა ტ ა მ-ს ა კ ე ც უ რ ი - ასტამი და საკეცური (კეცის ასაღები დიდი მამა). „ასტამ-საკეცური უნდა შვენიოდეს ქალს. ცინც ღამაზათ ხმარობდა ატამ-საკეცურს, კაი ქალს უძახოჯენ“.

„ცინც კარგი ცხობა იყო და მარჯვეთ ხმარობდა ატამ-საკეცურს, რომ მოკედებოდა, ჩავატარებდით შე კაი ატამ-საკეცურის ქალთ-თქვა“.

ა უ ღ ვ ა ლ ე ბ ს (გააუღვალოვა, გაუუღვალეობია; გაუღვალეობა, გაუღვალეობული) - აფუჭებს, ანადგურებს. „იმდენი ვაშლი ჩამოცვივია, არ კრფს და არას აკეთებს, აღპობს ისე და აუღვალეობს აი ჩვენი მიზობელი“.

„ნუ დააღპობ და ნუ გააუღვალეობ მაგდენ ქართოფილს, გაყიდე, და მოიხმარე“. ვერ მოგიტანეთ ერთხელ წერები, გაილუჯა შიგ ქერი და გაუღვალეოვდა. გალუჯილი მარცვლის მბილპურა ცხებებოდა და ვერ ცჭამდიო“.

ა უ რ ა რ ე ტ ე ბ ს ხ ე ლ ს (აურარექა, აურარექებია ხელი) - შეასუსტებს ცინცის მოვლა-პატრონობას, შრომას.

„როდემდისი ქმარი კარგა ეკიდა, დედათილ-მამათილსაც კარგა უღლიდა და ოჯახსაც. ახლა ქვე აურარექა ხელი ყვილაფერს“.

„მიექმეც კლასამდის კარგად სწავლობდა გია და ახლა აურარექა ხელი, აღარ მუშაობს გულიანათ“.

ა უ წ ყ მ ბ ს პ ი რ ს (აუწყო, აუწყვია პირი) - დანას, ნაჯახს თუ სხვა ამგვარ იარაღს ოდნავ აუღესაც პირს. „დანუკა აღარ მიჭრის, ჩემო მამამთილო, და აუწყვე პირი“.

ა ფ ა ნ დ უ რ ე ბ-ს (მოაფანდურა, მოუფანდურებია) - ზერელედ, სახელდახელოდ, სუსტად, უხარისხოდ შეაკეთებს რაიმეს.

„ლოზე გადაბრუნებულიყო, ააყენა, მარა უბრალოდ მოაფანდურა, კარგა არ გააკეთა და შედიან ლრები ყანაში. იმას მოფანდურება კი არა, მაგრათ გაკეთება უნდა“.

ა ფ ა ნ თ ე ბ-ს (გააფანთა, გაუფანთებია; გაფანთება, გაფანთებული) - გზაში, შესასვლელში რაიმე საგანს გახიდავს, დადგამს უხეიროდ რამეს. „გატეხილი რომაა უბიირი (მესერი - გ.რ.), იმას კარგად უნდა გაკეთება, უბრალოდ რომ აფანთებ ყაფრებსა და ხის შტოებს, ის შეაკავეებს პირუტყვის?“

„რა გაგიფანთებია ამ ჭიშკარში მარხილი, შე კაცო, ფეხებში გვიღება, იქით გაიტანე“. „ნუ მეფანთები ფეხებში, გამიშვი, იქით მიდექი, ბიჭო“.

ა ფ ე ლ ი კ ე ბ ს (გააფელიკა, გაუფელიკებია) - იგივეა, რაც „აპერანგებს“

- ა ფ ე რ დ ე ბ ა (აფერდა, აფერებულა; აფერება, აფერებული) - პურის, ქურის ყანა სიმწიფეში ძვეა და შეყვითლდება.
- „ყანები რომ აფერდებოდა, გვიხაროდა, ახალი მოსავალი მოვა და შიმშილის შიში აღარ არისა-ექვა“. „აფერებულა ქერები, მარა პური ჯერ არაა აფერებული“.
- ა ფ მ ა რ ი - ყოჩალი, სწრაფი, მშრომელი აფამიანი.
- „აფთარი ცოლი ყავს გიორგუნას. ის რომ ისე ყოჩალი და კაი მშრომელი არ იყოს, შიმშილით დახოცდაყე“.
- ა ფ მ ქ ი ა ლ ე ბ -ს (აფთქიალა, უფთქიალებია) - სისხლს აფთქიალებს, - აქრიალით სდის სისხლი.
- „ცხვირიდან სისხლს აფთქიალებს“.
- „ქვით თავი გაუტუხიდაყე ჩვენთან(თ) ბიჭუნათვინ და აფთქიალებს სისხლს“.
- ა ფ თ ო რ ე ბ -ს (აფთორა, უფთორებია) - თვანვე თოვს, მცირე-მცირე ფიფქები ცვივა.
- ა ფ ი ქ ა ლ ე ბ -ს (გააფიქალა, გაუფიქალებია; გაფიქალება, გაფიქალებული) - თეთრად გამოჰყავს სარეცხი, ზედმიწევნით კარგად რეცხავს თეთრეულს.
- „ჩვენი პატარძალი კარგად რეცხავს, აფიქალებს ყველაფერს“.
- ა ფ რ ე ც -ს (დააფრია, დაუფრევია; დაფრევა, დაფრეული) - აფრქვევს, რა-იმე ფხვიერ ნივთიერებას აყრის ზემოდან.
- მარილს აფრევს ხორცზე. მოაფრეე შექარი ნამცხვარს. დააფრია კარაქწასმულ პურზე შექარი გიამ და შეჭამა.
- ა ფ შ ე ა რ ა (აფშნარის) - სარეველაა, პურის ნათესებში იყის.
- „აფშნარიათი პური გემრიელია“. (ტკბილი - გ.რ.).
- ა ფ შ უ ე ბ -ს (აფშუა, უფშუებია) - ტურს აფშუებს, - ტურს აბზუებს.
- „ყველაფერზე რომ ტურს აფშუებ, ძვილო, ამა, რა უნდა მოგიშაჯო, რა გაჭამო უკეთესი?“
- ა ფ ჭ ო ბ -ს (დააფჭო, დაუფჭვია; დაფჭობა) - სარწმუნო ფაქტებით უმტკიცებს თავის მცდარობას და აჩუქებს.
- ა ქ ვ ა ვ ე ბ ს (აქვავეა, აქვავეებია; აქვავება, აქვავებული) - ყანას ქვისაგან წმენდს. „კოლექტივის ქალები ყანებს აქვავეებენ“.
- ა ქ გ ა ვ ე ბ ს II ა ქ ვ ა თ ა ყ უ რ ე ბ -ს (მიქვათაყურა, მიქვათაყურებია; მიქვათაყურება, მიქვათაყურებული) - იგვება, რაყე, „ასირან-ვალებს“, „აბალასინებს“, „ასარგალებს“ (გადატ.მნიშვნ.) „აქვავებს-სყე, აქვათაყურებსყე, წყველისყე ისე, რომ ყურსაც ნუ გაუგონია!“
- ა ქ ლ ი ა ვ ე ბ -ს (გააქლიავეა, გაუქლიავეებია; გაქლიავება, გაქლიავებული) - სულმოუქმელად ახველებს. „ბავშვებს ხველება ბატონები ჭირსყე და აქლიავებსყე“.
- ა ქ უ თ ქ უ ო ე ბ -ს (აქუთქუთა, უქუთქუთებია) - თვალბს სწრაფად ახამხამებს, ქუთუთობს ათამამებს. „რას აქუთქუთებ, ბოზო, მა თვალბს?“
- ა ლ უ ე ა (ალუეასი) - ჩვილი ბავშვი. „რა გატირებ, ბიჭო, ალუეა ხომ არა ხარ?“

- ა მ ვ ე - აქვთ. „ბევრი ხილი აყვე ჩვე მეზობლებს“. „სანახშირზე ცეკვა აყვე გამართული ბავშვებს“.
- ა მ ვ ი რ დ ე ბ - ა (აყვირდა, აყვირებულა; აყვირება, აყვირებული) - ნათესი სწრაფად დიდი გაიზრდება. „აყვირდა სიმიინდი და ტარო კი არ გაიკეთა“. „წვიმებში ასე იყის აყვირება ნათესმა. დიდი გაიზრდება და მარცვალს კი ვერ გაიკეთებს პური, წვიმა დაალოგინებს“.
- ა მ ვ რ ი ა ლ ე ბ - ს (აყვრიალა, უყვრიალეზია) - თვალებს აყვრიალებს, - თვალებს აბრიალებს ლამაზად, მოხდენილად.
„ღამაზი ბოზია ქეთო, აყვრიალებს შავ თვალებს“.
- ა მ რ უ ლ - ი (აყრლის) - შუაყვეხლიანი სახლის ზედა სართული, სახურავ-ქვეშ, სადაც კვამლი ადიოდა. „აყრულში ფელიკებს ვკიდებდით და კაი ღორი გამოგვყავდა“.
- ა მ უ ა მ ე ბ - ს (მიაყუაფე, მიუყუაფეზია; მიყუაფება, მიყუაფებული) - საკმაოდ აძლებს, გულს უჯერებს, გულს უმსუყებს რაიმე საჭმელი:
„ხორცი აყუაფებს ჩემ ბიჭს, სხვა ვერა აძლებს რა“.
„ქადამ მიაყუაფაყვე ბაღვები, საჭმელს აღარ ითხოვენ“.
- ა მ ა ლ ე რ ა (აშალერასი; მრ. აშალერები) - ურჯხვი, მოურიღებელი, უხეში, კაპასი ქალი. „აშალერა დედა ყავდაყვე და ქალიშვილებიც აშალერები არიან, სირცხვილი იმამ არ იყიან და ხათრი, კაპასობენ და ჭრინხინობენ ურჯხვათ“.
- ა მ შ ი ს - უამრავი, ძლიერ ბევრი. აშმის ხილი აქვს და ერთ ვაშლს არ გამოიშვებებს ჩემთვინ ჩემი მეზობელი“. „აშმის ხალხია საფჭოში“.
- ა მ ო ლ ა რ დ ე ბ - ა (აშოლარდა, აშოლარებულა) - სწრაფად გაიზრდება, აბინინდება, მწვანელი, ბალახი, ნათესი. „აშოლარებულა ბოსტანში მწვანელი“. „აშოლარდა უჯული, ბიბინობს“.
- ა მ ო რ ო ს გ ე ტ ყ ვ ი - სხვათაშორის გეტყვი, სიშორელეს გეტყვი. „აშორის გეტყვი, დედამთილს არ ჩახახანობს გულში რძალი (არ უყვარს - გ.რ.), მარა შვილის ხათრით არის გაჩუმებული“. „აშორის გეტყვი, იმან არა იყის რა, მარა დიდათ ქვე მოაქ თავი, ვითამ კაი მკოდენ რამესი იყოს“.
- ა მ ო რ ო ს ღ მ ე რ თ მ ა - იგივეა, რაც „აშორის გეტყვი“. „აშორის ღმერთმა, ჩემ რძალს ღლეს არსა წასვლა არ უნდოდა, მარა ქმარს ვერ გაუტეხა ხასიეთი“.
- ა მ ო შ ი ნ დ ე ბ - ა (აშოშინდა, აშოშინებულა; აშოშინება, აშოშინებუ-ლი) - იგივეა, რაც „აშოლარდება“, ოღონდ უფრო მწვანელიც იტყვიან.
„აშოშინდა ოხრახუში, ახლა მოკრეფა შეიძლება“.
- ა მ პ ო ბ - ს (გააშპო, გაუშპია; გაშპობა, გაშპობილი) - აქრობს, კარ-გავს, წყმობს.
„სად აქროფ და სად აშპობ ასე მალ-მალე ფულს, ბიჭო? რვეულების საყი-ღლათ რომ ფული მოგეცი, სად გააშპე და გააქვრე?“ „გაუშპია ერთი კო-ლოფი კალმები გიასს, ოღონდ დაურიგაყვე ამხანაგებს“. „გააშპო და გააქ-რო ქორმა წიწილები“.

- ა მ რ ი ა ქ ე ბ-ს (გააშრობა, გაუშრობებია; გაშრობება, გაშრობე-
ბული) - I. ავადმყოფს თუ ისე შწოდარეს საბანს ხდის და აშიშვლებს.
„ნუ აშრობებ ნააკავნევ ბაღეს, გაახვიე, არ გაეიდეს“. „საბანს
ნუ მოხდი, ნუ გააშრობებ ავანტყოფს“. „ასე ადრე თბილი ტანსაცმლის
გახდა, და თხელი ტანისამოსი ჩაემა და გაშრობება არ შეიძლება,
გაცივდები“.
- ა ჩ უ ბ ა ხ-ი (აჩუბახის) - ურცხვი; მოწინააღმდეგე. „აჩუბახს რა ცხვენია,
დაწანწალობს სოფელ-სოფელ და დააქ ენები“. „ფიდი აჩუბახია, არა
ცხვენია რა აიშ ქალს, ყველაფერს ამბობს, საბჭოელია თუ არა“.
- ა ც ი ხ ა ვ-ს (აციხა, აუციხავს; აციხვა, აციხული) - მრავალ საგანს
სიმაღლეზე დააწყო. „იმდენი ფეხილი შოიტანეს მაღაზიაში, რომ ტო-
მრები ჭერამდის აციხეს“. „რაცა შეშა დაგიბია, რამხელაზე აციხიხავს“
„ეგ ქვე რაა, დასაპობიც ბევრია, დააპობს ჩემი შვილი და მეორე მხა-
რესაც აციხავს“.
- ა ც ო დ ი ნ ე ბ-ს (გადააცოდინა, გადაუცოდინებია; გადაცოდინება, გადა-
ცოდინებული) - მომჭირნეობით ხარჯავს რამეს და დანაზოგს ინახავს.
„მარტვა ერთი ძროხუკა იწველის და ვერას ვაცოდინებ ჯალაბს. ეს ერთი
ყველუკა ძლივს გადავცოდინებ და მოგიტანე“. „ფულს ვეღარ ვაცოდინებ
შვილს ჭირდება სულ“.
- ა ძ ა ლ ო რ ე ბ-ს (გააძალორა, გაუძალორებია; გაძალორება, გაძალორებუ-
ლი) - ანადგურებს, ყველას სათელად და გასანადგურებლად ხდის რამეს,
არ უღის, არ იყავს.
„გაგაძალორებიაყე იმითანე სიმინდი მოუვლელით. რატომ აძალორებთ
იმისი შემოღობვა არ შეგიძლიაყე?“ „გაგაძალორებია ბაღი, ფუჭდება
იმდენი ხილი და არა პატრონობ, ძალი და ღორი, ადამიანი და საქონე-
ლი ანადგურებს“.
- ა ძ გ ი ბ ა ვ-ს (აძგიბა, აუძგიბავს; აძგიბვა, აძგიბული) - თვალებს
აძგიბავს, - თვალებს აწევს, ქუთუთებს დასჭიმავს, თვალებს დააბრი-
ალებს, სიბრაზისაგან აინთება.
„რომ აძგიბე ე თვალები, შენი კი არავის ეშინია, რას მიზამ?“
- ა წ ა მ ა ს ი ქ ი თ - აწი, ამის შემდეგ, მომავალში.
„აწამასიქით ღმერთმა მშვიდობა მოგვეს, აგარიღოს ავი საქმე“.
„აწამასიქით ფხს ვეღარ დაადგამს ჩემ სახლში ის ურცხვი და უნამუ-
სო კაცი“.
- ა წ ა მ ე ბ-ს (ვერას აწამებს, ვერა გააწამა რა, ვერა გაუწამებია რა,
ვერასა ხდება, ვერას ახერხებს, ვერას იბოდიშებს).
„რამდენს ვაროგებ, ვეხმარები, ვეაღერებ, მარა ვერა გაცაწამე
რა, არ კითხულობს გაკეთილს მაინც ჩემი შვილიშვილი“. „ვერას აწა-
მებს ქმრის ხათრით, თუარა არ გაუცდება თვალთ დედამთლი. ამაწინათ
მიუწერი, დედამთილს წყველიდა და, რომ ვერა გააწამა რა, შვილს დაუ-
წყო წყველა, ვითამ იმას ეწყველიდი“.
- ა წ ე ე რ გ უ ლ ე ბ-ს (გააწვერგულა, გაუწვერგულებია; გაწვერგულება,

გაწვერგალებული) - მატყლის გაჩეჩვის შემდეგ წვეერი (გრძელი მატყლი) ცალკე გამოაქვს ფოთლებად, გული (მოკლე მატყლი) - ცალკე.

„წვერს ცალკე ვარაზდით საქსვლათ, გულს - სასხმად“ (სასხამი, მი-საქსოვი).

ა წ ი - ა წ ი ს აუყენებს, აწი-აწი აუყენებია, აწი-აწის აყენება) - ძლიერ წაჩხუბება. „მიუვარდაყე სახლში და ერთი აწი-აწი აუყენაყე, ქალიშვილი რომ მოტაცეს მიქელას“.

ა წ ი ა ღ ბ-ს (აწიალა, უწიალებია) - არწევს. აკავანს აწიალებს და ნანას უმღერის. „ბებიაჩემი უჯდა სულ შვილიშვილებს, აკავანს აწია-ლებდა, დედა საქმეს აკეთებდა“.

„ქარი რომ დაუბერავდა, აწიალებდა სახლს“.

ა წ ი წ ი ლ დ ე ბ-ა (აწიწილდა, აწიწილებულა; აწიწილება, აწიწილიბუ-ლი) - აპილიბილდება, სწრაფად გაბრზდება, აენთება.

„ე გლახა ბიჭუნა სიტყვას კი არ იკარებს, აწიწილდება ხელათ, თუ რა-მე შეუსწორე და დაარვიგე“.

ა ხ ა ლ თ ა ნ დ ა რ ზ ე - მოვლენის მოხდენისთანავე, ახლო ხანებში. „ქმარი რომ მოუკვდა, იმ ახალ თანდაჩზე ჩავარდა ლოკინათ საწყალი ქალი, დიხანს იავანტყოფა, მარა ახლა არა უშავს რა“. „ახალთანდა-რზე უნდა მიანადო ავანტყოფს წამალი და ავანტყოფობა აღარ გაჯალარ-დება“.

„ა ხ ა ლ-ი“ (ახლის) - ახალი მთვარის დღეები. „ახალია, ახალში კერვა არ შეიძლება“. „ახალში ბებიაჩემი არ ართავდა მატყლს, არ შეიძლე-ბათ“. „ახლებში ხე არ უნდა მოჭრა, თუარა იმისი ფიცარი მალე დაი-მ-ღილება“.

ა ხ ა ლ ი პ უ რ ი - გაზაფხულის პური (საპირისპიროა „ძველიპური“, რა-მეღოე შემოჯომამზე ითესებოდა).

„გაზაფხულზე ვთესავდიო ახალპურს, ქერს, მჭადს“ (ფეტვი).

ა ხ ა ლ ი ს უ ლ ი - ახლად მოყვანილი პატარძალი, დაახლოებით ერთ-ორ წელიწადს. „ახალი სული ვიყავი, რომ დაიბადა ჩემი მაზლიშვილი“.

„ჩემ ახალსულობაზე ხილი არ იყო ჭიორაში, ბალი არავის ქონდა, ჩვენს მეტს, ტყიდან ვზიდებდით სხალს“. „ჩემ ახალსულობაზე მოკვდა ჩემი ქმრის ბაბუა, ასოცი წლის იყო“.

ა ხ ა ფ ი ფ ე ბ-ს (ახაფიფა, უხაფიფებია) - აღერსში ზრდის, ძლიერ ეფერება, ანებიერებს. ძალიან ახაფიფებსყე ბებია შვილიშვილებს, ისე ძალიან მოფერავენბაყე არ ვარგია, დედას აღარას უჯერებენ მერე“.

„ძალიან ნუ ახაფიფებ შვილებს, გახაფიფებული შვილი არ გამოგადგება“

ა ხ ე ვ ე ნ ბ-ს (ახევენა, ახევენებია; ახევენება, ახევენებული) აქვებებს აღეღვებს, ამხედრებს, საჩხუბრად აგულიანებს.

„ახევენებს ხალხს ი გლახა ქალუკა, მიაქ-მოაქ ჭორები, დაენაობს და აჩხუბებსყე მეზობლებსაყე და სხვებსაყე“.

„დედა ყავდაყე ავი და მოსანახავი, ახევენებდა შვილებს და აჩხუ-ბებდა ხან ვისთან და ხან ვისთან. რალა ახევენება უნდოდაყე, თვითა-ნაყე ავი ძალები იყვენ“.

- ა ბ ვ ა შ ი ა ვ ე ბ -ს (გამოახვამოიავა, გამოუხვამოიავებია; გამოხვამოი-
 ეება, გამოხვამოიავებული) - საიდუმლოს ამტკიცებებს, დაფარულს აღი-
 რებს. „ახლა და ახლა ახვამოიავებს თავის გაჭირვებას თინა, თუ არა
 აქამდისი არაღის რა გაუგონია, კაის მეტი, არც მუღების სიავეზე და
 არც დედამთილზე. რომ მიჭირდა, გამოახვამოიავა ყველაფერი“.
- ა ბ ვ ე წ ე ბ -ს (გაახვეწა, გამოახვეწა...) - იგივეა, რაც „ანადებს“.
 „მოსავალს ახვეწებს ყანადან, სანემ გააუფარდებოლეს. ძალიან აჩქა-
 რის, იქნება მოანადოს სახლში ყველაფერი“.
- ა ბ ვ თ ი ს რ ი ს ხ ე ე ბ -ს (დაახეთისრისხვა, დაუხეთისრისხვებია; და-
 ხეთისრისხვება, დახეთისრისხვებული) - ხეთისრისხვას აყრის, - ძლიერ
 ტუქსავს „ახეთისრისხვებს მამა შეიღს, ხშირა რომ თვრება, მარა ვერ
 დაამტკიცია. იმ დღეს ისე დაახეთისრისხვა, რომ მე ჩავევარდი უხერხულო-
 ბაში“.
- ა ბ ი ვ ე ბ -ს (გაახივია, გაუხივებია; გახივება, გახივებული) - დიდხანს
 აჩერებს რამეს, ვინმეს ერთ ადგილას.
 „ახივებს ხარ-ურემს გზაში შიო და ჩვენც ვართ გახივებული. ვიწრო
 გზაა და წავლა არ შეიძლება“.
- „გაუხივებია შუა გზაში მანქანა მოფერს. მოშლია და ველარე იქით
 მიყავს და ველარე აქით“.
- ა ბ ი ფ ა - ერთი ახიფა - თითებზე (ცერსა და შუა თითს შორის) გადახვე-
 ული პატარა შულო.
 „ერთი-ორი ახიფა ძაფუკა მიზიარე, თუ შეგვიღვენება, შვილო“.
- ა ჯ ა ს ა რ ი ტ ე ხ ს - ნირს არ იტებს.
 „აჯას არ იტებს, მაინც აკეთებს სახლის საქმეს, მარა ქვე-კი აღარა
 შეუძლია რა, ძლივა დაბარბაჯობს“.
- ა ჯ ა ფ ა რ ე ბ -ს (დააჯაფარა, დაუჯაფარებია) - თავს აჯაფარებს - იგი-
 ვეა, რაც „თავს აბუხარებს“.
 „რას მაჯაფარებ თავს, რა მქონია შენგან?“
 „ისე კი აჯაფარებს თავს, თუ გინდა დიდი ამბავი მიუძღოდეს შეიღზე. ის
 არ იყო, რომ ქმარს კილაზე გააშორა?“
- ა ჯ ლ ა (აჯლასი) - უზრდელი, თავისუფალი ხასიათის, დაუკვირებელი.
 „აჯლა გოგო იყო თეკლე, მარა ცუდი ქალი არ გამოვიდა“.

ნ. ს უ რ მ ა ც ა

პირთა მრავლობითობის აღნიშვნის საკითხისათვის აჭარულში

სხვა სამხრეთ-დასავლური კილოების (მესხურ-ჯავახური, იმერხეული) მსგავსად აჭარულის თავისებურებას წარმოადგენს ქართული ენის აღმოსავლურ და დასავლურ დიალექტთა დამახასიათებელი მოვლენების შერწყმა¹, რაც ახსნილია მტკვრისა და ჭოროხის ხეობათა ისტორიული ურთიერთობებით. ამის ხელშეწყობა მაგალითს წარმოადგენს სუბიექტურ და ობიექტურ პირთა მრავლობითობის წარმოება აჭარულში. უნდა აღინიშნოს, რომ აჭარული კილოს შესახებ არსებულ გამოკვლევებში ეს საკითხი ძუნწადაა წარმოდგენილი და მხოლოდ მინიმუმებულია იმ საინტერესო მოვლენებზე, რაც ამ მხრივ იჩენს თავს.

სუბიექტის მრავლობითობის გამოხატვის საკითხში აჭარული მისდევს აღმოსავლურ კილოებსა და თანამედროვე სალიტერატურო ენას. დასტურდება სუბ. III პირის მრავლობითობის მაწარმოებელი სუფიქსები: -ან, -ენ, -ეს, -ნ, რომლებიც ძირითადად ისევე ფუნქციონირებენ, როგორც ახალ-სალიტერატურო ენაში. დასავლურ კილოებისათვის (ქვემოიმერული, გურული) დამახასიათებელი უნიფორმაციის ტენდენცია, რაც გამოიხატება -ენ სუფიქსის გაბატონებაში, აჭარულისათვის უცხოა, თუ არ ჩავთვლით, რომ გარდამავალი ზმნის ნამყო სრულში ზოგჯერ შესაძლებელია გვექონდეს -ენ სუფიქსი, ნაცვლად -ეს-ისა. ხშირად -ეს და -ენ სუფიქსები წინადადებაში გვერდიგვერდ გვხვდება. მაგ.: „ღობე სადმე არ დუბევიან, დადებენ, დაწვეს“ (სოფ. ნიგაზიული); „მაწა ხნის მემრენ გუშევენ“ (შუახვევი. ბსკიფა, I 44, I 6). მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ აჭარულ კილოში (ქობულეთური მეტყ-

1. ამის შესახებ იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, მესხური დიალექტის აღწერილი ანალიზი სხვა კილოებთან მიმართების თვალსაზრისით, ენიმკის მოამბე, ტ. X, თბ., 1941, გვ. 237-238.

2. შემოკლებით აღნიშნავს: ბათუმის ნ. ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ფოლკლორული არქივი, შემდეგ მოდის საქმის ნომერი და გვერდი.

3. ანალოგიური მოვლენა დამოწმებულია ჯავახურშიც: „ქათამი მოხარშენ და ჭამეს“ (ა. მარტიროსოვი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, თბ., 1984, გვ. 73).

ველებს ჩათვლით) სუბ. II პირის მრავლობითის -ეს სუფიქსის პოზიცია მკვიდრია.

ზემოაჭარულ კილოებაში სუბიექტის მრავლობითობის ამსახველ ზმნურ ფორმებში არაიშვიათად ჩნდება ენ (>ნ) ფორმანტი სუბ. პირის სუფიქსის (-ა) წინ.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში ენ (>ნ) აფიქსი დასტურდება მოქმედებით გვარის ზმნებში, რომელთაც ნ-არაიან მრავლობითში დასმული პირდაპირი ობიექტი შეეწყობა და პრეფიქსიან ვნებითებში II სერიის მწკრივთა ფორმების მრავლობით რიცხვში. სპეციალურ ლიტერატურაში ამ ფორმანტის ამოსავალ ფუნქციად აღიარებულია პირდაპირი ობიექტის მრავლობითობის აღნიშვნა, ხოლო მისი არსებობა პრეფიქსიან ვნებითში ახსნილია კონვერსიის საფუძველზე. ამ შეხედულების თანახმად, პრეფიქსიანი ვნებითი წარმოების მიხედვით, განსხვავებით სხვა ტიპის ვნებითებისაგან, პირდაპირ კავშირშია მოქმედებითთან. ამდენად მოქმედებითი გვარის ზმნას ვნებითად მოქცევისას პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ენ ნიშანი თან გადაჰყვება ვნებითი გვარის ზმნის სუბიექტის მრავლობითის ფორმებში⁴. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ პრეფიქსიან ვნებითში -ენ სუფიქსი გვევლინება თავისი ძირითადი ფუნქციით - გამოხატავს სუბიექტის მრავლობითობას⁵.

ახლად სალიტერატურო ენაში პირდაპირი ობიექტის მრავლობითობა ენ (>ნ) მორფემით აღარ გამოიხატება. ეს მოვლენა შემოინახეს მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებმა, ხოლო პრეფიქსიანი ვნებითის მრავლობითი აღნიშნული ფორმანტი მოქმედია სხვა აღმოსავლურ კილოებშიც: ქართლურ-კახურში, ფერეიდნულში, მესხურ-ჯავახურსა და მთიულურში. იხმარება აგრეთვე სალიტერატურო ენაში ახალი უინფიქსო წარმოების პარალელურად⁶. მისი გამოვლენა აჭარულის კილოკავებიდან მხოლოდ ზემოაჭარულში უფოდ მესხური კილოს მეზობლობით უნდა აიხსნას.

მიუხედავად იმისა, რომ ენ(>ნ) მორფემის გამოყენება აჭარულში სისტემატურ ხასიათს არ ატარებს, იგი ამ საკითხში ზოგიერთ თავისებურებას ამჟღავნებს.

ქვემოთ მოყვანილი ნიმუშები მიუთითებს, რომ ზემოაჭარულში -ენ ფორმანტი დასტურდება, სალიტერატურო ენის ნორმის თანახმად და აღმოსავლური კილოების ანალოგიურად, პრეფიქსიანი ვნებითის II სერიის ნაკვთების მრავლობით რიცხვში.

„შენი დიები და შენ მემრე ეცოლენიო“ (ლორჯომი. ბსკიფა, 206, 40);
„ერთიმერეს ვესროლეთ და ასე დევ(ი)პლიტენიო“ (ცეცხლამები. ბსკიფა,

4 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, თბ., 1973, გვ. 446-447; მ ი ს ი ვ ე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976, გვ. 111.

5 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, ენის განვითარების შინაგან კანონთა ერთი ნიმუში ქართულში, იკე, ტ. V, თბ., 1953, გვ. 524.

6 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, გვ. 447.
6. ლიალექტოლოგიური კრებული

137, 69); „ვერ გუძელთ ამფერი საქმე და ვეკინწლენით და ხელდახელ შევ(ი) ყარენით“ (ლორჯომი, ბსკიფა, 139, 58); „ჩემ შეილუ სახელი ნა დეგარქვა და მესტუმრენით“ (ბახუნტარაძეები, ბსკიფა, 148, 46); „წუხელ რუმ სიზ-მარები ნახეთ, ის ველაპარაკენით“ (ლორჯომი, ბსკიფა, 204, 22).

ენ (>6) ფორმანტი შესაძლებელია შეგვხვდეს სხვა ტიპის გარდაუვალ ზმნე-ბშიც:

„ერთმა და ერთმა წამყენით ქალქში“ (ბახუნტარაძეები, ბსკიფა, 148, 45); „დავრჩით იქ და ჰეფეიჯა ვინცხოვრენით“ (სტეფანაშვილები, ბსკიფა, 137, 121).

შ. ნიქარაძის „ქართული ენის ზემოაჭარულ დიალექტში“ მოყვანილია ანა-ლოგიური ნიშნები: „დავდგნეთ“ და „გავრიგდნეთ“—(II კავშირებითის ფორ-მები).

ენ ფორმანტი საკმაოდ ხშირია მოქმედებითი გვარის ზმნის სუბიექტის მრავ-ლობითობის ამსახველ ფორმებში. მაგ.:

„გააცხელეთ კინები და ტიტველ ტანზე მიაჭირენით“ (ცოცხლაძეები, ბსკიფა, 137, 57); „ბევრი რამიები დავანტრიენით“ (იქვე, 50); „გომიჰა-ზირენით აზული და ჩიმიწყნარეთ ყავარჯულში“ (გორგაძეები, ბსკიფა, 137, 2); „ყველამფერი ჩაარები მოვშინჯენით, ბევრი ცეცაღენით“ (ადაძე-ბი, ბსკიფა, 137, 89); „ამ ციყამ უხხრა, თავი დამანებენით, დამეხსენ-ით“ (იქვე, 112); „მილით და იმ ხატეჯეს ჰკითხენით, რუმ მის საქმოს რა ჰქვიაო“ (იქვე, 112); „ერთ დას ღორმეგმა ძმამ ვერ მოუარენით“ (ცო-ცხლაძეები, ბსკიფა, 137, 69); „ამ ვირს კარგ მთუარეთ, გაასუქენით (ბახუნტარაძეები, ბსკიფა, 148, 45); „ორნიემ ვჭამენით“ (სტეფანაშვილ-ბი, ბსკიფა, 137, 123); „ჩვენვე მუაციღვენით ბუჭუნჭლები“ (ლორჯომი, 204, 23); „თქვენ ამფერი სიკეთე გამიკეთენით, ამდენი ბუჭუნჭლები მომა-ციღვენით“ (იქვე, 22); „ასე შევ(ი)ტყენით (იქვე, 23); „ერთამეთი აწყა-ლა გაესწყვიტენით“ (იქვე, 27); „მისი წიერი ჯერ მე ჩემი ხელებით და-მანწკენით და შემრე თქვენ მოუსარჯენით“ (იქვე, 79); „ჩემთან მოდი და მასხრათ იმიგდენით“ (ლორჯომი, ბსკიფა, 186, 70); „ის ცინ მუარჩი-ნა ან რა უწამლენით“ (მინთაძეები, ბსკიფა, 120, 44); „ერთი თვე მად-რუნით“ (იქვე, 13); „ხოლოთ ერთი ჩემი სიტყვა დიმიჯერენით“ (ლორჯომი, ბსკიფა, 139, 41) „მე თუნდა გოდრით გადამაგდენით, თუნდა უგოდროთ“ (იქ-ვე, 41).

ძველ ქართულში ზმნის ენ (>6) ფორმანტიანი მრავლობითის ფორმა II კავშირებითში მწყობრის ნიშნად -ღ-ს ლეზლობს. ძველი ქართული ენის ეს ნორმა დაკუთვლია აღმოსავლურ კილოებში. აჭარულშიც დაიძებნება ამის ნიშნები:

„თუ არ დეიყროყინეთ, ფეშინ შევპარნეთ და შეიპარნენ“ (ლორჯომი, ბსკიფა, 193, 93);

7 ბათუმი, 1961, გვ. 90.

8 ამის შესახებ აღნიშნულია შ. ნიქარაძის წიგნში „აჭარული დიალექ-ტი“, ბათუმი, 1975, გვ. 144.

„შამან უნდა გედევარდენ სერზე და ფომან ვახვა მუსტაფამ“ (იქვე, 17); „რუმ მეფთავეს, შამან'ნა დეიპანტენ და შამშელ“ (ბახუნტარაძეაი, ბსკიფა, 120, 18).

ამროგად, ენ (>6) მორფემა ზემოაჭარღუში შეიძლება გვექონდეს არა მხოლოდ პრეფიქსიან ვნებითში, არამედ საერთოდ გარდაუვალსა და მოქმედებითი გვარის ზმნებში სუბიექტის მრავლობითობის ამსახველ ზრ-კოლოთ II სერიის ფორმებში. მოქმედებითი გვარის ზმნებში მისი მქონებლობა არ უკავშირდება პირდაპირი ობიექტის მრავლობითობას, რის საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ საქმე გვაქვს არა არქაიზმთან, არამედ ანალოგიის კანონის მოქმედებასთან. ენ (>6) მორფემის გამოყენება II სერიის მრავლობითის ფორმებში პრეფიქსიანი ვნებითიდან გავრცელდა ყოველგვარ ზმნაზე. საყურადღებოა, რომ კახურშიც შენიშნულია ენ (>6) აფიქსი, გარდა პრეფიქსიანი ვნებითისა, სხვა ზმნათა მრავლობითში (ავღნეთ, გამომყენით...): „მესხურ შატრანეში“ ნახმარია „დაუღვენიო“ ფორმა: „შეშოგვიყენეს მოლაღტენი და ველარც ჩ ნ დ ა უ ღ ვ ე ნ ი თ“⁹.

ცნობილია, რომ თანამედროვე სალიტერატურო ენაში ყოველგვარი ზმნა სავრუობიან მწკრივებში, ყოველგვარი ვნებითი წყვეტილში და სუფიქსიანი და უნიშნო ვნებითი II კავშირებითში მრავლ. რიცხვის III პირში იღებენ -ნენ დაბოლოებას, მაშინ როცა ძველი ქართული უღვლილების სისტემაში -ნენ სუფიქსი შესაძლებელი იყო მხოლოდ კავშირებით II-ში და ისიც განსაზღვრულ შემთხვევებში¹⁰. -6-ენ დაბოლოებაში შეიძლება 5 (<6) წარმოშობით პირდაპირი ობიექტის მრავლობითის ნიშანია. ახალ სალიტერატურო ენაში -ნენ დაბოლოების ფართო გამოყენება ქართლურ-კახურის შემონატანად ითვლება¹². ზემოაჭარღუში -ნენ სუფიქსი შეიძლება შეგვეხედეს -ენ-ის პარალელურად გარდაუვალი ზმნების ნამყო ძირითადად და კავშირებით II-ში. ქვემოაჭარღულსა და ქობულეთურ მეტყველებაში იგი არ გვხვდება. მაგალი „მეგემ შეიყარნენ ყველა“ (ლორჯომი. ბსკიფა, 193, 90); „ამათ ყველამ ჩაჰყნენ, ქვეით ჩევდენ“ (იქვე, 94); „გომბიებმა დეემშვიდობნენ მუსტაფას და წამოშდენ; სახში“ (ლორჯომი. ბსკიფა, 193, 75); „ამასობაში შეიყარნენ ჟუტკრები და ჩეისივნენ“ (იქვე, 20); „ამ გოგოს სახლს ამიეფარნენ“ (ოქტომბერი. ბსკიფა, 122, 8); „შიგბძოლდნენ“ (ბსკიფა, 137, 53), „იყნენ“ (ბსკიფა, 193, 18); „შეხვეწნენ“

9 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი შ ნ ა ი შ ვ ი ღ ი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956, გვ. 95.

10 სამხრეთ საქართველოს მასალები (XV-XVI სს.), ტექსტების პუბლიკაცია, ციხა, გამოკვლევები და საძიებლები ქრ. შარაშენიძისა თბ., 1961, გვ. 56.

11 ა. შ ა ნ ი ძ ე, ქართული გრამატიკის საფუძველები, გვ. 452.

12 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი, გვ. 72-73. ივ. ქ ა ვ თ ა რ ა ძ ე, იმერული დიალექტის ისტორიისათვის, შავნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 1975, №3, გვ. 121.

(ბსკიფა, 193, 25), „გადეხევიენენ“ (ბსკიფა, 120, 13); „გამიეგბენენ“ (ბსკიფა, 120, 15), „მიეხმარენენ“ (ბსკიფა, 148, 62); „ელაპარკენენ“ (ბსკიფა, 204, 16), „შეთანხმენენ“ (ბსკიფა, 204, 18); „დეიბნიდენენ“ (ბსკიფა, 137, 65), „მეიჭუტენენ“ (ბსკიფა, 137, 104); „დეიჭედენენ“ (ბსკიფა, 195, 43) და ა.შ.

სანიტერესა, რომ აღნიშნა -ნენ სუფიქსით ირბი ობიექტის მრავლობის გამოტატვის შემთხვევები ერთ წყება გარდაუვალ ზმნათა ნამყო ძირითადში. ასეთ დროს ჩვეულებრივ -ენ სუფიქსი გამოიყენება ხოლმე. მაგალითები:

„რამდენი გახდენ, რა მიემატენენ, დამითვალეო“ (გორგაძეები. ბსკიფა, 137, 2); „ამფერი ამბავი თუ როისმე დეგემართენენ“ (იქვე, 2); „შიეზარენენ და ერთიმეორეზე აგდებენ, არა ის წევდეს, არა ისო“ (ბახუნტარაძეები, ბსკიფა, 137, 45); „ამ კაცებ შეეკოდენენ“ (ბახუნტარაძეები. ბსკიფა, 120, 13).

საყურადღებოა, რომ არ შეგვხვედრია ნიმუში, სადაც -ნენ დაბოლოება I სერიის სავრცობიან მწკრივებში იქნებოდა გამოყენებული. ამის შესახებ მიუთითებს შ. ნიქარაძე: „სალიტ. ქართლის ნორმისაგან განსხვავებით უწყვეტელსა და ხოლმეობითში გამოყენებულია -ენ სუფიქსი -ნენ-ის ნაცვლად“¹³. ამ მხრივ აჭარული სიახლოვეს იჩენს ძველ ქართულთან, სადაც -ნენ სუფიქსი I სერიაში შეუძლებელი იყო. საკუთრივ ქართულ-კახურში I სერიის სავრცობიან მწკრივებში - ნენ დაბოლოების გავრცელებას წინ უსწრებდა მისი გაბატონება II სერიაში. XV-XVII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში „ნამყო უწყვეტელსა და ღონიან ვენბითი გეარის ზმნებს ნამყო წყვეტილში მრავლობითი რიცხვის ნიშნად უფრო ხშირად -ენ აქეთ და არა -ნენ“¹⁴. ამჟამადაც ასეთ შემთხვევებში იშვიათად კახურსა და უფრო ხშირად ქართულში შეინიშნება -ენ სუფიქსი¹⁵.

ზემოაჭარულში I სერიაში - ნენ სუფიქსს გამოავლენენ თავისებური ზმნები „აქეს“ და „იქმს“. სტატიკური ინფერსიული ზმნა „აქეს“ მრავლობითს იწარმოებს აწმყოს მწკრივში სუბ. III პირის -ან ნიშნით: აქენ მამ. ეს ფორმა გავრცელებულია მთლიანად აჭარულში. ზემოაჭარულში პარალელურად დასტურდება აქენ:

„სანარცხი გაქენ თუ“ (ბეშუმი); „რა გახდენ ესენი, რომ ჩემი ლოგინის ლაპარაკი აქენენ!“ (ოქტომბერი. ბსკიფა, 122, 85). „იქმს“ ზმნის მრავლობითია იქმენ. ზემო აჭარაში იხმარება აგრეთვე ფორმები: იქენ (<იქმენენ) და იქმონენ. მაგ.:

„მემრენ მათი საქმეა, რაჰაც იქენენ“ (ბახუნტარაძეები. ბსკიფა, 196, 50)

13 შ. ნ ი ქ ა რ ა ძ ე, აჭარული დიალექტი, გვ. 143.

14 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი, დიალექტიზმები XV-XVIII სს. კახურ ისტორიულ საბუთებში, იკე, ტ. IV, თბ., 1952, გვ. 264.

15 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ვ ი და გრ. ი მ ნ ა ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.

„პა წევდენ და რას ი ქ მ მ ე ნ და რას გააკეთებენო“ (ლორჯო-
მი. ბსკიფა, 193, 40);

„იქმონენ“ ზმნის ანალოგიურად არის ნაწარმოები მისი მონაცვლე ზმნა
მყოფადში იზმონენ (იზამენ): „ავატყოფობები ცაქვე ვერაფერს ვერ გ ვ ი
ზ მ მ ე ნ (ლორჯომი. ბსკიფა, 196, 57).

დასტურდება ამ ზმნათა ოდ ნიშნიანი უწყვეტლის ფორმები: იქმოდა -
მრავლ. იქმოდენ (იქდა - იქდენ-ის პარალელურად) და იზმოდა - იზმოდენ
(იხმდა - იხმდენ, იზმიდა - იზმიდენ-თან ერთად). „იქმოდენ“ ფორმა
დამახასიათებელია ქართლისათვის და დასტურდება სამწერლობო ძეგლებში
(„რუსუდანინანი“, საბას ლექსიკონი)¹⁶. სხვათა შორის გვხვდება მე-17
საუკუნეში ჩაწერილ ქართულ ზღაპრებში¹⁷. „იზმონენ“ გვაქვს ჯავახურ-
შიც .

ა ქ ნ ე ნ, ი ქ ნ ე ნ, ი ქ მ მ ე ნ, ი ზ მ მ ე ნ, ი გ -
ნ ე ნ (იყვენენ) ზემოაჭარული კილოკავის სპეციფიკური ფორმებია, რომლე-
ბიც მას გამოარჩევს აჭარის სხვა მხარეთა მეტყველებისაგან.

ენ (>ნ) ფორმანტი და -ნენ დაბოლოება დრო-კილოთა II სერიის ნაკვეთა
მრავლობითში სავესებით სამართლიანადაა მიჩნეული ზემოაჭარულის კილოკა-
ვურ საკლასიფიკაციო ნიშნად¹⁹.

ამრიგად, აჭარული სუბიექტური პირის მრავლობითის აღნიშვნის მხრივ
მიჩვენება აღმოსავლურ დიალექტებსა და სალიტერატურო ენას, იყენებს სუ-
ფიქსებს: -თ (სუბიექტურ I-II პირებში), -ენ, -ან- ნ, -ენ (სუ-
ბიექტურ III პირში).

ზემოაჭარული კილოკავი სუბიექტის მრავლობითის ფორმებში გამოავლენს
ენ (>ნ) ფორმანტს II სერიის მწკრივებში. აჭარულის თავისებურებას წარ-
მოადგენს აღნიშნული ფორმანტის გამოყენება, გარდა პრეფიქსიანი ვნები-
თისა, სხვა ტიპის ზმნებში (მათ შორის მოქმედებითი გვარისაში), რაც
ანალოგიის კანონით აიხსნება. -ნენ დაბოლოება I სერიის სავრცობიან
მწკრივებში ამ კილოში არ დასტურდება.

ახლა ვნახოთ რა თავისებურებანი შეინიშნება აჭარულში ობიექტური პი-
რის ზმნაში გამოხატვის მხრივ.

ცნობილია, რომ ძველ ქართულში მხოლოდ ნარინი მრავლობითის ფორმით
მოცემულ ობიექტს ჰქონდა ზმნაში თავისი ნიშანი. მიცემითში დასმული ობი-
ექტი, არც პირდაპირი, არც ირიბი ზმნაში არ აიხსებოდა. ახალი სალიტე-

16 ა. შ ა ნ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 545.

17 მე-17 საუკუნეში ჩაწერილი ქართული ზღაპრები (გამოსცა, გამოკე-
ლვა და ვარიანტები დაურთო მიხ. ჩიქოვანმა), კრებ. მრავალთავი, I, თბ.,
1964, გვ. 76. ამავე ზღაპრებში ვხვდებით ფორმებს: ვიქთ, იქთ (გვ. 76),
იქმოჯი (გვ. 78), მიზემდა (გვ. 111).

18 ა. მ ა რ ტ ი რ ო ს ო ე ი, ქართული ენის ჯავახური დიალექტი,
გვ. 84.

19 შ. ნ ი თ ა რ ა ძ ე, ზემოაჭარულის თავისებურებანი, ბათუმი, 1957,
გვ. 62.

რატურა ენის ობიექტურ უღვლილებაში რიცხვის გამოხატვის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა. 1. პირდაპირი ობიექტის რიცხვის აღნიშვნის ძველი სისტემა მოიშალა; 2. ობიექტური I პირის (როგორც პირდაპირის, ისე ირიბის) მრავლობითობის ნიშნად მტკიცედ დამკვიდრდა გვ- პრეფიქსი; 3. ობიექტური II პირის მრავლობითი აღნიშვნა — სუფიქსია. ამგვარად, ცვლილებები შეეხო ძირითადად ობიექტური უღვლილების პირველსა და მეორე პირებს, უფრო კი II პირს, რადგან გვ- პრეფიქსი მრავლ. რიცხვის ობიექტურ I პირში ძველ ქართულშიც იხმარებოდა, ხოლო ობიექტური II პირის მრავლობითის — სუფიქსით გამოხატვა მთლიანად ახალი ქართულის კუთვნილებაა და, როგორც გარკვეულია, დასტურდება მე-16 საუკუნიდან ისტორიული საბუთების ენაში²⁰. რაც შეეხება ობიექტურ III პირს, პირდაპირი წყობის (არაინვერსიულ) ზმნებში მისი მრავლობითობა აღნიშნული დარჩა.

ახალი ქართული ენისათვის დამახასიათებელი ეს საერთო ტენდენცია მიეცემით ბრუნვის სინტაქსური გაძლიერებისა და ზმნაში მისი მრავლობითის აღნიშვნისა, რასაკვირველია, ყველა დიალექტს მოიცავს, მაგრამ ყველგან ერთნაირად არ ტარდება. ზოგიერთი აღმოსავლური კილო თანამედროვე სალიტერატურო ენაზე შორს მიდის. მაგალითად, კახურსა და ქიზიყურში რეალური ობიექტის სიმრავლე — სუფიქსით გადმოიყვება III პირშიც: ადღევნათ მათ, მოუხარობათ მათ...²¹ საინტერესოა, რომ მსგავსი მაგალითები იმერულშიც კი დასტურდება (გამოთქვით მათ, ააღვით ისინი²²).

ამ მოვლენის საფუძვლად აღიარებულია აღნიშნულ დიალექტებში — ყვე ნაწილაკის ფუნქციური შენაცვლება — სუფიქსით. „ამ ობიექტურ ნაწილაკს (იგულისხმება — ყვე-ნ.ს.) შეჩვეულმა ფსიქიკამ მოსპობის გზაზე დამდგარი ნაწილაკის ფუნქცია თან სუფიქსს გადაუღო იქაც, კი სადაც ქართლური ან საიმერლობო ენა ჯერ კიდევ არ იხმარს ამ უკანასკნელს“²³.

რა მდგომარეობაა აჭარულ კილოში? შესაძლოა იმის გამო, რომ იგი — ყვე ნაწილაკის მქონე დიალექტთა რიცხვს არ მიეკუთვნება, აქ რეალური ობიექტური III პირის მრავლობითობა ზმნაში არასოდეს აღინიშნება.

სალიტერატურო ენის მსგავსად ზმნის ობიექტურ I პირში მრავლობით რიცხვში გვაქვს გვ- პრეფიქსი. გამოწაკლის წარმოადგენს კირნათ-მარადი-

20 ა. კ ი ზ ი რ ი ა, საერო მწერლობის ძეგლთა ენის სინტაქსის ზოგიერთი საკითხი, იკე, თბ., ტ. VI, გვ. 137.

21 არნ. ჩ ი ქ მ ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში, თბ., 1968, გვ. 276-277.

22 კ. კ უ ბ ლ ა შ ვ ი ლ ი, III ობიექტური პირის რიცხვის აღნიშვნისათვის ზმნაში ქართული ენის დასავლურ კილოებში, VIII რესპ. დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თეზისები, თბ., 1986, გვ. 27-28.

23 ბენ. ჩ ი ქ მ ბ ა ვ ა, ყვე ნაწილაკი ფრეიდენულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით, ქართული საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული, ტ. I-II, ტფ., 1923, 1924, გვ. 56.

დის მეტყველება, სადაც ობიექტური I პირის სიმრავლე სუბიექტური პირის მრავლობითის სუფიქსებით გადმოიყვამა (მიყვარან ჩვენ, მქონდენ ჩვენ, შიშინახეთ ჩვენ).

რაც შეეხება ობიექტურ II პირს, სულერთია, პირდაპირ იქნება თუ ირიბი, მისი მრავლობითობა აჭარულში პირდაპირი წყობის ზმნებში, ჩვეულებრივ, აღნიშნული რჩება. მაგალითად:

„თქვენ რომ აქედან გიგნიშვა, რას მომცემთ“ (ლორჯომი. ბსკიფა, 204, 24) „აქ რაზე ხართ მოსულიო თუ გკითხა, თქვენ უხხარით, დილა რომ გათენდება გიბტყვი და წავალთ“ (იქვე, 32); „თქვენ ის ვახშამს რომ დიგელგასს, თქვენთან ის არ დაჯდება“ (იქვე, 32); „მე აგერ მაქ თოფი, ყველას ერთი ფითილძე დაგტელტ, ჩქარა აქედან მომშორდით“ (გორგაძეები. ბსკიფა, 137, 36); „შვილებო, მე თქვენ თავიდან ვერ მოგინმარე“ (ბახუნტარაძეები. ბსკიფა, 148, 49); „ახლა მე თქვენ ყველამფერს გასწავლი და ისე მიეცეით“ (მინთაძეები. ბსკიფა, 148, 17); „ორნიეს თავებ დაგქრიო“ (მერისი); „სულიკომ თქვენ კაი საქმე გიგნიკეთა“ (ცხმორისი); „თქვენ ჩაგწერა ნათესავემა ბინაში თუ?“ (პირველი მაისი).

თუ გავითვალისწინებთ, რომ ძველ ქართულში ობიექტის რიცხვი აღნიშნებოდა მხოლოდ ერთადერთ შემთხვევაში, როცა ობიექტი პირდაპირი იყო და ნაკრებ მრავლობითში იღვა (ისიც არა იმ აფიქსებით, რომლებიც ამჟამად გამოიყენება), აჭარულში რეალური ობიექტური პირის ზმნაში აღნიშნულა წარმოგვიდგება როგორც ირქაიში.

ამრიგად, აჭარულს ობიექტის რიცხვის ზმნაში ასახვის განსაკუთრებული მიდრეკილება არ ახასიათებს. პირდაპირი წყობის ზმნებში აღნიშნება მხოლოდ ობიექტური I პირის სიმრავლე.

ახალი ქართლისათვის ნიშანდობლივი ობიექტური პირის მრავლობითის ზმნაში აღნიშვნის ტენდენციის ერთ-ერთ მთავარ ხელშემწყობ ფაქტორად სამეცნიერო ლიტერატურაში აღიარებულია ინვერსია. აღნიშნულ მოვლენას ინვერსიული წყობის ზმნებში ობიექტური საფუძველი აქვს, რადგან ასეთი ზმნების რეალური სუბიექტი მიცემითი ბრუნვითაა გადმოცემული და ზმნის ფორმის მიხედვით ირიბ ობიექტს წარმოადგენს²⁴.

გამოჰყოფენ ინვერსიულ ზმნათა ორ ჯგუფს. I. გარდამავალი ზმნის დროკილოთა III სერიის ფორმები და 2. ერთი წყება გარდაუვალი ობიექტური წყობის ზმნებისა, რომელთა ირიბი ობიექტი აქტიურია და რეალურ სუბიექტს წარმოადგენს (ჰყავს, უყვარს, ჰგონია და მისთ)²⁵.

აჭარულში ორივე ჯგუფის ინვერსიულ ზმნებში სისტემატურად აღნიშნება მიცემით ბრუნვაში დასმული პირის, რეალური სუბიექტის მრავლობითობა. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ რთულ წინადადებებს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებათ პირდაპირი და ინვერსიული წყობის ზმნები ობიექტური II პირის რი-

24 არნ. ჩ ი ქ თ ბ ე ა, მარტივი წინადადების ევოლუციის ძირითადი საკითხები; მარტივი წინადადების პრობ. ქართულში, თბ., 1968, გვ. 274-277.

25 იქვე, გვ. 274.

ცხვის გამოხატვა-გამოუხატველობით:

„რაცხა გინდანან, იმას მოქცემ“ (გორგაძეები. ბსკიფა, 137,36);
„თქვენ რა დაგასარქურო, რომ ზოელი გიგიხარდებიანო“ (მინთაძეები.
ბსკიფა, 148, 23); „მე აქ როის დაგპაიხე, თქვენ რომ აქ მოსულხარო
და ჩადრი გიგიშლიან“ (იქვე, გვ. 17).

იმისდა მიხედვით, ქართველური ენები თუ რა საწარმოო საშუალებებს
მიმართავენ ობიექტის მრავლობითობის გამოსახატავად, გარჩეულია ორი ნორ-
მა: ქართული (-თ სუფიქსის მეშვეობით) და ზანური (სუბ. III პირის მრავ-
ლობითის სუფიქსების მეშვეობით)²⁶.

სალიტერატურო ენა და დიალექტთა უმრავლესობა მისდევს ქართულ ნორმას.
აქვე შემოდიან ის ქართული დიალექტები, რომლებიც ობიექტის მრავლობითო-
ბას -ყ ნაწილაკით გადმოსყემენ, რადგანაც ამ დიალექტებში აღნიშნული
ნაწილაკის ფუნქციურ ექვივალენტად -თ სუფიქსი ჩნდება. ესენია: რაჭული,
ღეჩხუშური, იმერული, ფერეიდნული, ინგილოური, კახურ-ქიზიყური და მთიუ-
ლურ - მოხურა²⁷.

ზანურისა და სვანურის მიმდევრებად ობიექტის მრავლობითის წარმოების
საკითხში გვევლინება ქვემოიმერულ-გურული, აჭარული, მესხური და იმერ-
ხული. ხაზგასმულია, რომ დიალექტთა ამ ჯგუფში -ყ ნაწილაკი არ გვაქვს.
გამონაკლისს წარმოადგენს ქვემოიმერული, სადაც -ყ ნაწილაკი რამდენად-
მე განსხვავებული ფუნქციის მატარებელია²⁸.

საკუთრივ ზანური ობიექტის მრავლობითისათვის იყენებს სუბიექტური
III პირის მრავლობითობის ორსავე ფორმანტს, რომელიც მას გააჩნია (-ან
და -ეს). ცნობილია, რომ გურულსა და ქვემოიმერულს ახასიათებს სუბიექტ-
ტური მესამე პირის მრავლობითობის -ენ სუფიქსის უნივერსალიზაცია. ამ-
დენად ამ კილოებში ამჟამად ობიექტის სიმრავლის აღსანიშნავად მხოლოდ
-ენ და -ნ სუფიქსები გვხვდება. მაგრამ მე-17 მე-18 საუკუნეების ისტო-
რიული საბუთების ენიდან ჩანს, რომ ძველად დასავლურ კილოებში ამ ფუნქ-
ციით -ან სუფიქსიც მოიხმარებოდა. აღნიშნულ საბუთებში ნორმად გატარე-
ბულია ინვერსიულ ზმნებში მიცემითში დასმული სახელის სიმრავლის -თ სუ-
ფიქსით გამოხატვა. თუმცა აქა-იქ გაპარულია დიალექტიზმები, -ან სუფიქ-
სებით ნაწარმოები ობიექტის მრავლობითის ფორმები: „ჰქონიან“ (მათ)²⁹,

26 არნ. ჩ ი ქ ო ბ ა ე ა, მრავლობითობის აღნიშვნის ძირითადი პრი-
ნციპისათვის, იკე, ტ. I, თბ., 1946, გვ. 94.

27 ვ. თ ო ფ უ რ ი ა, გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესის
ქართველურ ენებში: შრომები, III, თბ., 1978 გვ. 180.

28 ამის შესახებ იხ. შ. ძ ი ძ ი გ უ რ ი, ძიებანი ქართული დიალექ-
ტოლოგიიდან, თბ., 1954, გვ. 151.

29 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, ს. კაკაბაძის გამოც.,
წ. I, ტფ., 1921, გვ. 114.

„გაყვებოდენ (მათ)“³⁰, „გიშავიდენ (თქვენ)“³¹, „აქვან (მათ)“³², „ქონ-
დენ (მათ)“³³, „გაქვან (თქვენ)“³⁴, „აქვან (მათ)“³⁵, „ქონდენ (მათ)“³⁶,
„გაქვან (თქვენ)“³⁷. ეს ნიმუშები მოყვანილია შ. ძიძიგურის ნაშრომში
„ქართული ისტორიული დიალექტოლოგიის საკითხები“³⁸. მათ შეიძლება დაემა-
ტოს: „დაუყვებან (მათ)“³⁹, „გვაკლიან (ჩვენ)“³⁹, „დაგვაკარგვიან (თქვენ)
იერუსალიმი“³⁸.

ამრიგად, ისტორიული საბუთების მიხედვით ირკვევა, რომ XVII-XVIII
სს. -ენ სუფიქსის უნივერსალიზაცია ქვემოიმერულსა და გურულში ჯერ არ
გვემონდა და გრამატიკული ობიექტის მრავლობითის აღსანიშნავად -ენ-თან
ერთად -ან სუფიქსიც გამოიყენებოდა.

აჭარულში, ისევე როგორც მესხურსა და იმერხულში, ფუნქციონირებს სუ-
ბიექტური III პირის მრავლობითობის ყველა სუფიქსი (-ან, -ენ, -ნ, -ეს).
ამ კილოთა ობიექტურ უღვლილებამი შესაბამისად სხვადასხვა სუფიქსებია
მოსალოდნელი. აჭარულში ასეც არის. მოცემთში დასმული რეალური სუბიექ-
ტის მრავლობითობა აღნიშნება -ენ, -ან, -ნ, -ეს სუფიქსებით. მესხურსა
და იმერხულში -ეს სუფიქსის გამოყენება ამ ფუნქციით არ შეინიშნება (გა-
მოკვლევებისა და გამოქვეყნებული მასალების მიხედვით). მაგრამ ერთის
მხრივ, მთლიანად აჭარულში მისი გავრცელებულობა, ხოლო მეორეს მხრივ, ის
სისტემურობა, რაც გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის მაწარმოებელი სუ-
ფიქსების ნაკვთთა მიხედვით განლაგებაში ვლინდება, გვაეარაუდებ აებს მას
(-ეს სუფიქსს) სხვაგანაც³⁹. ამასთან უფლებას გვაძლევს, აჭარულის ეი-
თარება განვავოგადოთ იმ დიალექტებზეც, რომელთათვისაც დამახასიათებელია
ობიექტის სიმრავლის გამოხატვა სუ-ის მრავლობითის ნიშნებით.

ახლა განვიხილოთ როგორ ნაწილდება გრამატიკული ობიექტის სიმრავლის
აღნიშვნელი სუფიქსები (-ან, -ენ, -ნ, -ეს) ნაკვთთა მიხედვით აჭარულში.
სუფიქსი -ან გვაქვს გარდამავალი ზმნის (აგრეთვე შედოაქტივის) I

30 იქვე, გვ. 141.

31 იქვე, გვ. 110.

32 იქვე, გვ. 54.

33 საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრა-
ფიო საზოგადოების გამოცემა ე. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფ.,
1920, გვ. 38.

34 იქვე, გვ. 43.

35 დასახ. ნაშრომი, გვ. 49-50.

36 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 54.

37 იქვე, გვ. 54.

38 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 39.

39 აჭარულში ობიექტის მრავლობითისათვის -ეს სუფიქსის გამოყენება
აღნიშნული აქვს შ. ნიქარაძეს (იხ. მისი „ზემოაჭარულის თავისებურება“, გვ.
44; „აჭარული დიალექტი“, გვ. 142), ხოლო ჯ. ნოღაიდელის შრომებში არ ჩანს.

თურმეობისა და გარდაუვალი ინვერსიული (ან გაინვერსიულები)საკენ მიდრეკილი) ზმნების აწმყოში. მაგალითები:

-ან სუფიქსი I თურმეობითში

„აკვანი უყიდიან და დევს, აღარ ჩუწვენიან სულ ბაღანაჲ“ (ცხემნა); „ჯამეში არ შესულან, არ უსწავლიან“ (ცხემნა); „ნახა, სახლი ლუწვიან“ (ყინჩაური. ბსკიფა, 144, 123); „მე დამმართეს, მარა ტანზე არ გუძრიან“ (ნიგაზეული); „გუზხარდა ბაბას, ომე შვილი მუკლავანო“ (ჭერი); „სამ ძმას დუნაწილებიან და სამზიარი იმითომ ქვიანო“ (ნიგაზეული); „მართალი უქმნიანო“ (შუახევი. ბსკიფა, 144, 88); „ძველებ ასე უღევან წყალი კოპიო“ (ბუთრაული); „ამ ბაღებს წერა-კითხვა არ სუოდნიან“ (ბახუნტარაძეები. ბსკიფა, 148, 104); „ბევრო უწვალთან“ (ადაძეები. ბსკიფა, 148, 104).

-ან სუფიქსი აწმყოში

„მოტეხილი სიძინდი სახში შიაქვან“ (მამადიდი); „ახლა აღარ ახსოვან“ (ბუთრაული); „მათლახები ქონიან მაგათ“ (ნიგაზეული); „თქვენ ყვირილან-ფერი კარქათ გაქვან საქმე, გიტყობიან, მარა რაცხა დარდიც გაქვანო“ (ლორჯომი. ბსკიფა, 148, 57); „ხომ არავინ გაკლიან“ (იქვე, 19); „გოგებს გუზხარდებიან“ (ზედა ჩხუტუნეთი); „უშინიან, არ გატყდესო“ (კირნათი); „ჩემ შობლებ ჩემი თავი ცოცხალი არ გონიანო“ (კირნათი); „ოთხ ძმას ერთი ქუდი ახურვან“ (ტუნაძეები. ბსკიფა, 120, 91); „წინედან ხელში უჭირვან ამ მექორწილეს ბაირალ“ (მინთაძეები ბსკიფა, 148, 15); „ყოფილა ერთი ცოლ-ქმარი და ყოლიან ერთი ბიჭი“ (ფარჩხა, ბსკიფა, 144, 176).

-ეს სუფიქსი დასტურდება სისტემატურად გარდასვალის ზმნის II თურმეობისა და იშვიათად სტატიკური ვნებითის წყვეტილში. მაგალითები:

„რომ არ გეღვიძებინათ (=გაეღვიძებინათ), ჯობდა“ (ცხემნა); „ეთხუეს (=ეთხოვებინათ) ჯაგლაგი ცხენი (ცხემნა); „აი კატები დეებანეს ამ ქალებს და ამ კანაოზე ასე დეეწყვეს, აშრობდენ“ (პირველი შაისი); „დეგეყარეს მანქანაზე, გეგეტანეს და გეგეყიდეს - მე უხარბი“ (პირველი შაისი); „ცოლი და შვილი გაევაგზაი (=გაევაგზავნენ), რომ გეერეკეს საქონელი“ (მერისი); „ზედა ზენდიღში ტყე-ტყე უნდა გადასულიყვენ და ესწავლეს იქ ჯამეში“ (ზენდიდი); „მოკლეთ ნა წიგეყანეს იქ ჩვენი ხალხი“ (ნიგაზეული); „გოგო იყო ისა, ბიჭი ეგონეს“ (ფურტო); „ქალი მართლა დაკლილი ეგონეს“ (ჩხუტუნეთი. ბსკიფა, 49, 4). - ე ნ ს უ ფ ი ქ ს ი გ რ ა - მ ა ტ ი კ უ ლ ი ო ბ ი ე ქ ტ ი ს მ რ ა ვ ლ ო ბ ი თ ი ს ნიშნად გვხვდება გარდაუვალი ზმნების ნამყო უსრულსა და აორისტში: „მანქანა თქვენ გყავდენ, ფეხი თქვენ ქონდენ და ხელი თქვენ ქონდენ“ (ლოლოგანი); „ზოელი გოჭირდენ, მარა რა ქნან“ (ადაძეები. ბსკიფა, 137, 105); „თქვენ დიგილამდენ“ (ლორჯომი, ბსკიფა, 204, 20); „ყველამფერი მიეწონე-

ნენო“ (მინთაძეები. ბსკიფა, 148, 13); „შეხედენ ერთი კაზ სოფელი“ (შუა-
ხევი. ბსკიფა, 144, 4); „მეგრე გაახსენდენ, რომ ყანაში მუელი ტკივილი
წამალი ნახა კაცმა“ (ირემაძეები. ბსკიფა, 193, 87). „მიემშენ და მენი-
ლადენ“ (იქევი, 24).

—6 სუფიქსი გვაქვს კავშირებითებში

„ჩემ შანშობლოს ქორწილი ქონდენ და შენ იქ არ იყო?“ (ლორჯომი.
ბსკიფა, 196, 58); „რასაც იტყვი, ის ყველაი მართალია და არ შეგვიზინდ-
ნო“ (ლორჯომი. ბსკიფა, 204, 32); „სიძე რომ გიყვარდენ, ასე არ დამმარ-
თებდითო“ (მინთაძეები. ბსკიფა, 120, 40).

ამრიგად, აჭარულში მიცემითში დასმული რეალური სუბიექტის მრავლობი-
თობის აღსანიშნავად გამოიყენება: 1. სუფიქსი -ან გარდამავალი და მე-
დოაქტიური ზმნების I თურმეობითსა და გარდაუვალი ინვერსიული ზმნის
აწმყოში. 2. სუფიქსი -ეს გარდამავალ რ ზმნის II თურმეობითსა და სტატი-
კური ვნებითის აორისტში, 3. სუფიქსი -ენ გარდაუვალი ზმნის უწყვეტელსა
და უწყვეტილში, 4. სუფიქსი -ნ კავშირებითებში.

ხაზგასასმელია, რომ გრამატიკული ობიექტის მრავლობითობის აღნიშნული
წარმოება აჭარულ კილოში ნორმად არის გატარებული და იშვიათობას წარმოა-
დგენს სალიტერატურო ენიდან შესული — სუფიქსიანი ფორმები. გამოქვეყნე-
ბული მასალების⁴⁰ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მესხურში მოჭარბებულია —
სუფიქსიანი წარმოება. რაც შეეხება იმერხელს, ნიკო მარისეულ ტექსტებში
ობიექტის სიმრავლე ყველა შემთხვევაში S_{γ} -ის მრავლობითის სუფიქსებითაა
გადმოცემული.

აღსანიშნავია, რომ მესხურსა და იმერხელში, აგრეთვე გურულ-იმერულ
ისტორიულ საბუთებში მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობის გამოჩე-
ბვლი S_{γ} -ის სუფიქსები (-ან, -ენ) დასტურდება იმავე ტიპის ზმნებში და
ნცკვებში მიხედვით იმგვარადვე ნაწილდება, როგორც აჭარულში.

მაგალითები მესხურიდან

„ახლა სძინავანო (დევებს)“⁴¹ - აწმყო; „ამათ ერთმანეთი ისე უყვა-
რან, რომ მტეი არ შეიძლებოდეს“⁴² - აწმყო, „ვმუშაონ და თქვენ მიგა-
ქვანან“⁴³ - აწმყო; „ამ ქალზე თვალი უჭირავან“ (გვ. 226) - აწმყო;
„ერთი ფირვი აქვანან (დევებს)“ (გვ. 26) - აწმყო; „თქვენ კი თავი გი-

40 მხედველობაშია: ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი. ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა.
ი. ქ. ა. ვ. თ. ა. რ. ა. ძ. ე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 361-
374; შ. ძ. ი. ძ. ი. გ. უ. რ. ი, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკო-
ნითურთ, თბ., 1956, გვ. 204-242. მისივე, ქართული დიალექტოლოგიის მა-
სალები, თბ., 1974, გვ. 11-106.

41 შ. ძ. ი. ძ. ი. გ. უ. რ. ი, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, გვ. 16.

42 იქვე, გვ. 32.

43 შ. ძ. ი. ძ. ი. გ. უ. რ. ი, ქართული დიალექტების ქრესტომათია ლექსიკო-
ნითურთ, გვ. 205. დანარჩენი მაგალითებიც აქედანაა მოყვანილი.

ტეხიანო“ (გვ. 205) - I თურმეობითი; „მოშენიან ამ კაცებს“ (გვ. 237)-
I თურმეობითი; „ამათ შესძენიან ძღნაბი“ (გვ. 205) - I თურმეობითი;
„პაირაბლანი არ ქონდენ მაშინ“ (გვ. 225) - უწყვეტელი; „ამათ ძალიან
შეიშინდენ“ (გვ. 232) - წყვეტილი; „ძალიან გაუკვირდენ“ (გვ. 236) -
წყვეტილი.

მაგალითები იმერხეულიდან

„მეგემ თლათ წიგვან და ძინჭან“ (გვ. 63)⁴⁴ - აწმყო; „ჯუმბუში აქევან“
(გვ. 62); „სამა გინდანან“ (გვ. 63) - აწმყო; „დეგირმანჩებს რა უქნი-
ან“ (გვ. 64) - I თურმეობითი; „თავლახანაში ადგილი ჰქონდენ თან სეა-
სებს“ (გვ. 62) - უწყვეტელი; „გაეახადეს ტანისამოსი გოგებმა, გუხნა-
რდენ, ფულიათ (გვ. 59) .- წყვეტილი; „ქოროლი ბეგებ დეძინენ“ (გვ.
16) - წყვეტილი.

მაგალითები დასავლური ისტორიული საბუთებიდან

„თქვენ ხელი არა გაქვან რა“ (1680-1710 წწ)⁴⁵ - აწმყო; „თუ იერუ-
სალიში დაგეკარგვიან, რასლა სჯული. გექნებათ“ (1650-1558 წწ.)⁴⁶ -
აწმყო; „წოლევს ტყის ქათამაძისეული სამი პარტახტები გოშქოთელიანის
კაცებს დაუყვიან და იმათ აქევან“ (მიახლოებით 1650 წ.)⁴⁷ - I თურმეო-
ბითი და აწმყო; „... მაგრამ მიტროპოლიტად კურთხევა არ ჰქონიან“
(1714 წ.)⁴⁸ - I თურმეობითი; „რომ გაიყოფოდენ, თითო შამხური სამთელი
თან გაყვებოდენ“ (1733 წ.)⁴⁹ - უწყვეტელი; „ამისი ფიქრი ქონდენ, თუ
აქ დადგეს“ (1650-1558 წწ.)⁵⁰ - უწყვეტელი.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ ობიექტის სიმრავ-
ლის სუბიექტის ნიშნებით გამოხატვა ზანურის გავლენით არის გამოწვეუ-
ლი⁵¹. საგულისხმოა, რომ აჭარულში მიცემითში დასმული პირის მრავლობი-
თობის მაწარმოებელი ზმნური სუფიქსების (-ან, -ეს) ნაკეთთა მიხედვით
განაწილება ზანურის მსგავსია. მაგალითად, მეგრულში გარდამავალი ზმნის
ინვერსიულად ნაწარმოებ I თურმეობითში გვაქვს სუფიქსი -ან:

თინენს უზიმუნ-ა(ნ) თინა „მათ გაუზომავთ ის“. ხოლო II თურმეობითში
სუფიქსი -ეს; თინენს უზიმუდ-ეს თინა „მათ გაუზომათ ის“⁵² შდრ. აჭარული
I თურმეობითი -მათ გაუზომე-ან იგი; II თურმეობითი-მათ გიეზომ-ეს იგი.

44 ნიმუშები ამოღებულია ნ. მარის შრომიდან: „Дневник поездки в Шав-
шетию и Кларджетию: тексты и разыскания по армяно-грузинской филоло-
гии, кн. УП, С.-Пб.

45 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 43.

46 იქვე, გვ. 39.

47 დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, წ. I, გვ. 54.

48 იქვე, გვ. 114.

49 იქვე, გვ. 141.

50 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 38.

51 ა. ჩ ი ქ მ ბ ა ვ ა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი, ტფ., 1936, გვ. 102.

52 ა. ჩ ი ქ მ ბ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 146-147.

ეს თითქოს უნდა განამტკიცებდეს მოსაზრებას გავლენის შესახებ. მაგრამ მეორეს მხრივ, -ეს სუფიქსი ქართულ-ზანურისათვის საერთო და ზანურის მსგავსად ძველ ქართულშიც ნამყოფი დროებში სუბიექტის მრავლობითობა (მათ შორის გარდამავალი ზმნის გრამატიკული სუბიექტისაც II თურმეობით) მხოლოდ ამ სუფიქსით გამოიყვამოდა. ძველ ქართულში ჩვეულებრივი მოვლენაა - ან, -ეს, -ნ სუფიქსთა გამოყენება გარდამავალი ზმნის III სერის ფორმებში და ობიექტური წყობის სტატიკურ ზმნებში, იმ განსხვავებით, რომ იქ ეს სუფიქსები გამოხატავენ სახელობითი დასმული სახელის მრავლობითობას.⁵³ ახალმა ქართულმა ასეთ შემთხვევებში (ინვერსიულ ფორმებში) სახელობითი ბრუნვით გადმოცემული პირის მრავლობითობის აღნიშვნაზე ხელი აიღო. ინვერსიულ ზმნებში სახელობითი ბრუნვის სინტაქსური ძალის დაკარგვას (როცხვის გამოხატვის მხრივ) შედეგად მოჰყვა ლ-ის პირის ნიშნებით ნაწარმოები მრავლობითის ფორმების მივიწყება და მიუყვამო ბრუნვაში მდგარი რეალური სუბიექტის მრავლობითობის ამსახველი -თ სუფიქსიანი წარმოების გაბატონება. მაგრამ, როგორც ვხედავთ, აჭარულში (აგრეთვე ქვემოიმერულსა და გურულში, იმერხელსა და მესხურში) ინვერსიულმა ზმნებმა შეინარჩუნეს მრავლობითის წარმოების ძველი ფორმა, მხოლოდ პირთა მიმართების, თვალსაზრისით ახლებურად გააზრიანეს იგი. სახელობითი დასმული გრამატიკული სუბიექტის მრავლობითის ფორმა გამოყენებულქნა მოცემითი მდგარი რეალური სუბიექტის მრავლობითისათვის, რასაც მოჰყვა გრამატიკული ობიექტის სიმრავლის სუბიექტური III პირის ნიშნებით გამოხატვა. შდრ.:

ძველი	აჭარული
აწმყო	ჰყვან-ან იგინი მას
უწყვეტილი სძულდ-ეს	ყავ-ან მათ იგი
I კავშირებ. - აქუნდ-ენ	ძულდ-ენ ⁵⁴
წყვეტილი ეგონნ-ეს	ქონდ-ენ
I თურმეობ. მოუქლვ-ან	ეგონ-ეს
II თურმეობ. წარიყვანნ-ეს	მუქლვ-ან
III კავშირ. წარეყვანნ-ენ	წიყვან-ეს
	წიყვან-ენ

წინა სტადიად გრამატიკული ობიექტის მრავლობითის ფორმის გადატყვევისა რეალური სუბიექტის მრავლობითის ფორმად, წარმოგიდგება არსებული მრავლობითის ფორმის გამოყენება ორსავე პირისათვის. აჭარულში ამტამად ინვერსიული ზმნის მრავლობითის ფორმით შესაძლებელია გადმოცემული იყოს სახელობითი მოცემული პირის მრავლობითობა, როცა ეს პირი აქტიურია

53 არნ. რ ი ქ მ ბ ა ვ ა, მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში I გვ. 165.

54 ახალ ქართულში წყვეტილსა და უწყვეტელში გარდავეალი ზმნის ლ-ის მრავლობითი -ენ დაბოლოება გვაქვს. გამონაკლისს არც აჭარული წარმოადგენს.

(ადამიანი). მაგ.: „ნენეს მისი გეღინები უყვარან“ (შერისი); „მე არ მეყოლა ბიჭიშვილი, სულ ციციები მეყოლენ“ (ბსკიფა, 204,56).

ამროგად, შეიძლება დავასკვნათ:

აჭარულში მიცემითში დასმული სახელის სიმრავლე სისტემატურად აღნიშნება ინვერსიულ ზმნებში, რისთვისაც გამოიყენება \mathfrak{S}_2 -ის მრავლობითის სუფიქსები: -ან, -ენ, -ეს, -ნ.

ამ სუფიქსების ნაკეთობა მიხედვით განლაგება გვარწმუნებს, რომ აჭარულს გარდამავალი ზმნის III სერიაში და ობიექტური წყობის სტატიკურ ზმნებში, სალიტერატურო ენისაგან განსხვავებით, შემოუნახავს მრავლობითის წარმოების ძველქართული სისტემა, იმ ცვლილებით, რომ მრავლობითის ძველი ფორმით გამოხატულია არა სახელობითში დასმული პირის, არამედ მიცემითით გადმოცემული რეალური სუბიექტის სიმრავლე. მრავლობითის ძველი ფორმის ახლებურად გააზრიანებას შედეგად მოჰყვა გრამატიკული ობიექტის მრავლობითისათვის \mathfrak{S}_2 -ის მრავლობითის სუფიქსის გამოყენება.

ინვერსიულ ზმნებში მრავლობითის გამოხატვის საკითხში აჭარული გვერდით უდგას დიალექტებს: ქვემოიმერულს, გურულს, იმერხეულს, მესხურს. აჭარულის შესახებ გაკეთებული დასკვნები ამ დიალექტებზეც შეიძლება გავრცელდეს.

თ. უ თ უ რ გ ა ი ძ ე

ნასესხები სიტყვები დიალექტურ
ლექსიკაში

ამჟამად გვიანტერესებს ორი საკითხი: (1) სიტყვათა ცვლილების ძირითადი სახეები სესხების დროს და (2) როგორ უნდა მოხდეს ამ ცვლილებათა ასახვა დიალექტურ ლექსიკონებში.

დიალექტებში ჩვეულებრივია ისეთი ნასესხები სიტყვები, რომლებიც საერთოა მთლიანად ენისათვის: ნასესხები კ ა ლ ა მ ი, ტ ა ბ ლ ა, კ ე ლ ე პ ტ ა რ ი, ნ ა ვ ი და მრავალი სხვა ქართული ენის ყველა დიალექტშია გავრცელებული. ამათ გვერდით არის მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტისთვის ან დიალექტთა ერთი უკუფისთვის დამახასიათებელი ნასესხობანიც, რომლებიც დიალექტურ ქვესისტემებს ახასიათებს სპეციფიკური პირობების გამო. ორსავე შემთხვევაში სესხების ზოგადი კანონზომიერება საერთო ბუნებისაა: გამსესხებელი ენიდან სიტყვები შინაარსისა და ფორმის მიხედვით ან უკვლელად გადადიან შესესხებულ ენაში, ანდა ხდება გარკვეული ცვლილებები ფორმისა და შინაარსის მიხედვით. ამ ფაქტორებისა შეიძლება გამოიყოს სიტყვათა სესხების ოთხი ძირითადი სახე:

1. ს ი ტ ყ ვ ე ბ ი ფ ო რ მ ი თ ა ც ე დ ა შ ი ნ ა ა რ ს ი თ ა ც ე უ ც ვ ლ ე ლ ა დ გ ა დ ა დ ი ა ნ ე რ თ ზ ე ნ ი დ ა ნ მ ე ო რ ე შ ი. „უკვლელად“ გარკვეულად პირობითია ამ შემთხვევაში: ვარაუდობს მხოლოდ ფანეზური შედგენილობისა და მნიშვნელობის შენარჩუნებას, თორემ ფონიკურ და პროსოდიულ დონეზე სხვაობა უფოდ იქნება (ბგერათა არტიკულაცია, წარმოთქმის მელოდიკა).

სიტყვის უკვლელად სესხების მაგალითად შეიძლება დავასახელოთ წოვათუშური კ ა ლ ტ „ხაჭო“ და თუშ.-ხეცს. კ ა ლ ტ-ი „ხაჭო“; შდრ. ჩაჩნ. კ ა ლ დ და ინგუშ. კ ო ლ დ „ხაჭო“.

ერთი შეხედვით უდავო ჩანს, რომ თუშურ-ხეცურულში კ ა ლ ტ ი ნასესხებია წოვათუშური ენიდან, მაგრამ ამ დებულების მიღებამდე ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი, კერძოდ: (ა) სიტყვა კ ა ლ ტ ი თუშურში შეიძლება მიგველო ჩაჩნ. კ ა ლ დ-ისაგანაც ლაღტ ცვლილების გზით (შდრ. თუშ. წალტი „წალდი“). საერთოდ ქართულში, კერძოდ მთის დიალექტებშიც, მიდრეკილება ჩანს სონორთა მომდევნოდ მჟღერთა დაჟრუბისა: ცლდომა-ვლტომა, რამდენი (რამთენი) რამტენი, იმდენი (იმთენი) იმტენი ან იმდენი (იმთენი) იმტენი და სხვ.

ასეთ ვითარებაში თვით წოვათუშური ენის კ ა ლ ტ შეიძლება მიგვეჩ-

ნია თუმური კილოს გავლენის შედეგად, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ, რომ, ერთი მხრით, ჩაჩნურ-ინგუზურსა და, მეორე მხრით, წოვათუმურს შორის კანონზომიერია შესატყვისობა *მ ე ლ ე რ ი ხ შ უ ლ ი: მ ე ვ ე თ რ ი ხ შ უ ლ ი* გარკვეულ პოზიციებში (ხმოვნებს შორის, ხმოვანთა და სონორთა მომდევნოდ¹) და ეს გვაქვს ისეთ ნასესხობებშიც, სადაც ქართულ დიალექტებში არ ივარაუდება შიდა ფონეტიკური ცვლილებები [მაგ., ჩაჩნ. *შ ა დ, ინგუშ. შ ო ღ; წო. შ ა ტ „კვანძი“; „მარყუტი“²* და ხევს. -თუმ. *შ ა ტ ი „კვანძი“ (თუმ.), „მარყუტი“ (ხევს.)³*], უნდა ვივარაუდოთ, რომ თუმურ-ხევსურულში *კ ა ლ ტ ი* ნასესხებია წოვათუმურიდან. მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნახურ ენებში ეს შესატყვისობა გვაქვს ისეთ სიტყვებშიც, რომლებიც ქართულ დიალექტებს არ უსესხიათ (მაგ., ჩაჩნ.-ინგუშ. *ფ ა რ ი დ; წო. ფ ა ჯ ი ტ „ბაყაყი“⁴*) და ისიც, რომ ხევსურულ დიალექტში წაღწევი *ლდ* არ გადასულა *-ლტ* კომპლექსში⁵.

2. *ს ე ს ხ ე ბ ი ს დ რ ო ს ი ც ვ ლ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ო რ მ ა, უ ც ვ ლ ე ლ ი ა შ ი ნ ა ა რ ს ი;* მაგალითად: თუმ. *ჰ ა ლ ა! ჰ ა ლ ა!* „ზევით! ზევით!“ (ხენის დროს ხარებს შესაძებენ პირიქითის ხეობაში, თუ ზემოთ სურთ მათი აყვანა ნახნავის კვალის გასასწორებლად). *ჟ ა ლ ა* ნახური ზმნიზედაა, ნიშნავს „ზემოთ“, „ზევით“. სიტყვის ფორმის ცვლა აქ გასაგებია - თუმურ დიალექტს არა აქვს ლარინგალური /ჰ/ და მის ადგილზე ხმარობს ჰომორგანულ /ჰ/ ბგერას. ასევე ხევს. *ა ფ ი - კ ა „კოვზი“⁶* ნასესხებია ნახურიდან: შდრ. წო. *ა ბ ი კ, ინგუშ.*

ა გ და ჩაჩნ. ა ზ ა გ „კოვზი“. ხევსურულს არა აქვს /ა/ ბგერა და აღნიშნული სიტყვის სესხების დროს ამ ბგერას საერთოდ კარგავს.

3. *ი ც ვ ლ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ი ს შ ი ნ ა ა რ ს ი, ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა ფ ო რ მ ა;* მაგ., თუმ. *მ ე კ რ* „საწოლის სახეობა“; შდრ. ჩაჩნ. *მ ე კ ა „ფარცხი“* (წოვათუმურში ამის შესატყვისად სავარაუდებელია *მ ე კ, ბოლო ა-ს* დაკარგვით. ამჟამად წოვათუმები ამ მნიშვნელობით ხმარობენ ქართულ ფარცხ-ს). წოვათუმურ ენაში დღეს *მ ე კ* იხმარება *ტ ა ხ ტ ი ს* მნიშვნელობით, როგორც თანამედროვე თუმურ კილოში. ადრე თუმურში *მ ე კ ი* განსხვავებული იყო ტახტისაგან: *მ ე კ ი* იწვნებოდა წინელებისგან და გვერდებზე ფიცრები ჰქონდა აკრული, შიგ ჩალა ეყარა.

შინაარსობრივი ცვლილების თვალსაზრისით ფრიად საყურადღებოა სიტყვის მნიშვნელობის გაფაროება ან დავიწროება ბილინგვის მეტყველებებაში არამომბოლოო ენის გავლენით (ე.წ. ალგებრული გავლენა). მნიშვნელობის გა-

1 A l f S o m m e r f e l t, Etudes comparatives sur la causative du nord - est, NTS, 5, B.IX, Oslo; გვ. 138.

2 იქვე, გვ. 139.

3 ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, ხევსურულის თავისებურებანი, 1960, თბ., გვ. 249 და 287.

4 A l f S o m m e r f e l t, დასახ. ნაშრ., გვ. 139.

5 ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 278.

6 ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. 296.

ფართოების ნიშნად შეიძლება დავასახელოთ ფერეიდნული კილოს კ ი თ ხ ვ ა , რომელსაც ამ დიალექტში ორი მნიშვნელობა აქვს: (ა) ი კ ი თ ხ ა - „იკითხა ამაზე“ და (ბ) „იკითხა იმ ბიჭმა“ - „იმერა იმ ბიჭმა“, მაშასადამე, კ ი თ ხ ვ ა იხმარება შ ე კ ი თ ხ ვ ი ს ა და მ დ ე რ ი ს მნიშვნელობით. ფერეიდნულში სიტყვის მნიშვნელობის გაფართოების მიზეზი არის სპარსული ენის გავლენა: სპარსული *xāndān* იხმარება აღნიშნული ორი მნიშვნელობით.

თეორულად მოსალოდნელია ამის საპირისპირო მოვლენაც, როცა სიტყვის მნიშვნელობა ეიწროვდება სხვა ენის გავლენით.

4. ს ე ს ხ ე ბ ი ს დ რ ო ს ი ც ე ლ ე ბ ა ს ი ტ ყ ვ ი ს ფ ო რ მ ა ც დ ა შ ი ნ ა ა რ ს ი ც ; მაგალითად: თუშ. ყ ო ყ ო ა „მატი-ბუტი“ ბავშვთა ენაზე; შდრ. წთ. ყოყ „თესლი“; ასევე ხევს. ყ უ ყ უ ნ ა „მარცვლი“ ბავშვთა ენაზე; შდრ. ჩარნ. -ინგუშ. ჰ უ „თესლი“; „მარცვლი“.

შესაძლოა ნასესხებმა სიტყვამ ენის ქვესიტემებში (resp. დიალექტებში) განიცადოს გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები, ე.ი. ნასესხობას ემატება შიდაენობრივი ცვლილებები. ამის ნიშნად განვიხილოთ ქართ. კ ა თ ხ ა , რომელიც ნასესხები ჩანს სპარსულიდან.

სპარსული ყ ა დ ა შ -ის / qadah / „კათხა“ ქართული შესაბამისი კ ა თ ხ ა გვაეარაუდებინებს, რომ ყ ა დ ა შ ქართულში გადმოსულა კ ა დ ა შ ა - ს სახით, სხვანაირად თხ კომპლექსი ვერ აიხსნება კ ა თ ხ ა ფორმაში; ყ/კ მონაცვლეობა სპარსულიდან ქართულში სიტყვათა სესხების დროს საკმაოდ ხშირია, მაგალითად; ყაჭიე / qaxije / „როთმა“; შდრ. ქართ. კაჭია; სპ. ყომამშ / qomax / „მასალა“; „ქსოვილი“; „მანუშაქტურა“; შდრ. ქართ. კუმაში; სპ. ყაღამ / qālm / „კალამი“; შდრ. ქართ. კალამი...

სიტყვის ბოლოს არაბულ-სპარსულიდან ქართულში სიტყვათა სესხების დროს ა-ს მომატების შემთხვევა სხვადასხვა ანბანს: არაბ. ვ ა ზ ნ / waḡn / „წონა“, „ზომა“; შდრ. ქართ. ვ ა ზ ნ ა ; სპ. დ ა ჭ / daʃ / „ფიციარი“ და ქართ. დ ა ჭ ა .

მაშასადამე, სპ. ყ ა დ ა შ , ქართ. კ ა დ ა შ ა სესხების პირველ ეტაპზე, შემდეგ კი ცვლილება ასე უნდა წარმართულიყო: კ ა დ ა შ ა > კ ა დ ა შ ა > კ ა თ შ ა > კ ა თ ხ ა . უკრ სამმარცვლიან კ ა დ ა შ ა -ში ამოვარდნილა შუა მარცვლის ა ხმოვანი; სამმარცვლიან სიტყვებში შუა ხმო-გნის ამოღება ხშირია როგორც ნასესხებ, ისე ქართულ სიტყვებში, მაგალი-

7 ფ.Г.У т у р г а и д з е, Д.З.Ч х у б и а н и ш в и л и, Д.Г.И у н а ш в и л и, Об изменении диалекта в историческом аспекте (на материале фреййданского говора нахетинского диалекта грузинского языка; Сопещание по общим вопросам диалектологии и истории языка; Тезисы докладов и сообщений (Душанбе, 12-15 ноября, 1979), М., 1979, с. 140.

8 ალ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი, დასახ. ნაშრ., გვ. I.

9 გ - წ ე რ ო თ ე ლ ი, მეტრი და რიჟა ვეფხისტყაოსანში, თბ., 1973, გვ. 51.

თად: ძვ. ქართ. ლანკანა > ლანკლა (ლანკნა) ლაკნა (შდრ. ბერძნ. *λεγκή* და ლათ. *lakuna*)! ძვ. ქართ. ო რ მ ე ო ც, ს ა მ მ ე ო ც, ო ა ხ მ ე ო ც და შესაბამისად ახ. ქართული ო რ მ ო ც, ს ა მ ო ც, ო თ ხ მ ო ც; კახ. პ ა ტ რ ა; შდრ. პ ა ტ ა რ ა, ქართლ. ხ ა ლ რ ა; შდრ. ხ ა ლ რ ა; შთ. რ უ რ ღ ა; შდრ. რ უ რ ღ ა (რუს. *рураго*). კახურსა და ფერეიდნულში ხმოვნის დაკარგვით ჩანს მიღებული სოფლის სახელები ა ხ შ ა ნ ი (კახ.) და ა ხ რ ა (ფერ.); ა ხ ა ლ შ ე ნ ი > ა ხ ლ შ ე ნ ი > ა ხ შ ე ნ ი > ა ხ შ ა ნ ი; ა ხ შ ა ნ ი > ა ხ შ ა > ა ხ რ ა.

ხმოვნის ამოღება სამ- და მებმარცვლიან სიტყვებში საერთოდ დამახასიათებელია ქართველური ენებისათვის (სვან. დ ე დ ფ ო ლ, დ ე დ ბ რ, ა ნ გ ლ ო ზ და სხვ. მეგრ. წ ი წ ღ ა, კ ა რ დ ღ ა, კ ი რ ღ ე და სხვ.)¹⁰.

ხმოვნის ამოღების შედეგად მიღებულ კადშა-ში ჯერ ხდება ასიმილაცია: კადშა > კათშა, ხოლო შემდეგ თქვამის ქართლისთვის ბუნებრივ ახ კომპლექსში: კ ა თ შ ა > კ ა თ ხ ა.

კ ა თ ხ ა, გარდა სალიტერატურო ენისა, გვხვდება ქართული ენის რიგ დიალექტში: გურულში, ღერხუმურში, ხეცსურულში¹¹.

კ ა თ ხ ა ფორმას ქართულ დიალექტებში გაუჩნდა ცარიანტები: კ ო - თ ხ ო, კ ო რ ხ ო, კ ო ნ რ ხ ა / კ ვ ა ნ რ ხ ა.

კ ო თ ხ ო დადასტურებულია რაჭულში (მასალები საქართველოს შინამრეწველობისა და ხელოსნობის ისტორიისათვის, ტ. II, ნაწ. I - ქვემოთ შემოკლებით - შინამრეწვ.) და აჭარულში¹²; კ ო ნ რ ხ ა დადასტურებულია ხეცსურულში, ფშარსა და კახურში (შინამრეწვ.), თუშურში კი დასტურდება კოჩხო. კვანჩხა აღნიშნულია ზემო სამეგრელოს სოფ. ხეცერაში (შინამრეწვ.)

კ ო თ ხ ო, კ ო ნ რ ხ ა / კ ვ ა ნ რ ხ ა, კ ო რ ხ ო ვარიანტებია კათხა ფორმისა.

კ ო თ ხ ო - ში /ო/ ხმოვანი სიტყვის პირველ და მეორე მარცვალში მიღებულია /ა/-საგან ფარინგალური /კ/-სა და /ხ/-ს გაცვლით. მაგალითები ასეთი ცვლილებისათვის სხვაც არის ქართულში: კატოში/კოტოში, კაწახი /კოწახი.

ფარინგალურმა თანხმოვანმა შეიძლება ისეთივე გაცვლია მოახდინოს მეზობელ არალაბიალურ ხმოვანზე, როგორც ლაბიალურმა თანხმოვანმა. სწორედ ამის საფუძველზე გაერთიანდა ფარინგალიზაცია და ლაბიალიზაცია ერთ საერთო დიფერენციალურ ნიშნად¹³.


10 იხ. მაგალითად: ს. ე დ ე ნ ტ ი, სვანური ფონეტიკის ძირითადი საკითხები, თბ., 1949, გვ. 111-112; მ. ც ი კ ო ღ ი ა, რედუქციისათვის მეგრულში: სტუდენტთა სამეცნიერო შრომების კრებული, V, თბ., 1950.

11 აღ. ღ ღ ო ნ ტ ი, სიტყვის კონა, I, თბ., 1974.

12 შ. ნ ი ე ა რ ა ძ ე, ქართული ენის ზემოაჭარული დიალექტი, ბათუმი, 1961, გვ. 252.

13 Р.Я ко б со н, М.Х а л л е, Фонология и её отношение к фонетике, III, II, с.253.

რაც შეეხება თხ კომპლექსის გადასვლას ჩხ-ში, ე.ი. თ-ს აფრიკატიზაციას შარშინულ კომპლექსში, ესეც ბუნებრივი ჩანს ქართული ენისათვის. აქ მთელ სისტემასზე შეიძლება ლაპარაკი, კერძოდ შემთხვევებზე, როდესაც შარშინულ კომპლექსთა დენტალური სამეულის მარტივი თანხმოვნები გადაიქცევიან აფრიკატებად. სქემატურად ეს ასეა სახეს მიიღებს:



ენახთ ნიმუშები (მაგალითები ძირითადად აღებულია ალ. ლონგის სი-ტყვის კონიდან, ტ. I და ტ. II).

თხ/ცხ: თ ხ მ ე ლ ა / ც ხ მ ე ლ ა, ფ ე ნ თ ხ ი (ქიზ., გურ.).
/ ფ ე ნ ც ხ ი (გურ.) და ფ ე ნ ც ხ თ (იმერ.).

თხ/ჩხ: კ უ თ ხ ე / კ უ ჩ ხ ე (იმერ., რაჭ.), კ თ თ ხ თ / კ ჩ ჩ ხ თ.

დღ/ჯღ: ბ ა რ დ ლ ე ი, ბ ა რ დ ლ ე ი ა ნ ი (ინგ.) / ბ ა რ ჯ ლ ა ე ლ ა Ⴀ Ⴀ (თუშ.).

ტხ/ჭხ: ტ ხ უ ბ ი / ჭ ხ უ ტ ი, ტ ხ უ ბ ა ლ ა / ჭ ხ უ ბ ა ლ ა (რაჭ.), ტ ხ ი ბ ი (<ტ კ ი ბ ი) / ჭ ხ ი ბ ა (ლეჩხ.).

ტ ხ ი ბ ი ა ნ ი (ლეჩხ.) / ჭ ხ ი ბ ი ა ნ ი (გურ.).

ზემოთ მივუთითეთ აფრიკატიზაციის გარკვეულ მაგალითებზე, რომლებიც გვიჩვენებდა ხშულთა აფრიკატიზაციისათვის შარშინულ კომპლექსებში. აქ წარმოდგენილი შარშინული კომპლექსები მზარდი ნაპრალოვნობისაა - ხშულს მოსდევს ნაპრალოვანი. აფრიკატიზაციის ადგილი აქვს მზარდი ნაპრალოვნობის სხვა კომპლექსებშიც (კომბინაციაში-ნაპრალოვანი+ნაპრალოვანი)¹⁴, როგორცაა: სხ, შხ, ზღ; სხვა/ცხვა, ცხო; შხამა (მცენარეა) / ჩხამა, ზღენი/ძღენი, ზღარბი/ძღაბლი, ძღნაბი...

დგება კითხვა: რამდენად უნდა აისახოს დიალექტურ ლექსიკონებში სესხებისას მომხდარი ცვლილება და შიდაენობრივი ფონეტიკური ცვლილებები?

იმის გამო, რომ დ ი ა ლ ე ქ ტ უ რ ი ლ ე ქ ს ი კ ო ნ ე ბ ი ს დ ა ნ ი შ ე ნ უ ლ ე ბ ა ძ ი რ ი თ ა დ ა დ ა რ ი ს ლ ი ნ გ ვ ი ს ტ უ რ ი ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ი ს მ ი წ ო დ ე ბ ა ე ნ ი ს მ კ ვ ლ ე ე ა რ თ ა თ ვ ი ს, ჩვენი აზრით, საჭიროა ამ ცვლილებათა ასახვა ასეთ ლექსიკონებში. რა თქმა უნდა, ვრცელი მსჯელობა ცვლილებების შესახებ ლექსიკონში ვერ გაიმართება, საჭიროა დიალექტური ფორმის გვერდით ფრჩხილებში ვუჩვენოთ ცვლილების გზა შესაბამის ფორმათა რიგის დაკვირვით, ასე მაგალითად:

14 მზარდი ნაპრალოვნობის კომპლექსთა შესახებ იხ. ი. თ. უ თ უ რ გ ა - ი. ძ ე, ქართული ენის ფონემატური სტრუქტურა, თბ., 1976.

თ უ შ უ რ ი კ ი ლ ს ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი

ე რ ა წ უ ნ ა ჯ ი პატარა ყურიანი ქვაბი (შდრ. ბაცბ. პერწო „ქვა-
ბი“).

კ ო რ ხ ო ა კათხა [შდრ. სპ. ყადაშ (>კადაშა > კადშა > კათშა > კა-
თხა > კოთხო > კორხო)].

ფ ე რ ე ი დ ნ უ ლ ლ ე ქ ს ი კ ო ნ შ ი

კ ი თ ხ ვ ა კითხვა; მღერა (შდრ. სპ. ხანდან „კითხვა; მღერა“) და სხვ.

წავლილი არ არის, მაგრამ ბიძინა ფრანკუს დაკვირვება ვაჟა-ფშაველას სიმფონიის მასალაზე ნათელს ხდის, რომ სხვა ენათა მონაცემებზე მიღებული დასკვნები ზოგად ხაზებში ქართულ მასალაზეც ვრცელდება.

კერძოდ, ბ. ფრანკუა მიუთითებს, რომ ყველაზე ხშირადხმარებული ასიოდე სიტყვიდან, რომლებიც ტექსტის ერთ მეოთხედს ფარავს, მხოლოდ ათიოდეა ჩვეულებრივი სრულმნიშვნელობიანი სიტყვა (სექვა, იცის, გული, დღე, საქმე, ხელი, ხმა, კარგი, ხალხი...), დანარჩენთაგან პირველ რიგში დასახელებულია: ნ ა წ ი ლ ა ე ე ბ ი (არ, არა, აღარ, არც, ვერა, აბა, აი, განა, მაინც, მაშ, ხომ...); თ ა ნ დ ე ბ უ ლ ე ბ ი; წ ი ნ, თავეზე; კ ა ვ-შ ი რ ე ბ ი; ან, და, თუ, როგორც, რა...; მ ე შ ე ე ლ ი ზ მ ნ ა; არის, არი, ხარ, ვარ, იქნება, იყო...; რ ი ც ხ ე ი. თ ი ს ა ხ ე ლ ი; ერთი, დიდი მეტი, ყველა...; ნ ა ც ე ა ლ ს ა ხ ე ლ ე ბ ი და ზ მ ნ ი-ს ა რ თ ე ბ ი.

შემდგომი მსჯელობა ნაწილაკებს შეეხება. სიხშირის თვალსაზრისით არც დიალექტური ტექსტია შესწავლილი, მაგრამ მკვლევართა შთაბეჭდილება მსგავსია, კერძოდ, ნაწილაკები გაყილებით უფრო ხშირად გამოიყენება დიალექტურ მეტყველებაში, ვიდრე სამწერლო ენაში. საამისო საფუძველს ზეპირი მეტყველების სპეციფიკა ქმნის.

სამეტყველო პროცესს ერთგვარი შემოქმედებითი ხასიათი აქვს. იგი წინასწარმოუზმადებელი, ბუნებრივი სამეტყველო აქტია, რომელიც სწორხაზოვნად მიმდინარეობს. ზეპირი მეტყველების თავისებურებათა უპირველესი მიზეზია აზროვნების პროცესისა და ვერბალიზაციის პროცესის სინქრონიულობა.

ინფორმაციონი ზოგჯერ ვერ ახერხებს, თუ ვერ ასწრებს საბეჭდო შინაარსის ლოგიკური თანამიმდევრობით, შეუფერხებელიც გადაწყვეტას. ამიტომ ანაწევრებს შინაარსს, ახდენს მის დაყოფას ფრაზებად, აცირე სეგმენტებად, ზოგჯერ უბრუნდება ნათქვამს და დამატებითი განმარტება შეაქვს, რომ მსმენელისათვის გასაგები გახალს ინფორმაცია, ზოგჯერ კი ღუბლირებას ახდენს საჭირო ეფექტის მოსახდენად და სხვა. ამას ემატება სამეტყველო პროცესისათვის დამახასიათებელი სიტუაციური რეაქციების რეგისტრირების აუცილებლობა. ყოველივე ეს ხდება მოდალური სიტყვებისა და ნაწილაკების ჩარევით, განმეორებით, წერათა გადაადგილებით, რითაც გაიხაზება მთქმელის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ან ახალი ინფორმაცია. ხდება ტექსტის აქტუალური დანაწევრება. მიმართვის ფორმათა ხშირი გამოყენებაც გაბმული ტექსტის დანაწევრების, აზრობრივი მანაკვეთების გამოყოფის ერთ-ერთი საშუალებაა. ზემოაღნიშნული მოვლენები ხშირ შემთხვევაში ინტონაციურადაც გამოყოფილია⁵.

4 ბ. ფრანკუა, ქართული ენის ლექსიკოლოგია, თბ., 1974, გვ.180.

5 ამ საკითხებზე დაწვრილებით იხ. Кв.К о ж е в н и к о в а, 0 с м ш л о б о м с т р о е н и и с п о н т а н н о й у с т н о й р е ч и, გვ. 512-523; Вл.Б а р н е т, К принципам строения высказываний в разговорной речи, გვ. 524-228; Ст.Д и м и т р о в а, Актуализация предложения и ее зависимость от степени осведомленности адресата, გვ. 546-553. Новое в зарубежной лингвистике, М., 1985.

მაგალითად გამოდგება დიპლექტური ტექსტის თითქმის ყოველი გვერდი. ერთი კი უნდა გაიხაზოს, რომ ამგვარი ანალიზისთვის ვარგისია ძირითადად ის მასალა, რომელიც მაგნიტოფონის ფირზეა ჩაწერილი და ზედმიწევნით სიზუსტით გადატანილი ქალაღზე. ამას მოწმობს ერთ სოფელში ორი სხვადასხვა მეთოდით ჩაწერილი მასალის შედარებაც.

ზემომოყვანილი მსჯელობის საილუსტრაციოდ მოვიყვანო ქართლი ჩაწერილი ტექსტის ერთ მონაკვეთს:

ერთხელ ერთი ქალი მოიდა მუხრანიდან, აქედან არი, ა ი იქა ცხოვრობენ, ა ი, დაშლილი სახლი რაა. ა რ ც გზა იყო, არაფერი. ურმებით მოვიდნენ. თავისივე ქვაბი მიიტანეს, საკლავი. ქ ვ ა ბ ი ც კ ი წ ა მ ე ე-ღ ო თ, რა ჩვენ ქვაბში მოვხარშოთ. დაჰპატივა ამ ქალეფსაც, რძლეფსა. ამ რძლეფსაც სულმა წასძლია, გ ო გ ო, ყურძენს მათ ტ ა ნ დ ე ნ ო, ხილს მ ა ი ტ ა ნ დ ე ნ ო, შიგ ხატში შახუხუნდენ. ისე გახდა ის ქალი, ი ს, ე ი ნ ც ს ა კ ლ ა ვ ი დ ა კ ლ ა, რა სუ პირით მიწასა გლეჯავდა, ი ს ე ც უ დ ა თ გ ა ხ დ ა, მ ა შ, მ ა შ, ი ს ე ც უ დ ა თ გ ა ხ დ ა, რ ა ვ ი, ი ს ი ნ ი ა რ გ ა ხ დ ე ნ დ ა ვ ი ნ ც დ ა შ ბ ა ტ ი ჟ ა დ ა ს ა კ ლ ა ვ ი მ ო ი ყ ვ ა ნ ა მ უ ხ რ ა-ნ ი დ ა ნ, ი ს ძ ა ლ ი ა ნ ც უ დ ა თ გ ა ხ დ ა.

დაუხვევის, ა ი, ფოილებს ეეძახით, მიზნით გამოუვიდა მაგისი, დაილოცოს მაგისი მადლი. ა ი ბებრებმა იყოდენ, ფოილებს ხომე დაახვევდენ, რ ა ვ ი, ა ი მატყლიანგან არი წმიდად გამოშობილი და კოვზზე გადაახვევდენ, ა ი ე ს ე კ ო ვ ზ ე გ ა დ ა ა ხ ვ ე ვ დ ე ნ, შ ე ო-ღ ო, იმ გრძლად გაგრძელებულ მატყლსა, ა ი, ე ს ე ორპირადა და თუ დამიზნებულნი იყო, ცალწერიც გადმოვარდებოდა ისა, თ უ მ ი ზ ე ზ ი-ს ა ი ყ ო... უკანუბანი, IV, 9-10⁶.

ზოგჯერ ინფორმატორს უჭირს აზრის კორექტის მოძებნა, არაარსებობის გამოტოვება, გადმოსაცემი შინაარსის ლოგიკური დაკავშირება. აქვე ნაწილაკები თავის როლს თამაშობენ. მაგალითად,

... მიდოდნენ ეკლესიებში. ... ღამეს უამდნენ, ის დადგებოდა, ერს ეეძახდით, ა ი დიდი ერი დადგა, დიდი ერი...

[— რას ნიშნავს დიდი ერი?]

— ა ი, ხალხი ბევრი, ხალხი ბევრი იყო და აა ეკლესიის გარშემო სუ დაქნებ გააკეთებდნენ... ა ი ესეთი რამეები: ერდვი, 43.

ერთი ის იყო, ა ი, დედინაცვალი მყამდა, ინვალიდი დედინაცვალი და იმას არაფერი არ შეეძლო... ა ი, ორთავ ფეხებით მახინჯი იყო; არგვიცი.

მსგავსი დატვირთვით სხვა ნაწილაკებიც გვხვდება (რა, აბა, ნუ, ჰო-

6 ეს და ქვემოთ წარმოდგენილი სხვა მასალა დამოწმებულია იმ ტექსტებიდან, რომლებიც ჩაიწერა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დიპლექტოლოგიურმა ექსპედიციამ ლენინგოლისა და ცხინვალის რაიონებში 1983-1984 წლებში (ინახება ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართველურ ენათა განყოფილებაში).

და...), მაგრამ სიხშირითა და გამოყენების მრავალფეროვნებით ა ი ნაწილაკი გამოირჩევა.

... გვენატრებოდა პური, არა ქვონდა საშუალება ომის დროსა, ომის პერიოდში რა: ერედა, I, 27; შდრ.... აი ომის პერიოდში...

იქ ბევრი ხალხი მოდის ხომე, მლყავები მოდიან ხომე რა, ძველი, ძველი ის არი, ხატე რა: იქვე, 29; შდრ.... აი მლყავები მოდიან ხომე...

მივიდა და უთხრა: აბა ის ოქრო რა ჩამოგიტანეს საძეგურიდან სოსიკა-მა, იაკოფმა და ლექსომ, რა უყავ ის ოქრო?: საძეგური, I, 5.

... შეიღები მყავს, ორი შეიღიშეიღი მყავს. ხოდა, ერთი გასათხორა გოგო მყავს: ერედა, I, 28.

არი ზოგი ისეთი ხე, რა არ ციცი რა არის... ნუ არის დანაყოფები, გელები ცალკეა: იქვე, 30.

უხლა, ყანა რა მოიღოდა, არა, ი ყანას ხო წავიღოდნენ მამა-ბიძანი, მე გამამიყენებდნენ... ზოდხი, 20, 9 და სხვ.

ყველა ზემოაღნიშნულ შემთხვევაში რა, აბა, ნუ, ჰოდა ნაწილაკების ნაცვლად შეიძლება აი ნაწილაკი შეგვხვდეს, ოღონდ მას ყოველთვის პრეპოზიციული ადგილი უჭირავს: იმ სიტყვის, ფრაზის, წინადადების წინ იხმარება, რომლის ხაზგასმასაც ახდენს.

აი ნაწილაკის შითხებითი ფუნქცია დიდიხანია ცნობილია. იოვანე ბაგრატიონისა და ნიკო ჩუბინაშვილის განმარტებით, აი „შორისდებულება ჩვენებითი“. იოვანე ბაგრატიონს მისი მეორე ფუნქციაც შეუნიშნავს: ყრმისა ან სხვა ვისმეს შერისხვის დროს იხმარებოა. მაგალითოვან დასახელებული „აი, შე უგვანო“. საინტერესოა, რომ ნიკო ჩუბინაშვილი ანისთან ერთად აქასაც მიუთითებს: ა ი I ა III ა, შორისდებულება ჩვენებითი, III ა ი განკვირების ხმაა⁸. საბას „სიტყვის კონაში ეს ნაწილაკი საერთოდ არ გვხვდება.

ძველი ქართლის ტექსტებში აი არ დასტურდება. მის ფუნქციას ასრულებს აჰა, აჰა ესერა, აჰა ეგერა. ახალ სალიტერატურო ქართულში იგი თავს იჩენს მე-18 - მე-19 საუკუნეებიდან, რომანტიკოსთა ენაში იგი ფართოდ არის გავრცელებული, ზეპირ მეტყველებაში კი გაცილებით ადრე უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

აი, აჰა, ჰა, ჰე... მასალბორივ ერთმანეთთან დაკავშირებული ძირები და გენერტად ჩვენებითობის ფუნქციის მქონე ხმოვნებს შეიცავენ. აი-ს გენეზისის საკითხი დამტკბით ძიებას მოითხოვს. აქ შეიძლება ზოგი რამ გავიხსენოთ სპეციალური ლიტერატურიდან.

5. მარის მოსაზრებით, როგორც ცნობილია, ა, ე, ი ხმოვანი ელემენტები შორისდებულებია, რომლებიც ჩვენებითი ჰა, ჰე, ჰი ნაცვალსახელების შემადგენლობაში შედის. მათგან ა სიახლოვეზე მიუთითებს, ე და ი სიშორეზე. აქვეა აღნიშნული, რომ ეს ხმოვნები სუფთა სახით ცოცხალ მეტყველება-

7 ი. ბ. ა. გ. ა. ტ. ი. თ. ნ. ი, კალმასობა, I.

8 ნ. ჩ. უ. ბ. ი. ნ. ა. შ. ვ. ი. ლ. ი, ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

ში გამოიყენება⁹. ვ. თოფურიას აღნიშნული ხმოვნები ქართველურ ენადა ჩვენებით ელემენტებად მიაჩნია¹⁰...

სწორედ ჩვენებითობაა ამოსავალი მნიშვნელობა აი ნაწილაცისადვის. ხოლო ჩვენებითობის, შითითების სემანტიკა ამ ნაწილაცის ფართო გამოყენების საფუძველს ქმნის.

გარდა ამ ძირითადი ფუნქციისა, ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია, რომ ა მიუთითებს იმაზე, რაც უნდა ითქვას: ... აი, ერთ მაგალითს მეც მოგიხსნობ (გრიშ.); ... აი, როგორ (ილია)... აქვეა შითითებული, რომ იგი ზოგჯერ შეჯულიანება-წაქეზებისა და დანაწევა-დამუქრების ფუნქციისაა: აი, თუნდ თითებზე დაიხედე (ილია); აი, მკვდარი არა ეყოფილიყავ, მე ვწმენდებდი იმათ (ილია).

ქართლურის ტექსტების ანალიზის შედეგად ნათქვამს ზოგი რამ შეიძლება დაემატოს, ან დაკონკრეტდეს.

ა) ა ნაწილაცის ძირითად ფუნქციაზე - ჩვენებითობაზე არ შევჩერდებით, რადგან ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და ფართოდ გავრცელებული სალიტერატურო ენაშიცა და დიალექტებშიც. იგი მიუთითებს იმაზე, რაც იმყოფება ან ხდება მოცემულ სიტუაციაში მოლაპარაკის თვალთახედვის არეში.

ბ) მაგრამ გატილებით ხშირია ისეთი შემთხვევები, როდესაც ა იხმარება ჩვენებით და კითხვით ნაცვალსახელებთან, ზმნიზედებთან და აძლიერებს მათ შითითებით ფუნქციას.

აი ეს, აი ეგ, აი ის, აი ვინ, აი როგორ, აი რა, აი ეხლა, აი იქ და სხვ.

მაგალითები:

... სტოლი ქონდა, ა ი ე ს სტოლი ქონდა... დიდი, განა ესეთი ნაყიდი სტოლი, ა ი ე გ რ ე, უშველებელი; შიუკაანი, VII, 61.

ა ი ა მ ბინაში მარტო მე ვარ; ერდვი, 45.

შიგ აბა ჭინჭრებია, ეერ შახვალა, ა ი ა ქ ე დ ა ნ, ა ი ე მ ქვას კი ნახავთ, ა ი ე მ, გზაზე რა ამოხვედით, ჩახვალა და მანდა დევს კუთხეში: უკანუბანი, IV, 5.

ა ი ე მ სახლიდან ხომ ვერ გამაგდებ, ვიქნები აქა: შიუკაანი, VII, 8. იქ ყანის სამკალათ ვიყავთ ა ი ე მ დროსა, კაკრას ა ი ე ს დრო იყო, რა: ერდვი, 37.

ბევრი ხალხი იყო და აღარავინ არი. ა ი ე გ ოთხი კომილა ვარა: უკანუბანი, IV, 1.

... ისეთი იყო ცხენი, გაფრენილი გაირბენდა აი ი მ კ ლ დ ე ზ ე ი იქვე, 7.

ა ი ე ს ე თ ი ახალგაზღობა გამიტარებია: ალევი, VII, 52.

9 ნ. მ. მ. ა. რ. ი., Грамматика древнелитературного грузинского языка, 1925, გვ. 99-100.

10 ვ. თ. თ. ფ. რ. ი. ა., პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელები ქართველურ ენებში, შრომები, III, თბ., 1979, გვ. 240.

ა ი ი ქ ა ცხოვრობენ: უკანუბანი, 9.

ა ი ე ქ დავიჭირე ერთი მგელი მე, ა ი ე ქ ა: იქვე, 20.

ცხეთის ნიში არი, ცხეთისა, ა ი ი ქ არი, იქ: ერედვი, 39.

ა ი ე გ რ ე დავიზარდენი, შვილო: ქვ. ალფი, IV, 72.

ა ი ე ს ე თ ი კოლექტივი ქვონდა: ბოლი, VII, 15 და სხვ.

აი ნაწილაკის სხვადასხვა აღმორფები შეიძლება შეგვხვდეს, ზოგჯერ დიფთონგის სახეს იღებს, ზოგჯერ კი მარტივდება და ოდენზმოგნის სახითაა წარმოდგენილი:

აი ეგრე // ა ეგრე: ა ე გ რ ე შევთანხმდით: არგვიცი, 23.

აი ესე // ა ესე: ა ე ს ე შუშის ლამფა გვედგა: ერედა, 50.

აი იმ // ა იმ: ა ი მ ბოსტნეულს ეგრე უვლით, შვილო: იქვე და სხვ.

გ) აი წინ უძღვის წინადადებას, ფრასას და ერთგვარი ექსპოზიციის ფუნქციას ასრულებს. აი მიმართავს ადრესატის ყურადღებას შემდგომ გადმოცემ ინფორმაციაზე. მეორე მხრივ, იგი საშუალებას აძლევს ინფორმატორს, მოამზადოს და გააგრძელოს მეტყველება:

მაგალითები:

[- დოს როგორ დღევბდიო?]

- ა ი, სადღებლები გვაქ თიხისა და სერას მოვაკრავთ და ვდღებავთ: უკანუბანი, IV, 10.

[- როგორ მოხდა?]

- ა ი, ბებერი მოკვდა, ჩენი ნათესავი და იქ შემოვიდა ხალხი... და ი ბავშვი უკბათ გახდა სალი ბავშვი ავათა: იქვე, 133.

[- რა სასწაულები მოუხდენია ხატს?]

- ა ი, ბერი დაუმიზნებია და კახეთიდანაც კი მოდიან; საკლავი მოკვამთ კლავენ, აღბათ რაღაცას ახდენს: იქვე, 2, 16.

[- აბა, ბიჭების თამაშობები რა იციო?]

- რას ვთამაშობდიო, ა ი, დავსვამდიო აი ემტელა ჟოხსა, ზედა პატარაი, აი ემტელა ჩხირ დავდებდიო, გავეკრავდიო, გამოუდგებოდიო: არგვიცი, 3.

ა ი, ჩემ მოქსოვილ თაკეტ გაჩენენბ... ბოლი, IV, 44.

[- რასა ჭამთ, რით ირჩენთ თავს?]

- ა ი ფქვილი ამოგვაქ, ეხლა ღმერთმა უშველოს ემ კანონებსა: ზოდები, II, 53.

ა ი ჩენ ქალებმა სუყველამ... ასე დავდიოდი და ესწავლომდიო: ბოლი, VII, 37.

დ) აი ნაწილაკით მიქმელი იწყებს ახალ ინფორმაციას. იგი თითქოს გარდამავალი საფეხურია ადრე ნათქვამსა და მომდევნო ამბავს შორის:

მაგალითები:

ხელის ლამფას უძახოდენ, ა ი, ცოცხლი უკიდა თავზედა... ბოლამს და იმაზე ვსწავლომდიო. ა ი, მოხუცი ბიძა მყვანდა, ის მასწაველიდა: ერედა.

ერთი რამე მაქ დასწაველიდი, აი, წაკითხული მაქ ის წიგნი. შენი თავი

რო ფეხიშველა ნახო სიზმარშიო, ნამდვილად ზარალი მოგელისო! უკანუბანი, IV, 11.

წინამ არ იყო ტრაქტორები. ა ი, იყო პატარა გუნები, ხარები ებამ: ერედა, I, 61.

[- როგორ მონათლეთ შეილები?]

- აბა როგორა. ლდელი არ იყო, შეილო, და ა ი, კაცი რა დაილუპა ჩემი, ჩემი მეუღლე, მაშინ მოიყვანეს ლდელი მიცვალეზულზე და მაშინ მონათლეს ჩემი შეილები: უკანუბანი, IV, 14.

[- რა დღეობები იცის თქვენში?]

- აქ არაფერი დღეობა არ არის. ა ი, ღმისობა არის, წმინდაგიორგობას ეძახიან და წაელენ ზომე თითო-ორი და სანძებს აანთემენ ზომე ქვ. ბოლი, VII, 37.

ეხლა დავებრდი... რაც არ შემოძლიან, მაინც... ა ი ცომი მაქ მოზე-ლილი ეხლა თონეში... იამზე მეუბნება, შენ აკრამ თონეში? მე ვაკრამ-მეთქი, მა ვინ... ქვ.ბოლი, VII, 17.

[- ვახრაკინა იცი?]

- კი, ჩვენ ხლვენებს ვეძახით. ა ი, მხალს გავრეცხავთ, დავკაფავთ და ერბოში აურევთ: უკანუბანი, IV, 6.

ქორწილი იყოდენ, ა ი მოიტანდნენ სოფლურად ეს ქართული ხალხი ზღ-ნეფსა... ალვეი, VII, 30.

კიდევ ბევრ რამეს აკეთებდნენ ხალხი, უწინდელ რამეებსა. ა ი, დიდ ფარდაგებს ზომე ვქსოვდით. ხალიჩები რა ზომე იყიდება: ქვ. ქურთა, II, 23.

ე) აი იმ სიტყვასთან ან ფრაზასთან იხმარება, რომელსაც ლოგიკური მახვილი მოუღის მისი ხაზგასმის მიზნით.

მაგალითები:

[- ქედრუკა რა არი?]

- ქედები ზო არი, არა, ა ი მ ა ლ ა ლ - მ ა ლ ა ლ ი ქ ე დ ე - ბ ი ზოა ზოგან, ზოგან არა... ჭორჭობი, III, 11.

დიდი თმები ჰქონდა იმ ქალსა, ა ი, მ კ ლ ა ვ ი ს ი ს ხ ლ თმები ჰქონდა: უკანუბანი, IV, 3.

ცაცხლი იქ ენთო, ა ი დ ი დ ი ც ე ც ხ ლ ი ზედ კერაზე... ჭორჭობი, III, 10.

ქვი ჯამები იყო, განა ან მათლაფეები იყო, არაფერი, ქვი ჯამები, ა ი თ ი ხ ი ს ა, თიხის ჯამები. თიხა, ა ი მ ი წ ა... ა ი, თ ი - ხ ი ს მიწისა: ალვეი, VII, 56.

კაცებმა ცელვა იციან. მოთობა იციან... ქალებმა ესეთი რამე არა, ქალებმა დადგნენ და ა ი ვილკებით აქურემენ ა ი თ ი ვ ა ს ა და რამეს: ბოლი, VII, 44.

[- როგორი საწოლები იყო?]

- ა ი ხ ი ს, აი ეხლაც ხისა არ არის ესენი, პო, ტახტს ვეძახო-დი: ჭორჭ. 10.

- ხარ-ძროხა მარტუქის, სად იყო ზითევი. ა ი, შ ი ფ ე ნ ე რ კ ე ე ბ -
ს ა, გარდირფსა ცინ მამცემდა: შიუკაანი, VII, 74.

... თონე მაქს, გავახურემ თონესა, ა ი 75 წ ლ ი ს დ ე დ ა კ ა -
ც ი ტაარ და ემ ჩემ შვილიშვილებს მე ვხეიმძღვანელობ: ერედა, 35.

გ) ურ ნაწილადი ხშირად გამოიყენება იმ შემთხვევებშიც, როდესაც
ინფორმატორი აზუსტებს, დამატებით ახსნა-განმარტებას აძლევს მსმენელს:
ჩვენა იმეშაობდიო არხზე, არხზე, ა ი, წყალი რა გაგვყავს, არხი,
ა ი ეხლა აქ ხო მოდის წყალი: არგვიცი, 25.

ფეხიშვილა გუთანზე დავდიოდიო. თუ იყო გუთანი, ესე იგი, ა ი რკი-
ნის გუთანი, ხის გუთანიც იყოდენ ძველებურათა: შიუკაანი, VII, 66.

შუშხუნას ეძახოდენ, ა ი, ბლის ქერქები რაა, ბალი ხო იციო, ბლის
ქერქებს დააწყომდენ ერთივეორზე, გააფიცხემდენ, შერე ტარ გაუკეთემდ-
ენენ, წაუკიდემდენ ცეცხლსა... შიუკაანი, VII, 63.

მე მგლებიც დამიჭერია ბევრი, ხო, ხამფაქითა. შერე, ა ი ხამფაქი-
ხო არის... იმას აქ რგოლი, ა ი ეგრე: უკანუბანი, IV, 19.

... იმიტო დერჩი, რა ქალმები უნა ამაშესხა, ა ი ტყავის ქალმები
უნა ამაშესხა: შიუკაანი, VII, 61.

ზ) აი ნაწილადი ერთგვარი დასკვნის, შედეგის გადმოცემისას წინ უძღ-
ვის გამოწოდებამს:

ა ი როგორ არი ცხერის ყოლა: ზოდეხი, 24.

ა ი წინანდელი ხალხი რა იყო: საძეგური, I, 4.

აქ მას ხშირად ინდე/ენდე ნაწილადი ენაცვლება: ინ დ ე, თორნის ამ-
ბავიც ეგ არი: ერედა, I, 6.

აი-ს სხვა ნიუანსებზეც შეიძლება გამოგვეყო: მკვეთრი ზღვარი აქ და-
სახელებულ შემთხვევებს შორის არ არის. ერთი კი ცხადია, რომ აი ნაწილა-
კის დასახელებული ფუნქციები ინფორმაციის კ მ მ უ ნ ი კ ა ც ი უ რ
ორგანიზაციასთან არის დაკავშირებული დე მათ ზოგადად შეიძლება ვეწოდო
„საკომუნიკაციო“, „სააქტუალიზაციო“ ფუნქციები. აქ რომ კონკრეტული მი-
თითება არ არის, ამის მარჯვენებელია ის ფაქტიც, რომ სააქტუალიზაციო
ფუნქციით გამოყენებულ აი ნაწილადს მიითვებიოთ ხმოვნიოთ ელემენტები არ
ჩანაცვლება, მაშინ, როდესაც პირველ ორ შემთხვევაში (იქ, სადაც აი თა-
ვისი ძირითადი დანიშნულებით ფუნქციონირებს) ასეთი ჩანაცვლება დასაშვე-
ბია: ა სახლი - აი სახლი, ა იქ - აი იქ, ა ეგრე - აი ეგრე, ა ეხლა -
აი ეხლა. შდრ. ცეცხლი ენთო, აი დიდი ცეცხლი; აი ვილკებით აქეჩემენ აი
თივასა... (იხ. ზევიო).

ზემოაღნიშნული ფუნქციების გამოყოფა ხსნის ნაწილადების ჰარბი გამო-
ყენების საფუძველს ზეპირ მეტყველებაში, განსაკუთრებით დიალექტურ
ტექსტში.

აი სააქტუალიზაციო ფუნქციით ფართოდ გავრცელებული ნაწილადია სხვა
დიალექტებშიც:

ა ი სილნაღში ვიყავ ერთხელა: კახ. 159, 16; მე კი უხხარი: - ა ი
ცობა გვაკლია, მამავ, წყაროსთან ავიდეთ: იქვე, 20, 36; ა ი რა ვხნავ-

დით ემ დროს, თიბათვეში, ანელებ ვეძახხით: თიან. 154,3; ა ი არაგ-
ვები რო მოდის, იქიდან უნდა ამოიღოთ და მოიტანოთ და ესოთ: გულ. 80,15;
რაც ა ი მთიბლურ სიმღერეი, სრუ კმინატორალი ეგებები: ხეეს. ჭინჭ. 1.
ეეს ქვანიც ა ი ჭილაჩითაც ჯაჭვის კალათი .ამაღებულნიაც თორღვის-
ანიც: ხეეს. ჭინჭ. 365, 21; ა ი ციხე ხო იყ, როგორ ადგილზე დგას!
იქვე, 365, 23.

საინტერესოა გურულის და აჭარულის ჩვენება, სადაც ა ი უმეტეს შე-
მხვევებში ჩვენებითი ნაცვალსახელის გამარტივებული სახეა, ხოლო მითი-
თებით ნაწილაკის ფუნქციით მარტივი უ გვხვდება: ცოფა-მადლება ა ი ნა-
თქუამი: გურ. 435,17; ა ი პასუხი ხემწიფეს ეჭემშარტა: იქვე, 432,10;
დაფაყურდა მარალა ა ი ქალი, იქვე, 430,5; ქი მიხთა ა ი შეჩვენებუ-
ლი - რაცხას გამიკეთებსო: აჭარ. ძიძიგ. 386,13.

შდრ. მედუქენმ უხხრა: უ ძმაო, შენ მეპურე ხარ, გამოცხობა იყი. ა
ფორენ გახურებული და უ გობი, მოზილე და გამუაყხე: გურ. 240,24; უ
ფული რაც ღირს, ორი იმდენი და პური მე შექონდესო: იქვე, 420,30.

საპატრუალიზაციო ფუნქციით სხვა მრავალი საშუალება შეიძლება იქნეს
გამოყენებული. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს დასავლურ დიალექტ-
ბში გავრცელებული ქუ ნაწილაკი, რომელიც თავისი ძირითადი დადასტურებით
ფუნქციის გარდა, ზოგ შემთხვევაში ზემოთ მითითებული დანიშნულებითაც
გამოიყენება: ქუ რომ დევეცი, მერე ასე მაქ ფხხი: იმერ. შდრ. ურ რომ
დავეცი, მერე ასე მაქ ფხხი და სხვ.

უნდა აღინიშნოს, რომ ნაწილაკთა საკომუნიკაციო ფუნქციაზე მინიშნება
არის ქ. ლომთათიძის ნაშრომში „დამოკიდებული წინადადების ერთი თავისე-
ბურება ზოგ ქართულ დიალექტში“¹¹. საქმე ეხება დამოკიდებულ წინადადება-
ში ქუ ნაწილაკის ხმარებას, რომელსაც განსაზღვრულობის შინაარსი ახლავს.
მასში იგულისხმება იმ ვითარებაზე მითითება, რაც თანამოსაუბრისათვის
ცნობილია. ნაშრომში აღნიშნულია, რომ ქართულ დიალექტებში „მაშინ ხდება
დადასტურებითი თუ სხვა განსაზღვრებითი ნაწილაკის დართვა, რაც ხაზი
ესმის თანამოსაუბრისათვის ცნობილს, უკვე დასახელებულ (განსაზღვრულ)
ფაქტს. საშუალება კი ამ მიზნისათვის გამოირიცხული არაა იყოს მრავალგ-
ვარი: ჩვენებითი ნაწილაკიდან დაწყებული და კოპულით თუ დადასტურებითი
ნაწილაკით გათავებული“¹².

ჩვენ საკითხის ერთი კუთხით განვიხილეთ. აქ მრავალი სხვა საკითხი
ისმის, რომელსაც დამატებით შესწავლა სჭირდება. ასეთია, მაგალითად,
ხმოვანი ელემენტების ფუნქციონირების დაზუსტება. ჩვენ მასალაში ისინი
ხან ჩვენებითი ნაცვალსახელების გამარტივებული სახეა, ხან ა ი ნაწი-
ლაკისა. ზოგჯერ მასალა იმასაც გვაფრქვბინებს, ხომ არ არის ეს ხმოვნე-
ბი დამოუკიდებელი, ის ოდინდელი ელემენტები. ამაზე სხვა დროს.

11 იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, ტ. I, თბ., 1946, გვ.337-345.

12 დასახ. ნაშრ., გვ. 344.

შემოკლებათა განმარტება

- აჭარ. ძიძიგ. - შ. ძიძიგური, ქართული დიალექტოლოგიის მასალები, თბილისი, 1974.
- გუდ. - გუდამაყრული, ქართული დიალექტოლოგია, ი. გიგინეიშვილი, ვ. აოფრია, ი. ქავთარაძე, თბ., 1961.
- გურ. - გურული, ნ. გუდ.
- თიან. - თიანური, ნ. გუდ.
- კახ. - არ. შარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956.
- ხევს. ჭინჭ. - აღ. ჭინჭარული, ხევსურულის თავისებურებანი, თბ., 1950.

აღ. ჭ ი ნ ჭ ა რ ა უ ლ ი

ქართულ-ვაინახური ლექსიკური შეხვედრები

ლექსიკის სესხება მეზობელი ხალხების თუნდაც სრულიად სხვადასხვა ოჯახის ენებში ბუნებრივი მოვლენაა. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ ქართული ენის აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტებში (მოხეური, ხევსურული, ფშაური, თუშური) საკმაოდ ბევრი სიტყვაა ნასესხები ვაინახური (ჩაჩნური, ინგუშური, ბაცბური) ენებიდან. ცხადია, ვაინახურ ენებშიაც დიდი როლდენობით შესულა ქართული ლექსიკა. ბუნებრივია ისიც, რომ საქართველოში მცხოვრები ბაცბების ენაში ნასესხები გაიკლებით მეტია, ვიდრე ჩაჩნურ-ინგუშურში.

ამ ნასესხები ლექსიკის გამოვლენას და შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს არა მარტო ენობრივი, არამედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სხვა თვალსაზრისითაც. ხშირად იმის დადგენაც კი ხერხდება, კონკრეტულად რომელი დიალექტიდან უსესხებია ამა თუ იმ ენას ესა თუ ის სიტყვა. ერთი მაგალითი

ქალწული ქეგლის მიხედვით არის „გაუთხოვარი, უბიწო ქალი“. საბასთან კი - „ქალწულა ქალი უბიწო“, „ქალწული ვატი უბიწო“. ამ მეორე მნიშვნელობის რეალურობაც დასტურდება ძველ ქართულში: „არს ჩუენ თანა დიაკონი ვინმე ქალწული დისა თანა თუსისა, სახელი მისი არსენი“ (ხრონ. 298, 9). საზოგადოდ კი ძველი ქართული ენის მასალების მიხედვით ქალწული არის „გაუთხოვარი ქალი, ქალიშვილი“ (ი. აბულაძე, იძვ. ქარმ. ენის ლექსიკონი“).

წული ძველ ქართულშიაც და ხევსურულ დიალექტშიაც ვატია, ქალი კი ხევსურულში მხოლოდ გაუთხოვარზე ითქმის (გათხოვილი არის დ ი ა ც ი). ამდენად. ქალწული ხევსურულად და ნიშნავს: ქალ-ვატი, ქალ-ყმა, დიაც-კაცი. კიდევ: „წვერიანათ ბერო (ქალის სახელია, ა. ჭ.) იყვის ქ ა ლ წ უ ლ ი, არც გულისპირნ (ძუძუები, ა. ჭ.) ეტყობოდეს იმას, არც სამრელობა (მენსტრუაცია, ა. ჭ.) იცოდ იმან, არცრას სადღაცოს აკეთებდ; ხანჯარს იბომდ, ჯვარჩიაც იქ მივიდის,სადაც სხვებ დიაცებ ვერ მიდიოდეს,მივიდის იმით,რო ქ ა ლ წ უ ლ ი იყვ,ხან ნიფხვთ (შარველს,ა.ჭ.). იკომდის, ხან - ჩოკისძველთ (ჯუბას, ა.ჭ.)“.

წვერიანათ ბერო ჰერმადგროდირი იყო და ჩაჩნურად სწორედ ქალწოლა ეწოდება ჰერმადგროდირი. მოხეური ქალწულა („ქალაჩუნა, მშიშარა ბიჭი, კაცი“, ივ. ქავთარაძე) არ უნდა იყოს იგივე სიტყვა (შდრ. ხევს. დედაჭუპა ქალაჩუნას მნიშვნელობით). გამოდის, რომ ქალწოლა ჩაჩნურში ხევსურულიდან შესულა.

როცა ამა თუ იმ სიტყვის ვაინახური ენებიდან წარმომავლობაზე ვლაპა-

რაკობ, იგულისხმება, რომ ეს სიტყვა დასტურდება ვაინახური ენებში და ქართული ენის მხოლოდ მთის დიალექტებში. იშვიათად ასეთი სიტყვები ქართული ენის იმ დიალექტებშიაც შეიძლება შეგვხვდეს (კახური, ტიზიყური...) რომლებთანაც მთის დიალექტებს ხშირი სამეურნეო ან სხვა კონტაქტები აქვს. საზოგადოდ, ყოველი სიტყვა, რომელიც მხოლოდ ამა თუ იმ დიალექტსა თუ დიალექტთა ერთ რეგიონში დასტურდება, საგანგებო ყურადღებას იმსახურებს: ასეთი სიტყვა ან ძველი ქართული ენის ძვირფასი რელიქტია, ანდა (უფრო ხშირად) ნასესხები იმ ენობრივი სამყაროდან, რომელიც ამ ქართულ დიალექტსა და რეგიონს ესაზღვრება. ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ ისტორიულად მონათესავე ენათა საერთო ლექსიკაზე და ძალიან ძველ ნასესხობებზე, რომლებიც უფრო ღრმად არიან შეჭრილნი ქართული ენის ფენებში.

ამ წერილში განვიხილავთ რამდენიმე ვაინახური წარმომავლობის სიტყვას მეცხოველეობასთან დაკავშირებული ლექსიკიდან. შინაურ პირუტყვთა სახელებიდან ორიოდე დასტურდება ხევსურულში. ა) ვაინახურში ბოლ არის ვაცი (მდრ. ბოლა მამაკაცი და ქართული ვატი, სვან. ლვამ „ხარჯიხვი“). სიტყვა ბოლ ხევსურულში ვლინდება ვაცის მოსახმობ შედახილში - „ბ ო ლ ი, ბ ო ლ ი“. ნ) ვერძს ვაინახურად ქა ეწოდება. ეს სიტყვაც ხევსურულში თხა-ვაცის გასარტე შედახილში - „ქ ა ი!“ - „ქ ა ი- ქ ა ი!“ - არის შემონახული. „თხის მოსახმობად „თ ხ ა - თ ხ ა (// თ ხ ა - თ ხ ა - შ ე ნ ი“) - თ, ამბობენ, ხოლო როცა უწყრებიან, „ქ ა ი“ - თ, უყვირიან. ასე უწყრებიან ვაცსაც, მოხმობისას კი „ბ ო ლ ი - ბ ო ლ ი“-ს ედახიან“ (ხევს. თავისებ. 237,37).

სხვათა შორის, სიტყვა ქაი ზმნისწინებსაც დაირთავს ხოლმე: ქვემოთ მყოფ თხა-ვაცს „ა მ ა ქ ა ი!“-ს ედახიან, ზემოთ მყოფს - „ჩ ა მ ა - ქ ა ი!“-ს, შიგნიან მყოფს - „გ ა მ ა ქ ა ი!“-ს და ა.შ.

ც) ა. მაკიევის „Чеченско-русский словарь“-ის მიხედვით ხურან არის: „дезухий (о человеке или животном)“ ქეგლის მიხედვით ხულა დასტურდება ფშაურსა, თუშურსა, ხევსურულსა და კახურ დიალექტებში და ნიშნავს: „მოკლეყურიანი ან სრულიად უყურო ცხვარი, -ყურა, ქარა“. დავიმოწმოთ ყველა დიალექტის ჩვენება: „ხულა ცხორი მოჭ. უყურო ცხვარი (ყური ცოტა რომ აჩნია); ყურულა, ხულა ცხვარი კ. (არხ.) პატარა ყურებიანი ცხვარი, ხულია კ. ხულა ცხვარი თ.ფშ. იგივე“ (ა. შანიძე, თხზულებანი, I, 1984 წ., ლექსიკ.). „ხულა-ი პატარა ყურიანი, წვრილყურა ცხვარი“ (ი.ქავთ. მოხ.). „უყურო ან ყურდაკვეტილ (ყურებდაჭირლ) მატყიერს ხ უ ლ ა - ს (// ხ უ წ ი ა - ს) ედახიან“ (ხევს. თავისებ., 237,33). „ხულა ყურებდაჭირლი ცხვარი, ბატკანი ან თხა“ (ლ. კაიშ., „მთ. დარგ. ლექსიკა“, 1967). „ხულა ქრ უყურო ცხვარი. „ზოგ ბატკან უყუროაჯ გამოდის. ის თამარულაჯ ჟოჩის ნაფერჩ, თათრულაჯ ცხვარ ხო ხულა ქრ“ (გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, ხედნაწერი). „ხულა მოკლეყურა ან სრულიად უყურო ცხვარი“ (ლ. დონ.).

მთის დიალექტებში (ფშ., ხევს., მოხ., თუშ.) (ყურებს) ხულავს ნიშნავს: ყურებს უკან გადასწევს და თავზე იწყობს: (კურდღლები) ხან მაღლა

„ტექნეტონი მ უ რ ე ბ ს ა, ხან ზურგისაკე პ ხ უ ლ ა ვ ე ნ“ (ბაჩანა, 279, 26).

ი. ქავთარაძის „ქართული ენის მოხეურ დიალექტში“ სწერია: „ხულება ცხენის მიტანება საკბენად“, „იხულება-ა ცხენი საკბენად უტევს“. „ცხენი კბილებით იხულება (ა.კ.)“. „იხულება-ა საკბენად ეტანება“. „ცხენი ვერ დავიჭირე, სუ კბილებით მ ე ხ უ ლ ე ბ ა (ა.კ.)“. აქ იმის შეინიშნება საჭირო, რომ საკბენად მიტანებისას თუ სწორად რბენისას ცხენი ყურებს უკან გადასწევს, ნაბავს, ლურსავს, ხუღავს.

გ. ცოყანიძის „თუშურ ლექსიკონში“ სწორედ ეს მომენტია ხაზგასმული: „დახულა ეტბა (დახულა ღდება) I. ცხენის ან ვირის მიერ ყურების უკან წაყრით გატყვევა. „და ხ უ ლ ა ე ნ ე ს ვირებ, ძმაო-ღ! რა ცუდად შე იმამ დავებარუნებდი?“ 2. მტაცებელი ფრინველის ირაო. „და ხ უ ლ ა ვ ე ე ბ ა არწივი, მთით ბარად ჩამოვარდება“.

რუსა მტაცებელი ფრინველი ფრთებს უკან გადაიწყობს, შეიკუმშავს ფრთებს და ისე ფრინავს (ჩვეულებრივ, დაღმა ფრენისას), ამასაც ხულვა-ს ეძახიან ძემაში, როგორც ეს გ. ცოყანიძის განმარტებიდანაც ჩანს: „სად მიხვალ, შო ყორანო სად მ ი ი ხ უ ლ ა ვ ე მკარასაო?“ (რაზიკ., III, 102, 23).

აქედან არის გაკეთებული ხულუნ-ფორმა (შდრ.მელუნ-ი: „გაიმელუნებ-ს გაინაბებ-ს, გაიტრუნებ-ს, ქველ): „დაიხულუნა არწივმა, ვეჟა გაისმა ცაშია“ (ვაჟა, „კუ და კურდღ.“); „არწივი... დაინახავს თუ არა კაკაბს, და ი ხ უ ლ ე უ ზ ნ ე ბ ს, დაეცემა საბრალს (ვაჟა, ქვეყანაზედ რა...); (სვავს) და უ ხ ლ ე უ ზ ნ ე ს (დაუქროლეს)... შავარდნებმა, უკრეს კლანჭები“ (მ. რაზიკ., „სვავი“); „იქნება შავარდენმა და უ ხ უ ლ ე უ ზ ნ ა კაკაბსა“ (მ. რაზიკ., მოთხრ.-389, 4); „(ჩემი ქმარი) გაგიგებს, და გ ი ხ უ ლ ე უ ზ ნ ე ბ ს, შავარდენსა უკავ მთისასა“ (რაზიკ., III, 221, 4); „ამ დროს მოვიდა ქორის მსგავსად და ხ უ ლ ე უ ზ ნ ე ბ უ ლ ი ჩხიკვი“ (ვაჟა, 465, 24).

როგორც ვხედავთ, დახულუნება-ს სრულიად გამოკვეთილი მნიშვნელობა აქვს - მტაცებელი ფრინველის იერიშს, შეტევას ნიშნავს: ჩხიკვი რომ ფრთებ-აკეცილი დაეშვება, ისიც „ქორის მსგავსად და ხ უ ლ ე უ ზ ნ ე ბ უ ლ ი ა“, ქორს ბაძავს.

როგორც ვნახეთ, ვაინახური ხურან ქართული ყურა და ყურულა სიტყვების ფარდია. ვაინახურად ყურს ღერგ ეწოდება და ხურან ამ სიტყვას, ცხადია, არ უკავშირდება. ხულა ქართული ენის სხვა დიალექტებში არა ჩანს.

ამიტომ არ არის გამოიროცხული, რომ ვაინახურს ესესხებინა ქართული (მთის დიალექტების) ყურა, ყურულა ხურან-ის სახით, ხოლო შემდეგ ეს ხურან-ს კვლავ უკან დაბრუნებულიყო ხულა-ს სახით. ცნობილია, რომ ვაინახურ-ში ანხაურ-ს სიტყვა ქართულიდან შევიდა და საკუთარ სახელ ანზორად იქცა; ეს საკუთარი სახელი ჩვენ წამოვიღეთ ვაინახებისაგან; ასევე ქართულიდან ვაინახურში თვეფორე თოთურ-ის სახით შევიდა, ხოლო იქიდან ხევსურებმა თოთურ-ის სახით ისესხეს...

ღ) ვაინახურში პატარ ნიშნავს: ა) „კვირტი“, „კოკორი“; ბ) „გინგლი, თიეთიკი (თხისა)“; გ) „ამონახარი, ყლორტი (მცენარისა)“. ფშურსა და ხე-

ვესურულში ბიტრი გახლავთ „უხეში მატყლისა და ბაღნის ქვეშ ამოსული ნა-
ზი ბეწვი, - ღინლი“. „ნაპარლთა მიდამოები მალე აივსო ძველებით, ბუმ-
ბულით, ნადირთა ბაღნით და ბ ი ტ ი რ ი თ“ (ვაჟა, „ნაპარლნი“) („ვაჟა-
ფშაველას მცირე ლექსიკონი“).

ღ) ვაინახურად კულჩი არის ბანდულები. ხევსურულში კულჩა (სინონ.
ჯღანი) იმავე (ვაინახური) მნიშვნელობით იხმარება: „არის შეორენაირი
ტყავის ფეხსაცმელი - ჯღანი (// კულჩა). ჯღანი ხევსურული სახელია, კულ-
ჩა - ქისტური ჩანს“ (ხევს. თავისებ., 246, 29). „იწროდ გავბანდე კ უ
ლ ჩ ა ი, ფეჭვე ჩავიციე ჯღანი“ (ხევს. პოეზ., 257, 5). ფშაურ: „კულჩა
ბანდული ანუ ჯღანები - ჩუსტების მსგავსია, ძირს საბანდით გამოქსოვი-
ლი“ (ვაჟა). „წირაპებს ეძებს ბერძე, ხ უ ჩ ე ბ ს წნავს გარქარე-
ბული“ (ვაჟა, „ხამთარი მთაში“); „(ბერიძეს) ფეხებზე ბანდულები (ხ უ
ჩ ე ბ ი) ეცვა, რომ ფეხი კარგად მოეიდებინა ყინულზე და არ დასხდო-
მოდა“ (ვაჟა, „ბერიძე გაუტყებელი“, 11).

თუშური: „კუნჩაქი ბანდული - ძირგამოწული ფეხსაცმელია. „იწროდ
გავბანდავ, კ უ ნ ჩ ა ქ ი, გამხანებელს გზისათ, მოკლ-მოკლედ შემოგა-
ბიჯებ, ჭილაქს ქვაკიდისათ“ (გ. ცოყანი, თუშური ლექსიკ., ხელნაწერი).

ქ) ვაინახურად ტულიჯ არის „тупице, лохмотья“. ხევსურულში ტლი-
ჯა უხეში მატყლისაგან ნაქსოვი ფარდაგია, რომელსაც ზოგჯერ წამოსასხამა-
დაც, საწვიმარადაც იყენებენ. გ. ცოყანიძე წერს: „ტლიკაქი ქისტური
წამოსასხამი. „შირიქიფელ იყოდიან ტ ო ლ ი კ ა ქ ე ბ ი ქისტების
ხედულნი“. ვაინახური ტულიჯ თურქულენოვანი სამყაროდან ნასესხები ჩანს:
ტულენ, ტულუ; ტულუხ // ტულუხ // ტულუხ აზერბაიჯანულსა, ჩაღათურსა
და სხვა ენებში ეწოდება ტყავის გუდას, ტიკს და მისთ. (იხ. М. Шамшев,
Этимологический словарь русского языка, 1973 г.).

აღბათ ამავე შეუერთდება ქართულში დადასტურებული ტლომა („ფართო
სამოსელი ბეწვიანი“, საბა, „მათრ. ბეწვეული, ქურქი, "тупун, шуба"
დ. ჩუბინ.) და დიალექტური ტლომანი/ა („ფარჯა“); „ერთან ტ ო ლ ო -
შ ა ნ ა ნ ი ეცენს“ (ვაჟა, „აფხუშობა“); „ლეგას ტ ო ლ ო მ ა ნ ს
გამძღვენი, ჩექმასა კამბერიასა“ (რაზიკ., 111, 230, 20); „რუსულ
ტლომან ჩაიცვი, ნაქსოვი ჯაჭვისფარა“ (იქვე, 232, 8).

მაგრამ ამჯერად საინტერესოს არის, რომ ვაინახურში იჯ კნინობი-
თის სუფიქსია და ვაინახებს უხონენოვანი ტულუკ აღუქვამთ როგორც თავისი
ენის კნინობით ფორმა - ტულიჯ, ამიტომაც იგი ძონძმანძების, ნაფლეფ-
ბის სახელიად ქეულა.

ასევე დაშარფიანთ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებსაც: მათ ვაინახუ-
რი კნინობითი ფორმა ტულიჯ შეუცვლიათ ქართული კნინობითი - ტლი-იკა-
რაკი ტლიკა მცირე ნაქსოვი შალია, არაკნინობითი იქნება ტლი-ი. სიტყვა
ტლი მატყლის ქსოვილის მნიშვნელობით დამკვიდრდა მთის დიალექტებში.

ხევსურული: „ქსლის დაქსვა სამნაირად შეიძლება და ტ ო ლ ი ე საშნა-
ირი გამოდის: ცაღპირა ტ ო ლ ი (ყველაზე მარტივი და იოლად მოსაქსოვი);
წაღმ-უკუღმარა (საშუალო სიძნელისა) და ორშიანი (ყველაზე ძნელად და-

საქსავ-მოსაქსოვი, მაგრამ ყველაზე კარგი ხარისხის ქსოვილი“ (ხეცს.თავისებ., 257, 30-32). „თუ ღვილი თავიდან პირველ ფატორშია გაყრილი, ტოლი წვერითა იქნება“ (იქვე, 257, 21).

ფშაური: „ტლი მატყლის წმინდა ქსოვილი, რომელსაც ტანსაცმლის (ჩხის, პაიჭების და შისა.) შესაყერავად ხმარობენ. „საწმიდარს სამოთხეულ დაჩრია უნდა, ღვით პოხა მატყლს იმ დროსა და დასთავ იხე წმინდად, რო ტოლი მიაქსოვოს. ტოლისას წინ ჯუბებსაც იკერავდენ, ჩოკებს, შალვრებს, ბაჭიჭებს, ბატარა პალტუებს და ქათიბებს, ეხლა კი ჩოკებსა და ბაჭიჭებსლა ჰკერვენ“ (ღიალეტლო., 1961; 130, 2, 3).

მოსხური: „სამოცი მკლავი ტოლი მოექსოვიდაც დედაკაცებმა“ (ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხურო დიალექტი, 1985 წ., ლექსიკ.). „თეძის ტოლსა ეღებავდითაც ნიდაგა“ (ღიალეტლო., 1961; 31, 11).

თუშური: „ტლი შინაქსოვი სატანსაცმელ შალი. რამდენიმე სახისაა: ცალპირაქ ტლი - ერთგვარად ნაქსოვი შალი. „გინდრაგვერეაც საქმარად ცალპირაქ ტლი მოექსოვიდით, უბრალაქ...“ ქისტურაქ ტლი მხდად, ერთი ლლის (ნ.) დაქსვით ნაქსოვია. „ქისტურა ცალკაცაქ. ერთკაცაქ, შორო ლლ არ სტანან“ (გ.ოც.). ამით გარდა იქვე დასახელებულია ტოლი ბი: ორმაგულაქ, სოლურაქ, სადიაცოა, სამაქცოა (← სამამაცოა)...

ქიზიყურში ტლი-ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ერთჯერობაზე მოქსოვილი შალის სიგრძე“ (სტ. მენთ.). როგორ ჩანს, ქისტურიდან მიმდინარე ტლი (თუშურის გზით) ქიზიყურშიაც შესულა. რაც შეეხება მნიშვნელობის დაკონკრეტებას, - სიგრძის მომენტის შემოტანას - ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ საზოგადოდ ქართულში სიტყვა ტოლი ზომა-წონაში გამოსაყენებელი სიტყვაა, ხოლო კერძოდ ქიზიყურში ტლი-ს ერთ-ერთი მნიშვნელობაა „ხუთი კვერცხის წონა“ (სტ. მენთ.).

9) გაინახურში სადღეებელს, ვიწრო, მაღალ კასრს ყულგ ეწოდება. ხეცსურულში ეს სიტყვა ყუკა-ს სახით შემოსულა. მის სხვა დიალექტებში ეს სიტყვა არა ჩანს: „ზისვარო დღეებენ“ ყუკა-ში (// სადღეებელ-ში // ვაჩია-ში). ყუიკა ჩვეულებრივი ვიწრო კასრია, რომელშიაც ნაღებს ასხამენ და დღეებზევე ბირნელა-ში. ბირნელა, ა ჩვეულებრივ, უძძის ხისა კეღება. ესაა 120-140 სმ-იანი სწორი ჯოხი, რომელსაც ბოლოში წამოყმული აქვს ხის მრგვალი ფირფიტა; ფირფიტას რამდენიმე ნახვრტი აქვს. ბირნელას ამოწევა-ჩაწევით დღეებზევე რძეს“ (ხეცს. თავისებ. 269-270). „ჩასარევე სადღეებელჩი ბირნელანი თუქვენ ნაღებსა-დ' ისრ დღეებენ. ბირნელანი გრძელ, სწორ ხეი. იმას ბოლოზე შამაცმულნი-ხქონ ორნი ხენ ხატად. ხეებს გამაჭრილები- აქე, რა შიგ ნაღებში აიარ-ჩაიარას“ (შინამრეწვ. 75).

ეს სიტყვაც ამავე დანიშნულების ნივთის გაინახური სახელიდან (ბირნ) მოდის. იგი ფშაურსა და თუშურშიაც შესულა.

ფშაური: „დღეება ჩხუტში ვიცით რძისა; ბირნელანი თუ ეღღებობ (ს.გოგოლაურთა); „აი ბირნელანი დღლის უვარვით არი, გენაცადღე, ტარი აქვის“ (ს.მათურა); „ჩხუტში ჩავასხამო შესადღებ რძეს და ბა-

რნელაის (ბარნილა) აღმა-დაღმა ჩქველეთი (ჩხუტვით) ედღებთ“ (შინამ-რეწე., სმფ. კაჭოჭა).

თუშური: „ჩხუტ-ბარნილა რძის-შესადღებები მოწყობილობა - ჩხუტი (ნ.) და ბარნილა (ნ.). „თუშებთ მარტო ჩხუტ-ბ რ უ ნ ვ ე ლ ოციან, გარაჟი-ღ დაკიდებულ სადღებებლ ჩვენ არ ვიცით“ (გ. ცოყანიძე, დასახ. ნაშრომი).

ჩ) ხაჭო-ს განახურად კალდ ეწოდება. მთის დიალექტებში უ გამოკვეთი-ბულა და ეს სიტყვა კალტ-ის სახით წარმოგვიდგება.

ხევსურული: „ძირთ, დოვთ და ხარშოს „დასწურვენ“ და კ ა ლ ტ -ს გამო-აცლიან. კ ა ლ ტ ს ტკბისველას მოდღებითაჲ ეღებულბენ. კ ა ლ ტ ს ამა-რილებენ, კვერებად, კ ა ლ ტ ი ს კ ვ ე რ ა - ებად „შახხურკვენ“ (შეკ-რავენ), ბოღში ახმობენ და სატნის მაგირე ხმარობენ, ანდა კ ა ლ ტ ს და ერბოს ერთად აყხებდებენ და კ ა ლ ტ - ე რ ბ ო ს (ხაჭო-ერბოს) აკეთ-ბენ. კ ა ლ ტ ს იყენებენ კვეულის (ხაჭაპურის) გასაკეთებლად (კ ა ლ ტ ი ა ნ კ ი ც ე ე ჯ ე ი მზადდება). ქადისკვრის (ხინკლის) გასაკეთებ-ლად და სხვ. „შენ რასად სიდებ, ბიჭო, კ ა ლ ტ ი ა ნ ქ ა დ ი ს კ - ე ვ რ ი ე ი თ, ყმაწვილის სივილ-ტკივილ რაილ-ა?“ (ხევს. თავისებ., 271, 10-18). უერბოოდ კალტს, როგორც კვების პროდუქტს, პატრივი არა აქვს.

მთიბელთათვის (თიბვის მამითადისათვის) საჭმელად მასპინძელს მიაქვს ხოლმე ხავეიწი და კ ა ლ ტ - ე რ ბ ო . ვიდაჲ დარბს თუ ხარბსა და წუწურ-რაქს მთიბლებისათვის მარტო დამარილებული ხაჭო მიუტანია სათბბში, მას-პინძლის ადგილში, რომელსაც წოყალი ეწოდება. ასეთი სადილით უკმაყოფი-ლო ერთ-ერთ მთიბავს ლუკმა ამოუსვამს კალტისათვის და მასპინძლის გასა-გონად უთქვამს: „დაჩვეულია წოყალი ჩხიკვიით კ ა ლ ტ ი ს ჳამასა“-ო. ამბობენ, ჩხიკვს კალტი ძალიან უყვარსო.

გინახურში კალდ-ის მრავლობითა კალდაშ. აი, ეს ფორმად ჩანს ნასეს-ხები ხევსურულში გარკვეული ცვლილებებით (ლ-ს ზაკარავით და დ-ს გამოკვე-თრებით): „დოვი, ხარშოჲ ძირნი ან ტკბისველი რომ დიდხანს დარჩეს, დაო-ბდება და ამ პროდუქტების ობს კატაში ეწოდება“ (ხევს. თავისებ., 271, 9).

კალტი ხევსურულს გარდა დასტურდება თუშურსა და ქიზიყურში.

თუშური: „კალტი-ხაჭო“ (გ. ცოყ.). გ. ცოყანიძე ამ სტატიაში ასახელებს: ჩანთის კალტ-ს, კალტის კვერ-ს, კველ კალტ-ს, ცხერის კალტ-ს, ხოლო კალტ-ერბო ცალკე სტატიად აქვს შეტანილი და ასე განმარტავს: „ხაჭო და ერბო ცივად ერთმანეთში არეული და მარილით შეზავებული. „კ ა ლ ტ - ე რ ბ ო მინდორში წასადებ ჳამაი“.

ქიზიყური: „კალტი ნ. ა ზ ე ლ ა კ ი“-ო წერს სტ. მენთეშაშვილი, ხოლო იქ გვიხსობთ: „ახლაკი კალტი, მოთალი. ყველის ამოღების შემდეგ დარჩე-ნილი შრატს მოადღებენ, აიჭრება და ხვარხვარი (ნ.), სტელი, თერთ ცო-მივით გახდება, ამოიღებენ ქაჭკირით, მარილს მოაყრიან, დახვედენ ხელის-გულზე და გუდაში ჩადებენ, გატენიან მაგრად და შეინახავენ. ასე აკეთ-ბენ დოსგანაც. ახლაკს უფრო დედაკაცები ეძახიან, მამაკაცები კი - კ ა ლ ტ ს. თუშებოჲ კ ა ლ ტ ს ეძახიან. გამოდის, ათქოს ცხერისას, ე.ი. ყველის ამოღების შემდეგ შრატისაგან გაკეთებულს - კ ა ლ ტ ი ჳქ-

ვია და შემდეგ დოსაგან გაკეთებულს - აზღაკი, რადგან ყველს უფრო მამაკაცები აკეთებენ და ყარაქს - დედაკაცები" (სტ. მენა.).

მიზეზი, ცხადია, ეს არ არის. თუში და ქიზიყელი მეცხვარეები შირაქისა და თრიალეთის იალაღებზე ხვედებოდნენ ერთმანეთს და იქ შეიფიცეს ქიზიყელმა მამაკაცებმა თუშებისაგან ვაინახუროდან მომდინარე სიტყვა კ ა - ლ ტ ი . ქაღები გარეთ არ გადიოდნენ და ამიტომ არ ხმარობენ ამ სიტყვას, თუმცა ხაჭო-ს მათებური სახელი აზღაკი-უ არა ჩანს ქართული¹. არც ხ ა - ჭ მ უნდა იყოს ქართული წარმომავლობისა: აკად. ქ. ლომთაიძისაგან გაზიგონია, რომ ქართული ხ ა ჭ მ აფხაზურ ა - ხ ა რ - წ ი ჯ -ს („მთავე რძე“, „მანონი“) ეკვივალენტია.

ვაინახუროდან ნასესხები ზოგი ლექსიკური ერთეულის შესახებ (ისევე როგორც ქართულიდან ვაინახურში გადასული სიტყვების შესახებ) სხვა დროს გვექნება საუბარი.

I Д.А.Магазян -ის Турецко-русский словарь-ის მიხედვით აზღაკ ნიშნავს „малость, малое количество, малочисленность; скудность; недостаток, нехватка; редкость“. სემანტიკური გადასვლა ბუნებრივი ჩანს: ხაჭოუ ნარჩენია, უმნიშვნელოა (თუნდაც კარაქსა და ყველთან შედარებით).

ბ. უ რ ბ ე ნ ა ძ ე

დიალექტების ურთიერთგამიჯენის საკითხისათვის (წინასწარი მოხსენება)

I. დიალექტების ურთიერთგავლენის შემთხვევები კარგად არის ცნობილი სპეციალური ლიტერატურიდან.

ურთიერთგავლენა ორი ან მეტი დიალექტური მეტყველების დაახლოვებას იწვევს, რაც საფუძველს უქმნის გარდამავალი დიალექტებისა ან გარდამავალი დიალექტური ზონების წარმოქმნას. ასეთი გარდამავალი დიალექტური ზონები მრავლად იპოვება ქართულში. ამ რიგისაა სურამისა და ბორჯომის ხეობის ქართული, ერთი მხრივ, და ხარაგაულის იმერული, მეორე მხრივ. ასევე გურულ-იმერული ნარევი მეტყველება საჯავახოსა და სამტრედიის რეგიონში, მთელურ-ქართული დუშეთის რაიონში და სხვ.

მაგრამ მომიჯნავე დიალექტებში მხოლოდ ურთიერთგავლენის ფაქტორი რომ მოქმედებდეს, დიალექტური სხვაობანი თანდათანობით წაიშლებოდა, რაც საბოლოოდ ამა თუ იმ დიალექტის გაქრობას გამოიწვევდა. იმავედროულად ცნობილია, რომ ორი ან მეტი დიალექტი საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობს ერთმანეთის მომიჯნავედ და, მიუხედავად ამისა, არ კარგავს ენობრივ თავისებურებას.

საქმე ისაა, რომ ურთიერთგავლენასთან ერთად მომიჯნავე დიალექტებში (ასევე - ერთი დიალექტის კილოკავებში) თავს იჩენს ურთიერთგამიჯენის („ფიოტგამიჯენის“) აშკარად გამოხატული ტენდენციაც.

ნიშანდობლივია ამ ავალსაზრისით ჩარგულ ფშაველთა ნათქვამი: „დასიცილი ოციან უკვენა ფშავში აქიურ სიტყვებზე“. დაყენვა ამ შემთხვევაში გარეგნული გამოხატულებაა ენობრივი ფიოტგამიჯენის („გაუხეობის“) ტენდენციისა. ამა თუ იმ ენობრივი კოლექტივისათვის მიუღებელი ფორმების, გამოთქმების შეენობადობა საფუძველი ხდება დიალექტური მეტყველებისადმი მეტ-ნაკლებად შეგნებულ დამოკიდებულებისა, რაც, თავის მხრივ, განამტკიცებს კილოურ თუ კილოკაურ სხვაობებს, ეწინააღმდეგება მათი ნიველირების პროცესს.

ის, რომ კილოური თავისებურებებისადმი დამოკიდებულება აშკარად შეგნებულია (და არა ინტუიციური თუ ინერციული) უწინარეს ყოვლისა ფიოტ ამა თუ იმ დიალექტსა თუ კილოკავზე მეტყველის განმარტებიდან ჩანს. ზოგჯერ ეს განმარტება ზედმიწევნით ზუსტ ენათმეცნიერულ ინფორმაციას შეიცავს. აი, როგორ ახასიათებს, მაგალითად, თავის კილოკავს ივრისხეველი (თიანელი) ხეისური: „ჩვენ სხვანაირ ლაპარაკ ვიცით, ჩვენ ძველებურ ლაპარაკ გვიყ-

გარს“; და შემიფეგა: „მე კვესურულად ვიც საუბარ. ქართველებსთან ვერ ვი-
ცი საუბარი. იმათ უკვირდის“¹.

არსებობდა მარტეზი, რომ ხვესურული „ძველებური ლაპარაკია“, ანუ:
ხვესურულს მრავლად აქვს დაუცული ძველი ქართლისათვის გარკვეულ პერიოდ-
ში დამახასიათებელი ფორმები.

სწორია ისიც, რომ ენობრივი სხვაობა მკვეთრად შეიგრძნობა ხვესურები-
სა და „ქართველების“ (ე.ი. ქართლების) მეტყველებას შორის.

ანალოგიური განმარტება ეძლევა იმერულ კილოსაც. მაგალითად, ორჯონი-
კიძის რაიონშია ჩაწერილი ეს ტექსტი: „ფონიდან რომ წამოხვალ, ერთნაირი
ლაპარაკი იქნება მარტელისამდე, ხოლო მარტელისიდან მოგვევს სხვაობას და
მარტელისიდან დაწყვილი ზესტაფონამდე ეს სხვაობა სამნიშვნელო არ იქნება...
ჩვენი ლაპარაკი არ არის იმერული ძივლა, არც ქართული: „აწი“ არ ვიცით
ჩვენ, „ხი“ არ ვიცით, „ქე“ არ არის, ჩვენ „კი“-ს ვხმაროვთ, უნებობა:
წვივდა, მოვიდა“².

ამა თუ იმ დიალექტზე (კილოკავზე, ტევეაზე...) მეტყველი ზედმიწევ-
ნით ვგრძნობს დიალექტურ სხვაობებს და ცდილობს დაიცვას თავისი დიალექ-
ტის სამეტყველო ნორმა.

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში ნათქვამის საილუსტრაციოდ.

ცნობილია, რომ ზემოიმერულში მრავლობითი რიცხვის შესაბამე სუბიექტური
პირს ნიშნად -ენ გამოიყენება: მოდი-ენ, ყოფიდი-ენ... საზანოელი ქალი
(ფერჯლის რაიონიდან), რომელიც დილიკაურში (ზესტაფონის რაიონში) იყო
გამხივილი, -ენ-ის პარადიგმად -ლარიენ-ს ხმარობდა: „მოსულ-ენ ბუხარ-
თან და გამშრა-ლარიენ“. ადგილობრივი მაცხოვრებლები უსწორებდნენ: ჩვენ
არ ვიცით „გამშრალარიენ“, უნდა ითქვას „გამშრალენ“³.

გოლაში ერთი მთქმელი ამბობდა: „ხუთშაფათ დილაზე დილაადრიანად ად-
გებოდა დიასახლისი“, მეორე უსწორებდა: „დილ-აათ“⁴.

ამა თუ იმ კილოზე მოლაპარაკემ, ჩვეულებრივ, იცის როგორც სხვა (მო-
მიჯნავე) კილოს, ასევე სალიტერატურო ენის ფორმები, მაგრამ მაინც თავი-
სი კილოსათვის დამახასიათებელ ფორმებს რჩეობს: „რა ვი, შეილო, ტატიო
თუ რაღაცა, ტასტი არა-აქვიან?“ ასე რომ, მთქმელმა (კახელმა) იცის ტას-
ტი II ტაშტი ფორმის არსებობა, მაგრამ „ტატი“ ბუნებრივია მისთვის და
თავის მეტყველებაში სწორედ მას იყენებს.

ამგვარად, ვფიქრობთ, აშკარაა, რომ დიალექტის მფლობელი შეგნებულად
განარჩევს თავისი კილოსათვის დამახასიათებელ ფორმებს სხვათაგან, აქვს
ერთგვარი უპირატესობის შეგრძნება ამ თვალსაზრისით (სხვა კილოზე მეტყ-

1 ი. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ვ. თ. მ. უ. რ. ი. ა., ი. ქ. ა. ვ. თ. ა. -
რ. ა. ძ. ე., ქართული დიალექტოლოგია, I, თბ., 1961, გვ. 151.

2 ქ. ძ. მ. წ. ე. ნ. ძ. მ., ზემოიმერული კილოკავი, თბ., 1973, გვ. 33.

3 ქ. ძ. მ. წ. ე. ნ. ძ. ე., დასახელებული ნაშრომი, გვ. 186.

4 ი. გ. ი. გ. ი. ნ. ე. ი. შ. ვ. ი. ლ. ი., ვ. თ. მ. უ. რ. ი. ა., ი. ქ. ა. ვ. თ. ა. -
რ. ა. ძ. ე., დასახელებული ნაშრომი, გვ. 544.

ველს იგი დასცინის), ეს კი ხელს უწყობს დიალექტურ თავისებურებათა მდგარადობას.

2. დიალექტთა ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია ხელშესახებად იჩენს თავს ხევსურულისა და ფშაურის, ზემო და ქვემოიმერულის, ზემო და ქვემოგურულის, მესხურისა და ჯავახურის და ზოგი სხვა დიალექტისა თუ კილოკავის ურთიერთობისას.

შეიძლება დავასახელოთ რამდენიმე ნიმუში.

ცნობილია, რომ ისტორიულად ფშავ-ხევსურეთი განუყოფელი იყო. ვახუშტის განმარტებით, „აწ უწოდებენ ფშავ-ქვესურსა, რომელთა პირველ ეწოდათ ფხო-ელნი“.

ფშაური და ხევსურული დღესაც საკმაოდ ახლო მდგომი კილოებია, ფშავ-ხევსურებს სხვა მხრივაც მჭიდრო კონტაქტი აქვთ და მაინც ფრიად ხელშესახებია ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია.

მაგალითად, ხოლმეობითის წარმოებისას III პირის ფორმები იდენტურ ჩვენებას იძლევიან ფშაურსა და ხევსურულში (და-წერ-ი-ს), მაგრამ სხვაობაა I და II პირის ფორმათა წარმოებისას (ხევსურული: და-ვ-წერ-ი-დ-ი, ფშაური: და-ვ-წერ-ო-დ-ი).

ახოვნიით ბრძანებითი ხევსურულში და-წერ-ი-დ-ი არის, ფშაურში - და-წერ-ო-დ-ი და და-წერ-ო-დ-ე.

რა თქმა უნდა, ფშაური ბარის კილოების ძლიერ გავლენას განიცდის და ზოგი სხვაობა ხევსურულთან შედარებით ამითაც აიხსნება, მაგრამ ზემოდასახელებულები იმ რიგის ნიმუშებია, რომელსაც ბარის კილოებთან ურთიერთობით ვერ ავხსნივ.

ამავე პრინციპით განასხვავებს ხევსურული და ფშაური -ავ და -ამ თემის ნიშნიან ზმნათა უღვლილებას; ნამყო უსრული:

ხევსურული: ვ-მალ-ევ-დ-ი, ღ-მალ-ევ-დ-ი, ღ-მალ-ევ-დ-ა... .

ფშაური: ვ-მალ-ავ-დ-ი, მ-მალ-ავ-დ-ი, მალ-ავ-დ-ა... .

3. მესხური და ჯავახური წმინდა ენათმეცნიერული თვალსაზრისით კილოკავებია ერთმანეთის მიმართ და არა კილოები. ბევრი ენობრივი შოკენა მათ საერთო აქვს, საერთოა განვითარების ტენდენციაც. მიუხედავად ამისა, აქაც საკმაოდ ძლიერაა წარმოჩენილი ურთიერთგამიჯვნის ტენდენცია, რაც მეტნაკლებად თითქმის ყველა სისტემაში იჩენს თავს. ამის ნიმუშია თუნდაც ჯავახური შოთა-ი და მესხური შოთა-ა. თავისთავად ესაა უთუოდ ღირსსაცნობი ფაქტი. საქმე ისაა, რომ არსებითად აქ გვაქვს ძველი ქართლისებური მოკლენა: ბრუნების ტიპით განირჩეს საზოგადო და ადამიანის საკუთარი სახელი, ოღონდ ძველ ქართულში სახელობითში (აგრეთვე მოთხრობითში) საკუთარი სახელი ბრუნვის ნიშანს არ დაირთავდა: იაკობ (მაგრამ: კაც-ი).

მესხურ-ჯავახურმა ეს პრინციპი შეინარჩუნა, მაგრამ მისი გამოსატყა სხვა წესით მოახდინა: სახელობითი ბრუნვის ნიშანი საკუთარი სახელს დაურთო (ეს ეხება ხმოვანზე ფუძედაბოლოებულ სახელებს, განსხვავებით ძველი ქართლისაგან, სადაც ეს წესი ყველა ფუძის მიმართ მოქმედებდა): შოთა-ი II შოთა-ა, მაგრამ: ხე, სახე, ძმა... მესხურ-ჯავახურმა ეს ტენ-

დენცია საკუთარ სახელებთან გატოლებულ საზოგადო სახელებზეც გაავრცელა: მამა, მავრამ მამაი II მამაა „მამარემი“.

ასე რომ, მესხურ-ჯავახურს საზოგადო და საკუთარი სახელების გასარჩევად საერთო წესი აღმოაჩნდა. შიგადაღებულ სხვაობის გამოხატვა -ი II-ა მონაცვლეობას დაეკისრა (ჯავახური: შოთა-ი, მესხური: შოთა-ა).

4. მკატრადაა გამიჯნული კილოკაური სხვაობანი ზემო და ქვემოგურულს შორის, სადაც, მაგალითად, ზემოგურული „ბალანი II ბალანი“ ფორმები უპირისპირდება ქვემოგურულ „ბალანი II ბალანი“ რიგის ფორმებს. ეს დაპირისპირება იმდენად თანამიმდევრულად არის გატარებული, რომ ზემო და ქვემოგურული კილოკავების განმასხვავებელ ერთ-ერთ ძირითად ენობრივ ნიშნად სწორედ ამას მიიჩნევენ.

5. მაგალითების მოყვანა მრავლად შეიძლება, ნიმუშად კი, ვფიქრობთ, დასახელებულიც კმარა.

ზემოთქმული ნათელს ხდის, რომ მეზობელი დიალექტები არა მხოლოდ ურთიერთ ზეგავლენას ახდენენ ერთმანეთზე, არამედ ურთიერთგამიჯნისაკენაც (ურთიერთგანკერძობისკენაც) ისწრაფვიან. ამით ინარჩუნებენ ისინი საკუთარ ენობრივ იერსახეს და ენის დამოუკიდებელი ნაირსახეობის სტატუსს. ეს არის, ასე ცოტათ, თავისებური ენობრივი იმუნიტეტი...

უთუოდ ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ მომიჯნავე დიალექტებში, კილოკავები, ქვევები და აქმები, მიუხედავად ხანგრძლივი კონტაქტისა და უთუო ურთიერთგავლენისა, მკვეთრად ინარჩუნებენ თავისთავადობას, რაც განაპირობებს მათ მდგრადობას.

ურთიერთგამიჯნის ტენდენცია, რა აქმა უნდა, მხოლოდ მეტყველებით არ გლინდება. იგი თავს იჩენს სხვა ეთნიკურ მოვლენებშიც.

ყოველივე ამის კომპლექსური შესწავლა, ვფიქრობთ, მნიშვნელოვან კანონზომიერებებს გამოავლენს.

დიალექტების შესწავლისას ამ ფაქტს სათანადო ანგარიში უნდა გაეწიოს.

პლასტუნკელ ქართველთა
მეტყველების ნიმუშები^I

ი მ ა თ ი შ თ ა მ ო მ ა ვ ლ ო ბ ა მ ე ე დ ა ვ რ ჩ ი

დავამთავრე წიგნი უკუფი რაღაცა, პირველი დასაწყისი. ი. პლასტუნკაში იყო წიგნი უკუფიანი სკოლა და იქინე ვიყავი. მერე ალარ დამანებეს ბიჭებმა, ძმებმა სკოლაში სიარული და ველარ ჭქენი.

დედაჩემი... უხებრიდანაა დედაჩემი, მამაჩემი—ჩამოსული. ბაღები იყვენ იგენი. მე აქ დაბადებული და აქ გაზრდილი ვარ. აქ დავებრდი უამ კაცი. ბაბუაჩემი ყოფილა, რა ქვია, თავადის პურისმცხობელი, ბატონის. მაღალი, ზდაროვი კაცი ყოფილა ძალიან, ხოდა, ერთხელ თორნეში პურები ჩაყრილა, კაცო, რა აცხობდა, დასწვია, ბატონს შოუსწრია და, შენ რავა დამიწვი პურიო, ქე წოუხია ამ ჩემი ბაბუასთვის თავში. ხო იცი, მაშინ იგენი იყო ხაზინები. ალბათ, არე ბაბუაჩემი ყოფილა კაი ხასიათზე, კაი ჭკუაზე მაშინ და მოუსვია ამ კაცისთვის ხელი და ჩოუყუდებია თორნეში, კაცო, გახურებულ თორნეში და გამოარდნილა გარეთ. რაღაცა ქე დეიწოდა... ქე გაქცეულა, ქუთაისო ჩასულა. ქუთაისში ჩასვლა დიდი ამბავი იყო იმით, რა გზები არ იყო და არაფერი ამ დროს. მერე იქინე ვერ მოუძებნიამ. ცოლ-შვილს უგზანდა მერე ქუთაისიდან რაღაცას. იყო ასეთე გაჭირებულად და მერე ეს გვიხსნა, სოჩა, აქანე, ახალი საცხოვრებელი და აქ წამეიყვანა ცოლ-შვილი. არე წასულა ლეჩხუმში. სხვამ ჩამოუყვანა ცოლ-შვილი. იმათი შთამომავლობა მე დავრჩი და ერთი და მყავს კიდე. დანარჩენი გედევიდენ, წევიდენ, ალარ არიენ.

. დ ა ვ ი თ ლ ე ფ ს ვ ე რ ი ძ ე , 73 წლის, წარმოშობით ლეჩხუმელი, დამთავრებული აქვს ქართული სკოლის 4 კლასი, დაბადებული და გაზრდილია პლასტუნკაში.

ძ ვ ე ლ დ რ ო შ ი ნ ა მ ე ტ ა ნ ი გ ვ ი ჭ ი რ დ ა

ძველ დროში ნამეტანი გვიჭირდა, კაცო. გლეხები ქე ვიყავით, მარა გასაყალი არაფელს ქონდა, კაცო, გეიტანდი შეს ნაკეთელს, სამ კაპიკათ უნდოდა ამ ვაჭრელს და ჩვენ ალარაფერი ქურბოდა იქიდან ხეირი. მამაჩემს შვიდი შვილი ხადდა, ოჯახში ცხრა ვიყავით შემადგენლობა და ერთმა

I ჩაწერა პლასტუნკაში 1975-1980 წწ. ო.მ ი ქ ი ა შ ე ი ლ მ ა .

კაცმა ვერ მოხნა იმდენი, რა ჭიდადი და პური შეეყვანა წლიდან წლამდე და კიდო ფული უნდა, კაცო. გადასახადი ხო იქნებოდა, სახენწიფო, რაღაცა, ტანი, ფეხი გინოდა და გაჭვირებული ვიყავით. მერე, მოგვხსენება, რვეოლუცია იყო და არქულ-დარქულობა, გრატდანსკი წიმი და დევიტანჯეო, კანიშნა, ხალხი, მარა გვეიმარჯვეთ ქე მაინც, კაცო, ახლა რა უჭირს ხალხს, ახლა ცხოვრება არის საუკეთესო. იმდენი რამე კარქია შამოსული ახლა... ნაკლე ექნება, რა თქმა უნდა, იქინ-იქინე რაღაცა რაღაცას, ამა ისთე ხუარ შეიძლება ცხოვრება რა იქნეს, კაცო, უნაკლოთ, მაგრამ ის უმინშენელო რამია. მნიშვნელოვანი არის, აი, რა ვხედავთ ასეთი აპარატები, ასეთი ტელევიზორი, პრიომნიკი, ასეთი სინათლე, ჩემი ბატონი ხარ, ასეთი მაყივარები და ის, გაზები და რამე, კაცო, რა გინდა უკეთესი. ჩემა ქალმა ნაჯახი არ იღის რადარია ახლა, იმიტო რა შეშეი დაჩეხა არ ჭირდება და არაფერი. ერთი სიტყვით, კარგია ყველვისთვინ, ჩვენა ვარა ახლა მოხუცებულები ცოდვა, მეზარება რა მოეკვდე, კაცო.

და ვ ი თ ლ ე ფ ს ე ე რ ი ძ ე

ს ა შ ე ა ლ ე ბ ა ა რ ი ყ ო

საშეალება არ იყო არაფერი და უჭირდათ, კაცო. მაშინვეს გაატენედა დედაჩემი კვერცხეფს სააღლომთ, ხოდა, ყველს და გაყიდე, კაცო, ეს და ბოშეფს მოუტანე წულები ან რაცხა ჩითი, რა დეიფაროს. ალღომაა, ხო იცი, ყველას ეხარება ბაღანას, ჩამოკიდეფს ახლა ამ ხურჯუნს, აქით კვერცხები-თაა კალათი საჭსე, აქით ვედრება ყველით საჭსე და წვილეფს ახლა ის. გაყიდა, მარა იმდონი კი ვერ ეილო, რა ყველა ჩაფსლოს ე ბოშეები, კაცო. რამდენიც დაშჩა ფული ხელში, იმდონი იყიდა რაცხა-რაცხეები. ერთი წორი ქე დავერჩით. არც ფელზე გვაყვია, არც ტანზე გვაყვია. ავტირდი ახლა მე, კაცო, მეც ქეე მინდა ამისთანა. „ნუ გეშინია, შვილო, ნუ გეშინია“ - მეტყოდენ. რაცხას მოძებნიდენ, რა ციცი მე, ან კაკა იქნებოდა საცხა შენახული, კიდო რაცხას წოუყრიდა დედაჩემი თავს და კიდო სააღლომთ კვერცხეფს, ეგება ე ორი ბოში ჩავფოსლო კიდო და გააგზანიდა ხელახლა ისთევე. მიღეულზე კაკარაზ მეიტანდა რაცხას საწყალი იმისთანეს, რა ანაწყოდ ფეხი, თითები შესულიყო შიგნით წულაში და თუ არ ჩევიყვამდი თა, აღარ დევიძებდი, ისთე მიხაროდა, კაცო. ხოდა ამფერათ გვეიტეოდი მერე ეკლესიაზე აჭრელა-ჭრელა იმითი, რაღაცა ჩინებით შემოსვილი. ყვე, ბეერ გაჭვივებას ვარ გამოყთილი, ბეერ გაჭვივებასას ვარ გამორებული, გლახა დრო იყო, კაცო.

და ვ ი თ ლ ე ფ ს ე ე რ ი ძ ე

ვენახი ჩვენთან არის შავი ადრესა და თეთრი ადრესა. ვენახი ამ გავა-
შელიძეებს ხქონდათ მწვანე ჩამოტანილი რაჭიდან. ჩემი ძმამ წამეიღო ის
ვენახი. რქები და ძირები არ ქონდა. რქა ხომ არის, გამეიტანა იმან ერ-
თი დიდი ჯარჯი, კაცო, და საწყალმა ჩემი ძმამ დაამყნო, დაერგევით ახლა,
კაი ადგილი ქმონდა ძალიანი. ფერდობი, მიწა საუხუხო და ახალი, აკაფუ-
ლი. ოდა, ამოუჭრა იამკეები და ორ-ორი ჩააწვინა შიგ. გავაშენეთ ვენა-
ხი, ჩემი ბატონი ხარ, და ჩემ ძმას ქალაქში გადასვლა მოუხბოა. კარქა
ქნა, გუდვიდა. შვილები მაგისი ერთი აქანება, მეორე ქალიშვილი სოხუმ-
შია, ჩემი ბატონი ხარ, მეორე კიდო ექიმის ცრლია, მფილიში ცხოვრობენ.
გუდვიდა ქალაქში, ეს ვენახი ქე მიატოვა. ამ ვენახმა გოუშვა დიდი ნა-
ყოფი. იყო მეზობელი ერთი. მოგვეციოთ სანახევროთო, დევიმუშავეფო და
მევიხმაროთო. კარქიო, ჩემი ძმამ, და დევიწყეთ კრეფა და ერთათ ეაკეთებ-
დიო ვენახ ოროვე გლუხები და ქე იყო ერთი სამი რეთვერი ვენახი. მევიყ-
ვანეთ ჩვენ იქინა ასოცი ედრა ღვინო. მორწყვის საკითხი ამნაირი იყო:
წყალი არ გვეშოვებოდა ახლოს. უნდა მოგვეტანა ხარებით. ურემი დანგრეუ-
ლი, ბოჭკები გასაკეთებელი, დახსნილი, კაცო, არ ეხერხება არაფერი. ძა-
ლიან სახეღვანარდნილი იყო ჩვენი ოჯახი ჩემი ძმის იმ ღვინის გამო. ყვე-
ლა პატროსანი და ნამუსიანი, ცინც კი იყო პლასტუნკაში, მართლა ჩვენთან
მოდიოდა სუხველი.

დ ა ვ ი თ ლ ე ფ ს ე ე რ ი ძ ე

შ ე გ ე ძ უ ლ დ ა ნ ი კ ო ი ა ს თ ა ე რ ო ბ ა

სკოლაში ფეხი არ შემიდგამს, მარა წერა ქე ციცი. ციხეში რა მოუვი-
დოდა წერლი რამელიმეს, ამხანაგს, უყურებდი ამბანს და ასე დევისწავ-
ლე. უწინ სკოლაში, უმაღლეში მაინც არ გაგიშრობდა ძველი თაერობა. ხო
ოკო, სამ კლას ზეიმ სწავლა არ შეიძლებოდა. ეს საწყალი გლუხის შვილი
ისეთი ტინიანი გაშოის, რომე თას აჯობებდა იქნება, მარა არ გვიშობ-
დენ.

შეგძულდა, კაცო, ნიკოიას თაერობა. ხალხიც მევიდა, არატორები, აგ-
ვიხსნენ, რაში იყო საქმე, ხოდა, მიემხრო ხალხი ბევრი. ცადა ქონდა გა-
სული ძველ თაერობას, ხოდა გადავაბრუნეთ სახენწიფო. გარეშე ქვეყნიფ
ეგონა, შიმშილით ამოეწყებოდიო, მარა ახლა ისეთ გამაგდა საბჭოთა ხე-
ლისუფლება, რომე ქვეყანა ძიგძიგოფს ამათი შიშით.

ქაზაკები შამიციდენ აქანე გრატდანსკი ჩხუბის დროს. ხალხი გადახიზ-
ნებული იყო. შიმშილით იხოცებოდენ იკენიც და ჩვენც. ნალიაში ქმონდა
სიმიდი, მარა ეერ წეიღებდი, რა დაგეძვა. თუ წეიღებდი, წაგართმოდენ.
მერე დაგეციენ თაეზე და აგვაფორიაქენ აღგომა დღეს კაკრაზ. ჩვენ მერე

წიგნით იქით, ტყეში, და იქ თხელ-თხელი ქვებია და იმაზე აცხოზდენ შა-
დფს. თელი ორი კვირე ამ შვერი ტყეში იყონ საწყალი ხალხი. აქანე დახა-
ცეს მაგენმა ბატები, ინდოურები. შერე, ა ორი კვირის შერე ჩემივეით.

იმიტო, რა რა შეგვეძლო ჩვენ, იარაღი არ ქონდა, იგენი იარაღიანი
იყო. ყველა წასული ციყავით. ერთი-ორი ბებერი აქანე დარჩენილი და იგენი
არ მოუკლიათ. ქე დაქუბნუნენ. ჩვენ რა ჩამევიით, კაზაკები წასული იყვენ,
ყველაფერი დამტროული დაგვიხუნათ. ხვნა იყო დაწყებული და ცინ დაგანება
დათესვა.

ა ლ ე ქ ს ი ფ რ უ ი ძ ე, 80 წლის; წარმოშობით ლეჩხუმელი,
დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, წერა-კითხ-
ვის მყოფენე.

ს ო რ ი ს ა მ ბ ა ვ ი

სორის ამბავ რა მოგიყვე,
საქმე მოხდა მეტათ ძნელი.
ქრისტეშობისთვის დევიწყეთ,
გამოვანწყვეთ ყველაფერი.
მეტათ ვაბრალეფ ნაჩანიკს,
ბრალი იყო ყველაფერი;
ჩხუბიყ უწინ გამევიწყო,
კაცებოყ მოგვიკლა ბრველი.
მაშინ ყველა გამოგვაჩაა-
ოსტატი და მასტიერი (მასტიერი?)
ზარბაზანიყ გამოწაწყვეთ
ასი წლისა დიდი ძველი.
რა დოუშინეთ ქალაქსა,
დავანჯრით სულ კედელი.
ნაჩანიკოყ შეგვიშინდა
მაშინ კი ეილო ხელი.

ა ლ ე ქ ს ი ფ რ უ ი ძ ე

მ ი მ ი ნ ო ს დ ა ჭ ი რ ვ ა

მიმინოს დაჭირვა? მაგი მე გამოკეთებია. ჩიტი არის, ლაღოს რა უძახით.
მერეთ იმას დიჭირავ. რაფერ თუ იცი: კალას ჩამამბავ იმას, ძაფს, კალია
რუა, რა ხტუნაოფს, გადოუგდეფ იმას. ის იმისთანე ჩიტია; რამე, რავარე
გადახტნება კალია, ხელათ ეცემა იმას. კალიას ძაფი აქ ჩაბმული. წავა, ი
ძაფ წეილდფს, ძაფი გრძელია, შეეხოვა საცხა და დიჭირავ. ამას მიიყვან

წყალთან. ჯობ დეიკეთვ ხელში. ჩაამბავ ძველ შენურს. იფრიადღეს, იფრიადღეს ის და მეტად დალაღდება. რა დალაღდება, ჯობ დადევ წყალზე. წყალში ეშინია და ჯობ დააუღება აუცილებლად. რა ალარ ერჩი, მიეჩოვა ჯობს. ჯობს რა გააქნევ, მიინდამიან ჯობს დადემს დასაუღომით, ხოდა, ცხათ. რაღა მიწყერი მიდის, მიმინოვ მოყვება იმას. ბადია ვაკეთებული. გეიკეთევ სა-ფხარს რამეს, რა მიმინომ არ დაგინახოს. ააფრიადღევ ჩიტს. რავარე ისარი, ბიჭო, ისე წამოვა მიმინო ჩიტბ გულისთვის. რა იცის იმან ახლა, შენ ხარ იქინე, თუ რაცხა. რაცხანაირევ უნდა მუასწრო, ბადეში შიავდევ ჯობს შიგ-ნიდ და შეგობა მიმინო და გეიხოვა ბადეში. ერთი დღე აშიმშილღევ. აყვრია-ღღეს თვადღეს. მიწყერის ის უყვარს კილო, ტვინი და გული კვერცხის. ტვინი ასუსტღეს, ხოდა, კვერცხის გული თუ აჭამე, მერე მაგარი არის. სამ-ოახ დღეში შენია, უყვე ალარ გერჩის, მერე შიაროვ ამ წყერის იმას და თელი სიზონი წყერი აფრინდება წინ და იმას გრუშოვ რგე? საამდისი ფთევ გაშლი-დეს, დაწულია, დეიჭირავს, ჩაუღება, გეივლის ურო-სამი კვირე, ხოლო ის უნდა ჩააბა, ეტვანი სპეციადნი. გაყვება წყერს, ბუჩქში ჩაუღება რა-ცხა და დაგეკარქება და რა არ დაგეკარქოს, ჩაბმული აქ ფეხზე ან ფთაზე ეტვანი. სიზონზე, ბიჭო, ცოტა მიწყერს დეიჭირანვს? ურომზუდარში, ურომ-ზუდასამში, შიმშილობა რა იყო, სამას ეიჭირავდი დღეში, ურომზოვი ურამი ქონი ვამოდის იმარი.

კ ა ლ ი ა ფ რ ე ი ძ ე , 51 წლის, წარმოშობით ლეჩხუმელი, და-ბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, დამთავრებული აქვს ქართული სკოლა

ქ ა რ თ უ ლ ს კ ო ლ ა შ ი ც ს წ ა ც ლ ო ბ დ ი

რვა კლასი დავამთავრე, ქართული სკოლა. სკოლის პერიოდი... პირველი კლასიდან არ მახსოფს ახლა და მე მახსოფს მეოთხე კლასიდან დავდიოდი სკოლაში, ბიჭები ციყავით, ხუთი ბიჭები. დასვენება რა იყო, ვამოვიდო-დიდ გაარე ჭამამაშომდიდ ფეხბურჯ, ჭრენბურჯ, ძელი იყო. ძელზე ჭამამაშომ-დიდ. ზამთარში თამაში არაფერი არ ქუნდა ჩვენ, არ იყო მოწყობილი ისე, რა რაღაცა გვეთამაშა. თოვლი იყო, გევიდოდი და ცსრაბლობდი. გუნე ვაკეთებდი, თოვლის გუნდს, ან თოვლის კაც ვაკეთებდი. ზაფხულში უფრო კაი იყო. ვამოვდები იყო და, რა დავგიმთხოვდენ, ივენისის თვეში, ცურავდი; ხიდი არი სკოლასთან იქინე. ისე ჩხუბი არ მოქმედელი არაზდროს ბიჭებთან ჩვენ. არაზდროს არ მიჩხუბია. კაი მოწყობილი ციყა-ვიდ ერთმანეთთან სუყველა.

ისე მასწავლებლებიდან ყველა მასწავლებელი კარქთ ვეასწაველიდა ჩვენ საერთო, ცინე იყო ჩვენთან მასწავლებლები, სუყველა კარქთ ვეასწაველი-და. ყველაზე უფრო ცინ მახსოვს ახლა მასწავლებლებიდან - მე მიყვარდა ვაკეთებდი; ისტორია, გეოგრაფია, ფიზიკა, ჭიჭიკო მურუსიძე ვეასწავ-ელიდა. ერთი სიტყვიდ, ის რა აგვიხსნიდა ვაკეთებდეს, სახში მივიდოდი,

არა ცკითხულობდი სრულებით; მაშინ გოგრაფიას გვასწავლიდა. მე სამიანი მიდღემჩი არა ვქონია. ტიჭიკო მასწავლებელთან, სულ ოთხიანი და ხუთიანი. რუქა ვიციოდი ზეპირათ სულ, თელი რუქა. რაც არ უნდა ეთქვა მასწავლებელს, ყველაფერი ვიციოდი. გვიყვარდა რაღაცა ეს საგანი და ვსწავლობდით. ლექსების მოყვლა მიყვარდა. ხანდახან, რა გამოცდილიო სკოლა, ყველაზე მეტ ლექსებს მაძღვედენ მე მოსაყლოდ. ქართულ ლექსებსაც და რუსულ ლექსებსაც. ის ლექსები ახლა სუყველა მახსოვს.

კი ვისწავლეთ ჩვენ ევფხისტყაოსანი, მარა ჩვენ შინაარსი ვისწავლეთ. მე წაკითხული მაქ სულ თელი პოემა.

ნ ო დ ა რ ფ რ უ ი ძ ე, 22 წლის, წარმოშობით ლეჩხუმელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, დამთავრებული აქვს ქართული სკოლის 8 კლასი

დ ა თ ე ი ს ქ ო ნ ს ე ხ მ ა რ ო ფ ა

დაცვრით ფელიკებს და დავამარლებთ და, შაშხ ვეძახით, იმას დაეკიდეთ და ცაცხ დავამთვოთ, იმ ცაცხლით უკოთვეთ კაფჩენისა, კაპტიმ. მერე იმას, ზორცხე და მერე ცოტ-ცოტას ქჭრიო და ტაფურს ვაკოთვეთ. წიღებიდან ქართულ იმას ვაკოთვეთ, საჭმელ ნიორში შევეკმაზავთ. რუმელს ვიღვეთ, წმინდა რუმელსე, ვადნოთ, ოჯახში ქხმაროთ, თუ ვინმე ავით გახებდა. იმას ვადნოთ ჩვენ და ვინახებთ ბანკეფში. თუგინდაც არ დავამარლოთ, მაინც არ წახებდა. ციყხას ლახხეები ტკივა, კუჭი, თაფ(ღს) ურევთ, აღოეს ამა-ჩი. ნამეტანი კარაქი წამალია.

დათვის ქონს ჩვენ ძალიან კილო კარქათ ქხმაროთ. არ იშონება. ნამეტანი ძვირია და მაინც ვყიდულოთ. ის დათვის ქონიც იმისთვის არის, ზატემენია ლახხის. მანჩვის ქონიც კილო უკოთესია, მაგარმ მაგი არ იშონება, ნამეტანი ძნელია, რა მაგი იშონოს კაცმა. ისიც კილო ასეთი არის: ციყხას კუჭი აქ დაზიანებული, იაზვა ელუტკა რა აქვ, ანდა კუჭის დაწვა აქ, ყველაფერს შევლის მანჩვის ქონიც. დათვისე, მეტათ უფრო ლახხეფს უხებდა. სკის მიწა არის ძალიანი კარქი. ისეთი ძვირი გახება, რამე მაგას ვერც ვშონილოთ. მაგი უხებდა უფრო კუჭს. მარა ვინც ბევრს სვამს, აღა-რაფერი არ შევლის, აღარც მანჩვის, აღარც დათვის და აღარც თხის ქონი.

მ ა რ ო ლ ე ფ ს ე ე რ ი ძ ე, 42 წლის, წარმოშობით: ლეჩხუმელი, დაბადებული და გაზრდილი სოჭში, დამთავრებული აქვს რუსული სკოლის 4 კლასი

ხ ი ლ ი ს შ ე ნ ა ხ ე ა

ხილი აქანე ზამთარში ცოტაა, მარა, რაცხა გვაქე, სილაში, იაშიქში ვინახავთ. სილას მევიტანთ, რეჩქის სილას, მარსკოი სილა არ შეიძლება,

მოვაყრიბ იმას, მოვაწყობთ იმაზე ყურძენს. დავადეფთ ქალაღდს, მერე სი-
ლას დავაყრიბ კიღო და ასთე. როგორც ახალი მოკრეფილი, ასთე ინახება სი-
ლასში. ვაშს ვინახავთ. ფურეჩი რა არი, სტრუშკეფს ვეძახით ჩვენ იმას, და-
ვაწყობთ იმას ვაშზე, მერე კიღო ვაშლი და ასთე ძალიან კარქათ ინახება
ვაშლი თელი ზამთარი.

ზამთრისათვის ვაკეთებთ ჯანჯუხებს. კაკას დავტეხავთ, ავანტოფთ ნემსზე
და მერე ფელანდუში უნდა გააკეთო. ყურძენის წვეინს უზავთ სიმიდის ქვიღს,
მერე ის ფელანდუშით რა ვაკეთებთ, ჩავალბოფთ ანცობილ კაკას და ვაკეთებ-
ბა ჯანჯუხები. იმას გავაკრავთ ჯოხზე და გავაშროფთ.

მ ა რ ლ ე ფ ს ე ე რ ი ძ ე

ა ქ დ ა ს ა ხ ლ ე ბ უ ლ ა რ ი ე ნ

ღეჩხუშში ღარბათ ყოფიღარიენ და მიტო გადმოსულარიენ აქანე. მერე და
მერე ქვე შოუქონებიათ. სიმიდი ბეერი მონაყავათ, ღობიო, ძროხები ხოღია,
ეს სკა ხოღია და ყვეღაფერი. წამევიზარღეთ და კარქათ ვცხოვრობდით, ძვე-
ღებული ცხოვრება იყო, ხარები უნდა კყოღებოდა. ცხენი უნდა კყოღებოდა,
უნდა გუნდა და თელი ზაფხული ყანაში ვიყავი ბოშობაზე. ვინ მასწავლიდა,
მათხინებდენ. ახლა კაი დრუ არი, ვიც ვარგა, კაი აცვია, კაი ახურია.
რა ჩეივას, არ ივის ხაღხმა. ახლა რა ტანისამოს ყრის ხაღხი, მაშინ საკე-
რავი საკერავზე იყო, ოდა, ახლა ვინ კერავს რამეს. მე და ჩემი შილი, სა-
წყალი უწინდელი ქმარის რძალი, დავტეფბოთ ნავახშიფიფს, ბოშეფს რა დავა-
ლაგებდით, შემოდგომის პირზე, დავტეფბოთ კუნაში და დევიწყებდით ამ
ძვეღების კერვას. საგარეოც არ ქიონდა, საგარეო რა გეეშინა რამე, ისეც
არ იყო. თუ ღმერთმა ჭომი არ ქნა, ნამეტანი კაი ცხოვრება არის. ღმერთმა
ნუ ქნას ჭომი. რაც მომესწრა, ის მეყოფან თლა უწინ რა ჭომი იყო, მაშინ
ვიყავი, ნუ, რა ვიცი, რვა წლის ვიქნებოდი თუ შვიდის, რა შემევიდა ის
დენიკინები იყო თუ სიკვტილი. დედა, მაშინ ჩვენ გაჭვირება გევიარეთ. და-
მეხზოვე, შენი ჭირიზე, დედა დავარდნილი კეყავდა, ცხენით დაკეყავდა.
ჩემი დედა მაშინ დეიტანჯა. ჩვენ ბოშები ვიყავით. დავკიაღობდით საცოღა-
ვით. დენიკინები რა შემევიდა, მაშინ მყავდა ვახტანგი ხუთი თვის. ჰიდა,
წივედით, გევიტეციო. საწყალი მამამისი წასული იყო, ვითომ გავარეფფოთ,
მარა ქვე რას იზამდენ. ჩემი მაზლიც წასული იყო. ქალემა მივეციოთ თავი,
გევიტეციო იქით, ი ტყეში. მაშინ იქ ჭეხოვრობდით ზერე; გოგო მყავდა
ჭორწლინახვერის, წივედით და შამევიდა ჯარი. სკოლა იყო აქანე. შემევიდა
იქინე. ვხედავთ, მივრბივართ. ე ბოში მიხუტია აგერ, რძე ხელში მიკავია.
ძუძუ არ მქონდა არაოღეს, ხოდა, დავგინახეს, მიუშეეს პულიმოტი. კაცი
მოდიოდა ერთი, ხუთი ბოში მოყავდა. რუ ატყდა სროლა და ჩამევიყარა ცხემ-
ლის ტოტები, ი კაცმა ხურჯუნი წამეიფარა თავზე. გემეცინა. ჩემი მაზლი
გამეწყრა, რა გეცინებაო. მე უთხარი, ხურჯუნი რა დეიფარა თავზე, რას
უშეღიღა-თქვა. საჭმელი ქონდა, წამეიხურა იგი. იმ დამეს იქ ვიწვიო

ღელეში, გაჭირვებულნი. მე ზორი ბოვში მყავდა, კაცი ფრონძე იდგა. ოუდე-
ქით აღმართს იქინე. იმისანე აღმართია, რამე ესე, ასია! ბოში მიკავია ხე-
ლში, რძე ხელში მიკავია კატელოკით და ჩაჩაბი ზრუქში მკიდია, ის, საწო-
ლი ბოშის, ჩაჩაბ უძახოდენ მანამდე. ფიციარია გაკეთებული და იმაზე ბოში
დასაწვენი იკენია... ვინ ათრედა ტყეში აკავანს, უბრალე ფიციარი იყო.
სახში არ ვხმარობდი. ხუთი თვის ბოში ტყეში რაზე უნდა დამეწვინა.

ერთი გოგო სოჩაში მყავს. კარგათ ცხოვროფს ძანიალი. ქმარი დეეკარქა
ჯარში, მეორე ქმაროც კაი შეხვთა. მე მარტვე ვარ ე ბებერი ქალი. დავებერ-
დი, შეჩხუბება ჩემი შვილი, რას აკლავ თავსო. აბა, რა უყო, რუ არი ეს,
არ მივხენდო?, არ გავაკტომ? ეზოში რუ იქნება რამე, არ წვეილო?, არ გაე-
ყრდო? ბაზარში რავა დადინარ, დედიასო, - მიჩხუბება. რავა დავდივარ და
ფხუბით, მე უთხარი, აბა რა ვქნა, აბა შენ გამიკეთეფოქვა? ხო იცი, ი
შვილიშვილეფს კიდო მიხედვა უნდა, რაცხა პეტრე უნდა ასიამუნო, აბა რა
ვქნა! ცხრა შვილიშვილი მყავს, ექვსი შვილდაშვილი. ისინი მირჩენია ი
შვილიშვილეფს. რა ყოფილა, კაცო, ესე! ერთი მყავს, ახლა წლის და ზორი
თვის არი, ნუ, ქვეყანას მირჩენია, რაცხა იმისთანე კაი დადგა ნათელას
ბოში. რუ გავა უთხბი-ხუთი დღე, ვერ ნავხავ, გული შემილონდება. რა ვქნა,
კაია, რუ ცუხოვრობდეთ ერთათ, მარა არ მქონია ბედი. რუ გავზარდე შვილე-
ბი, დეიკარქენ, დავერი მარტვა. რუსული მე არ ვიცი. მარტვე ყიდვა-გაყი-
დვა, მეტი არაფერი არ მისტავლია. მამარემა თონა მასტავლა, თუარა მეტი
არაფერი მისტავლია. ჩემთან არ ყოფილა რუსები ან დგურათ, ან მეზობლათ.
რას ვისტავლიდი, სოფელში ისთე თუ გეიარდენ, თუარა ჩემ სახში მიდღემჩი
არ დარჩენილან. ახლა კი არიენ. ქართულეც არ ვიცი, რუ უნდა, იმისანე,
ჩვენი ქართული დაბნეულია. ჩამორჩენილი ვართ ცხოვრებაში.

მაგი პატარა ყოფილა, რუ ჩამოუყვანიათ ღერხუმიდან, მამარეგი. აქ და-
სახლებულარიენ, შოდა, ჩვენ აქ გარენილი ვართ. ფაცხი სახლი გოჟკეთებინ.
მეორე ბაბუა ქე დამხრვალა წყალში. ზაფხული ყოფილა და გვეცურავეფ ერ-
თო გესში, გვიცურავა საწყალმა და ქე ჩეიჩრვა იქინე.

ღ ი დ ა ლ ე ფ ს ვ ე რ ი ძ ე, ნი წლის, წარმოშობით ღერხუმე-
ლი, დაბადებული და გარჯილი პლასტუნკაში, წერა-
კითხვის მცოდნე

ტ ყ ი ბ უ ლ ი დ ა ნ ჩ ა მ ო ს უ ლ ე ნ

იმერელი ვარ. ბაბუები არ მახსოვს. იქიდან მამარეგი ჩამოსულია აქანე
და მერე აქანე მე დევიბადე. ტყიბულიდან ჩამოსულენ, მარა პლასტუნკაში
ცხოვრობდით. ყეჰ, დიდი ხალხი მყავს მე იქინე.

ქართულ შკოლაში არ მისწავლია, მე ცსწავლობდი რუსულ შკოლაში. ღაეა-
თავრე რუა. მეტი არა. მერე წვედი სამუშაოთ. მე სად ვმუშოოფ? მე ვმე-
შოოფ... თავიდან დევიწყეფ. ვმუშობდი საფხოში ღა კალხოში. უზაზხუი
წელიწადი კალხოში ვიმუშავე. მერე დევიწყე სენატორიაში მუშაობა. აიი

წელიწადის მერე წევრები ტყეში სამუშაოთ, პეტრე რაცხა ფულის საშოგარაო, სიმაღლე გიბხრა, მე ვმუშაობდი ორწელიწადნახევარი იქინე. ახლა სახში ვარ. ვენაცვალე ჩვენ თავობას. კატინიაში ვმუშაობდი შოტი წელიწადი. რაც წაღდი და რამეს ამბოვენ ქართველები და აკეთებენ, მე ვაკეთებდი. ოხი, ნაჯახი ვინდა, ქართული ნაჯახი, ნუ ნაღბანი, ხარ დავჭედავ, ცხენ-ყვეს ჩემი საქმე იყო. ყველაფრის სახელ დაგიწერავ, ევილოთ კამბეჩი: ნალი, იმას თავის ის უნდა, უნდა იყოფე სადაა იმისი ადგილი. დავჭედავ, შორ თვეს დადის. რა გამსხვაობა არის? კამბეჩი ძიმე საქონელია, იმას უნდა მოლუნული უნდა ქონდეს, ასეთძიმე საქონელია და არ წვიხთინოს ფხი. შოტი წლის არის, ნამუშევარი ვარ და მერე მუადგილე ვიყავი სამშვედროსი კალხში.

მერე ჯარში ვიყავი ჭილანდიაში, დაბრავოლნათ. დავტოვე უორა, ბოში, პეტრე და წევრები. შორმოზდაერჩი ჩამეცედი. მერე ისევე აქ, ჩვეს სამამულო ომში. შორმოზდაერჩოში ჩამეცედი ორმეტ ივინსს. ჭილანდიაში დევიწყე მე და მერე აქ სტალინგრადი, კიევი და ეგენი სუყველა ნავხე. ოხი ძმები ვიყავით ჩხუფში: ილიკო, ვასილა, ვალოდია და მე. ოდა, ვერ ნავხე. ვეძებდი, წერილით ვეძებდი. ვერ ნავხე.

ცოლი, შვილი მყავს, ერთი-უორა და იმისი გოგო ლაანა. შვილი სენატორიაში მუშაოფს. რძალი ქუთაისიდან, ალპანიდან ის რძალი. წამევიყვანე, დევიჭირე შოქრო გოგო, ვენაცვალე მის გამზედელს, რა იმისანე კაი გოგო გაზარდა. ალპანაშია ძახალი. მე ერთი ორჯერ მივიედი. იგენი, ხო ივი, ქალიშვილი, სიძე უფრო ადრე (ხშირად. ო.მ.) უნდა იარონ მაგენმა. რა ქნან, ბოშები არიენ. მაგენს სულ უხარიათ, რომ მივლიენ დედასთან. ნახავენ. ოდა, კარქათ იყონ, გოუმარჯოსკენ, იარონ. მე იქით მივებმარები, არ შინდა, რა გოუჭირდენყე მაგენს. მე ახლა ცოლ-შვილი გავაგზავენე იქინე, ჭფიქროფ, რა ჩამოვა ჩემი ბოშები. გუშინ ვალამია ჩამევიდა, თოჟლია ასე...

მე პირველი მოხელე ვარ. შითხარი, რა გაგებერდება, რა ჩაწერო, ჩემო მოყვარე. ტყეში ღამე დავტელები, კაცის არ მეშინია, მგელის არ მეშინია, არაფელის. ისია შვილი ჩემი. ახლა ვიყავით წასული ლორზე, შორი მოვკალით, წამევეით სახში. არაფელის შიში ტყეში არ ვარგა, მონადირე კაცი ის კი არ არი, რა ეშინია ძაღლის...

ა თ ა ნ ა ს ე ფ რ ი ძ ე, 67 წლის, წარმოშობით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, დამთავრებული აქვს რუსული სკოლის 8 კლასი

ნ ა დ ი რ ო ბ ა

მე გეტყვი ახლა ხალხს: ადასია უჩაძე, დავითა ცხვედიანი, ვალამა ღეფსიწვერიძე, რაუდენა ბაბუნაძია, ცირიკიძე, ჩხეტიაანი - ჩვენ რა წვიელოდით, ნადირს არ მოვკლავებთ, მაქ არ იყო ერთი რამ - ოახ კილომეტზე ავიდოდი ისეთი, რა ასევე არ შეიძებოდა, მარა ჩვენ ქოინდა ნება და ვკლავდით ნადირს და მოქოინდა: ლორ, გარეგანი ლორი, თხები, არ ქვია, არჩვი.

ბაბუაშენი კლავდა ზეით, არჩუაძეებს ზეით და, საბას სუკს რა უძახიენ, რატო უძახოდენ საბას სუკს, თუ იყი - იქინე იყო იმ სუკზე არჩეები, გად-
 მოდიოდენ და უყურებდენ და, ბაბუა რა წვეიფოდა, ბიძია ბაგრატია მაინდა-
 მაინ (-აუცილებლად) მოკლავდა იქინე და ჩამეიტანდა. ის იყო აქ და ახლა
 არ არი. საბა შტააძე იყო, ხოდა მაგას ქონდა ძირს ალებული, ნუ ასე იყო
 გორა აქიდან და იქიდან და ის იყო მაგისი, რა წვეიფოდა, მოკლავდა
 არჩე, ჩამეიტანდა, ხოდა, სხვას კაარ უშობდა იმ ადგილში - ეს ჩემი ად-
 გილი არიო. საბას/სუკზე თუ ახვიდოდი, აქით მარლიანი წყალია, იქიდან
 ღელია, ჩამოდიოდენ იქინა არჩეები და კლავდა. მერე ტაროელას ის იყო
 კილო, სუკი, ტაროელა სილაგაძის სუკი; ზეით, იქიდან რა გადმოჯის, ა
 სერგეიპოლიდან. კაარ გვიშობდა ჩვენ იქინე, მარა ვეპარებოიო. ხანდახან.
 საარჩევში მივდიოდით, არჩეები იყო, როგორც გოჭები, ასეთ. საარჩევში
 გადასვლა - ეს იყო ხუთი დღე. უნა გვეარა ფეხით. იქიდან ერთი ათი კილო
 ხორცი რა ჩამოგეტანა, ფეხები გაგაცემებოდა.

ვ ლ ა დ ი მ ე რ . ქ ა ს რ ა შ ე ვ ი ლ ი , 62 წლის, წარმოშო-
 ბით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი სოჭში, წერა-
 კითხვის მყოფნი

ბ ა ვ შ ე ი ს ა მ ვ ნ ა

ჩემი ოჯახობა იყო წასული, ნუ, ადრინააღშეფს ეძებდა, დაშვინებლევს
 და ბოში ყოფილა სკანდინავიუ წაწოლილი, გამოუღვიძინა და ტირის ეს ბოში.
 ვინ არი მაგისი დედაო, ხო იყი, არ მოსულა არვეინო. ქალს უთქვია: თუ
 არ მოსულა, მე წვეიყვან ამასო. და გაწუწული ბოში ოუხტებია და წამო-
 უყვანია. შეიყვანა სახში. ერთი თვია ახლა ჩემთან არი, ჩავაყვით, დავა-
 ხურეთ სუყოლიფერი და მერე გამოვეცხადით, წვევით მიღიყიამი. ოდა, იქი-
 ნე მითხრეს, რა დედა არა ყავეს, მაშა არა ყავეს და არაფერიო. დედამისი
 შეიყვანეს უთე, დეიჭირეს და შეიყვანეს. რა შეეკითხენ, ვისი არიო, ეტა
 შიოო. მაშა არ ციციო, ვისი არიო. ი ქალმა უთხრა: თუ არ იყი, ვსაო.
 ოდა, ახლა სუდი იქნება ზეგ. ჩამოართმევენ ი ბოშ და დამჩება მე. იმისა-
 ნე ბოშია, რა იმას დევიტოვეფ და მე გავზდი მაინდამაინ. მე კაარ გავზ-
 დი, ჩემი შვილები, მე კაარ მაძლევენ, შიისაატ ძაატ ლეტ. წეიყვანა ბა-
 რისამ, ჩემი შვილმა. უთის ახლა, „პაპა პრედიო“, ხოდა, გავზდი იმას
 მე, როგორც ჩემი კვიდარე შვილიშვილი.

ვ ლ ა დ ი მ ე რ . ქ ა ს რ ა შ ე ვ ი ლ ი

მ დ ი ნ ა რ ე ს ო რ ი ნ კ ა

ამ დინარეს სორინკა ქვია. იმდენი თებზი იყო უწინ... ზვირები ვიციოთ
 ჩვენ. დააგებდი საღამოს-ყოცი, ჭოზდაათი ცალი იჭირებოდა. ნამეტანი კაი

თებზია, როგორც კრასნი პალენაში, კალმახი, ჩონაპუზს რა უძახიან, წვე-
რა ნამეტანი კაი თებზია. კალმახი თითქმის ჭორკილოსამკილოიანი. ლასოსი
იყო უწინ აქანე ტროციტ კილოგრამი. ზომიანობის მეორე მვისპო. რა იყო-
და ხალხმა ხლორი, კაცო, ხლორი სპოფს ყველაფერს. დეიწყეს ხლორის ჩაყ-
რა, ღინამეტების. ხვირ დააგებდი, მე იმას მეწველ ძროხას უძახოდი, რა-
ცა დამჭირდებოდა. საფხე იყო, ახლა გაიგონრა! ხოლოთ ზეით თუ წახვალ,
კალმახი არი. შორს ზაპოვედნიკია და არ უშობენ ხალხს. იქინა ბევრია, ეს
ჩორნაპუზი არ მიდის. იქინა, ზეით ეს სოჩინკა ამდენა კაარ არი, ქვებზე
გახტნები, პეტერაა. მერე ერთეება მაგას აცი, კაი დიდი არი, მერე აგვა,
დიდი წყალია ესეც. იქ რა ახვალ, მაგის სათაემდი, კალმახია მარტვა. კალ-
მახი ბევრია აცშიც. ეს ჭორი ერთეება მაგას თავარი. ბეზუმენკას უძახიენ
კილო, ეს რა არი, შე კაცო, ვადაპადი. ჩეიყვანეს კარგი გზა ახლა, მალა-
ლია, სტო დვაიტი მეტრა. ამისთანა ვატაპადი არ არის არსათ სოჩის რაიონ-
ში, როგორც ეს. საინტერესო შესახედავია ბუნება. სულ ის არი, შე კაცო,
შეკერი და ბზა. თითქმის ყველაფერი იზრდება ტყეში. თითქმის სუყველაფერი
ხე-ტყი არი, ყველაფერია: გარეგანი ბალი არი, ვაშლი, ვსხალი, კუნელა,
მოცივი. ეკლესიის სტენები არი კილო ახლა, შიგნი ხე-ტყია ამოსული, დიდი
წიფლები. მაქანე ქონიათ მაგათ ეკლესია, აგვარი ერთეება სოჩას.

ი მ ნ ა კ უ ბ ლ ა შ ე ვ ი ლ ი, 69 წლის, წარმოშობით იმერე-
ლი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, წერა-
კითხვის მცოდნე

ს ი მ ი დ ი მ ო გ ვ ყ ა ვ ს

სიმით ჩვენ ვამუშავეთ ასეთე: ჩვენ პირველიდან, ზნაჩიტ, სათესლე სი-
მითს ვამარაგეთ. ტარო რა თავდება, თავიდან და ბოლოდან, ჩვენ იმას არ
ვფშენო სათესავათ. რა მოვაფშენით, იმას საქონელისთვინ ვხმაროფთ, კაი
სათესი რომელიცაა, იმას დავამარაგეთ. მანამდი ვხნაფლით - ახლა არც
არი იმხელა ადგილები. რა დავმარავთ ჩვენ, მერე საამდე გახმებოდეს მაგ-
რათ მიწა, მივათესავთ და მივათოხნით. მერე პირველს გავამირადეთ, მერე
რა დოუკვირდებით, რა სიმიდმა უფე წამეიწია და გასათოხნიცაა, შორედი
იქნება. შემდეგ ბაღახეფს ეწმინდავთ შიგნი, ხელით. რა დამწიფდება სი-
მიდი, მოვჭრით მერე იმას, მაშინათვე ვტეხავთ ტაროს, ჩაღას შეეკონავთ.
რა გახმება კარქათ ეზვიანეთ იმას ხეებზე, ეკონავთ ჩაღით ან კაპიჭით.
მაგითინ ვენახეფს ახოვენ. ხი არი, ხე ამოდის და გადაჭრიან და ამოდის
პატარა წყენები, რუსები უძახიან: პლარუმი ივა. არა, მაქ ტილიფი არ არის,
ტილიფი სხვა არი. ჩვენეთში რა ვიყავი, სიმონეთში, ვენახს ახოვენ კილო
თითო წყენებით.

ტარო ფრეჩშია, რა დავფშენით, ქუნჩალა რჩება.

მიწას ვამუშავებდიოთ სახვენელით. სახვენელი არი ხის. ძირ ქუსლი აქ
გაკეთებული. სახენისი აქ იმას. სახენისი ხელი მოსაკილია. უღლები ქუნდა

ჩვენ, ქართული უღლები. ტაპიკი ქონდა იმას, ფარცხი ხის ქმონდა: ჭოთხი ჟოხი, თმაში რკინებია ჩასობილი. ყურეფში დოუბამდით ჯაჭის და ჭფარცხა-მდით.

ი ს ე ბ კ უ ტ ა ლ ა ძ ე, 42 წლის, წარმოშობით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, დამთავრებული აქვს ქართული საშუალო სკოლა

ჩ ვ ე ნ ვ ა რ თ ი მ ე რ ლ ე ბ ი

მე მქვია გიორგი ტარასოვიჩი. ემუშაოფ სანანტორია ძერჟინსკოვო. აქ დაბადებული და გაზდილი ვარ. ჯეიდა აქ გევიცანიო გზაში, პოეზში. ნუ, ეს ასთე მოხდა დამოკლებით: ცოლი მიდიოჯა საქართველოში და შეხვთა, პირადამ დეიდაჩვენნი, რომელიც სულაც არ ვიცოდიო. გაენობით, გამოენობით, იქით-აქით იმას უთქვია, ჩვენი სოჩაშიო კაი ნათესავეები ქტყავსო, ბიძაჩემო, ი ბიძამისი ჩემი ბაბუა არის. ჩემა ცოლმა უხხრა, მეო მათი შვილის ცოლი ვარო. დევიწყეთ წერვა. თითქმის თელი გოცირიძეები დავგოჭეთ რა, სადაც იყო დაქარქული, მოენახეთ ყველა. მერე თფილიშეც მოენახეთ ბევრი, ვიყავით ჩასული, მამაჩემის თაენისიანობა ყველა წასული არის, არ არის უფე ცოცხალი ბაბუას ლაზარე ქვიებია. ჩვენ ვარო იმერლები. არ ვიციო სოფელი. დე-დაჩემი კილო ვერ ხსნის ისთე, რო უნდა. მამა ნამეტანი ადრე დაგვექარქა-აქ, ასთი ანგაროშებია ახლა ჩვენში. მე მინდა აუცილებლათ მოქებნო ცირიკიძეები. ახლა ამ სახლის თაობაზე ვერ მევიცალე ბევრი, ახლა უფრო მოცლილი ვარ. მე, ვაფმე, წესი მაქ ისთი, რო უნდა მოენახო თუ ვინმე ავა-მძრიე და ვნახე, ეს თლა უკეთესი. ცირიკიძეები ბევრი ყოფილარიენ ქუთაიში, სოფლისკენ, მარა სოფელია სადაც იმერეთში; ნამეტანი ბევრი ცირიკიძეები არიან. ვიც არ ვნახე, ყველა ამბოფს, რო ნამეტანი კაი ხალხი არიანო.

გ ი თ რ გ ი ც ი რ ი კ ი ძ ე, 41 წლის, წარმოშობით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, დამთავრებული აქვს ქართული სკოლის 4 კლასი

ე რ თ ი წ ე ს ი გ ვ ა ქ ყ ვ ე ლ ა ს

რიქამაძე რომან გერასიმოვიჩი. ვარ დაბადებული ტიშჩი დევიესოტ სემნან-ცოტოვო გოდა. დედა ცოცხალი მყავს, მამა აღარ არი. იმერეთიდან. სწავლა მაქ ოთხი კლასი დამთავრებული, მამაიის რუსული. მამაიასი იყო სკოლა, ეს ოზდაშვითში, ოზდარვაში ქსწავლობდი იქ. მერე გადმევედი ნოვი ზარიაში, ნოვი ზარიას შკოლაში. მერე დევიწყე კალხოში მუშაობა. მერე პრაი-ზვოდსტვამი წვეედი და იმას მიეხყევი, სტალარს, სანტენიკათ ემუშაობდი. მერე ჭოშში მოეხჭოთი. ჭროლობა მაქ. იქიდან ჩამევედი და ქე ვარ სოჩაში.

მერე იქ ჩვენ ვადაპრავოლი გაქუხავდა, ატაპუნია ოზაათექსმეტში წამევიდა პირველად. მანამდე ხშირ არ იყო ატაპუნია. ოჯახი, რამდე ჯარში წევიდოდი, კადრავოიში, ომში რამდენი წევიდოდი, ვმუშაობდი აქ. კატელნიას ვდგამდით აქ, სენატორები რუა. ყველა სენატორიეფში ვარ წამუშე-ვარი. სენატორია „სალაუტში“, მაშინ ეგი ემგებეს ემსახურებოდა.

მე მახსოვს აქანე, რე ევილოდ, ოზდახუთიდან - ჩვენ ვიყავით პლასტუნ-კაში ზერე. მაშინ გადმევედით აქ. აქანე ტყე იყო, გასაწმენდი სუყველი-ჯერი. იყო ერთი თხუთმეტი კვამლი მოსახლე: ქართველები, მეგრელები, სომ-ხები; ისთი არიენ ახლაც. ახლა რუსებოც ქია. აქანე იყოფოდა: ვერხნი რუსკი მამაიკა და გრუზინსკი მამაიკა ერქვა. რუსებოც იყო, მეგრელებოც იყო, სომხებოც, ქართველებოც.

წესები ახლა რე თქვას კაცმა, ქართველი, მეგრელი, ლეჩხუმელი - ვინე უნდა იყოს, ერთი წესი გეაქ ჩვენ. სოჩასა და იგენში კაარა, სომხებოც ჩვენს წესზე გადმევიდენ ახლა. პაიჯობენ ჩვენს დიასახლისებს, რე მოგვიწყით მაგოდა, როგორც თქვენ აწყობთ ისთე. რაც მახსოვს მე წესი, ახლაც ისთე არის. ნუ, ტერი და ავი, რე გედიცვლება ხო, ასვენებენ, უძახიენ ბლომათ ხალხს, მერე, ორმოცი სანამდე არ გავა, შავები იციენ, წლისთავამდეც კი-დო შავებოთ დეიარბიენ. ორმოცამდე წვერს არ იპარცავენ კიდო. ორმოცზე დოუვილიენ ახლა პატარას ახლობლევს, ნათესაევს, თავს უტყევენ, ერთ ორ სტაქანს დალევენ, ახსენებენ მიცეალებულს. ასე ყოფილა წესი და ასე მი-ხობიენ. მერე ორმოცის შემდეგ წლისთავს გარეიხთიენ. წლისთავზე ცოტას წეიმღერებენ.

- ყველამ იყის სიმღერა, თუ მხოლოდ იმერლებმა?

- ყველამ არა. მეგრელებში არ შობიენ. დაკეტილი სტოლი აქთ. ჩვენთან გა-ხსნიან, პეტერას წეიმღერებენ, უყე გახსნილია სტოლი. რა თქმა უნდა, თა-ვის მიცეალებული არ ავიწყდება იმას სამი და ოთხი წელიწადი, მარა, ვაფ-შე, ოჯახში იხსნება სტოლი.

- რაწველებმა და ლეჩხუმელებმაც იციან ასე, თუ მარტო იმერლებმა?

- მეგრელების გარდა ასთე აკეთებენ სულ.

გასვენების დროს თებში, ყველი არი და ლობიო და ამისანე. გასვენე-ბამდე დაატდენენ ხალხს, გაასვენებენ, მერე არ ბრუნდება ბევრი ხალხი, მაინც ცოტა შეიყრის თავს, ახლობლები.

რ ო მ ა ნ რ ი უ ა მ ა ძ ე, 67 წლის, წარმოშობით იმერე-ლი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, და-მთავრებული აქვს რუსული სკოლის 4 კლასი

მ ა დ ლ ო ბ ე ლ ი ვ ა რ შ ე ვ ი ლ ე ბ ზ ე

დედა აქ დაბადებული იყო, სილაგაძე. წერა-კითხვა ვიცი პეტერა, თავს ვიყოლიეფ. წერილს ვწერამ ბოშეფს.

შეღოცები არადფრი არ ვიცი. იმდენმა ამბავმა გედიარა ჩემ თავზე;

რო ყველაფერი და მიწყებული მაქ. მოღბენა ვიცოდით დიდი ამბიო. პირველად არა უშვად და მერე ე ჩხუბიანობა რე შეიქნა... მე არ გამომარბოდა იღბა-ღმა. ყველამ იცის რაფერი ბიჭები დაეკარქე. ვზდიო შევიღვეს და, რაც და-მჩენ, მაღლობელი ვარ. შევიღებზე. გოგუებზეყე მაღლობელი ვარ და სიძებე-ზეყე. გული არ მტკენია მაგენიზგან. ბიჭები არიენ კიფო ორი, ეგერ მყავეს, კარქები არიენ, თუ პეტრეუ ხან კიფო მაყურებია ღმერთმა, თუ არა და ისე... შევიღიშვიღები აგერ ოზდახუთი მყავეს. ძალიან დაფასებული შევიქენი.

და რ ი კ ო ც ი რ ი კ ი ძ ე, 73 წლის, წარმოშობით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი პლანტუნკაში, წერა-კითხვის მყოფენი

და რ ი კ ო ც ი რ ი კ ი ძ ე ს ა უ ბ რ ი ღ ა ნ

ქსოვა - აქანე არაეინ არ იმაშობა მაგას. მარტვა სომხები ქსოვენ წინ-დეფ და რაღაცას. არე ის არი, აბრეშუმს რე ამზადებენ.

საქენელი ახლაც კტყავს. ზამთრობით სხუანაირი მიხედვა უნდა. უნა დაამ-ბა, საჭმელი უნა მოუტანო, უნა, ბოდიში თქვენთან, დაწმინდა, უნა იმას-ქნა იმის სადგომი. რქეს ვეღრაში გამოეწველით, ყველს ვაკეთაფო.

ეაცხოფო... ხაჭაპურები, ლობიანები და რაცხას ჩოურთეფო, ყველაფერი შეიძლება, ქართოფილი. ვიციო: ყველიანი, ნიგოზიანი, ლობიანი. წინეთ ყვე-ღა ქართულ ლამარაკობდა, ახლა რაცხას იტყვიენ, ვერ ვგონოფ, რა არის ეს.

მ ა მ ა ს მ ე ნ შ ე ე ი კ ე ბ ი ღ ა ზ დ ე ე დ ე ნ

ოზდაორ წელში ოთხმეტი წლის ვიყავი და ექვსი თვის და ჩემ მამას მენ-შევიკები დაზდედედენ მოსაკლავათ და სულ ტყეში ცხოვრობდა. დედაჩემი, სა-წყალი, სულ რაღაც-რაღაც ხის ძირეფში იყო და ეჭრობდა. მერე ტერები რე ყავდა, ასთე მოგვივიდა ხმა, რე იმას ვერაფერ ვერ უხერხეფო, ვერ ვიჭი-რავთო, მარა გოგო ყავსო და იმას გევიყვანთო და გავზრახავთო და მოდი უგდეფო, მეტ ტერობას ვერაფერს ვერ გოუკეთეფო. ეს მამაჩემა გეიგო, ასთე პატარა ვარ და უნდა გაგათხოეო, შეილო, უნდა ჩაგაბარო პატრონსო და ეს კაცე გამოჩაა, ესენი კარგათ ცხოვრობდენ გლეხურათ, ბიძასთან იყო მი-სული, მარა მამასთენეც კარქათ ცხოვრობდენ. ესე შემეკითხენ ახლა, პატარა ვარ და, ასეა უნდა დაგნიშნოთ. მე უხხარიყე, რა ღროს ჩემი გათხოება მე პატარა ვარ, არაფერი არ ვიცი. ისტავლიო. ამის ბიძა კიფო მვეიფა და პირდაპირ დაღდა და უხხრა მამაჩემ, რე ეს მომეციო, პატარა არი, მარა გავზდიოთ. იქ რე მივედი, ბიციოლა დამიხვდა, ბიძა დამიხვდა, ბიძას უნდო-და თავის ჭკუაზე გავზდილიყავი, ბიციოლას უნდდა თავის ჭკუაზე გავზდილი-ყავი. ისეც მასწავლიდა და ესეც მასწავლიდა და ღლა დამიბნიეს აზრი. მე-რე ხო იცი, ბავშვიანობაც ჩამომეწია, თხუამეტი წლის რე გავხბი, ბავშვი

მყავდა, მერე ამას მეორე მოყვა, ამის მამა. გაჭირებული ვიყავით. ასეთი გაჭირება გვაქვს გამოცდილი. მერე აქ დევნასხლეტ და შევიტონიეთ ახლაც რაც გვაქვს.

ორმოზდაურთში კიდო ომი ატყდა და ეს იყო. ი ბიჭი ქე წაიყვანეს და ე პატარა გოგო დამჩა. ბევრი გაჭირება გამევიარეთ, შიმშილი, მარა ამ გოგოს ევიძღვანდი და მოგერიფადი ე ბალახ, ქთანანცერას რუ უძახით, იმას მოგხარჩადით, მარლი და დაქვული უნდა დავეყარა იმაზე, ისე ვჭამდი. იმას ქეე ეჭაგრობდი, რუ კაცი და შვილი არ ჩამს. აგენი ქე დეიკარქენ. კიდო ამბავი მოგვიტანეს, რუ შენი შვილი მოკლესო. მე უკვე შავფეს ვატარებდი. ჩემი შვილი ქე გამოჩა და ქე მევიდა და ამისი აღარ ისმოდა აღარაფერი ექვსი წელიწადი. მერე ეგიც ქე გამოჩა.

ო ლ ი ა ქ ა ს რ ა შ ვ ი ლ ი, 70 წლის, წარმოშობით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, წერა-კითხვის უკოდინარი

ე ს ა ა ჩ ე მ ი ც ო დ ნ ა

შრომა ვიცი და ესაა ჩემი ცოდნა. საჭმლის კეთება, თორნეში ღავაშის ცხობა და ეს ყველაფერი ჩემი საქმეა. ამაზე, რა თქმა უნდა, არ დევნიებ უკან და ისეთ ახლა წერა-კითხვა არ ვიცი. ხაჭაპურფეს ვაცხობდით, ყველ ვიყვანდით. საკიდელ რუ უძახით, ამას უშვებით, რომელიც სუფთათ აკეთებდა ყველ, იმასთან მიდიოდა მუშტარი. ყველის გაკეთებამდი, ძროხას რუ მოწველი, გაათფო რძეს და საკიდელს უზავ. დეიკეთავს და დავდგავთ და ამევიყვანთ, მარლ დავაყრით და შევიანახავთ ხალაშში, თიხის ხალაშში. ვადულებდით ნადუხს, ხაჭოს უძახიენ. იმას გავწურავდით კაი თეთრ სუნკაში. ი ხაჭოს მერე, პიტნიანი გვიყვარდა, პიტნას უზავდით, იმის ნაწურამ, ღორი გვეყლებოდა, იმას ვაძღვედით. ტალხუნს იციენ, მარა მე არ მიყვარდა. ნადუხს რუ რჩება, შრატიაო. ძველებიდან გამიგონია. კარაქს ჩვენ არ ვაკეთებთ. რუკა თავრობა გვახთოვიებდა მაშინ კი. მოვთიდიო რძეს თავს, სმეტანს, ცივ რძეს, ჩავაყენებდით ჭურჭელში, წოუყრდით კარქა ბლომათ თავს. მერე ჩავასხავდით ჩეთვერში ან ბაღონში, სამიღტრიან ბაღონში და ვაკარავებდით. კარაქ რუ რჩება, არ ვიცი, რა ქვია.

ქარგვა ვიცი. ვქარგავდი ბალიში პირებს, ქალის ჩასაცემელ ბილიოს, გასაყიდლათ არა, ჩემთვის. მე არ ვიცი, მარა ბებია მყავდა, იმან ქე იყოდა შესტვა, ე.ი. მატყლის ის რუ იციენ, გაჩეგვა, ისე გაშხადებულ ჭქსოვდი. დამავიწყდა, აღარ ვიცი, თუ არა, ქე ვიცი.

თითისტარი ჯოხია, წამოსანლობია, იმას კვირისტავს უძახიენ. მერე იმას უძახიენ კიდო, ქერო სძახავს ძაფს... თითისტარს მოუკრავდით სტოლზე ან რამეზე და გააქონდა პრიალ-პრიალი და ვაკეთებდით ძაფს.

ო ლ ი ა ქ ა ს რ ა შ ვ ი ლ ი

ვკიანულად წიგნებს, ლექსებს, სკასკებს. ქართული არც წერდა იცი, არც კიანდა. ლექსებს ბებია მასწავლის, ნო, მავიწყდება მალე. მე ერთი ლექსი... ლექსია თუ სკასკა, მახსოვს, ჰო, ზღაპარი „წიქარა და ბიჭი“.

ი ბიჭი მოუკვტა დედამისი და დედინაცვალე მეიყვანა. იგი იყო კუდიანი, ი ქალი, ოდა, უნდადა ი წიქარა რა დეიკა, ხოდა, სულ აცთა იყოკუჭი ტკივოდა და უხხრა ახლა ამ კაც: ლვირძვლო წიქარასი უნა ეჭამოვო, იგი მომარჩენს მარტვე მეო და წვეიდა ი კაცი და ლესავს დანას. ოდა, რას ლესავ, მამა, დანასაო, ეკიანება ე ბიჭი, და დედაშენს წიქარას ლვირძვლი უნდაო, მეტი არ მორჩებაო. აჰა, წაველ და წყალს დავაღვივიფო პასლე-დნი დროშოო, ოდა, წვეიდა წიქარასთან, თან ტირის. წვეიდა, წიქარას წყალს აღვივიფს, ოდა, ეუნება: რატო ტირიხარო, წიქარა ეუნება. შენი ლვირძვლი უნდა დედაჩემსო, ავთა არიო და მეტი არ რჩებაო, ხოდა, იგი... თუ მასთე გინდაო, ჩემი დაკვლა არ გინდაო, წაი, აჰა, მეიტანე ქვასაღესიო, მეტე სპირტებოო, წყალი ბოთლიო, ოდა, დამაგეტი და წვეიდეო. ოდა წვეიდეინ იგენი. მიდიენ, მიდიენ და ეშენება ი ბიჭს წიქარა: გვიხედე, რამე ხეტი არ არიო. გვიხედა ამ ბიჭმა და: რაეხა ბუზივით მოდისო. აჰა, გადააგდე ქვასაღესიო. გადააგდე ქვასაღესი, გაჩაა ტყე. მეტე მიდიენ, მიდიენ და ისთაღლე უხხრა: გვიხედე, ეგება რამე არი კილოო, და: ბუზივით მოფრინავს რაცხა კილოვო, აჰა, გადააგდე იგი... ბოთლიო, და გაჩაა წყალი, ხოდა, ხედავს კუდიანები გამოუგზავნია ი ქალი, ივინი გადმოსულარინე, ე კუდიანები, რა დეიჭირინ ე ბიჭი. გადააგდე, აჰა, სპირტო. გადააგდე სპირტა და გაჩაა ცეცხლი. ვერ გადმევიდეინ. მეტე შინე გადმოსულარინე. წიქარამ მიცა ამ ბიჭს იგი, რა ქვია, საღამური, ხოდა, თუ გაგვიჩირდესო, სავირო, ნუ, რაეხა გაგვიჩირდესო, ისთე დოუკაროო, რამე გვიჩირსო, და, რაეცხა კარქთა ხარო, ის დოუკაროო. შეიყვანა ახლა ხეზე და დეითონ წიქარა წვეიდა საბაღახთ, იგი შეაგდინა ხეზე. მევიდა თხა, ე კუდიანი, ხოდა, უხრავს ხეზე და ეგი უკრავს კაი მუზიკას, საღამურს. ჩამოიო, - ეს თხა ეუნება ამას. ვერ ჩამეიყვანა, ხოდა, მოხრა ესე იგი, ხე და ჩამეაგდე, წვეიყვანა და შესვა იქინე, დიდი ბუტკაში; ცხრა ბოტლომი ქონდა. მეტე მტრედეგმა უხხრეს წიქარას. წიქარამ რა გვიგო, მივიდა და გატეხა სუყე-ღა ბოტლომები და ერთი რა გატეხა, რქა მოუტყდა, ეერ გატეხა, მეტე მტრე-ღმა გოუტყდა ე რქა და ისთაღლე იგი მოტეხა ამ რქით იგი, ბოტლომი, ხოდა, გამეიყვანა იქინე ბოში და ისთაღლე დააგდინა ხეზე და საღამური მიცა. მეტე დეიგდინა კისერზე, ბაღახობდა და მეტე მევიდა კუდიანი და ამან, ამ წიქარამ ფეხებით გაჭყლიტა ე კუდიანი. ოდა, აგენმა წვეიდეინ და ერათა იცხოვრენ.

ნ ა თ ე ლ ა ქ ა ს რ ა შ ე ი ლ ი, 10 წლის, წარმოშობით იმერელი, დაბადებული და გაზრდილი სოჭში, სწავლობს რუსული სკოლის III კლასში.

მე კიდო ბახში დავდიოჯი. იქინე ჩვენ ბრეველი ლექსები ვისწავლეო, სიმღერები, ცეკვაობდით, პრახნიკზე დავდიოჯით ცირქში, ახალ წელზე კიდო ვთამაშობდით. ხოდა ბრეველი სათამაშოები ქიონდა ჩვენ იქინე. სუყველა, ნახევარი ქართველი ბოშები იყო, ნახევარი - რუსები, სომხებიც იყო. კარქათ იყო სადიქში. კითხვას გვასწავლიდენ, ცოტათი, მერე წერვას.

ერჯენ თოვლი იყო მაგარი, ხოდა, რე მოვდიოჯით სადიქიდან, ჩვენთან მაშინებზე არ დაქონდენ საჭმელი, სანკებზე მოქონდენ. ერჯენ გადაგვიბრუნდა სანკები, ხოდა, დიქვა თელი რძე. მერე დავრჩით ურძეთო და ისთე ვჭამეთ საჭმელი.

ჩვენ კიდო ბრეველს დავდიოჯით, როცხა თოვლი იყო. ხანდახან ბახში მეზარბოჯა და არ დავდიოჯი კიდო. ოდა, პირველჯენ რე მივედიო... მე მიყვარდა მარილიანი ან პიმპილიანი და, რე მივედიო, ყველაფერი მეზარბოჯა. იქინე ყველაფერი არ იყო კაი. სულ ვტიროჯი. ნათელა ხო იყო იქინე ჩემზე დიდი, ხოდა, იქინე დავდიოჯი სულ. ბალი წვევილოდა იმაში, ნუ პრაგულკახე, ხოდა, მე დავრჩებოდი ნათელასთან და მერე ეგენი რე მევიდოდენ, მეძებდენ და მე უთხარო: მე აქანე ვთამაშობდითქვა და სულ მიყვარდა პატარა ბოშები იქინე. ვათამაშებდი ივენს.

ნ ა თ ე ლ ა ქ ა ს რ ა შ ე ვ ი ლ ი

ჩ ვ ე ნ ა ქ დ ა ბ ა დ ე ბ უ ლ ი გ ა ხ ლ ა ვ ა რ თ

ჩვენ აქ დაბადებული გახლავართ. მამაჩემი და ბაბუაჩემი რაჭიდან იყო ჩამოსული. რაჭიდან, ლიკორწმინდაო თუ რაჯხანაირათ იტყოდა ბაბუაჩემი. პო, პო, თქვენ უმფრო ქცოდნით... ზნაკვა. ბიძაშვილები ქიყავს, მარა ჩვენ ვერ ვიცნოფთ. მორი შვილიშვილი მყავს აგერ. ისთე... ბიჭი კანტორაში მუშოფს.

ს ა შ ა გ ო ც ი რ ი ძ ე, 61 წლის, წარმოსობით ქვემოზაჭველი, დაბადებული და გაზრდილი სოჭში (ნოვიაი ზარი), წერა-კითხვის მყოდენ

ქ ა რ თ უ ლ ი კ ე რ ძ ე ბ ი

საჭმელები? ახლა მაღაზინშია საქმე, იქიდან მოგვაქ ყველაფერი. თუ მოვასწარით საქმეს, ვაკეთეფთ ხან ლობოს, ხან კარტოშკას, ხორც ვიყიით, სოჭს გავაკეთეფთ. ძროხა კჳარა კიყავს, რე ვწველოთ. უწინ კიყავდა. ყველს ვაკეთებდით, რავარცხა გვინლოდა. საკიდელი უნდა, თუ გავყვიდით, ჩვენი ნება იყო, თუ არა და სახშიდევ ქე ქიჭირდებოდა. საკიდელი ხო იცი, მაჭიკ ვახმობდით, ლორს რე დავკლავდით, დავაძმარებდით კარქათ, ძველებს

შევინახავდი კიდე, შამხის ძველეს, ვაკეთებდი იმიღვან. ყველს რა რჩება, ყველინაყვანს უძახი იმას, ან სველს. ხატოს ვაკეთებდი. იმას რა რჩება, სველი ქვია.

ხანდისან ვაცხოფო პურს. პური დაქფულს ვიყიდი, ხან სიმიწი დაქფულია, ხან ლამაზ გააკეთეფს კაცი, ხან ჭადამ. ვაცხოფო ხაჭაპურს, ლობიანეფს კიდე, კიდე ბევრნაირათ შეიძლება, ძველათ რა იყოდენ: ნიკეზიანო, ფხლიანი ჭადიო. ახლა მალაზინიდან ვიყიდი და ესაა.

ქათამს... გინდა შევწავთ, გინდა ჩავესაყიეფო, თუ არა და ისთე ჩამოღვამ სტოლში საინიო და შნუ აქ, თუ არა - ჩაახაროვეფ კიდე და წვენ გოღვამთეფ ძველებულათ. თლა ძველებულათ ასე იყოდენ: ნიორწყალს ღძახიენ კიდე, საწყალმა ბაბუარემა იყოდა კიდე: ნიორწყალი გოჯეოთათო.

ვაცხოფო ლობიანს. პურს მოვეომავთ ცალკენ, შერე ლობიოს მოვტყავთ და, ზეთი იქნება თუ ქონი იქნება ლოსს, იმაში შეეკმანავთ. პური აფუნდება და ჩოურათეფ შერე, თავის წესზე გამუჯხოფო, გინა რგვალათ. ბაბუარემ სვიდენია რთონეში ჭადები ცხობა. რთონეში ცხებება რთონი ლავაში. სხვა პური ვერ მუღვება იმას.

ს ა მ ა გ ო ე ო რ ი ძ ე

ჭ უ რ ჭ ე ლ ი

თავის რიგი აქ ყველას. ძრახელი თუ ყავის, თავის რიგი აქ იმას. სასლუფათ კი ვმინდა ვეღრა უნდა, ვმინდა პასულები უნდა ცალკენ. იმაში წარამარა ხორცი და ლობიო და ამისანებზე კადარ უნა იხმარო. ყველას საყვანი ცალკენ უნდა იყვეს. რძეს ვწურავთ. რძეს ვწურავთ ნარმამში, საწლას ვაკეთებდი კიდე. ძველათ წარე კვანს იმაშობოდენ, თესავდენ და იმას ვამობარავდენ, შერე ამოჭრიდენ იმას გურალათ და იმაში უჯობდენ ნარმას. ღუარეშიც ისთე ხმარობდა. ახლა ქვე იყიდება რძის საწურები.

ს ა მ ა გ ო ე ო რ ი ძ ე

ქ ო რ წ ე ო ლ ი

რავარება მახერხება ექნება, ისთე იხამს. თუ აქ მახერხდება, ქვე იხამს ქორწილს, თუ არა და... შეიღამარაკებენ, მთვა ბიჭი ღუჯ-მამანთან, დანიმინავს ქალს, მოუტანს რადევეფს და შერეფ ადამიანებენ ღუჯს, რომ ამა და ამ ღუჯს ქორწილი იქნება და ეუღონებათ ერთმეორეში, ჩაატარებენ ღამმანთან, ქორწილს და წეიყვანს ქალს.

ძველად ღროს ტარება უფრო იყოდენ: თავმეორებულათ ქორწილი რა იქნებოდა, წვევიღავენ იქნება, გიტარა იყოდენ, ღაურა იყოდენ, დაბაყბობენ ღვლის ღეობლ მუზობლუფს და იღბინებდენ.

ს ა მ ა გ ო ე ო რ ი ძ ე

მე არ მახსოვს, საიდან იყო მამარჩემი. ის უნობდა, ზნაკველი ვარო. მე იქიდან კარ ჩამოუხვანდიარ იმას! რამდენ ამბავს ლაპარაკობდა მაშინ, ახლა სალა მახსოვს. ასე ამობდა: მე ვარო ლაჭვერიო. იქო მურუსიძეები არიენო, ჩვენი ნათესავები და ჩვენი მეგობრებიო. ეს მახსოვს მიფადან მე. ახლა რა ვიცი, ჩემით ვერაფერი გამევიფიქრე და მისი სიტყვები ცოტა მახსოვს ძალიან.

ბაბუა კუჩავდა კილო ჩვენ, მისი მამა, მურუსიძე იყო, ნიკო მურუსიძე. ისეც უნობდა, ზნაკვიდან ვარო მურუსიძეებიო.

ჩემი ამბავი რო მოვყვე, ხვალ სალაშობდი დაგავიანდებათ, იმდენი გაჭვირება გამოგვიარია, რომე სული რაფერ გვიდგია, ის მიკვირს მე, რა-ფერ მუაწიეთ აქამდი, გასაკვირალია.

ჩვენ რო თავი წვეციხარეთ, არაფელი არ ქმონდა. საჭმელი არ იყო: შიმშილობა იყო მაშინ. ბოშები სახში იყო დაფენილი. ფეჩი გვედგა და ფეჩევეშ იყონ დაწოლი. ფეხზე ველარ მაგდებოდა ბოშები, თურალებივით იყვენ. მერე ჩვენ იქინე ის კუჩავდა, ბრიგადერი ახლოს. ხოდა, იმასთან სულ ქე იყო თავგადაკერილი ტომრები, დაფეულით საფსე კალხზისთვინ. უნდა მეცამ, ვისაც რო უჭირდა. დედა ყავდა იმ ბრიგადერს, ბებერი დედა. ხოდა, მე უნა წავსულიყავი ამის (ქმრის ო.მ.) სანახავთ, ცოცხალია თუ კვტარია იქინე. შიერი წვევიდა, არე საჭმელი წოულია, არე ააფელი არ წოულია. ბრიგადერის ფედაშ მითხრა: რა გიყო ახლა შენო, რავა წახვალ ახლა შენ ასოყო. აბა, რა ვქმა, მე უახარი, ი კაცი ეგება თლა მოკვტა, უნა წვევიდე-თქვა. წაი, დედა, აბა, წაი შენო და მეო გამოვაცხოფო. გამოვაცხოფო და შეს ბოშეფს გამოუტანო. ჩემსობასეც გამუაყხო: ი ქალმა და გამეიტანა ერთო პური, დატეხა და ჩამოურტა იმ ბოშეფს, წამუაყენა ფეხზე, აღგენ, დაწოლი, დაფენილი ბოშები. იმედი მომეცა, ანაწყლ ბოშები რო დადგენ. წვევიდე ამასთან; რას წახვალ, სოველია, მარტვე თავი აქ შრალი. საქონელი ძიგძიგობენ, მოკუნტული არიენ ოხხივე ფეხით და ძიგძიგობენ. ხარები ყავდა ამას, ხოდა მე უახარი ამას, მე სახში არ მივდივარ ახლა-თქვა, სახში არ წავალ, ახლა მე უნდა წვევიდე სორაში-თქვა, მე უნდა ევილო მიწა-თქვა. არენდობა იყო მაშინ, მე უნდა ევილო მიწა-თქვა, პატარა კარამი გავაკეთეფ და დავაბინავეფ ბოშეფს იქინე-თქვა. წვევიდე მარტლა და პერსიანეფს ეკავთ დიდ-დიდი ადგილები, ხოდა, მომცა ათასი მეტრა იმ კაცმა შვით თუმნათ. ხოდა, გავაკეთე კარამი იქინე - მეღიტონა ურადე იყო, შევეხვერწე და ფსხლის ძირში ასთე გადააჯვარადინა ჯახები. წვევიყვანე, ბოში მყავდა, პეტრე ბოში, მივეცი, რაცხა მისაცემი იყო და შევეხვერწე ახლა იმ კაც, კარამი გამოკეთე, აკავანი რო დავდგა, იმისანე-თქვა. ხის ძირში უბრალთ გააკეთა, დავდგი აკავანი და სხვა ბოშები ქე შამოვარიე ახლა ამ აკავანს და მე წამევიდე ზევით ისთავე კალხში, ზაველენია დავაწერიე კაც და მივეცი კალხზო, რავარე ბოშები მჩება უსწავლელი და ჩვენი მიყემული ხარები მოქმეცს თვენახევიარი. მეღიტანეთ მერე რაცხა-რაცხები და გევიკეთეფ ერთი. თვალი სახლი ერედრომზე.

რუსული გლახათ ვიციო. ჩვენ ეი პეტერა ბოში გჭჯობია. ეის რუსულათ ღაპარიკოფს შეტს, ცოტას ქარაულათ. რუსები ადრეუ იყონ, მარა ამდონი მაშინ არ იყო ჩვენ სიახლოეზე. ახლა პარტი ერთათ ეცხოვროფთ რუსი და ქარაველი.

რო წვეიდე იქინე, რაჭაში, ვინმეს ნა'ვხაე, ძველს ვინმეს, ნიკო მურუსიძე რო იყოდეს, ჩემი მამის მამა? რას გეტყვიენ, ვინ იყის, ძველი აღარ არი ბაბუაშენის და ახლა ეძეფო! მამიდაშვილები, მამაჩემის დიშვილები იყო იქინე, ახლა რა ვიცი, იქნებათუ არა. მამიდაშვილები მყავს მე იქინე, სილოვანი ერქვა იმას, ფოფხაძეები არიენ.

ქარაულათ ვერ ვლაპარაკოფთ. ქარაული იყის იქითურმა ხალხმა. ჩვენ ვერ ვლაპარაკოფთ ნამდვილ ქარაულს.

ეს (მეუღლე ო.მ.) ლეჩხუმიდან არი, სპათაგორიდან. აქანე ჩამევიდა ჩემ საძებრათ მაქ.

მ ა ტ რ ო ნ ა მ ვ რ უ ს ი ძ ე, 70 წლის, წარმოშობით ქვე-
მორაჭველი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, წერა-
კითხვის უკოდინარი

ქ ო რ წ ი ლ ი ძ ე ე ლ ა თ

ახლანდელი ქორწილი... ხან ქვე გაშორდებიენ ერთმანეც, ხან ქვე შერი-
გდებიან. რანეირი ქორწილია ახლა.

ერთჯელ მისვლით, ძალიანეც რო მოსწონებოდა, მაინე არ ეტყოდა წაკყო-
ბიო და ეცხოვრეფ შენთანო. იგენს ეჯებებოდა, რაც უფრო მეტი და მეტი მივიდოდა სასიძე იქინე და ვითამ ეხვეერწებოდა. ასთე იყო მამაში. თუ დეითანხმებდა, შერეფ წვეიფოდა შწამავალი და მუტანდა ამბავს ამ ბიჭს და წეიყვანდა ი შწამავალს, იყიდიენ ბეჭეფს, ტანისამოსეფს და ამბეფს. შერეფ დათქვამდენ რომელიმე ერთ დღეს და ამ დღეს ნიშანი იქნებოდა. სტოლ გააწყობდენ პატრონი, გამთხოვბელი და მივიდოდენ, დანიშნავდენ, საათს მუტანდენ, რამეს მუტანდენ ტანზე ჩააცემეს. შერეფ იტყოდენ რომელ დღეზე წეიყვანთ და როის ქორწილი იქნებაო. ქორწილს გააწყობდენ, მაცრები გე-
ვიდოდენ და იყო ერთი ამბავი, მამადელი ქორწილი მართლა იყო. ჭოვი-ჭოვი-
დაათი ცხენი მევიდოდა, სედლეუბით ქალები რო იქნებოდენ და ქაცეფს ხო უნაგირები შქონდა და ის იყო რო მოდიოდენ ცხენები, ჯარო გეგონებოდა. ჩოხა-ახალუხები და ბუხრის ქუდები შქონდათ. შეიხლებოდენ ერთათ სახში. იქ მუზიკა და დაურა და ამბავი იყო. რო გამოდიოდენ საცეკვაოთ, ორ-ორი გამოდიოდა. ახლა რო გამობრთიადღება ყველა, ისთე კაბარ იყო. უწინდელი ქორ-
წილი მართლა ქვე იყო.

მ ა ტ რ ო ნ ა მ ვ რ უ ს ი ძ ე

მე აქანე დაბადებული ვარ. მამარემი რაჭიდაგან იყო, აბანოეთიდაგან. ბუგეული იქავეა.

მამარემი როდის ჩამოსულა აქ? ზოთხმოზდა ცხრა წელიწადია (ჩაწერილია 1969 წ.). მიწა არ კმარადა იქ და წამოსულა აქით და ზოზდაათი დეეტინა მიწა ქონდა აქანე. ხენწიფის ბძანება იყო, რომ ოქოძდაათი დეეტინა მუწოთმეთ ყვედასო. იქინა გლახაც იყო მიწა, კაცი იყო, მარა მიანც ოძდაათი დეეტინას იძლეოდენ. მერე ერთ ქვეცაზე დადა, ოძდაათობეტ სობზე.

„შენ ლეჩხუმელი ხარ, მე რაჭველი ვარ“, - ახლა ეს აღარ არის. გაეროთიანდა.

ზღაპარი რავარი გინდათ? ეჰ, ავათ ვარ და გუნებაზე არა ვარ. ზღაპარს ჩემდენს ვერ იტყვის ვერაფერი ცოცხალი, ვერც ქართველი და ვერც რუსი და ვერც სომეხი. მე იმისთანა რამეს ვიტყვი, რომე გაიცივრდებათ, მარა ავათ ვარ.

ახლა გიამბო მოხუცა ამბავი ამა ქვეყნისა, არა ნახული კაცისა, გადმონაცემი ძველისო. საამურია მოსვენა ამისო, სასურველისო. ეხლა ამას მოგახსენეფ, რაც თავზე გადამხთენია. გამომეძპარა ხელიდან ოთხმოზდამერვე წელია. ხან ავათ ვიყავ, ხან კარქათ, მაგრამ ეს არა მწყენია, ხან დევიდოთი ქვევითათ, ხან მყავდა შავი ცხენია... მე თქვენ ქოხოვთ, რომ გეიგონოთ თქმული, ჩემ გამოთქმულ იგავ-არაკზე რას იტყვის თქვენი გული. უმორჩილეს ამასა ქოხოვთ, რადგან თქვენშია ზდილობა, უყურადღებოთ არ დარჩეს ეს ჩემი შეხვეწილობა. ავათაა თუ კარქათაა, თქვენზე არის დაფასება, ჩემი თავის მე არ მშვენის არც გინება და არც ქება. გვარათა ვარ გურგენიძე, სახელი მქვია სპირდონი, სულ ერთბაშათ მოვლილი მაქ ეს ჩვენი ტყე და მიდორი. ოზდახუთი წლის ყმაწვილი კაცს არც მყავდა დედა, არც ცოლი, სუყველა მომძულეობდა, მომავალი და წარსული, ბოლოს ცოლათ მევიყვანე ანდრო ხმელიძის ასული... მე, სიმართლე მოგახსენო, არ მქონდა გამოუთილობა, მაგრამ ახალ თაობაში მივიღე მონაწილობა. ახლა ამბავს მოგახსენეფ, შესახები ერთობისა, ქალაქ სოჩის და ცხოვრების საზოგადოთ შავი ზღვისა, 1905 წლის და ოზდახუთი დეკემბრისა. ყველა ძმება შევიქურეთ დამხედომელათ ჩვენი მტრისა, ზე მჯდომარე ბაიყუში ქმსურდა ჩამოგვეგდო ძირსა... ნაჩანიკ კაცი გოუგზანეთ: უპრავა ჩვენ ჩაგვაბარქ!

ნაჩანიკმა სიტყვა მოქმედა: „მე არ მინდა თქვენი ძმობა, თქვენ უპრავას რავა მოქცემით, თქვენი ზიარი რა მქონდა!“ თავის ჯარით გამევიდა და დაგვიწყო სროლა. რამოდენიმე ჩვენი ძმები უმოწყალოთ გაგვიგორა. რაკი მოხთა მათგან სროლა, გამევიდა ჩვენი ჯარი. ჩვენს გამევიდს და პოლიციას გავადინეთ სისხლის ღვარი. იმდენი სისხლი დადინდა, ზღვასთან იყო შესადარი. თოფი, ჩვენი განასროლი, მტრის ხოციით ვერ იღეოდა, ხანჯალი, თავის წამჭრელი, სისხსა ღვრიდა როგორე წყალსა. ასე სწორე სამარათალი არ უნახავს კაცის თვალსა. ჩვენ ერთმანეთე უძახით: მოძმესა მე არ გავცემო, სანამ გული არ გაიძლო, დასვენებად ნუ წამოხვად, თჯოფს დღეს შრომა გედვიხაჯოთ, დევისვენოთ, ძმებო, ჩვენ ხვალ.

რეცა რომე შზე ნათელი დიდ გორას ამეფარა, შავი ზეწარი ქვეყანას ზეცაზე გედეფარა, შეწყდა ყოთინა და ბევრი გვიყარ-გამევიყარა, მასპინძელმა და იგენმა ერთათ თავი მეიყარა. უეტრათ თავზე დევეციოთ, ცეღარე შევისწაროთ სახში, წოუყრიათ ყველას თავი და შესულან კაზარმაში. კაზარმა იყო მაგარი, განიერი ძლიერ დიდი, ზარბაზანი გამოვანწყვეთ ასი წლისა, დიდი ძველი, დოუშინეთ კაზარმას და დავამტერიეთ ყველაფერი. პოლიცია დავატყვევეთ, იმის ტყვიეფს გოუძელით, გვეიხედეთ და მოგვადგა პარახოთი დიდი, გრძელი. ნოერასიის გუბერნატორს ოუყრია თავის ჯარი, ყველა ჩვენსკენ წამოსულენ, რე ჩვენზე იყარონ ჟავრი. გუბერნატორის ბრძანებაა:

„არ დაზოგოთ პლასტუნკაში გრეზინსკი ნასელენია, მათზე გადაწყვეტილია ვერინი პასელენია“.

ორი ათასი კაზაკი დამევიდა სოფელშია, ყველა ჩვენში შამევიდა, არ შესულენ სომხეფშია. დიერბინეს ეს სოფელი და გაყარყვეს თელი ხალხი, აღარე ღმერთის ეშინიათ, აღარე კაცის აქვენ ხათრო. კაცებით ციხე აამსეს, შინ დარჩა მარტვა ქალები, პურტყვეები რე გარეყეს, მას გაყვა მუშა ხარები. ჩვენში დიდმა და პატარამ დასწყველა წუთისოფელი, სულ ერთათ გააღატაკეს ჩვენი საწყალი სოფელი. გამოგვირთა შპიონები და დაგვადვენ ყველას ხელი, დაგვიჭირეს სუყველა და მეუ ციხეში გიახელი. ორმოცი კაცი ასწერეს და გაგზავნეს ციხიშია, დანარჩენმაყ არ ოციენ, მათი საქმე ვის ხელშია. ექვსი თვე დავარჩი ციხეში, აღარ შემექნა საშველი,

ერთი რამე შევიფიქრე, არ გვეშვის იმას ხელი.
შევიფიქრე და უწყუპე (ვისკუპე. ო.მ.), ციხის ლაშებს
გადავხტენი.

მაშინავე მე გადაომყვა მურუსიძე იასონა.
გატყვევა და ყაჩაღობა არ ყოფილა ჩემი ბრალი.
სერგო იაშვილმა მიხრა, თიფან დემონმა ქალი,
ეგგენ ფრადე იქ იყო, რომელმაც ამიბა ფხარი.
განზე-განზე მიყურებდა, თითქოს დამიქნია თვალი,
გვეიქეცი, ვიტანჯები, ვაი, ჩემი ცოდვის ბრალი.
სიმაგრეს და ვაშკაცობას არა შექონდა გასაგალი,
დამდევნიდენ სულ მუდამდღე, არ მქონდა თუნდაც ბრალი.
ჩამუაგდეს ჩემ ოჯახში სიღარიბე, სიღატაკე,
სულ მიწასთან გამასწორეს, როგორც ზღვა და როგორც ვაკე.

მიდიენ წელიწადები, შეენიერი და ქეპული,
აშენდა ყოველი კაცი, მე ვრჩები გაჭირვებული.
ეს ცხოვრება ისე ვიცი, როგორც ჩემი ჭეოთი თითი:
კაცი მიდის ძაღლის კვალზე, თუ ასე და თუ აჭამე,
მუდამ გიწუნებენ კარზე და შეცხურენ ღლე და ღამე.

გვეიქეცი, რაჭაში მივედი, იქიდან თფილიში წვედი, მერე ისთვეე ჩა-
მვედი და აქანე რა წელიწადი ტყვეთ ვიარე, შეიარაღებული, ტყეში. და-
მდემდენ უკან. შიანუხებს თელი სოფელი. და... მივედი ჩემით. მე ვთქვი:
„საამ ცოლ-შვილ დეიჭირამდენ, მაამი მივალ“. ცოლ-შვილ თუ დეიჭირამდენ,
მერე, ჰაიდა, ციმბირში გაგზავნიდენ.

ნასუდარი მქონდა პირველათ რა წელიწადი და, რა მიველი, ისთე დარჩა.
ტყეში რა ვიყავი, არც ახსენეს და ისევე ვოსემ ლეტ კატორგა. მერე პერე-
ვარტი, გადატრიალება ჩვიდმეტი რა მოხთა, გოუმევეს ყოველი კაცი და მევე
გამიშვეს. დიდი უბედურება და წვალება გამევიარე.

ახლა არა მიშავს რა. კაი დროში ვარ. თუ ახლა ამ ავანტურაობას გო-
ლოური... არაფერი კაცი არც მკითხავს, არც მაკეთებიდენს. ვარ თავისუფ-
ლათ.

ს პ ი რ ი დ მ ნ გ უ რ გ ე ნ ი ძ ე, მმ წლის, წარმოშობით
ქვემოთრატველი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში.
წერა-კითხვის მცოდნე (მთქმელი)

პ უ რ ი ს თ ე ს ვ ა მ ა ხ ს ო ფ ს

ძველათ პური იყო. პურის თესვა მახსოვს და მისი მკა ლა ლეწვა და
ყველაფერი. კალეები ქტონდა. ქუყამდა ხარები, ვაბამდიო კვერში, კვერ
იყო გაკეთებული უბრალო პტყელი ხიდან, თელის ხიდან გამოთლილი. კვერში
იყო ჩაჭდობილი მუქი ფერის კატები. ერთი აჯდა კვერზე, მეორე უძღვა ხა-

რებზე და მიყობოდა და აბრუნებდა კალზე. გაღვიწილ პურს ვანიავებდით ვობეებით. რჩებოდა ცალკე ხაღისი, ე.ი. სუფთა კაკალი. ხაღისს გედილებდენ და დარჩებოდა კიდე ნარევი. ბზის ნაწილები იყო შიგნი. კიდე გაანიავენდენ და ყრიდენ ზელებში. ახლა ბელები პლასტუნკაში ალარ არის. ბელები იყო ფურცლი გაკეთებული, რამოდენიმე კუნძული ქონდა, ფურცლი კუნძულები, გადაღობილი. იმაში ვყრიდით ნაწილში სიმიას, ნაწილში კაკალს, ნაწილში პურის კაკალს, ლამს. ლამი აქ ითესებოდა. ეხლა არ ითესება არც ლამი, არც პური.

ჭ ი ჭ ი კ ო მ უ რ უ ს ი ძ ე, 52 წლის, წარმოშობით ქვემოთაჭველი, დაბადებული და გაზარდილი პლასტუნკაში; დამთავრებული აქვს თბილისის ა.ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიკის ისტორიის ფაკულტეტი (ქართული სექტორი)

ს ი მ ი დ ი

ითესება სიმინდი. ითხნება. ეძახიან: პირაფი, წორეფი. ზოგიერთი ეძახის მარგელას ე.ი. გამარგელას, ან ასე: პირველი ხელი, მეორე ხელი, მარა უფრო შემოდებულია „გაპირადება“, „გამორედება“. გაპირადება ხდება, როესაც სიმინდი საშეურია. გამორედება ხდება მაშინ, როცა უკვე თიბების მკერდს ამორდება.

სიმინც აქ ძირი, ტარო, ულაში, შემდეგ, თავყრილ სიმით ეძახიან, ე.ი. თავნაყარიაო. რა დავფშენით სიმინც, მის შემდეგ რა დარჩება, ესაა ნაქურჩალა.

ჭ ი ჭ ი კ ო მ უ რ უ ს ი ძ ე

მ ა მ ა რ ა ჭ ი დ გ ა ნ ი ც ო

ჩემი სახელი წინა მურესიძე, 68 წლის. დევიბადე აფილიზე, პლასტუნკაში. მამა რაჭიფგან იყო, დედა აქოური. პლასტუნკაში ვეხოვრობდიო. პირველიდან რა გატარდა, კალხოში ვმუშაობდი, მერე საფხომში გადავედიო. გაჭირება, კაიწნა, ბევრო გედევიტანეთ ჭიმიანობაზე. მიყვარდა მრომა, ჭიხიკური მუშოობა, ოჯახში კეთება, ცხოება.

ც ხ მ ბ ა

ცომს ავადფუნეთ, დროე უზამთ, მერე უნდა გამუაცხო თინეში. ყველა ეზონარი არაა პური. ღავაში თინეში ცხვება. რვეალ პურ კეცში ვაუხილ. ქვეცები თუჯის არის. პურში ყველს ურთეთ, ლობიოსც ურთეთ. ხაჭაპურაც ყვე-

ლა ერთნაირი არ არის. ზოგი ღია ხაჭაპურია, ზოგი დახვილი. ჭადვეს თონეში ვაცხობდ, მიწის თონეში-სპეციალისტი ვარ მაგის.

ნ ი ნ ა მ უ რ უ ს ი ძ ე, 68 წლის, წარმოშობით ქვემო-
რაჭველი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში,
წერა-კითხვის მცოდნე

თ ო ნ ი ს დ ა მ ზ ა დ ე ბ ა

მოვხვლავთ მიწას, ამოვაშენებ თონეს. რო შეხმება, გამოვწვავ იმას. უშუას ჩავყრი და გამეიწვება. ყველა მიწიდან არ გამოდის, აცალო მიწა უნდა იყოს.

ნ ი ნ ა მ უ რ უ ს ი ძ ე

ს ა ქ ო ნ ლ ი ს მ ო ვ ლ ა

რ ძ ე. რ ძ ი ს პ რ ო დ უ ქ ტ ე ბ ი

საქონელს ვაჭმევთ ჩაღას, თივას. სარაიაში არიენ ზამთარში. სარაიას უძახით ჩვენ. ზოგი უძახოდა ძველებურათ: ბოსლები. და ახლა სარაიას უძახით. ბაგები არი. ქვეით პოლი.

ძროხა ზოგი კაი მეწველია, ზოგი - გლახა.

მოწველი კასრუკაში იმას-რძეს, დახლოიანების მერე ახალ რძეს ქვია ფსხენი. ორ კვირეში კეთდება მაწონი, ყველი, ერბო. მეტს ჩვენ არაფერს ვაკეთებთ. ზოგი აკეთებს, ზოგი სპეციალისტი არი და ჩვენ არ ვაკეთებთ, ჩვენ არ ვიცით.

რძეში, სანამ გაცივდებოჯეს, ჩაასხავენ სამკვეთოს, ოდა, დეიკვეთავს, შეთფება ცოტა. ამეიყვანენ ყველს. ზოქს აქ ერბოიანი რძე, ზოქს არა. რო-გორ კეთდება გვაჯილი... მე სპეციალისტი არა ვარ. უნობენ, რო არ გააჩერებენ დითხან, მარილს უზავენ, მოურევენ და მოხარშავენ. ჩვეულებრივს ყველი ქვია. რო გითხარი, ასთია, რო სამკვეთურს ჩაასხავენ, ჩვენებური ყველი ესაა. ძველი მაჭიკში დავაყენებთ. კეთდება იმის წვენი და იმას დავასხავთ რძეს, პატარას, ბევრს არა. ხაჭოს ცაღუღებთ, უყრით თავს და, რა; რჩება, სველი ქვია.

ნ ი ნ ა მ უ რ უ ს ი ძ ე

რ ე ვ ო ლ უ ც ი ა ს ო ჩ ა შ ი

წვეიკრიფთ და გავაკეთებ რევილუცია, პიატი გოდის. პატარა ვიყავი მე, მარა დანესენიას ვაკეთებდი სუყველგან. იქანე იღვა ზარბაზნები. ერთ-

ნაირი ზარბაზანია, თურეკი. ხოდა, მოტეხავდენ გირეფს ძველი ხალხი და ჩატენიდენ ი თურეკში. პიატიგოჯაში თექვსმეტი წლის ბიჭი ეიყავი მე. ტოხდაროი წლის ბიჭი შევიქენი და სალდარი წამიყვანეს. მერე სამი წელიწადი ხო ვავათავე, მევედი სახში და ცხრა თვე ეიყავი სახში. მერე ომი შეიქნა, თოთხმეტი წამიყვანეს და ვიჩხუბეთ იქ. ულაღატე იქინე ნიკიას, წამევედი და აქ ვაკეთებდით რევოლუციას. ტყეში იყო ხალხი გატყეული.

მე დამიჭირეს, დედ-მამა, ციხეში ჩამიყარეს, ქალიც ციხეში იყო ჩემი გულისათვის. წელიწადნახევარი ეიყავი ტყეში. მერე წევეჯი მე თვითან და დამიჭირეს.

მერე გრატდანსკი ჩხუბი იყო. მე ნამსახური ვარ სოვეციის და პატივს მცემენ.

ა რ ს ე ნ ა გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე , 78 წლის, წარმოშობით
დებელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, წერა-
კითხვის მცოდნე

ქ ა რ თ ვ ე ლ ი ტ ყ ვ ე

ყარსში რა ეიყავით, მევიდა პრიკაზი: შტიკზე უნდა წახვიდეთ. „ვს-ტათი ეპიროთი“. ავდექით. პრიკაზი იყო. მამენტალანა გაქვერიტავენ იქა-ვე, უკან მოდის ბრიგადა.

აგერ მოზბის წინ კაცი, - არ მომკლათ, ქართველი ვარო. უეე სოკოც თავდება-ატბოი, იქითაც და აქითაც. პოზედილი ნაში. აკრუტენია გოჯეოთეო ჩვენ, ქართველებმა.

ოდა, ვინ ხარ შენ-თქვა. მე, კაცო, ფრუიძე ვარო, ფრუიძეო, - ტირის, კაცო. ამხელა ყურები აქ, ქართველი კაცი, კაცო. გამოვადეთ აქით, უკან. არ მოკლათ-თქვა. იქოური ყოფილა, ქართველი. მერე გათავდა ყოიფელი. მო-ყვა ამბავს, რანეირათ მოხუთა.

ჩვენო, ძველთაძველიო, თქვა, ქართველები ვართო. არ დაგვიწყებია არა-ფელიო. ჩვენი გვაქ მოწყობილობაო, ლაპარაკი და ყოლიფერი. დევიწერეთ პირჯვარი. მარა რა შეხედამ, სტრაშნა, დიდი ყურები აქ. მივიყვანეთ მე-რე შტაფსი. ეს ჩვენი ხალხი ყველგან ყოფილა. თათარში თურმე ახლაც ბევ-რი ყოფილა.

ა რ ს ე ნ ა გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

ა რ ს ე ნ ა

არსენა ქე გეცოდინებათ თქვენ. არსენა რა ყოფილა, იმისთანები ჩვენ ახლა არ ვიქნებით, მარა მაინ ვიტყვი. მაგ ყოფილა გმირი. მაგის ძველი (წინაპარი ო.მ.) მონა ყოფილა, კნიაზების. ხოდა მერე იძულებული შეიქნა არსენა ოძელაშვილი.

ოძელაშვილმა არსენამ, თხუთმეტი წლის რთ შეიქნა, უღვაშები დაიმშვენაო. შეუღება მის ღურჯა ცხენზედ, გააჭენს-გამოაჭენებს. ბატონს მუახლე მოსტაცა. უყვარდა გზაზე თამაში, ჩითის სუფრის გამოფენა. არ უყვარდა იმას ფარჩი კაბები და იგი...

ბატონს მუახლე მოსტაცა, ფარჩის კაბები გახადა...

ჩითის კაბები ჩააცვა... კარქათ აღარ მახსოვს.

ფარსადანმა უღალატა, ნათლიმამამ.

ფარსადანო, ნუ მღალატო, თუ ათა, გამოვალ აგვიხის ხელიდანო, მოგნახავ, მიწაც რომ გათხარო, მაინც მოგნახავო, - უთხრა არსენამ.

ხოდა ვერ დეიჭირავდენ არსენას, ფარსადანმა დაათო და ათი-თორმეტი მუცხვარე, მაგარი ბიჭები, სახევიარ ცხვარს რომ ჭანდენ, იგენი დეესიენ არსენას დაძინებულზედ, ხოდა, რომ წამოუსობდა ხელს, ვინ არი, ეს ბუხები რომ მესვენა თვალბუხედო. ხოდა, მეთერთმეტე და მეთორმეტე ხელი შოჟრა. შიჯინეს ცხენზე, ფეხებქვეშ გოჟყარეს ჯაჭვი: არქენა მარდია, არ გეიქცეს. წეიყვანეს, გააჩინეს ქალაქში. სომხის ქალები შეხვდებიან: „ღავე, ღავეო, რა კაი ბიჭი ყოფილაო, ვაი, იმ დედასო, რაცხა დედამ აგზანდარო“.

ხოდა, ჩეიყვანეს უფე. გააჩინებენ მიკიტნების კარეფში. მიკიტნებს თვალს უზამს არქენა. სირაჯებზე მისმიელ თითო არაყიო და ერთი გაჭივრე-ბული მანეთი არსენას ჯიბაში უდემს, ამეიღებს და იმას მისცემს. ფეხები გოჟსნეს. ჯიბეში ჩოღებენ ქლიფს. ჩეიყვანებენ აბანოში. აბანოში არქენა ხეხავს. დიდი ხნისაა არსენა ციხეში ნამყოფი და ტანს იბანასო, მაგე-ფეს აგონიათ. მაჟ ტანს არ იბანდა, ჯაჭვი გახეხა და გადიგდო, ფე, გაგი-წყდა გამჩენიო, გადააჯღო გვერძე.

გამოვა არქენა, აფიერის ტანისანოსეფს ჩეიყვამს, გედიხედავს ბეჭებზე, თუ მშვენიყო. გამევიდა. ჩეუტი ოჟკეთეს. აეს ნიკოიას ხელში იყო.

ფარსადანმა გეიგო, ჯანოსულა ციხიდანო. რა ქნას ახლა. ფარსადანმა მიწის თხრა დეიწყო. არსენა კაცს არ კლავს. შეხეობა გზაში კაცი, ძღვენი შიპქს რამე კარგი განმცხვარი, ნახუქები, ყოლიფერი. ქალი შიპყავს ამ კაცს და შიდიას ბტუმრათ.

- ვინა ხართ თქვენო. ჩანოთ ცხენიდანო. - მეო სასტუმროში ნივდივარო. არქენა დოჟბღერს აერთ თვალს, გადმოვარდება კაცი ცხენიდან.

მოღის არსენა ფარსადანთან, ეუბნება: „ფარსადანო, შენ კი ნოღალატე ხარ, მაგრამ მე არ მოქლავ მაინც შენ, რაფგანაც ორი შვილის გამნათე-ღელი ვარ შენიო“. არ მოკლა.

ერო დღეს ქეიფოფს არქენა ცხეთაში. კუჭანტელი ნოღია. მაგარი ბიჭი იყო ის კუჭანტელი და შეხვთენ ერთი მოორეს. არსენამ უთხრა, წამო, აერთი, დავლითო. დღესო წითელი პარასკევია, შენო არ იციო? წითელი პარასკევის მე დეინოს არა ვსვამო, კუჭანტელმა უთხრა. რასი წითელი პარასკევიო, ვინა ხარ შენო. არქენა ყოფილა რეველაჟუიის მომხრე კაცი, მაგარი კაცი ყოფილა, რას ციგნოფო.

არსენას ი რხმალი იძრო. ნოჟეიდათ ჩხუბი. ყური ჩამუათადა. კაცს არ კლავდა ის. მაგან ესროლა. უფე წევიდენ მოსაკლავათ ერთმანეთზე, მოუქ-

ნია ლეკური, გოფუტყა. ესაო, დარჩა არსენა ისე. უკანადან მივიდა, მხლები ყავდა იმას, და დაარტყა და მბარა. მოკლა არსენა.

გამეიყარენ ცხეთელები და ისიც მოკლეს იქავე და დააგდეს უღიყაში.

ა რ ს ე ნ ა გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

ა რ ს ე ნ ა გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე ს თ ა ნ ს ა უ ბ რ ი დ ა ნ

მე ბოში ვიყავი. კერია ქუონდა. მამარემი რა შეიტანდა ამხელა შეშას და დაადებდა კერიას. საქვაბე იყო. იცი რაა საქვაბე? რკინის ჯაჭვი გოჭედია ასანაცვლებელი და ჩამოსანაცვლებელი. როცხა რომე მაღალი ცეცხლი იქნებოდა, აწევდა მაღლა, თქარა გედვიდოდა პენია (ქაფიოქ), ხოდა, როცა რა დაბალი ცეცხლი იქნებოდა, ჩამონაწვეა. სამაგროსები ქონდა. შაშხესეს ვაწიოზდით ზეთ, კაპტილკაზე. მოჭრიდენ მერე ამ ხორც და ცხელი ჭაც რაონისას და ვჭამდით.

წელიწადი იქნება, რაც ვიყავი იმარჩი, საქარელოში. ჩემა ძმიშვილმა ქალი ითხოვა ქუთაის იქით. იგენი რა ქართულს ლაპარაკობენ, ჩვენ ვერ ვიტყვით, იგენი სულ სხვანერი სლაპარაკობენ, მარა ჩვენ მაინც არ დაგვიწყებია ქართული, მაინც ქე ვიცით.

ემ, მუხლები ტყივა მაგას. სიბერეს რა უთხარი მე. რა ექიმობაა სოჩაში, რა ექიმობაა გაგრაში, მუხლებს ვერაფერს ვერ უშობენ მაინც. ვაწენს არ აძლევენ, გული აქ სუსტი.

ა რ ს ე ნ ა გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

მ ა მ ა რ ე მ ი მ ე უ ნ ე ბ ო დ ა

თქვენე რაცხას წერაგხარო, რაფერ გადმოსახლდით აქანეო. ეს უწინ იყო, კაი ხანი არის. ჭომი არ იყო დაწყებული მაშინ (პირველი მსოფლიო ომი. ო.მ.). იყო ერთი ლეჩხუმელი სილაგაძე. იმან დაქმწერა სუყველა. მე ზეით ვცხოვრობდი გორაში. იქინა ჭოზდუხი კაია. მამარემი იქინა დასახლებულა. ჩვენეო გორაში ვცხოვროფო და საქონელი ქუყავეს და აქ გოროჩი არ დასახლებულა. იქინა ვიყავი მე ამდგი ხანი. ახლა ჩამევედი ამ ზამთარში აქანე.

მამარემი მეუნებოდა: იქინაო ბატონყმობა იყოვო და აღარ მიწფოდა და წამოვეყვი მერე ლეჩხუმელეს აქანეო. გვეუბნებოდა, ჩვენ იქ შევიდო ძმა ვიყავითო. ჭორი გედყვალა და სხვა დაბნელა. იქინე ერთი ძმა დავტოვეთ ახლა მამარემის ნაქონ სახში. კარქათ ცხოვროფს, მარა შორია ნამეტანი. რა უჭირს მაგენს, მაშინაზე აჯდია სამი ბიჭი.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე, 84 წლის, წარმომობით ლებელი, დაბადებული და გაზრდილი პლასტუნკაში, წერა-კითხვის მყოფენე.

ჩვენ აქანე რუსები მოგვეხმარენ თათარზე, თვარა ჩვენი ჯარი რას ეყოფოდა თათარს. ჩვენი მაშინ ნარევა, როცა რომე რხმალთ ნარხუბარა. თათარს შინებია რხმალის. განავალან ხმალდარხმალ, მოჭრიდა თავს და მერე მენდალს ჩამოკიდებდენ. თათრები უძახოდენ: „გურჯი იოქში“. როცა რე შეიქნა თოფის სროლა და გაშლილი ჯარით ჩხუბი, მაშინ ნარევა თათრები ჩვენს ნეფს. მერე წასულა ჩვენი ნეფე და „საქრისტიანოს სპოფს თათარიო და ქრისტიანი ხარ, კაცო, შენო, რუსისთვინ უთქვამს: მოგვეხმარეო“. - „პა-ტალუსტა, მოგვეხმარებო, მარა ადგილი უნდა მომეცე მერეო“. დახმარებთან და ორივეს გოდუდენია აქანე თათარი. ე ჩერნომორცკი ადგილი მაშინდელი აღებულა თელი. მერე უთქვამს ხემწიფეს, რომე, კაცო, თქვენაო მოგაგებიეთ ადგილიო. ახლაო გადადით და დეეპატრონეთ ადგილსო. ქართველეს უთქვამს: „ჩვენე არ შეგვიძლია იქინე წასვლაო“. „უფასოთ მოქცემთო პარახოსო და სამასი მეენთი ოქროს ფული“ თითო ოჯახზეთ. ეს საჩუქრათ, რომე ადგილი დეიკავეთ“. ეინტერესებოდა იმას, ძველ ხენწიფეს. ამოსულა მაშინ ჩვენი სოფელი უფასო პარახოჩი და მუშა ხარები ასთე გადმოუდენიათ. სვანეთი უნდა გადმეიარო და აქეთკენ არის „ქრასნი პალენა“ ერთი და ისთე არის გადმოსავალი საქარფელიოში. ახლა რე მაშინებია, მაშინ კჷარ იყო. მუშა ხარები ჭირდებოდათ. ალაგ-ალაგ მეცე მახსოფს, რომე მოკაფული იყო და უზომო ტყე იყო. ქონიათ დარგული მამულიც და ყოლიფერი ქონიათ ჩერგეზეფს.

ჩერგეზეფს ორნაირი იყო: ქაბარდინსკი ჩერგეზი და, მამარეში იტყოდა, მიდერის ჩერგეზიაო. იგენის დამარხული ვურები ხენაზე ამეიყრებოდა ზეით ჩემ ადგილში.

ჰოდა, ამიტო წამოსულან ჩვენები და იქით კიდო ადგილის ვიწროვობა იყო. იქ თავდაზნოურიშვილებს ქონდათ დაკავებული ადგილი. ახლა აღარეინ არ მოდის, კაცო. ახლა კალხოზი რე შეიქნა, გაერთიანდა ყანები. აქანე მუშები ჩამოდოდა, არ ქონდათ ფული და არც ადგილი ქონდათ იმდენეთა და ჩამოდოდა აქანე. ახლა აღარ მოდიან. გამდიდრებული არიან. რა არი, არ ვიცი. თუ ჩამოდინ თფილისიდან და იქიდან, მოდიან მოსასვენებლათ.

მე აქანე დაბადებული ვარ. დედ-მამა მეუბნებოდა: შვილო, ჩვენ რე მე-ვეითო, იმ წელიწათსო დეიბადე შენო. უმფროსი ძმა მყავდა. მე, სამი წლის ყოფილა, რე ჩამოუყვანიათ. იქინეის არაფერი არ გვახსოვს ჩვენ. ჩვენ დიდრათ ცეხოვრობდით, საქონლის ჯოგები კმეყავდა, რა ვიცი... მამარეშ მამული უყვარდა ნამეტანი, სმა უყვარდა და აკეთებდა.

მერე ბიძა ჩამევიდა დედულობიდან და მამარემს, მე პატარა ვიყავი, ეხვეწებოდა, ბატონიდაგანი თავი დევიხსენიო და, ყოფილა მისი ნება, ზაგრანიციდან მოსულა კაცი და კვლა იყო ნამეტანი კაცის. თქვენო ბატონყმობასო ვერ გაატარებთ აქანეო და შეიხსენითო ადგილიო. დედაჩემის ძმა მამარემს ეხვეწებოდა მასესხე ფულიო. მამარემა უთხრა: „რავა შეიხსენიო“ და „წოთხას მანეთათ შევიხსენი ჩემი ადგილიო“ და წოთხასი მანეთი მისცა.

ბიძა ლეჩხუმიდან ჩამვევია, დერჩიდან, შანიძე იყო გვარად.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

ლ ე ჩ ხ უ მ ე ლ შ ა მ ა ც ი ნ ა

ლედლები ბრი თქვენკენ? ბევრი მატყუარი იყო მართლა ლედელი. ერთი ლეჩხუმელმა მაცინა, რა ლედელს შემოუყვანია ეკლესიაში ქალი, პოდა, შენო გულის სიწმინდით უნდა მითხრა ყოლიფერი: რა წაგახებენია შენო. მერე მეო, თუ მტყურო შენო, ისე დაქწერავო, ისე დაგლოცავო, რა შენ არ წაწყტებიო, თუ არა წაწყმეტლი იქნებიო. პოდა, უბეჭამს ქალს სუყველაფერი. ქმარი თურმე აკოშკაში ნადარაჯევა და ყორიფელი გოგონია.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

ე ვ ე ს პ ო რ ე თ თ ა ვ რ ო ბ ა ს

გაგვიგონებათ, ცხრაას ხუთ წელში რა იბუნტეს ხალხმა. მაშინ აქანეც ევესპორეთ თავრობას ჩვენ. მვეიყარეთ თავი და ჩუმათანე დარჯინდა, რა მოგვეწყოს აჯანყება. მოვეაწყვეთ და დაეძუეთ თავრობის ჯარისკაცები. მერე მოგვიბრუნდა თავრობა და კინალამ ნახევარი სოფელი გადასახლდა. მესამედი პოკუნტი (ნაწილი ო.მ.) მაინც იქნებოდა გადასახლებული. ყველას, ვინც იბრძოდა და ზაბასტოვეში იყო; წაართვეს დაქმეტი დაშაიდა, გოუძახეს ციმბირში.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

პ ი რ ვ ე ლ ზ ო მ შ ი

პირველ ზომში მე სად არ ვიყავი! თათარშიც ვიყავი, თათარი რა გადავდენეთ, მერე შევიდა პრიკაზი, რა გერმანია გვაწვევა ნამეტანი, ავტრუას მეუხმარება გერმანიასო, და აბა, გვიშველეთ, თქვენ მოჩხუბრები ყოფილხართ კარქიო.

თათარი უბე დავაქვრეთ, პოდა, ჩვენი პოლკი თელათ მობილაცია უქნეს და წივეით ავსტრიაში. იქინა კილო თფილისის სომხები იყო ჩემთან და... ნუ, რაზნი კაცი იყო რა, თათრებიც იყონ კილო. დაგვიძახეს ავსტრიაში და იქინე დევიჭერი მე. თავში მომხვთა ტყვია. გაგვიკეთეს აკრუენია დაგვიჭირეს და მოვხვითი პლენათ. გერმანია-ავსტრია ფრანციას ერჩუებოდა და გაგზიზანან სამუშაოთ. ფრანციაში ვიყავით, თუ გაგიგონათ, შაფანია არის, დიდი მამულების ქვეყანა. ფრანციელეფს ისე ქონდა პრიკაზი, რომე პლენი თუ გინახეთ, გადაგასახლებდით. რა მიხვიდოდი, პურს გაჰმედა ფრანციელი. ლამეს არ გაგათევიებდა. დაშინებული იყო. ხოდა, გერმანიამ დეიმუშავა

იქინა, პური დათესა, მარა მერე წოუხთა, აღარ ეყო ჯარი, აღარ ეყო პური.

ერთხელ ლაგირში რა ვიყავით პლენში, დაგვამწყვრიეს ბოსელში. ჩემთან იტალიანსკი იყო და მითხრა, რომეო, კავკაზ, უტაოკო. სადმეთქი? ეგერ ტრუბა არისო, ამ ტრუბაში გავძვრეთო და მერეო ჩასაო ვერ შექმნებდავსო ლამეო. ჩასაო კრუგომ დადიოდა. შედი, მო უხხარი მენა-თქვა. შენ თუ იცი, შედი ამ ტრუბაში მენა-თქვა და მერე მე შამოვალ-თქვა. შევიდა ტრუბაში და კაი დიდზე გავიდა. აქიდან და ე ლობე რუა, ამდენზე გავიდა. პოდა, მერე წვრილი ყოფილა წყლის გასავალი და გევიკობა იქინე. დამიძახა იქიდან რომეო არ შემოხვიდეო. რატო-თქვა და, რუსულიც ქე იყოდა. ბოლში დაროგა ნეტყო. მერე უხხებია უკან ხელებით და ფხებით და გამევიდა. შენო გერმანიიდან რა გამეიქეციო, რანერათ უნდა გევიქეცეთ ახლა აქიდანო. დაბოლოს იმისთანა ლაგირში წაგვიყვანეს, რა იქიდან სამშუათო არ უშობდენ. პამეშიკები რა მევიდოდენ, არ აძლევდენ მუშას. ბიჭო, შენ რაფერ გამეიქეცი გერმანიიდანო, გაქცევა შინდაო. კარქი, მე უხხარი.

ახლოს პამეშიკის ყანა იყო. ამ ლაგირში რაც მეიხვეტებოდა, შამოდიოდა მერე კარებიდან დროგები, იქით ჩასაო იყო. დააყრიდენ და წეილებდენ. მე უხხარი: ჩაწევი დროქში-თქვა, ჩვენ დაგაყრიო თივას, ხოდა, რა დაღამედეს, გამოდი იქიდან-თქვა. შევიდა, დავაყარეთ და წევიდა.

მეორემ თქვა, რომე მე რანერათ გევიპარო ახლაო. მე უხხარი: წყალი მიაყვე რეკიდგან და ჩაჯეი ამ ქეაფში-თქვა. პოდა, ქურჩენ მიეცი ცობა რამე-თქვა, გაგვიყვანს ის წყლიპირზე და საცხა გინდა წადი-თქვა: თითვან პოლიაკი ქვე იყო. იმან დიდი საქმე გვიქნა ჩვენ. გერმანიიდან გადმოგვიყვანა, მასკვლავი იყო ჩვენი, კომპოსი. ხუთი კაცი ვიყავით. ის რომ არა, ჩვენ მოქმედებდენ.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ი

მ კ ა

პურს ნამგლით ვმკიდით, მერე შევეკონიდით, შამუარტყავდით გვარალს, მერე ფლერჭით ვკონავდით. გძელ პურს მოწვდიდენ და მიზგან აკეთებდენ გვარალს. მოჭრილ პურს ძირ რა დააწყობდენ, იმას ზვინი ერქვა, ცალკენ-კონა. ლეწავდენ თაველას კვერიფ. კვერი დაღის კალზე კრუგომ. ქვევით კატი აქ.

ზაგრანიცაში მინახავს მანქანა, პურის ასანიავებელი. ერთი იმერელი იყო აქ. მე უხხარი: მე რა მინახავს ზაგრანიცაში, გააკეთე იმისთანა მანქანა,თქვა. რა მინახვიო, ვავაკეთეფო. აქანე ავანიავებლით ხის სანიავებლით. იქით თივა მიქონდა და აქით კაკალი რჩებოდა. მერე საყრები ქონდა იმას, საყრეფს ერქვა კაკაბა, მორენიარი კილო იყო წმინდა ცხრილი-ცხავი. რქი არ იქნებოდა ნიავი, ჯერ გაცხავეო და მერე გაცხრილო, - ასეღო იყოდენ ძველათ, მერე დაკაბეო.

ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ი

ს ა წ ყ ა ო ე ბ ი

დღინისთვის კოკას და ჩაფს ვხმაროვთ. შორჩილი რა იქნება, ღორა ქვია, თლა პატარას ღიტრს უძახიან. ღოქიც არის. იყო კუპრი, ახლა აღარაა, ტი... კი, ტიკჭორა პატარაა.

გუდაში დაქვულს ყრიან. ბაღს გაატყავებენ და გააკეთებდენ ვედროს. ეს იყო ბოყვი. კოდი არის ორფუთიანი საწყავი (ბეზიიჯგან გამიგონია), ფოხაცი არის ნახევარი ფუთი, კორუა - დაახლოებით ათი კილო, ან ნახევარი ფუთი.

ა ლ ე ქ ს ა ნ ჯ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე

ა ლ ე ქ ს ა ნ ჯ რ ე გ ა ვ ა შ ე ლ ი ძ ე ს ა ნ
ს ა უ ბ რ ი დ ა ნ

წყალტუბოზე ვიყავი მე ერთხელ. მოხნიერებული ვარ და წენი მაწუხებს - რემათიზმი მაქვს, ჭიაჭვიბიც მტკივა. წინეთ ტყლიპის ციება შექონდა.

სახლი თუ ვინმემ გაყიდა, მოკეთეს უნდა მიყიჯოვო. აქანე ასია დარღ-გენილი. ისე აქანე გაწერა ძალიან ჭირს. ერთი მეზობელია აქანე, ნათესა-ვე ჩამოუვიდა, არ გაწერეს. თუმცე ყოფილიყოს მისი შვილი, კანიშნა გაწე-რავდენ.

ღ ე რ ხ უ მ უ რ ი ტ ე ქ ს ტ ე ბ ი¹

სოფ. უსახელო (მთქმელი ე ლ პ ი ტ ე თ ო თ ა ძ ე - 84 წლის)

რას ვაკეთებდი და პირტყვეების გადენა და მოდენა და კლაში სიარული და რას აღარა. მამაჩემი მუშაკაცი იყო, მუშა კაცი. ნამუსიანი, პატრო-სანი მუშა კაცი. ჩემი წლოვანება, სირცხვილია რა ვთქვა, ოთხმოხდაოთხი წლის ვარ. ჩემი კაცი... შუამავალმა გაგვარაგა და წავხვევი. ჩემი ქმარი ჩემზე თხუთმეტი წლით უფროსი იყო. კარქი იყო და ერთი ვერ ჯობდა ამ ნა-ხევარ სოფელში და წავხვევი მერეთ... აღარ მომეშვა. აგერ იყო, ა! აგერ იყო, თლამ ახლოს. წავხვევი მერეთ ი კაცს. მერე შვილები გვეყოლა - ერთი ქა-ლიშვილი და ერთი ვაიშვილი. ი ვაიშვილი მომიკვდა. სკოლის დელექტორი იყო. ხოდა მომიკვდა. ი ორი ქალიშვილი ქე მყავს. ი ბიჭის შვილი ეს არის, ეს დამარჩა. მოდა ასე, ასე ვეხოვრობთ, ეს სკოლაში დავა და...

ნიკოლოზი აზრით მახსოვს... ქვე რა ვიცო მე, სოფელი ვისი იყო. თავა-დი დადემქელიანი იყო, თავადს ეძახოდენ, სანდრო დადემქელიანი და სხვე-ბის მახსოვრობა არ მაქვს მე. ისე სანდრო დადემქელიანი იყო უფრო უმფროსი და ნასტავლი. მოსამსახურეც ქვე ხავდა. რა იყო წირვა-ლოცვა, ღვდელი იყო.

1 ჩაწერა ლეჩხუმში 1984-1986 წლებში კ. კაკიტაძემ.

მაშინ. რას აკეთებდენ და... გვეიფოდიო ეკლესიაზე და ღოცვილობდა ღვდელი და იყო ხალხი მაშეინ და ალგომა, შენი ჭირიმი, ამალლობას, ყორიფერი კაი დღეებზე და დევილოდიო. მოკვტებოდა ვინმე და იმას გაწესადა და გაასვენებდენ ღვდელით და ზიარება იყო. აზიარებდენ ხალხს და მაზიარებლობა იყო კილო. თითო კვირეს დევილოდა ხალხი და არ ჭამდენ, თმობდენ და მერეთ ეზიარებოდენ. საკურთხობა იყო კილო და თელ სოფელს ახონდა საკურთხი. იგენს, ღვდელ მიხონდა სუყველა, რასაც ევიტანდიო. სუყველა მიხონდა ღვდელს. წევილები ახლა, გლახას ხო აფერს ევიტანდი, შემწეარი ქამები და გვაჭილები და ის დაგვიტოვებდა იმას, ხოლს. სხვა ყოლიფერი მიხონდა იგენს. „სტაროსტას“ უძახოდენ, „სტაროსტა“ სალასტოთი და კოკიო. კოკამი ღვინოს ასხამდენ. შოდა სალასტოებს გააფსებდენ, გაცლიდენ. კილო, კილო... თელი სოფელი აქანე დევილოდა, აქანე ეკლესიაზე. ყველას ახონდა საკურთხი და ამდენი რამე სა მიხონდათ, არ ვიცე ი ღვდელს და დიაკონს და პატარე, „სტაროსტას“ უძახოდენ, იმას აძღვედენ, ამხიკავეს, რამ ხიკავდა. „სტაროსტა“ მოხობოდა ღვდელ და დიაკონს. შოდა, საეცხლური ეკავა ხელში და მიხობოდა და მიხობოდა. „პოპოშნიკი“ იყო, ივანე იყო თოთაძე, მიხიელიეს იყო. „პოპოშნიკებს“ უძახოდენ, მერე ასისთავი. „პოპოშნიკი“ დევილოდა... ხალხს ასე, კრება რე იქნებოდა, იმას უნდა დეეძახა. შოდა მიეყვანდენ თავჯომარესთან და იმას ქვიოდა „პოპოშნიკი“. ასისთავს უნდოდა „პოპოშნიკი“. ასისთავი მეტი იყო, შოდა პოპოშნიკი იგენს ეჭირებოდაყე, ი ასისთავებს.

კერძობა რე იყო, ჩვენ ბევრი ქვეონდა ნამეტანი და არ შევეით კოლექტივში. მერე წავგართვეს მაინც და შევედიო მერეთ, და ღოუშვეს ჩვენი ტყეები, ხილები ქვეონდა ბევრი ამ მამულობაში, იგენი დაჭრეს კოლექტივში. ხეები დაჭრეს და წეილეს სულ იგი. კანტორები უნდა გაეაკეთოთ და ჩვენი ძველების ნაქონი სუყველა წეილეს. მერე ქვე შევეით ჩვენც, აბა რა გვექნა და ვმუშაობდიო და მერე ჩემა ქმარმა სთხოვაყე, ერთი ნაჭერი მიწა მომეცითო მეო, რომელიც გვინდოდა ახლა ჩვენ. ამ მოსცეს. არ ქნეს. გამევიდა მერეთ... გამევიდა კოლექტივიდან, აღარ გაჩერდა და მოქვეეს საცხა განაკიდეში ერთი ადგილი. შორეს იყო და დავამუშავეთ და მოგვივიდა ჩვიდმეტი ძარი სიმიწო იმაში, იგენის მონაცემში. შოდა ასთე პეტერა ხანს ვიყავით და მერეთ... მერეთ ისთავე შევედიო. ვმუშაობდიო და ვინც ბრეეს იმუშაებდა, ბრეეს გამეიტანდა, ვინც არა... ახლან, ახლან კაი დრო. ახლან ბატონობა არი. მაშეინ გაწვეტილი ვიყავით წელზე და ახლან... კერძობა რე იყო, ჩვენ ბრეველი გვეონდა ნამეტანი და ჩვენი ჯინი უჭირავდა ხალხ და ღამე ქვეპარავდენ ტყეში, იპარავდენ ხეებს. რე მოჭრიდენ ღამე ხეფსე, იმდენითე ხეები ქვეონდა რე, ერთ სახლის მასალა მევილოდა ერთ ხეში. და აქანე ერი ბიძაშვილი მხავდა და ეს დამიძახებდა: ეჰე, წაატყიეს, წაატყიეს ხევო ღამე. გამეიხედე, გახვდა ბეთქაო. ღამე ჭირიდან და მიხონდაყე. ჩვენ ნამეტანი ბევრი ტყე და მიწლორი ქვეონდა. შოდა, ეჭირებოდაყე ჩვენი ჯინი და მერე...

რუსები ჩემ ხელში არ იყო. ჩემ ხელში, რე დაამგვრიეს ხილები, ის

მახსოვს. ხიდეები დაამტვრიეს, არ გამევიდეს ჯაროო. ისეთ რწმუნებულობა
კაცი იყო. აბა, ღმერთო!... ეცხერწებოდიო. ახლა აღარც ქვე მეხვეწები
და აღარც...

(მოქმედი გრიშა ყურაშვილი, 65 წლის)

იმან იცის ძველთაძველი ამბები, ეალიკომ, ჩემა მეზობელმა: რა ყოფი-
ლა, ჩემო ბატონო, თქვენი გვარი და რა მოუკლავსე იქინე და მერე ბატონი
გამოქიდებია და მერე აქანე მოსულა და დასახლებულა და მერეთ გამარავლე-
ბულა.

ყოფილა... აქანე მოხუცი კაცი იყო, ასოზდაექვისის იყო, ბატია ყურა-
შვილი. ჩემი სახლიკაცი, მე ყურაშვილი ვარ. მაგას უამბებია რა, ლეკები
შემოსულარიან. დაბანაკებულარიენ ჯარები, ჩემო ბატონო, და ეს ლეკები
რო დაბანაკებულარიენ, ეს ადგილი მოსწონებიაყე. ახლა აქ ბეოლიანი გვაქ
კოლმორნოობას. აქანე ახლა რა გამაგრებულარიენ, აქანე ყოფილა ე ჯანგ-
ცალი სახლი. ასე, გვალი იმისგან დადგმული სახლი ხონია. გლეხი კაცი ყო-
ფილა და ერთი ბოში ხოლია. ნემსაძე ყოფილა გვარათ. ე კაცი მოუკლავსე,
ე ბოშიც მოუკლავსე და ე კაციც მოუკლავსე. იმის გვარი დასა ახლა ამ
ადგილს. ნემსაძის სოულს ეუძახით ჩვენ ამას, ამ ბეოლიანს, ჩემო ბატონო
და... აქანე, ეგენი რა დაბარგებულარიან ახლა, ჩემო ბატონო, ეს ჯარი,
აქ არი კორტი, კორტია აგერა, ა! ყურაშვილი კორტებ უძახიენ აქანე. ამოზუ-
რკული კორტია, ასაფლავებულარიენ აქანე იგენი, ი ძველები. შოდა აქანე
ყოფილა ციხე, ნაციხვარას უძახიენ ახლა. არი ნანგრევები ყურაშვილები.
ე ყურაშვილები მოსულები ყოფილარიენ ოყურეშიდან, გადაღმიდან. ხოდა ეგე-
ნი ყოფილარიენ გამაგრებული აქანე. ხოდა რა ვიღონოთ ახლა და ი ლეკების
უფროსი ეუბნება ამ ჯარებს. ჩვენ უნდა ევილოთ ე ციხე, აქანე რა არიენ
გამაგრებული ყურაშვილები და ეს უნდა ევილოთ. ეს შეიტყო ახლა სიგანაღმა.
ე ყურაშვილები მოუვიდა ამბავი რა ახლოსაა, ... შევიდენ ახლა იქინე, გააფ-
რთხილეს, რა ასთეა საქმეო და აგენს ქონიათ... ძველი სასარლი ამ ყურაშვი-
ლებ... ამ სასარლი... ახლა მუზერშია ცაგერში, ჯაზიარი ქვიებია, ხოდა
ეს ამხელა ყოფილა, კაცო და ამოუფსიათ აგენს, ჩოყურათ ერთი ვედრა წამა-
ლი, შავი წამალი, თოფის წამალი. გოუფსიათ და დოუმეციათ მაღლა ი რიყი
ქვა. შოდა ე ჯარები საცხა აბარგილარიენ ახლა, საცხა აბარგილარიენ, დო-
უპირეს (დოუმინეს) ახლა ამას, საცხა ჯარები აბარგია, შოდა, გავარდა
ახლა ჯაზიარი და ე გახურებული ქვა ქე არ მოხვდა თურმე უფროს თავში?
გოუსკდა ტვინი. ეგენი ჩვენზე ავი ყოფილარიენო და აღარ გაჩერებულარიენ
და ოჟკიდებით კვტარი ცხენზე და წოუყვანიათ და გადაშვებულარიენ და გა-
დაბნელებულარიენ. იგენი რა გამეფებულიყონ, იგენი იქნებოჯენ შამინ აქა-
ნე და აღარ დააყენებდენ ჩვენ სახლიკაცებს, ყურაშვილებს. მოსულა მერეთ,
ჩემო ბატონო, დადიანი, სამეგრელოს ნეფე. უშქვიათ რა, მოუსხენებია უფ-
როს რა, ყურაშვილებმა კარქათ მიიღეს მონაწილეობა ამ საქმეზეო. ლეკები
იყონ შემოსულიო და ეგენი გადაენესო და ადგა ჩემი ბატონი და ამ დადიან-
მა უთხრა რა, ეს ყურაშვილები იყოსო ყურაშვილებიო, აზნორებო და და-
ნარჩენი ყურაშვილები აგენის მოსამსახურეთ იყოსო. ი მიაკუნა. ი დადი-

ნი განაგებდა. იმის სამფლობელო იყო ეს. რატო ქვია ამას ლეჩხუმი, თუ იცი? ესაა მეგრული სიტყვა. მეგრელები უძახიენ სათებზე ადგილ - ოჩხუმი, ოჩხუმიო. მეე გადათქმოლა ლეჩხუმი, ხო. ეს ამას ხონდა თურმე, ბატონსე, დადიანს სათებზე ადგილათ ესე. თებში ხოა ამაში კალმახი და ასე, ამ ფორმაზე და განაგებდა იგო...

დადექელიანი აქანე ელოა ფალავას ბაბუა იყო. მარშალი ყოფილა ის და ჯარი რუ მოგიწევდა თურმე, დაქტოვებდა ის. ეს ნაცვილები ხავდა, იმის მამა, ივანე. ჯაფარიძეები ყველა არი, მესტიაში რუ ჩახვალ, ყველა ჯაფარიძეა, აზნოური არაა, მარა ახლა საქმე რაშია. აზნოურები კი არ არიენ, მარა, საქმე გაქხთის აზნოურათ შენ. ახლა აზნოურებზე მეტი არ არიენ? აზნოურებს, ბოდბი მომიხთია, ტილები ჭამდენ და ახლა გლეხი კაცი ზოგი იმისანეა, რამე... მაგენი იქნებოდენ ახლა დიდი მეჯოგე. დიდი მეჯოგე იქნებოდა იქ, სვანეთში და ჩამევიდა აქანე. ფულიანი იყო, ჯოგი ხავდა ჩემო ბატონო და თავადი იყო. აბა რა იყო, ყველაფერი „სუმა“ ქონდა. დასახლებულარინე აქანე და ის თუ გაგეგონება შენ.

ყურაშვილები გვარგატეხილები არიენ, მაგენს გოუტყდა თავი. იმაში, ნაკერალემ, აგერ მეზობელს მოყავს იგი, კეტარძალღებს, ერთიმეორე, მოგვარეს-მოგვარე. ეგერ, თამარეის ძმიშვილი წაყვა იმას, ყურაშვილს. ასთე არიენ, ჩემო ბატონო. თავადები ხო არ თხოულობენ გლეხის შვილს, ი გლეხია, გლახა არიო. თხოულობდენ მათ, მის ნონაუბავეს და დოკვირდი ახლა შენ! ეგენი ახლა, ერთმანეთი, არ მოხთა შეჯვარება. ერთიმეორეს ნათესაობდენ და გამევიდა მამლაზუნა, შტერი, გამოთაყვანებული და გადავიდენ (გადაჯიშდენ) ეგენი. ი დადიანებიც გადავიდენ, ი გელოვანებიც... ცოტა დარჩენილი.

სამეგრელოს ბატონი ხო ყოფილა დადიანი. იქინე თოდუა ყოფილა ერთი, თოდაძენის, აგერ ათი გლეხია, ამგენის წინაპარი ყოფილა. იქ ნაცხოვრება და ახლა ქალზე შესჩენია ეს დადიანი. ქალი ხოლია კაი ამ თოდუას. კაცია თოდუა ყოფილა. გოუგზენა თურმე მხლებელი რუ, ქალი გამომიგზავნეო. ამან შოუთვალა, ამ კაციამ რამე, შენ მოდიო ჩემთანო, შენ. მაგარი ყოფილა ე კაცია და წევიდა დადიანი ახლა თავისი ცხენით და აბა, გამოდი, კაცია, გარეთო, დოქახა. არი ნაბადმობურული და ცხენით, რა შეეშლებოდა ახლა იმას. და ამას ქონია აგერ კაციანი თოფი გატენილი. ჰოდა დოუხუდა თურმე და გადმოაგდო და ე დადიანი. მოკლა, ე ბატონი. აბა, რა იქნებოდა ახლა, ხო იქნებოდა დასამალავათ საქმე! ხოდა ამას ხოლია სამი ბიჭი, პატარა ბიჭები ამ თოდუას. წამოსულა, გამოსულა. ცაგერის საბატონში მისულა. ამ უსახელოს საბატონის ბატონისათვის ჯოუბარებია ცაგერის ბატონს, რამე ეს კაცი იმალება და წეიყვანე ეს კაციო. წამოუყვანია თავის ცოლშვილით ეს კაცია თოდუა და მოუყვანია აქ, უსახელოში და აგერ, უთქვია, აგერ არიენ სიმსივნები, აგერ გიორგი სიმსივნე ცხოვრობს, მაშინ პატარა ჩანგვალე (ჯანგვალი!! ჯარგვალი) ქონია, პატარა საბძელი და შეიწყვე ერთი წელიწადი შენო. აბა წასულა ახლა ე კაცი, მოავტარა ეს საქმე ე კაცი ყოფილა ერთი წელიწადი აქანე, სიმსივნესთან, გოგია ქვიებია იმ გიორგის

მამას და ევგენი, დოდოს ნამოსახლი რთა, იქინე გოურიგებია ამას ჟა იქინე დასახლებულარიენ, ეს კაკია. ამას დაშჩენია ორი, პო, ბოშები ყოლია წამოყვანილი, პატარა ბოშები და ეს; წასულა ერთი ბოში, წისქვილი იყო, ახლა რა შახტია, წყალი რა გამოსის, იქინე. სამელის წისქვილს უძახოთ. წასულა დასაქვავათ ე ბოში. უნა ამეეტანა საქვავი და ის... ე ბოში ყოფილა დაძინებული. სძინებია, ხოჯა, ამგენის ძველი ყოფილა, ამ სიმსივნების ძველი, ცოცხას ყავდა შეწყობილი, და ქე არ მოუჭრია თავი ამ ბოშისთვის სიმსივნების ძველს? ეგენი გამრავლებიენო და ჩვენ აღარ გვექნებაო. ამას დაშჩა ორი ბოში და ამ ორი ბოშის ნაშირები არიენ ახლა ი თოჯანებნი. გადირქვა შერე, თოჯანე ვარო. ხოჯა, ამოსულარიენ ახანე, ურწვალბიათ, ე ბოშები აქანე გახდილარიენ, შერე გამრავლებულარიენ. ერთი აქანე დასახლებულა, შერე გაღმა დასახლებულა, გაღმა, აპალონე რა ესახლა, სათივე რთა, სახროვე დელეში. ეგენი მოშენებულარიენ, აგენს რა უყრებ, თოდუას ჯოში, თოჯანეები რა არიენ, ამგენს ხონია მიწაწყალი. ბატონს უჩუქნია. ეს ქქონდეს შენ აქანეო. შერე ტყე ყოფილა და გოუტეხიათ ე ტყე და ერთი იქინე დასახლებულა. სიმსივნეები ერთი შვილი-რვა მოსახლე იქნებიათ ოლათ.

ფაღავა ერთი იყო მარტვე, იქიდანაა მოსული, გურიიდან. გუგავენები ბევრი არიენ უფრო. გუგავენების თქმა შვიძლება და ფაღავენების არა. მიტო რა, ფაღავა ერთი აქანე. გუგავენები მრავლობითია.

ს ო ფ. ბ ა რ დ ა ლ ა (მთქმელი ღიდა მემველიანი, 96 წლის)

რა მომაგონდება შვილო... შვილები აღარ მყავს. ძველი ამბავი... რაღა ცოკი. დიდი ხნის ქალი ვარ და... შვილები გავზარდე და ქვე დამეხოჯა. ისთე, გლახა დრო იმ დროში არ იყო და... ვინ ღარიბათ ციყავით, ვინ დიდარი ციყავით. ვის ქვექონდა, ვის-არ ქვექონდა. ვინ ღარიბი იყო, ვინ ქქონებელი. ქმარი მყავდა, შვილები მყავდა და ცეხოვრობდი, ქვექონდა სამუალება ასე ოჯახურათ. ასე, გლეხური ადამიანის პირობებზე აფერი მიჭირჯა, მარა ახლა და ახლა წევიდა ჩემი საქმე, ჩემი სიცოცხლე აფრად არ ღირს.

დიდი მცოდნე არ ციყავი, შვილო და ოჯახს ვაკეთებდი, შვილებს ეწვდი და ცყნობდი და ცსაქმიანობდი. თავისი სამუშაო რა იყო და, ვოხნილით და ვთესავით. პურ ციწევით. მევიწევით და შერე სიმინდ დავეუთავავით და მევიწევით. ყანიდგან კოლექტივიში მიქვექონდა და კოლექტივიზგან მიქვექონდა ოჯახებში და ციყავით ასთე. მაშინ ყოლიფერი რიგებოდა. რაჟ ჩვენ მევიტანდით მოსაწიერს, ყოლიფერი რიგებოდა. შერე მეისპო, ახლა ეს დარიგება მეისპო. ისთე ნამუშევრები კი გვაძლევენ ახლავ და მაშინ კილა სხენანიარი იყო. სხენანიარი ვამოცემა იყო. იგი ჯობიოდა. ყოლიფერი რიგებოდა, რაცხას ვიმუშებდით. წაღმართათ ვმეუთობდი და ქვექონდა. საქონელი გეყავდა ჩვენ ჩვენთვის. ვის ხავდა ახლა ბრევილი შვილი, ვის ცოტა ხავდა, ვის სამი-ოთხი ძოოხა ხავდა. მუშა ხარები კილა ახლა, ცხენებოც ქვე გვხავდა.

დღესასწაული... კაი დღე რა გათენდებოდა, ნამეტანი კაი ვიცოდით. გორგოთობა - ახალი კვირის მერე, ახალი კვირე იყო, ვიცოით პაიჯობა ერთი-მეორეკი. ახალ კვირეს პაიჯობა ვიცოით ერთიმეორეზე. ხან აქეთ წახვალ, ხან იქით. გათენდებოდა კაი დღეები და მაშინ მეტი მხიარულობა ქვეყნდა. ვინცა კაი დონეზე იყო, მხიარულობა, თამაში და ამბავი და კაი საქმე იყო. შო, შობა, მეორე დღეს ბლავარწობა იყო. პურს მოცხარჩავდით და გავაკეთებდით ჯანტილას და ბლავარწობას იმას ვუძახოთ. მეორე დღეს, გათენდნოსყე ღმერთმა, შობა გათენდებოდა. და მერე ახალი წელი იყო. შობას ვკლავდით საკლავებს, თავზე უნდა შემოგვევლო ბოშებისათვის. ახალწელიწადსაც, გათენდნოსყე კიდო ღმერთმა, დასაკლავებს ვკლავდით კიდო და ქეიფი იყო. კაი დრო იყო მვილო მაშინ, კაი დრო იყო. ახლა უმეტესი კაი დროა კილო. ახალწელიწადს შემოდიოდა ხალხი და დოუხელადებდით და სტოლს გავშლიდით, დოუხელადებდით. მკლოვიარე უნდა შემევიდეს შვილო. მკლოვიარე ახალწელიწადს. პეტერე უნდა ვაჩუქოთ ახლა და მკლოვიარეს, იმ წლის მკლოვიარეა იგი. გათენდნოსყე ღმერთმა დღეის დღე, ახალი წელი და გაისი ახალი წელი - ამას იტყოდა. კარებს დააკაყუნებდა ხელს ასე და - კარი, - დეიძახებდა. -რა მოგაქ? - ოქრო, ვერცხლი, პური, ღვინო და ასე იყო. მოახალწულეს ვუძახოთ ახლა იმას ჩვენ. პატრე ვცემდით ჩვენ ახლა, ფულ დოუხელადებდით, საჭმელს დოუხელადებდით და მერე ევიდოდა და წვევიდოდა. ის იყო მოახალწულე. ვის კაი წელიწადი ექნებოდა და ასე იყო.

მე,შვილო,იმდონე წლის ქალი ვარ, იმდონე სიმწარის განარები ქალი ვარ. სამი შვილი მომიკვტა, ორი შვილიშვილი მომიკვტა, მე რაღა უნდა გავაკეთო.

ძველათ რა ამბავები იყოდა ხალხმა, ახლა ის ამბავები წვევიდა. ახლა არი ახალი შემოსული ამბევები და საქმეები და სუყველაფერი.ძველი ამბავი ახლა ვილას უნდა, ახალი ამბავი უნდა. ძველს რა მოუყვე, ძველი რა ხარო, ძველს ლპარაკოფო, ასე იციენ. ნასტავლი არ ვიყავი. გლახა არ იყო ძველათე. კარქათ ხალხი მუშაობდა - კარქათ იყავით. ვინ ლარიბი იყო, ვინ ზიდარე. კიდე საყიდლები თუ გინდოდა, იყიდდი. ახლა რა ბრევილი ფული გვინდა, ასე კი არ გინდოდა. ათ შაურს, ორმოზდაათ კაპიკად ადამიანი ჩეიცუმდა. კაკა ხო იცი, კაკა, ნიგოზი. იმას გაყიდდი ორმოზდაათ კაპიკათ, ხოდა ბოვშელს ჩავაცემევდით იმითი. ასეთი დრო იყო. ახლა უნდა ქქონდეს ქვეყანა და ქვეყანა არ არი. თუ ხელფასები არ გაქ და ანდა ნასტავლი არ ხარ და არ დაღიხარ და ისთე, ახლა ფულის სიძვირეა. ახლა რა შვილი მომიკვტა, ომის იღვანდი იყო, ფუხი სტკიოდა, მარა, იმისანა კაი ადამიანი იყო რომე, ისთე მუშაობდა რომე, ა! ჩვენ ვართ გადმოსახლებული.ზევიო ვიყავით წვერში და გადმოსახლდით და იმდენი იშრომა, იმდენი იწვალა, იმდენი იწვალა რომე... აქნობამდი კარქათ იყო და ახლა გახთა ავათ და შომიკვტა ხელათ.არ იყო გლახა დრო,არც მაშინ იყო გლახა დრო.არა. მაშინ ის დრო იყო, პეტერე ფული გინდოდა და პეტერე ისე.ახლა... ქვეყანა უნდა მიცეოფხებისჩასაცვამში,ტანისჩასაცვამში.მაშენ კი,შვილო,პურს ვთესავდით ჩვენე. სიმიდში გამოვთესავდით.სიმიდ რა მევიწევდით,დარჩებოდა მოლათ იგი.

დარჩებოდა თოვლებზე იგი და მერეთ, მისი დრო რა მევიდოდა, აა, ამ თვეში, გაღწევილი იყო კალღები. პური ვიცოდით, ბრველი პური ვიცოდით. მერე სი-
მინდი მოდიოდა, მერე მოსაწევს შევიწვევით და ასე იყო. გაღწევა იყო, შეიღო. ა, რა არი ახლა, ფათენი რა არი ახლა ესე, კალს ვუძახოდით. ი
კალს უნდა მოგვეწმინდა და უნდა ჩაგვეფინა იმაჩი მოწვეული შემოხანელი
პური. სახლები საფსებები ქვეონდა იმით, პური. დაკონებს ვუძახოდით ახ-
ლა, რა შეკრავდენ კონებს, მერეთ გავფენდით კალზე იმას, ასე დავაწყობ-
დით კალზე იმას, ხარებით ვღვწავდით და ცხენებით, გაპოვკაპავდით და
დავტყავდით. წისქვილები ქვეონდა, პაწაწუანი წისქვილები და იმაზე ვტყა-
ვდით. წისქვილები საკუთარი იყო. ასე საკუთარი თ, - ორი გლეხის, სამი
გლეხის. შოდა ვხარჯობდით.

... ორი მაჭანკალი მყავდა და გამარჯვებს და ჩამომიყვანეს იმაჩი, წი-
ფერას და ეს იყო. ახლა რა მისობიე მიხვება ქალები, ისთე კი არ იყო. მა-
ჭანკლები იყო და შეამავლობა იყო და საქმე იყო. ახლა მისობიე მიღის,
გოგუები, ხო იცი ეს კარკათა. შოდა, მაჭანკალი ორი მყავდა. სახლები რათ
გინდა რა გითხრა, რა გითხრა - ილია ხეუურიანი და პარმონა ლეოლიანი
მაჭანკლებმა ბრველი იარეს. ასთე კი არ ვიხავი. ასთე კი არ ვიხავი, გვა-
რიანი გოგო ვიხავი მაშეინ. ქმარი კაი მყავდა კილო, გვარიანი. ვარზე ვი-
ყავი. მაინ დამძლიეს. მერე მაინც კმაყოფილი შევიქენი. მაჭანკლებს რა-
მელი ფულს, რომელი, რა დაკლავდა ხარს, ძროხას, მანამდე ასთე იყო, თავი
და ტყავი უნდა მიეცა. ეს იყო. რას გატენვდენ შხითეში და - ვინცხას რა
სული ედგა, იმას ატენვდენ ქონებას, ბრველს და ვინცხას არ ედგა და ქვე-
შაბეღლი მარტვე და „კრავოტებს“ და ასთე, ზომა ქვეშაგებელს. კილო ჭი-
ქა, საინი, ბოთლი, სპილენძი, ძროხა. მე ოთხ-ოთხი წყება ქვეშაგებელი
გამომატანეს, ოთხი წყება „კრავოტები“ და ძროხა და საქონელი. ზანდუკობა
იყო მანამდე. ახლა რა „კრავოტობა“ და „შეაფობა“, არ იყო მასთე იმ
დროში. ზანდუკები დეიდგემბოდა, ასთე დიდი ზანდუკები დეიდგემბოდა, ასთე
დიდი ზანდუკები და იმას გატენვდენ. ისე ხიბაკებს ჩააწყობდენ.

... დევიყენებდით, ბატებს ვუძახით, გავაყლიდით იმას ბუნტყლს, და
გავწეწავდით. ჩავყრიდით იმაჩი... ბალიშებში და ბუმბულში. ახლაც მაქ
ერთი ბუმბული შენახული, ჩემი ნაკეთები.

ცხვრებს დევიყენებდით, მარგატელით დავებარჯავდით და დავჩეჩავდით,
შეესტატით, და ემ კილო აძახვას უძახოდით, ავძახავდით და დავქსოვდით
გარეთ და შემევიტანდით და ვქსოვდით. ძაფ-ტარებს გააკეთებდენ ქალები
და იმაზე ვგრიხავდით. იმას ქონდა მისი წყობილობა. შალი ქსოვას, ყველა-
ფერი და შეიქსოებოდა. იუშოდენ კაცი. მაშინ ჩოხები და ახალხები და
შარვლები იცოდენ შალის კაი და ყოლიფერს ქსოვდენ. რა დევიწყებოი სტვასე,
მომეხმარებოდენ და ელაპარაკობდით ასე გოგუები ამბებს და ი მატყლი ქვე-
დისტვებოდა.

ეკლესიაზე რა დევიდოდი, რავა არ მახსოვს: ხატები ბძანდებოდა და
ვეხვეწებოდით ღმერთ და ღლესასწაული რა გავეთენდებოდა, მაშინ ღვდელი
იყო და დიაკონ უძახოდენ და სწირავდა ღვდელი და პირჯვარ ვიწერდით და

ღმერთ ვეხებწებოდიო. ხალხი ბევრი იყო - გვიფსებოდა ეკლესია და მისი მიღამოები. მარხობა რაღა არ იყო. თმობილობა იყო. ალღომი კვირეში უნდა გვეთმო. თითო კვირა უნა გვეთმო და რაცხასა გავაკეთებდით, თუ გლახას გავაკეთებდით, რამეს შეგვეკითხებოდა ლეღელი და უნდა გვეთხრობია, თუა მერე ზიარება აღარ ქექონდა და ვეტყლით ყოლიფერს. აბა, თუ რამე შეიპარეო, თუ რამე შეიძინეო, ვეტყლით ყოლიფერს. მე გლახა აფერი გამიკეთებია და რაზე ვეტყლი. ისე, უმაღადა ბრეველი. აბა, ყველა კი არ ეტყდა. მაშინ ძაან პატროსნობა იყო. ახლა სალაღ არი ბევრი.

... რა გვიფსობან ხალხი, ჩვენ ვმუშაობლით, ქაღები. საჭმელს მე ომიანობაზე, თელათ საფსე იყო ნაღიე სიმიდით. ყველაფერი მოსაწიერი ქექონდა და რა წიყყვანეს ჩემი შვილი, მაშინ დამიბარა მე იმან, რომე, სიმიდი არ გაყიდოთ და იქიდგანეც მწერდა კიღო. მე სიმიდი სუ ბრეველი მქონდა. ცმუშაობდი და მქონდა. მე აროობა არ მინახავს აროოდეს. არც ომიანობაზე არ მინახავს. ომიანობაზე იმღონი სიმიდი მქონდა... კი მიეტანებდენ გაღამყიდველები ტანსაცმელებს, შოდა, ჩამევილებდი, დაფშენიდი, ვატნევიდი ჩვენი ნამუშევარს. აროობა არ მინახავს მე. მხონდა. ვმუშაობდი და მხონდა. მეწერმაღელები დადიოდა. დახონდაყე გასაყიდელი, ზურგში მოკატრებული. ებრელები, ლაღაშელი. მივედიღა და ჩამევილებდენ... ბარდანეები დახონდათ და ფართალი ხონდათ იმაჩი. და ვიყიდიდით. ეკიდა ცხენზე, ერთი იქით, ერთი აქით. მაშინ ეფობა იყო. მანეთათ ქალი ჩეიყვამდა, ერ მანეთათ. რეზინი წულეები და ქალაბანი იყო... ქალაბანი, საქონელ რა დაკლავდენ, იმი ტყავს გაახმობდენ და ქალაბან იკერავდა ხალხი. ზამთარი რა იქნებოდა, თოვლი, მაშინ. ახლა რეზინი წულა რა მუტანა კაც, არ ჩეიყვამს. ამერიკას ვიყიდით და ვხმარობდით. ქალამან ზეით „აზიაცკები“ იყო. შიგნით „აზიაცკები“ იყო და გაჩეთე, რაცხა კაი გამოსაცვამი იყო. პიჭები ვიცოთ კიღო. შალ რა მოექსოვით, ზამთარში იმას გავაკეთებდით, გამაშებს. გოვუკეთებდით კაცებს და იცვამდენ, ასთე, ამაზე, ა! თავზე დავამაგრებდით საქსოვით, რა არ ჩამოვარდნადათ. ქალაბანზეით სვანემა ტყავების შამოყმა იყოღენ. მაშეიყვამდენ, რა თოვლი არ ჩაყროდათ. იგენმა წერეკვა იყოღენ, ქალამნეფმი იტანიებდენ.

თები ქექონდა და იმაში შემოდიოდა დათვი და ჭამდა სიმიდ. კაცემა კარვები იყოღენ და იღვენ იმაჩი და ცავდენ ყანას და კიღო მანჩვი, რავარც ლორი, ისე ჭამდა. ცეცხს დაამთებდენ და ეშინოდა. მაშხალდა დეიკავებდენ და... ტინეღილები იყო კიღო. ყავარი უნდა დავეტეხა. ქორწილებზე იყოღენ კიღო მაშხალეები და ტინეღილები.

ს ო ფ ე ლ ი ლ ა რ ე ა ლ ი (თაღოზ ფეტკარაძე, 97 წლის)

რომელი ამბავი მოგიყვე? რამდონი წლის ვიყავი იგი თუ, რამე გავაკეთე? სახუნელები, უღელი? რამდენ ხან ხარებს ვეკიდე, რამდენ ხან ფერმი გამგე ვიყავი, აბა. ხელისდაწერა... ხელწერა რა მყოღნებოდა... მამარე

კლასი კარბში კი არ მუუყყანნივარ, მოჯამაგირი... ცხუმიტ მანეთ მაპ-
ლედენ წელიწადში და სანაამლი არ შევიძლო... ოცი წლის რ ვიყავი, მე-
რეთ დაცურება იყო სვანეთში, შოდა ერხან ჰადი ვავხვე, ერთი წელიწადი.
მორე წელიწადს, ასე რ ვჯივარე ჩვენე, ასეთ იყო წყლის პირზე კარავი,
რო წაბეილო ე ხეები და ე ფორაოლი წყალში, დამბიო მოხონდათ ხე, დამბიო.
წყალს დაკეტადენ და რ ოუშობდენ დამბას, ეროს დეეცემოდა მეჯჯებ და
მეჯჯივით და რ ოუშობდენ დამბას, ხეს ჩააწყობდენ მანამლი. მერე ამას
რო დეეცემოდა წყალი, ემას მიაჯორგადეა სხვა სოფელიჩი. მერე იქინე კილო
გაქრებოდა წყალი. ბევრი კაცი ქე ჩავარდებოდა. ა, ერთი კოლიე იყო, ჩარ-
კვიანი, იგი, ლურლუა. „ხაზინი“ ყვირის, ტირის, რა ამბავია! ბურმე
ლოდში ქვეშ მოფარებულა რაცხა, გოურჩირია, ხეებ გალოურა და მერე ამო-
ტოტყტა წყლიპირზე. ჩადი-ჩადიო, რ ეძახოდა „ხაზინი“, დახვიე ბაწარო,
მაშინ ჩავარდა. „ხაზინი“, ეს რ ამევიდა, ეგი კილო წყლი პირზე წეიქ-
ცა, შიშით, შიშმა გოუკეთა... ხო, სვანეთის აბავი რ გამევიწყეთ და
ვარ ასეთ გაჩერებულე, ჰადი რ გამოეცხვე ოხდაათი კაცი ხვანე (ქვანე),
ახლა უნდა მევიდონ და... შუადლეა. წამევიდა ამ კარავი მახწორ ე ხეები
და. გეიჯორგა. იქინე დავაკვირდი, ეაკვირდებოდი. კეტებს თვითან ელიდი
მე, კეტს მათლოვიებდენ ხალხი. გალოუკეტე იგი და ხუასი ნაჭერნი ხე წე-
ვიდა, წევიდა ახლა აქანე. „ხაზინები“ მიხდევ-მოხდევდა ამ დამბი წყალს
და რ გათავდა ეს და, რ წევიდა წყალი, გევიხედეთ და მვეიდა „ხაზინი“.
შენო, რას აკეთებო, - მითხრა და თურმე შეუხედავს, ი მე რგო კეტი გად-
მოვყარე და... ეს ხუითათასი ხე იყო მოწყობილი. მარა ურცახე, ურცახე
ხე მე, რუ კეტე ოყარე, იქინე, ურცახეხეხე ყოფილა დამბული, მათ მაგრაო.
რო წევიდა, მობრუნდა ხაზინი და სხვა რ ხონდა, მცურავებს, მეც ის-
თე... მე ხაბაზობიდან გამომიყვანა. შენ არ განახო კარავში. შენ ყოფ-
ლხარ მუშა და კარავში ჰადი გაცხობიოთ? და რ ვიცი, რამდენი ნაწვადე-
ბი ვარ. შოდა, მერე დაცურებაზე ვიყავი და მერე კეტი რ მომცეს, აღარ,
ჰადს ვაცხობდი, აღარც აფერ და დავდიოდი. მერე ომიც დეიწყო და კოლექტი-
ვობაც დეიწყო. ამოსობაჩი ეს თვრამე ხალხი იყო, ხეირიანი, ერთ დღეს რ
წეიყვანდენ, მერე დღეს კილო დოუძახებდენ. მერე მაინე წამეიწყო იქი-
ნე ფერმე. ვიყიდეთ სახონელი და სკები იყო, აქით უდაბნოს ვეტყვიო, სკა
იყო იქინე, ასი ბიკვი სკა იყო. ეგენი და მათრევიეს აქით-იქით და რ
ვიცი. შოდა, მერე კოლექტივობა რ შეიქნა და ეს ამბავი, წერა არ ვიცი,
კითხვა არ ვიცი და, მევიდა თავჯლომარე და რაონითგან კაცი მევიდა და
შენო, ფერმი გამგეთ უნდა წახვიდეთ. რას უნოფ,-მე ვუთხარი,-მე წერა არ
ვიცი, წაკითხვა არ ვიცი, ხარბე ძვილა ვეკიდები, რაზ გავაკეთეფ მე ას-
თე-თქვა. აჰ, უნდა წახვიდეთ. ყაჰ,-მე ვუთხარი, ვერ წავალ. ეგარ რ
ხეებია მილორში, მილორი რაა, ი. მევიდენ მეოახე დღეს და რ მიეფიქრეო.
რას მევიფიქრებ, მე ვუთხარი, ვერ წავალ. ვერ მივალ. შოდა აბია იქინე,
გამბული ქვეყანს ხარები, ოხდაათი უღელი ხარი. გარედიოთ, დეიძახა ამ
კაცმა. მე გავაბი უწინ ხარები, რა, ჩემზე აქ ფიქრი ამას. -გარედიო!
გარედიდენ ახლა. რაონითგან მოსული კაცია და ე თავჯლომარე. ხელი არ მო-

კილო ამ ხარბბსო. ხარბები გვეიდეს, სახსუნელი გაგიტყტეს, ხელი არ მოკი-
ლო, უღელი გაგიტყდეს - ხელი არ მოკილო. ხარბბმა სადაც უნდა იბალახოს
და ეგი წვეიდეს სახში და დაედეს იქინეო. თქვენ იმუშავეთო. მე წამევე-
დი. წამევედი რა... აქენე გათხნილი მაქ, დათხილი მაქ. რა ცენა, რა
მინდა, არ ვიცი აფერი, კაცო. ამას დაწერა უნდა, საქონელს დათვლა უნდა,
გაფორმება უნდა. კაცი არ იშოვება. უძალე ქვეყანას კატა აყუფესო, იმი-
სი არ იყოს, კაცი აღარ იშოვება: შოდა ჩამევედი ახანე, იქინე ტირილი
დევიწყე. ნიკოლეის ხელში ნამსახური ვარ, ერთი წელი მიკდა სამ წელიწა-
დის შესრულებას, იმ დროს გადაადგდეს ნიკოლე. მარა არც იქინე მისტავ-
ლია. იქინე პეტერე რაცხა სიგლახე ვისტავლე. სიგლახე კია, ქონება ქე მე-
ვიტანე. შო ამას ვაკეთებდი, კარტ ვთამაშობდი. ჯარში რე ვიყავი. რე ჩა-
მოგვიროგებდენ ფულს, შვიდიათასი იყო თუ ექვსიათასი იმას, რე დარჩებ-
დენ ეგენი. ასხი რაა ეეაგერ, მალალი გორა, იმ ხელახე, იმას ყველას...
ვიყოფი ის, კარტის გამოღება. ი კარტი თამაშით. ბევრი... ბიძის ქონება
ვიყიდე. მამაჩემის ცალი გვეისტუმრე. მამაჩემ ქალი რე მოუყვანია, თუ-
მანი მუჟია, გამოსახოვი იყოდენ, ქალს რე ითხოვდი. ამისი თუმანი გა-
დევიხადე, ნიკოლოზის ფული. ისთე სხვისი აფერი. სხვამ თუ აფერი მაჭა-
მა კილო ის ნაპარავი, ვინემ, არ ვიცი. გავხვევი და 15 წელიწადი ვიშუ-
ქავე ფერმაში. თხა, აბა ამდონი იყიდე ამ კვირეში, ძროხა, ბატი, სკა,
ღორი. ათრე აქით და იქით. მერე რაქდენი მურხხველადქე იყო, რაიკომი
მღივანი ცაგერში, ჩხუტელედი იყო, იმას ხუთი გაცხადება მევეტანე იქით-
აქით, დაჭრილი ხაღვი ჩამევიდა ომიდგან, არა-არა. კრებას რე დევიწყე-
ბდენ, შენ წადი, მომცილდი, წადიო. ამგენს თუ უჯურეფ, უჯურე. შენ რე
გააკეთეო, ზოგიერთეფსო, ხათეფში ამოუვეღეთო, ტომრებში ამოუღეთო, ხორ-
ციო და, შენ გამრავლეო, გააკეთე საქმე და იყავი ასთეო. ახლა ოთხმოზ-
დაათი წელიწადი შევასრულე. ყურიც დამაკლდა, თვალეც აღარ მყოფნის. ის-
თე სამოცი-ოთხმოცის რე ვიყავი, თთი არ მტკენია, ახლა... მაშინ ვი-
ყავი ოზდაშვიდი წლის, ცოლი რე მევიყვანე. ახლა რე ქუნხა დგას, იქინე
იღვა სახლი. ცაგერ ვუძახით, იქიდგან მევიყვანე ცოლი და ექვსი ბაღანა
მყავდა და ავხარდე ყველე. ახლა ქალიშვილი მხავდა ხონში და იგი მოკე-
და. ახლა კია, შირშან. ე, შვილი მხავს ახლა, ვიყხასთან ვარ და შვილე-
ბი ორი-ბარდნაღას. აქანე ახლა ერთი დაავატყფთა, რაცხა არი, არ ვიცი.
მე არ მაყენებენ ახანე, მოკეტები საცხაო და ქვეით წადიო. ქვეით თლა
იწევა ქვეხანა და რა გამაჩერებს. აქანე ხან ეგერ გავალ სუნელივით,
ხან იქით გავალ სუნელივით, ვარ ასთე. რე ვედივარ დამეყვინთება, რა-
ცხა მაწობა თვალბში.

ჩვენ ახლა აქანე საქონელი გვყავდა. ე ქალი (რძალზე მიუთითა) ღამე
თუ გამოაცხოფს რაცხას, თუ არა, მერე არაა სახში. ასთე რე უჯურეფ, ას-
თე დარბის. ერთხელ სვანი მესტუმრა (სვანია ე ქალიც). ახლა სვანი რა-
ღამეც ხარბქვა, თბილისელი კაცია, ი აბანო რე არი, წამო-თქვა, თუა არ
გასწავლი-თქვა. თბილისიდგან რე ჩამევიდა სამი ექიმი და სამი თანაშემ-
წე, რე დამიბარეს, მივედი იქინე და ვასტავლეყე წყალი. ე წყალი, ბაბუა,

უნდა გვეყვანოთ ხელისანი რთაო, რა მოადგები სოფელს, იქინეო, ვარა მიღებს არ დააყენებს მეწყეროო. მერე ეუხხარ, რას ჯობნის, ვიკითხე, ის წყალიო. იგი ჯობნისო ცამეტ თავ სინეულეზასო. მე ეუხხარო, ცამეტი თავი სინეულეზა თუ აქ ადამიანს, რა გადაარჩენს-თქვა. -აქანეო (თავზე მიიჭო ხელი), გაკლიაო? - მითხრა. -რატო, ბატონოთქვა. -ეს სხვადასხვა სინეულეზა არის, ეს ქარსოკაა, ეს კუჭირკვილია, ეს ისაა და ერა ადამიან კი არააქ, სხვადასხვა ადამიანებს აქო. იქინე მიღებს არ დააყენებსო და სა-ში თანაპმეწე ხავდათ და ერთი თორმეტი ბოთლი გადაბეჭვს და წილეს.ხმა-როფს ხალხი ახლა, ნამეტანი გვალა რაა, მოფის პატარა, ცოტა მოფის. მოჭ-რილია და ჩადიენ ქაღები კიფო იმარო. ბანაობენ და სახლი არა და კარი. ვერ დადგეს, მეწყერია. ხოდა ერთი თფილისელი ბიჭოც მევიდა. რაფერ იყო, რაფერ მოაგენი-თქვა, იქინე ეჯღივარ გორაზე, ბრეკზე, ზეით. აქანე, ქვე-რე, ერთი პატარა წყალია და ბატები მოვიფოდა იმამი და ორი ღერი სარო ღოფუსვი, არ ჩევიდეს, კაი დასალევიო. ეტფივარ იქინე და ახალგაზრდა ბი-ჭო, შენისთანე, ასთე ა გადაკიდებულო... ღოფუძახე: რას შობი შენ მაქა-ნე, რომელიცხა ხარ-თქვა. - რა გინდაო, ფული თუ გინდაო, მოქვემო და წყალი უნდა წვეილოვო.

- რა წყალი გინდა, მითხარი, მოგიყვან რაცხაა შემოწმებული წყალი-თქვა. წამევიდო, მივიდო იქინე და - ახლა დღიე, მე ეუხხარო.

- ვერ მომარჩენს, მეუბნება. - ამიტყტა ტკივილებიო და მამარჩევი იყო აქითი, „პობოთილა“ მეიტანაო და დავლიე ეგო და რაცხა მისალავათაო და მიზა გამევიქეციო. და, მითხრა მამარჩემაო, გადი ასთე, ქტეები დეილევაო და იმ ალაგზე არიო წყალი, გასტავლიენო. ამეილო და ხუთ მანეთს მაძღეეს. ხუთ მანეთს რაეა გამოვართუმი და ხუთი პაპიროზი ხონია,ან რათ უნდოდა. იქინე რა იგი წყალ იღებდა, მე პაპიროზს მოეუკიდე, მხოდა-და. აპაო, ბაბუაო,ე პაპიროზი ქქონდეს შენო. ერი პაპიროზი ქე ჩევიდევი. მე მაგ-რათ ვსვამდი, არ ვაყიებდი, ისთე ვსვამდი. ორმოცი წელიწადი არ დამიღე-ვია, თორმეტი წელიწადი დავლიე. პაპიროზი, ფრმაში რა ვიყავი, დევიწეე პაპიროზის წევა. რა დაგველია თუთუნი, ღვალისს ვუძახით ღვალი იყო, მო-ვტუკავით ასე, დავჭირით და იმას ვსვამდით. ეროხელ ცაგერს რა ჩემევე-დით, ქართული ხურჯინი მიკრავს, ორი ბათმანი მილიოდა. შეეხედე, აგერ პაჭკა პაპიროზს ყიდის გოგო, კონტრაბანდს-მომევი ეძით კვერუხი, მე ვუ-თხარი - სალოურ ხარო? - სალოური კითხულობ, - მე ეუთხარი, - ერთი კვერუხი...

- აჰ, შენო, არაო, ამასო. ავგილებზე ვყიდითო, თუარა, სოფლიდან მო-სულებს კი არ ვაძღევეთო.

- ტყეში ვარ, კაცო, მომეო ერი კვერუხი. - მე ეუთხარი.

ეგერ კაცი ყურობს. ი კაცი ნაპურმაროლები მყავდა თამი. წამოლიო,მი-თხრა. წამიყვანა უფროსთან. იმან დამიწერა ქალაღი და მომცა. მომცეს ოცი მანეთის. ქართული ხურჯინი რა გაეტენე და წევედი თამი, ჩემი ოცი მანეთი სანამდე ჩევიდოდი სოფელში, მანამდე მომცა ხალხმა. თივას თი-ფავდენ. მე პაპიროზს რა ვსვამდი. მე თუთუნი თუ მაქ აქანე, დამალევი

ერთი-ორი. აა, მუჭით ამევიღებდი თუ რამე ფული ხონდათ ჯობაში, აღარ ენანებოდათ. და თამი ჩასვლამდე ოცი მანათი ევიღე და ერთი თვალი კიდო უკლებლათ მქონდა. არ ვყიდი, მია.

წყესები მყავდა თამი, წყესები. ქვილი დეველოდათ, მარილი დეველოდათ, საქონელი გახებოდა ავათ, ექიმი იყო საჭირი-უნდა მეგვეყვანა ფერმი გამგე. ეს იყო. მივიტანდი, გავაკეთებდი. დიდხანს თუ დავრჩებოდი, მაშინე კიდო... ერთი ბოჭკა ყველი რა უნდა დეხებედრებიათ- ერთი ბოჭკა რძე და-მახებდრეს, საკიდელი ვერ დოქნიათ. ბიჭო, ვერ გევიდა მეზობელთან, ამ-ხანაგთან?

- რატო ქენით ეგი? - სამი იყო წყესი.

- არ დაქნათ და.

რავა არ დაქნა. თუ არ დაქნა, სხვას გამოვართუმიდი რაცხას. ხოდა, რა მიედი, ხელათ ჩავაგდე მაჭიკი. მაჭიკი იყო. იმან ხელათ მიერთვა. მარა იმდენი კი არ ამევიდა, წამხთარი იყო ყველი. იმა თავის პლანზე რა მოწველი, ამეიქნი, ყველი ფართალა ამოდის. თუ არ გააკეთე ისთე, წყლათ იქვე-ვა, ყველათვე აღარ ივარგა.

მოუწევს კიდო ფერმას გადაბარგება და უნა გადაბარგო. ეს არ არის წყესების საქმე. შენ დავალეება გაქე, უფროსი ხარ და უნა გადაბარგო თვითონ შენ უნა წახვე, აბარგო და მერე მეორე გყავს პარტია, იქინე უნდა წახვიდე, მესამე გყავს-იქინე უნა წახვიდე და ყველის უფროსი ხარ. წყესმა უნა იმუქოს (იმუშაოს), თუ არ იმუქავა არ შეიძლება. თუ რამე იქნა, შენ აგვე მასუხ. ახლა რა გეიბერებოდა საქონელი, აქანე (ფერდში) ნეფსი გოკეთეფ და ამოვა იმარჩი სული. თუ არ ამევიდა და ვერ გააკეთე, მოკეტება და ი. გლახა სამყურა ბალახი რა მოხვებდა, დიღას ცვარზე, ერთი რა გახთა ავათ, ერთი, ახალჭალას, რა წამევიღე ხარბით ცაგერს, ასე გახთა, აა! სამყური ჭამეს და მიტო. წყინობს სამყური და კეტება. თუ პატრონი ოურთა, არ მოკეტება.

... აქანე წყალი არ არი, აქანე და ქალმა მითხრა, რა მევიყვანე, რომე... წყალი თუ არ გექნათ, რომე, ბევრი უნათ წყალი და დავაყენე ამაზე კაცები. სამი საჯენი მიწა ამევიღეთ. რას წახვალ კაცო, იყრება ხრეი, გლახა მიწა. მეუთხარყე, სამი საჯენია ამოჭრილი და აღარ არი, დავანებოთ ახლა თავი და ამოვაშენოთ მაინც, იხმარს კაცი, ჩადგება მერე წყალი-თქვა. კაიო, კაცო, დღესო ვიმუშავებთო. ხვალ თუ არ იქნება, ამოვაშენებთო. რა დავჯით, ტუ, ტუ, წივა, რაცხა არი. ხოდა წყალს, როგო ფანტანში, ისთე ასხამს. გაგვიხარდა მია, რა გაგვიხარდა! დოუჯეკით იმ დღეს და აღარ გვიმუშავებია. ხოდა, ამ ჩვენი იმამდი, შვამდი ამევიდა წყალი. მერე წყალმა აღარ დავანება და ამოვაშენეთ და თავში დარჩა ამო-შენებელი, დააკტა ი ქვა. ახლა რა სიცხება, არსათ არაა წყალი. მეშინია, ვეუნები ი ქალს რა, პეტრე ეკონომიათ ვიხმაროთ. მეტი წყალი არაა აქანე, საქონლის წყალი არაა. ხოდა, გავაკეთეთ და ვხმაროფო. ცივი არი. ან ჩაკიდეფ რამეს, ცივი იქნება და არც ამყრალდება. წყალი კიდო დალიო ვერი ჩადე, არ გაწყენს. ბიწული არ არი აქანე. ერთი გამოფის იქინე, სა-

ხელსნო რთა, კოჯეში. არ გამოდოდა, მარა გამოვეჭირით და ახლა გამოდის.

სოფელი ნაკურალეში (ნიკადრო ბურჯალიანი)

მონადირეები გამოკიდებულარიენ დათვ, სოფელია ერთი, ლუხვანოს ცუდა-ხით, იქიდგან. აქანე მაშინ სოფელი არ ყოფილა, ტყე ყოფილა, ნაძენარო. ძალიანი ტყე კი ყოფილა და რო მოსულარიენ, აგერ წყალია, პატარა წყალი და მაქანე დაღამებია. მოუკლავსე დათვი, მარა ლამეა და გატყავება აღარ შეიძლება. აღარც წასვლა შეიძლება. ახლა უბევია ამ ხალხსე, წყალი მწყურია, ეგება წყალია სამე. მიუარ-მოუარიათ,ქე უნახავსე ე წყალი. ტბაა ახლა გამდგარი. ამოუქნიათ ახლა ე წყალი, ამოუწმენდიათ, დოუგროვებიათ. დე-იწმინდებოდა და ერთს უბევია, - სამი ყოფილარიენ, - ღმერთოო, თუ ეს ადგილი სამოსახლოთ ვარგაო აქანე და სასოფელიო, დოუსვია, შუბი ქონია, დოუსვია და რამე ნიშანი გუაცნობეო და დაწოლილარიენ ე დაღალებული ხალხი და ცუცხლი დოუნთიათ და რო გათენებულა დილას, ამას, შანა ქეია, ერთნარი ბალახია, შემოხვია. შემოხვია ამას, წვერში ასულა. გათენდა დილას, წვერშია ასული ე შანა. მაშინ უბევია ერთ: წადით თქვენო და შეიყვანეთ ხალხით და გაერეხით აქანე და დაეგათ უანგვალი, სახლი. უანგვალი სახლია, მრგვალი ხეების, კარამისებური და წასულარიენ ეგენი და მოუყვანიათ ხალხი და დასახლებულარიენ. მერე წარმოშობილა აქანე ეს სოფელი. ეს ყოფილა სხვა გვარის კაციქ მარა იზ გვარი აღარ არი ახლა აქანე, იზ გვარი წასულა. მერე, მაშინ რო ყოფილა თავდაზნაურობა, ციდაც აზნოუშვილი მოსულა და მიუკია ამ აზნოუშვილს ე სოფელი ამ აზნოუშვილისათვის, ყრუაშვილისთვის. ყურაშვილები არიენ აქანე და იგენი გლეხები არიენ, ყრუაშვილი აზნოური. მერე დაპატრონებულარიენ და მერე, ჩემსობას იყო, რო ორასი მოსახლე ვიყავით. მერე გადაეხახლენ და ახლა ვილა ვართ, ნაგერი ხალხი ვართ დარჩენილი. მე ბურჯალიანი ვარ, ნიკადრო ბურჯალიანი. მეტი არევიანა ჩემი გვარის, ეს ჩემი სახლიკაცია კილო. მამაჩემი მოსულა, ორბელი ქეია სოფელს, ორბელიდგანაა მამაჩემი, დასიძებული აქანე.

აქანე მეტი გვარი არი გოლეთიანი და ყურაშვილი. კიღმა გოლეთიანები მეტია. მარა ე ყურაშვილები ასთე რო ვთქვათ, გვარგატეხილები არიენ, ერთმანეთს თხოულობენ, გოლეთიანი არა. მე მაგალითათ, ახლა, გოლეთიანი დედა მყავს. დედაჩემი გოლეთიანი ქალია. მე ბურჯალიანი ვარ, მარა, აფერი დედებით მე რო თხოულობდე შეილისთვინ რძალს ან რამეს, გოლეთიანი თუ ხავს ვინმე, არ ვითხოვ იმას მე: დედაჩემი გოლეთიანი ქალი იყო და შვილი დედას ეკუთვნის მეტათ. საერთოთ, შვილი იწერება მამაზე თუა, შენ რა ივი, მამაშენის შვილი იქნება სულ არა ხარ. ხო, ასე ვთქვათ, სიტყვაზე. დედოზ გვარზე უნდა ტარდებოდეს შვილი.

კაცსო, რაც ვიყვარსო; ის დაგლეშავსო. ლო კაცსო ღვინო მოკლავსო. ქალების მადეეარ კაცსო, შეისწრებენ საცხა და გალახვენ და მოკლვენო. ისთეო ლოთი კაცი არ ვარგა, კაცო, ლოთი კაცი ცოდვაა. მიჩოულია კაცი სას-

მელსე, პაპიროსე, რას უკეთებს ახლა ის, აფერს არ უკეთებს, მარა, მი-
ჩოული რა არი, ვერ შორჩება. შე რა მომივიდა ამანზე. ბაბუა მყავდა მცე,
სოფელში თუთუნს იწვედა და ინახავდა იმარჩი, ქერქი იყო, დახოვდა, გამე-
ვიდოდა ორასი-სამასი გრამი, ერთი მუჭუტუნა, ამას ჩადებდა ახლა იმარჩი,
ფოსალს ეტყოდენ: როცხა დასჭირდებოდა გამეიღებდა თუთუნს და ხმარობდა.
ხის ქერქი იყო, ცაცხვი ქერქი. ცაცხვი ხეა მაგალითათ, შემოაყალა ახლა
იმას ლომპრობის დროს კაი სქელი ქერქი და იმას ამოკერავდა ტყერით, და-
გამდა და დაახურავდა. მიხერს ბოშებმა, ბაბუაშენს თუთუნი აქო და მეი-
ტანეო და ნავხეთ წიგნი. ძველი წიგნი და ფოლღები ხო აქ წიგნ. გავხვიეთ
იმარჩი თუთუნი და დავლიოთო. ჩვენ რა ვიციოთ ახლა, ის კი არ ვიციოთ, რას
გვიზამს. ბოშები ვართ და ე გოგოა ჩვენთან. სამი ვართ ჩვენ. გავხვიეთ
ახლა სათ იყო სპიჭკა. გამევიტანეთ საბლიდგან ნუგუზრები და ვუბერავთ
ამას და დევეჯობრეთ ახლა, რომელი უწინ გამოცელით ამას. რა გამოცვალეთ
ესე და გვაბრუა თუთუნმა, გვაბრუა და ცა და ქვეყანა ტრიალებდა და ვკო-
ტრიალობთ ამ ეზოში. ახლა მევიდენ ქალები. ახლა წასული არიენ სამუშაოთ,
სათოხრად. მევიდენ - რა დეემართა ამ ბოშებს? აბა რძე და აბა საქმე და
გვალღებია, ბოდიში, გვალღებია პირი და ამ პირი ლებამ გვიშველა. არც ერთი,
ჩვენ მაგალითე, არც ერთი არ ცხვამთ თუთუნს. შეჩოვახეა ყოლიფერი.

შოთა და თამარ მეფე

შოთა რუსთაველი თერამეტი წლის ახალგაზრდა ბიჭია თურმე. და მამინ
ყოფილა თამარ მეფე. მეფობდა თურმე თამარი. ჰოდა, ატყობს თურმე თამარი
შოთას, რომე, ეს იქნება კაი ბიჭი. სამოცი კაცი ახდა თურმე თამარს, რა
მიდიოდა. რასაკვირველია ცხენებით მიდიოდენ. უნდა მივიდეს თავად ერის-
თავთან. ე დავით ერისთავი არის ნათლია, გამნათველი. და ერისთავი მი-
ტო ქვია, რომე... ეს რაჭის მთავარი ყოფილა. თელი რაჭა ამის ხელში ყო-
ფილა იმ დროს. წვევიდა თურმე იმასთან. სამი წელიწადი გევიდა, ვერ მივი-
და იქინე. და რატო ვერ მივიდა, რა ომები შეხვთა. წეიყვანა შოთა რუს-
თაველი, თერამეტი წლის ახალგაზრდა ბიჭი. ეს არის მარტო გლეხი და და-
ნარჩენი ყველა თავადებია. რა მივიდა თამარი ახლა დავითთან ამ ხალხითე,
ეწყინა დავითს. რატო ეწყინა ახლა? რა მცოდნებოდა, მომარაგებული შექე-
ხვთებოდიო. ხო იცი ახლა, პურ-მარჩილი უნდოდა ახლა. ამან, მოურავი ხო-
ლია, უხარა იმას, რა ვინ გამოგვადგება ამალამ აგენტან მომსახურეთო?
შენ უფრო არ იციო? - დავითმა უხარა. დავითსე... ერი ქალიშვილი ხავს,
ამასე... მზისა ქვია ამ გოგოს. ამას უყვარს ამის ყმის შვილი, დათკო
ქვია თურმე. კაი ბიჭი ქვა, მა, არ უნდა ამას. მამას გააგებული აქ ეს.
არ უნდა. რატო არ უნდა - გლეხია, ამისი ყმის შვილია და მიტო არ უნდა,
თუა ბიჭი რა კაია, ქე ხედავს თვითონ. მარა, როგორც გეპირშვილობით, არ
უნდა. ახლა უხარა ამან: შენ უფრო არ იცი? ამან იცის და გამოგზავნა
ამან, ამ მოურავმა, ე გოგო და ე ბიჭი, ორივე - იმის ქალიშვილი და ე

ყმის შვილი. რა შამევიდენ, გამოწყობილი ორივე, უკრ ამასთან მივიდენ, თამართან და ხელი ჩამოართვენს. პატარა სტოლებია და დანარჩენი თამარმომენ, ე სამოცი კაცი რაა და შოთაც იქინაა. მაშინ, მაგალითად, წინასწარ უნდა გასცნობოდენ თურმე მათი სტოლის გამწყობლები, მომსახურებლები სტუმრებს. რა წვეიდენ, თამარმაც თვალი გააყალა ამ გოგოს და ბიჭს და ექ, რა კაი შესაფერია ე გოგო და ე ბიჭი ერთმანეთისათვის, ასე თქვა ეს, თავისით თქვა ეს. ის კი არ იცის, თუ ეს შეყვარებულა. იმდენეთად ეწყინა დავის ე სიტყვა თამარისაგან, რა ადგა, მიატოვა მეფე და წვეიდა. ახლა თამარ-მა თქვა: ბიჭო, რა ეწყინა ამ კაცს იმდენეთად ისეთი, რა მიმატოვა და წვეიდა. ამან მიიქავერა-მიიქავერა გული და თქვა: ბიჭო, მეფე მე მივატო-ვე. მე რე მიინანა და შევიდა ისეთე და დაჯდა თავის ადგილზე. ახლა ამას წერალი ყავს, ხნიანი კაცი, წერალი. დოუძახა ახლა ამას, გეიგო ყველაფე-რი, რა ეწყინა ამას, უხარეს ამას, ასთეა-ასთეა და მიტო ეწყინა ესაო. მისი ქალიშვილი უყვარს ამ ბიჭსო, მა წუნობს გვარიოთ. ახლა კაი, რა ხდე-ბა. დოუძახა თამარმა მის მწერალს, - რა დიდი მგოსანო, მწერალო, გვიამ-ბე, დიდ გვარსა და პატარა გვარს შუა რა განსხვავება არიო.

- დიდი გვარი ამომავალი მზე არისო, - ამ მწერალმა დოუძახა, - რა ამომავალი მზეო, თასა და ბარა ყველას ერთნიარა უწყურესო, ესაა დიდი გვარიო. დაბალი გვარი მიწაზე მოხობიადე კუ არისო. - ეე, ეს არ უნდოდა თამარს. ადგა. ყველამ დოუკრა ტაში და თამარმა და არც შოთა რუსთაველი არ ადგა. ახლა თამარმა იფიქრა, მოდი ე შოთამ რაზე შეიკავე თავიო, ეს უნდა გვეიგოო. - პატარა მგოსანო შოთაო, შენ გვიამბე დიდ გვარსა და პა-ტარა გვარს შვა რა სხვაობააო. ეს უნდა ამასცე. ადგა და რაც ძალი და ლონე ქონდა, დეიძახა:

ათასად გვარი დაფასდა,

ათათასად ზრდილობაო.

თუ ბიჭი თვითონ არ ვარგაო,

ცუდია გვარიშვილობაო.

და გოუხარდა თამარს იმდენითა, რა ნახევარი საათს უკრა ტაში. ამითი რა გააკეთა ახლა თამარმა: ეს რა გვარიშვილობიდა სწუნობდა ახლა ამას, ეს ხო იყო დავით ერისთავი. ამას მისცა გვარი, გოუდიდა. მისცა ხეობის ერი-სთავი, გვარათ. მორე დღეს ამ გოგოსა და ბიჭს დასწერა უჯარი და შეიქ-ნა ქორწილი. ქორწილზე დეიდვა ოქროს გვირგვინზე ვაშლი და უხხრა თავის რაინდებს-რამელიც რაინდიო ამასო შეილდ-ისრის წვერზე წამოაგოხოსო, და-ვაჯილდოვებო, თამარმა უხხრა. რა ქნან ახლა დავიქრდენ ეგენი და... ეეს-როლოთ შეილდისარი, ვაი რა თაეში მოვარტყამ ამას და მოვკლად ქალი, მეფე მოვკლად. არ ვესროლოთ, რაფერ წამეენეობა! ეერ გაბედეს და შოთა უწყურესს ამას, რა ეერ გაბედეს. შოთა ადგა, წვილო შეილდისარი, მიყუღებული ქონ-და და მივიდა თამართან და ჩამვილო ვაშლი, ჩამვილო და წამოაწყო შეილდი-სრის წვერზე, დადგა სმენაზე და თქვა: მე გადავარჩინე, ამხანაგებო, ორი მოისარი შიშისგანო, ერთი მსროლელი და ერთი გამჩერებელიო. თამარს ის კი არ უთქვიაო, შოთამ უხხრა, შეილდისარი მესროლეთ თაეშიო, ვინ წამოან-

ცობს შვილდისარი წვერზე ვაშლსო, იმა დაეაჯიღოვეფო. მაშინ უთხრა თა-
მარმა შოთას, რომე, შენ გამოხვალ ნიჭიერი კაცი და დასწერე რამე ისეთი,
ლოუტოვე ხალხსო. დასწერა ეფეხისტყაოსანი და მისცა თამარს. შიტო რა
უყვარდა ამას გულში თამარი, მა ვერ გოუბედა თქმა, როგორც მეფე და იმან
დააბასახლა საბერძნეთში და ე წიგნი ქე დარჩა დაწერილი და გააგრძელეს,
მა ვერცინ ვერ დაწერა იმნაირი გაგრძელებული და ვერც იმნაირი დაწერა
ვინმემ და ის არც ახლაც და ჩვენ ხალხ მაგალითათ, სპარსეთში რა არიენ
წასული, იქანე ახვე წადებული ე წიგნები და კითხულობენ, რა არ დაავიწ-
ყტეს ქართული ენა, მა ბევრ დამიწყებულ აქ და ბევრს... ესაა ნამდვილი
მართალი.

ნათქვამია, ერთხელ ერთ ქართველ კაცსო, შიშით გამეღვიძაო. მის დღე-
ში არ უძძენია ამ ვაშკაც შიშის ზარით, მაგრამ... კითხვას აძღვეენ, რა
ნახა, რა მეტრეენა - შიმშილი, წყურვილი თუ დეკის შეშოსევა, რა ყოფილა
მანამდე. არა, მან ნახა ამაზე კიდო მეტი საშინელება. რა ნახა: ეთომ,
რაც ქვეყანაზე საესე ქვევრები იყო, სულ დაცვილიყო და გადმოვარდა. ეს
იყო ლოთი კაცი და სადა დავლიო დვინო, თუ არსა აღარ იქნაო და ა, ლოთი
კაცის ამბავი!

ДИАЛЕКТОЛОГИЧЕСКИЙ СБОРНИК

Р е з ю м е

В сборнике представлена лексика рачинского и гурийского диалектов, рассмотрены принципы наименования домашних животных, общая лексика животноводства в картвельских языках (общего происхождения и заимствованная нахская лексика в горских говорах грузинского языка). В остальных статьях анализируются фонетические и морфологические особенности диалектов, в частности: уникальные случаи прогрессивной ассимиляции в рачинском, выражение множественности глагольных лиц в аджарском; функция и дистрибуция частиц в грузинском по данным литературного языка и диалектов.

В сборнике также публикуются тексты лечхумского и рачинского диалектов.

ДИАЛЕКТОЛОГИЧЕСКИЙ СБОРНИК

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1988

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 3597

გამომცემლობის რედაქტორი გ. გოგიაეა
მხატვარი გ. ლომიძე
მხატვრული რედაქტორი ი. სიხარულიძე •
ტექნედაქტორი დ. კვინტრაძე
კორექტორი გ. გრძელიშვილი
გამომწვეები ე. შაისურაძე

გადაეცა წარმოებას 9. 11.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.10.1988;
ქალაქის ზომა 60×90¹/₁₆; ქალაქი ოფს.; ბეჭდვა ოფსეტური; პირობითი
საბეჭდი თაბახი 10.75; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 8.99;
პირ. სალ.-გაჯ. 11.0;

ტირაჟი 1000;

შეკვეთა № 3541:

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ. 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19